

K 269.798  
3

ସାହିତ୍ୟ କମନ୍ସଲ୍



၁၃၀၈၄၆၀၀၀ ၂၀၀၈၂၅၀



୧୯୬୨ ମେସାରେ କାହାରେ କାହାରେ

1924 7.

9647822  
16  
ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ମେଳେ  
ବିଦ୍ୟାଲୟା ପାଠ୍ୟଗୁଣ୍ଠନ

ସାହିତ୍ୟ କାବ୍ୟକାଳୀପି

ନାନ୍ଦିତନାଥ ମହାନ୍ତିର

୩୮୧୯



ସାହିତ୍ୟ ମହାନ୍ତିର ବିଦ୍ୟାଲୟା ପାଠ୍ୟଗୁଣ୍ଠନ

ସ. ର. ର. ର. ମହାନ୍ତିରଙ୍କାଲ୍‌ପାଠ୍ୟ. ମେ-୩ ଶ୍ରୀଶିଳ୍ପ.  
1924 ଫି.



గమనికా 21 నవమి 1924 ॥

ශින්දියුරාරු ජ්‍යෙෂ්ඨ ජාතියාලු මීත්‍රාලා මින්නයුරාග්‍රියාලු ගා-  
මුදුලුවානි ප්‍රාලු සායිත්‍යේදිස් ජේසාන්ඩ්, රැම්බුලතා ගාම්බුවුපුරුදා  
ඡාපිලුදුදුලු ඝාදා මුළු නිශ්චිත ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය  
සායිත්‍යේදිස් ඝාසාගේධාර දා සාන්නුගාලු අම් සායිත්‍යේදිතාන දායාග්‍රහිත්‍රේ-  
කිත ගාර්තම ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය ප්‍රාග්‍රාමීය  
මුදුලු දායාගේධාර දා. මිසි මුදුලු, දායාග්‍රහිත්‍රේ ප්‍රාග්‍රාමීය 1923 උග්‍රියා  
ස්‍රාත්‍යී, ස්‍රාත්‍යී මුදුලු දායාග්‍රහිත්‍රේ ඝාම් දායාග්‍රහිත්‍රේ මුදුලු අ. එ.  
සාන්දියුරා ප්‍රාග්‍රාමීය.

ශ. ජ්‍යෙෂ්ඨ ජාතියාලු.

10 නානු ජාතියාලු 1924 එ.

K269.498  
3

## සැන්නාරුපා

සාක්ෂාත්කාරීය ජාතියාල් තාක්ෂණික සේවාක්ෂේප	
වග—5—6 සංඛ්‍යාවෙන් නාමයෙහි උපේෂ්‍රේඛාව දා-	
කාල මිරුවෙනිත . . . . .	83. 1— 37
රුවනු ඇති දාන්තික ප්‍රකාශකාරී—	
ගාන්‍යාලු සාම්පූර්ණ ප්‍රකාශකාරී—	38— 55
මින්නෝද ප්‍රකාශකාරී—	56— 92
සුවේද ප්‍රකාශකාරී—	93—191



## სახარმაის გართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუძღვები ხანებით ტექსტებთან დაკავშირებით.

ხანშეტ ტექსტების აღმოჩენამ დაპატიჟი ჩეცნაშე მრავალი საკითხები არა მარტო ქართულ ენათმეცნიერების თვალსაზრისით, არამედ სამწერლობო ისტორიისა და საერთოდ კულტურის ისტორიის პრობლემების გასაშუქრებლად. ამ მხრივ მნიშვნელობა ამ მოპოებისა მართლაც დიდია, მით უმეტეს რომ ხანშეტ ტექსტების შესახებ საკითხის აღძრევით გამოიწვია მეორე—ჰამეტ ტექსტების აღმოჩენა. პირველი დაკავშირებულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის და მეორე პროფ. აკ. შანიძის სახელთან. საქიროა მხოლოდ ამ მოპოებათა ეხლა თანდათან, შესაძლებლობის მიხედვით, შეფასება და ჯეროვნად გამოყენება სხვადასხვა როგორც ენათმეცნიერულ, ისე ისტორიულ-კულტურულ საკითხების გასაშუქრებლად. ამ გამად ჩეცნ შევეხებით ხანშეტ ტექსტების საკითხს შეფარდებით ქართულ მწიგნობრობის დაწყებით ხანასთან და კერძოდ საკითხს სახარების ქართულად თარგმნის საუცხოურების შესახებ ხანშეტ ტექსტებთან დაკავშირებით. საკითხი ამასთანეე განხილული იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საქირო არის ქართულ უძველეს კულტურის პრობლემის მხოლოდ ამ მხარის გასაშუქრებლად. ამით, მაშინადამე, წინამდებარე წერილი უნდა ჩაითვალოს საკითხის საბოლოოდ ამოწურევის ან ლრმად და ყოველის მხრივ გაშუქრების მისწრაფებას მოკლებულად. ასეთი მისწრაფება უფრო რეალური იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა აღმოჩენილი ხანშეტი და ჰამეტი ტექსტი დაბეჭდილი იქნება და ასეთი მისწრაფების განხორციელებაც ყველაზედ უფრო მოსახერხებელი იქნება იმ



პირისთვის, რომელიც თავისი სპეციალობის მიხედვით იკითხა  
სრებს ყველა სახარებების და აგრეთვე საერთოდ საღმრთო  
წერილის ქართულ ტექსტების გულდასმით შესწავლას და ამ  
ტექსტების გამოცემასაც. ჩვენ კი ჯერჯერობით იძულებული  
ვართ შევკვეცოთ საკითხის შესწავლა და შევუდგეთ მის მხო-  
ლოდ ნაწილობრივ განხილვას.

საკითხი საღმრთო წერილის და კერძოდ სახარების ქარ-  
თულ თარგმანის შესახებ უკანასკნელად მეცნიერულად და-  
სმული აქვს ჯერ კიდევ 1899 წლიდან აკად. ნ. ვარჩს (Из  
поездки на Аеон., Журн. мин. нар. просв. 1899 г. № 3), რომელმაც მაშინ აღიარა ის სომხურიდან ნათარგმნად უძვე-  
ლეს ხანაში. შემდეგ ეს აზრი მას უფრო გაღრმავებით ვემო-  
თქმული აქვს ერთს თავის წერილში (Из поездки в Сванетию,  
Хр. Вост. II, 20) შემდევნირად:

„Первый перевод св. Писания на груз. яз. сделан не с греческого, как обыкновенно утверждалось, на основании поздних традиций, а с армянского. Переживания этого первоначального перевода на лицо в сохранившихся грузин. текстах св. Писания, представляющих в таких случаях, когда они не заново переведены, позднейшее исправление, иногда неоднократное, по греческим подлинникам. В числе показателей армянского происхождения переживаний первоначального груз. перевода первое место занимают арменизмы в виде арм. слов и оборотов. Рядом с арменизмами в первой же стадии изучения сванского стали намечаться сва-  
низмы, сванские слова, существительные и глаголы“. ამის  
ასახსნელად ნ. ვარჩი, იხსენიებს ორ რომ მესხების ტერიტო-  
რიაზე უდევლეს ხანაში უნდა ყოფილიყო გაბატონებული  
სეანური ენა, ამბობს, რომ, ამასთან დაკავშირებით, „вопрос о  
переводе св. писания на груз. яз. может получить совершенно новое освещение. Восхождение древне-груз. языка

св. писания к арм. версии останется в силе, останется в силе и то, что переводили на „сомекхское“ наречие, но весьма существенной поправкой явится то, что или эту сомекхскую речь даже 5-го века придется признать целиком наречием сванского яз., или, если она к тому времени была грузинизована, в ней во всяком случае придется признать существование большого количества переживаний того наречия сванского яз., которое некогда было коренным в Сомекхии“. შემდეგ დროინდელ ზოგიერთ ნისს ნაწერებში აკად. მარტი კიდევ უფრო ცდილობდა საეკითხის გაღრმავებას, კერძოდ სვანურ ენის მნიშვნელობის შესახებ ძველ ქართულ მწერლობის დასაწყისის პერიოდში. აკად. მარტის ასეთი აზრის წინააღმდეგ ბოლოს დროს ენერგიულად გამოვიდა ხანმეტ ტექსტების აღმოჩენი პროფ. ი. ჯავახიშვილი, რომელიც თვისს წერილში ახლად აღმოჩენილ უძველ. ქართულ პალემსესტების შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: „ქართული სალმრთო წერილის სომხურითვან ნათარგმიანობის შესახებ ამ ახალი აღმოჩენილი ენის მიხედვით მე ჯერ არაფრის თქმა არ შევიძლიან, რადგან ამას მთელი ტექსტის გულდასმით შესწავლა ხვირდება. ნ. მარტის „სვანურობის“ თეორიის სრული უსაფუძვლობა კი ისტორიული თვალთ-საზრისით წინათაც ცხადი იყო, ხოლო ებლა თვით მე-5—7 საუკ. ტექსტების ენითაც ისევე მტკიცდება. აკად. ნ. მარტის იმედები და მტკიცება, ვითომც რაც უფრო ძველი არის და იქნება სალმრთო წერილის ქართული თარგმანის ტექსტი, მით უფრო მეტი ლექსიკური „სვანურობისა“ და სადაურობის გამომქლავნებელი არის და გამოდგება, მე-5—6 საუკ. ძეგლების ენით არ მართლდება“ (ტფ. უნივ. მთამბე № 2 გვ. 359). ამ აზრით პროფ. ი. ჯავახიშვილი თავის წერილში რამდენჯერმე ხაზს უსვამს დიდ მნიშვნელობას საკითხის გარდაწყვეტის დროს ახალ ტექსტებისას,

რომელსაც ის მტკიცეთ მე-5—6 საუკუნეებს მიაწერს არა  
მარტო წარმოშობის, არამედ დამწერლობის მხრივაც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი წერილის იმ ნა-  
წილში, რომელიც ეხება ხანჩერ ტექსტების დათარიღებას  
მე-5—6 საუკუნით ასომთავრულ ბ, პ და ჟ თავშეკრულო-  
ბის გამო, პროფ. ი. ჯავახიშვილს ეტყობა საკითხით ერთ-  
გვარი გატაცება. თავშეკრულ ჟ-ს და კ-ს ივ. ჯავახიშვილი  
მე-7—8 საუკუნის ქართულ პალეოგრაფიის დამახასიათებლად  
სთვლის, თავშეკრული ბ მის უფრო ძველს ხანაში გადააქვს  
და ამ მიხეზით ცნობილ ბოლნისის სიონის საკურთხევლის  
კონკის წარწერას მე-5 საუკ. დასასრულით ან მე-6 საუკ.  
პირველ მეოთხედით ათარიღებს, რის გამო ის შესაძლებლად  
სთვლის ხანჩერ ტექსტების პალეოგრაფიულად გადატანას  
მე-5—6 საუკუნეში მთში ხშარებულ თავშეკრულ ბ-ის გამო.

თუ რამდენად ძნელია და საბიფათოც, ქართულ პალეო-  
გრაფიის ჯეროვნად შეუსწივლელობის გამო, ასეთ მო-  
საზრებებშე დაყრდნობა, ეს ცხადად სჩანს იმ გარემოებიდან,  
რომ როგორც თავშეკრული პ და ჟ, ისე განსაკუთრებით  
თავშეკრული ბ (რომელსაც ივ. ჯავახიშვილი მხოლოდ მე-5  
— 6 საუკუნის დამახასიათებლად სთვლის), გვხვდება ბევრად  
უფრო გვიანადაც. სახელდობრ, ყოფ. საეკ. და აწ ტუ. უნი-  
ვერსიტეტის ხელნაწერთ-საცავში მოიპოვება ერთი ტყავზე  
დაწერილი შემდეგ დროინდელი ხელნაწერი, სადაც ცველა  
ეს თითქოს მხოლოდ უძველეს დროის ქართულის პალეო-  
გრაფიული თვისებები ნაწილობრივ მაინც წარმოდგენილია.  
ეს ხელნაწერი—დაეითნი  $N \text{ No } 38$  დათარიღებულია 239 ფურ-  
ცელზე მოთავსებულ მინაწერით. „დასაბამითგნ რ-ლ წელი  
გარდასროვლ არიან ქსრტ იცნობების. ჯრუ-ვმამდე ო-ისა  
ჩ-ნისა ი-კ ქ-სა წელი ჰულდ შემდგომ-დ ჯრუ-მისა ვ-ე  
მოაქამდე შოდ“. ამისდა მიხედვით გამოდის, თითქოს ხელ-  
ნაწერი უნდა იყოს გადაწერილი  $974 + (5534 - 5500) \text{ წ. და-}$   
საბამითგან იქრუსალიმ ილრიცხვით)  $34 = 1008$  წ., მაგრამ



შესაძლებელია ჯვარცმიდან ანგარიში, როგორც უნისახა-  
გალითებიდანაც სჩანს (მაგ., „მოქც. ქართლ.“ და სხ.), ამ  
შემთხვევაში უდრიდეს ქრისტეს ღამადებიდან ანგარიშს და  
მაშინ მიუიღებთ ხელნაწერის გადაწყვრის თარიღს 974 წ..  
ხელნაწერი პალეოგრაფიულად აღსანიშნავია იმით, რომ მას-  
ში თავისებსილ ბ-თან ერთად გვხვდება ოდნავ თავშეკრული ან  
იშვიათ შემთხვევაში მთლად თავშეკრული ბ-ნიც.

ესევი ითქმის უ და ბ-ს შესახებ. ეს გარემოება ცხადად  
ამტკიცებს, რომ საკითხი ხსენებულ ასოების მოხაზულობის  
ისტორიულად განვითარების შესახებ ჯერ კიდევ საჭიროებს  
ახალს დაკვირვებებს და მასალებს, ყოველს შემთხვევაში ჯერ-  
ჯერობით ის საბოლოოდ გარდაწყვეტილად არ შეიძლება ჩაი-  
თვალოს. ამიტომაც ხანშეტ ტექსტების პალეოგრაფიულად  
დათარილება ჯერ კიდევ მომავალის საკითხია, რასაკირველია  
შესაძლებელია, რომ ხსენებულ პალემსესტებს შორის იყოს  
ან მომავალში აღმოჩნდეს მე-6 და შესაძლებელია მე-5 საუ-  
კუნის დამწერლობის ტექსტი, მაგრამ ცხადია, რომ ამის გა-  
მოსარჩევად საჭირო იქნება გარდა ი. ჯავახიშვილის მიერ  
მოყვანილ მოსაზრებათი სხვა დაკვირვებების მოშველებაც.

მაინც როგორც უნდა გადაწყდეს საკითხი ხანშეტ ტექ-  
სტების დათარილების შესახებ დამწერლობის შხრივ, ისტო-  
რიულ ლიტერატურული მნიშვნელობა ამ მოპოვებისა ჩვენი  
შეცნიერებისათვის ცხადია და ეს გარემოება ნებას გვაძლევს  
ჩვენც წინამდებარე მცირე ექსკურსი გაფაქტოთ საზო-  
გადოდ ქართულ მწიგნობრობის უძველეს ხანის ზოგიერთ სა-  
კითხების შესახებ, ხოლო ფარგლების შესამჟიდოროებლად  
საკითხი განვსაზღვროთ მხოლოდ სახარების ქართულ თარ-  
გმინის თუმცა ნაწილობრივი, მაგრამ საერთო პერსპექტივის  
შესაღენათ მაინც საკმარისი განხილვით.

სახარების თარგმანთა უძველეს რედაციის გამოსარჩევ-  
ვად მე შევადარე თუმცა არა სივსებით, მაგრამ საკმაოდ და-  
წერილებით სახარების შემდეგი უძველესი ხელნაწერები:



აღიშის, ჯრუჭისა და პარხალისა. ამათგან აღიშის, ტაბაშირილი გამორკვეულია (პროფ. კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი აღიშის სახარება—ტფ. უნივ. მოამბე № 2), გადაწერილია 897 წ., ჯრუჭისა, მინაწერის მიხედვით, 936 წ. და პარხალისა, ბოლო მინაწერისაც მიხედვით 973 წ.. გადაწერილია აღიშის და ჯრუჭის სახარება შატბერდის მონასტერში, ხოლო პარხალისა—სახელის მიხედვით, პარხ, მონასტერში.

შედარებამ გამოარკვია, რომ აღიშის სახარება იძლევა განსაკუთრებულ რედაქციის თარგმანისას შედარებით დანარჩენ თრ ხელნაწერთან. ტექსტი განსხვავდება როგორც თვით სიტყვების დალაგებისა, ისე ხმარებულ ლექსიკის მოცულობის თვალსაზრისით იმდენად თვალსაზრისით, რომ შესძლებელია ვილაპარაკოთ სახარების თარგმანის დამოუკიდებელ რედაქციაზე. ჯრუჭისა და პარხალის სახარება, აღიშის სახარებასთან შედარებით, ცალკე სდგანან, ერთმანეთს მისდევენ და თითქმის არაფერები ერთმანერთისაგან არ განირჩევან. განსხვავება მათ შორის, თუ ასეთი არსებობს, არ სცილდება წევულებრივ გადაწერის დროს დასაშვებ ლაპსუსებს. ტექსტი ერთმანეთს ეთანხმება და უეჭველია ერთის წარმოშობისა არის.

უნდა ითქვას ამასთანავე, რომ აღიშის სახარების რედაქციის მარტოობა კიდევ უფრო თვალსაზრისით ხდება, თუ წევენ მივიღებთ მხედველობაში სხვა ცნობილ ვერსიებს სახარებისას, რომელიც წინადაც იყენენ იღმოჩენილი და ან ბოლოს დროს ხანმეტური ტექსტების სახით შეეძინა ჩვენს მეცნიერებას. მაგალი, ცნობილი ტბეთის სახარება, პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში დაცული, 995 წლისა, ყოველს შემთხვევაში მათეს და მარტოზის თავის მიხედვით, რომელი თავები დაბეჭდილია ვ. ბენეშევიჩის რედაქციით (პეტერბურგი 1909 წ.), მისდევს ჯრუჭისა და პარხალის სახარებას. ესევი ითქმის ათონის ივერიის მონასტერში დაცულ 913 წლის ოპიზის სახარების ტექსტის შესახებ, რომელიც შეიძირ ვარიანტებს გარდა რედაქციულად იმავე არსებისაა, როგორც



ტბეთის სახარება. (მე-10 საუკ. ურბნისის სახარების შეტყოფაზე რება არსებულ წელნაწერებთან მე ამ შემცდლო, რადგან ეს წელნაწერი ამ ეამაღ ტფლისში არ იმყოფება).

საინტერესო ის არის, რომ ახლად აღმოჩენილი ხანმეტი ტექსტები სახარებისა რედაქტიულად უდგება ორივე ტიპის რედაქტიოთ წარმოდგენილ ტექსტს. მე სახეში მაქს სახარების ის ტექსტი, რომელიც ლაბექლა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ტფ. უნივერსიტეტის მთამბეჭი № 2 ვგ. 375—389. ყველა ეს ტექსტები, გარდა საქართ. საის. და საეთნ. სახ. ხელნაწერიდან № 999 და ერთს შემთხვევაში ყოფ. საეკლ. მუზ. და აწ. ტფ. უნივ. მუზ. № 844 ხელნაწერიდან ამოღებულ ნაწყვეტებისა, უდგება სიტყვასიტყვით, მცირეოდენ ვარიანტებს გარეშე, ჯრუქისა და პარხალის სახარების ტექსტს, ხოლო ხელნაწერიდან № 999 და ერთს შემთხვევაში № 844-დან ამოღებული ნაწყვეტები კი მიეკუთხენება იმავე ტიპის რედაქტიას, როგორც აღიშის ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტის მთავარი ნაწილი, მთავარი ვაშბობი იმიტომ, რომ, როგორც ქვემოთ იქნება ნახევნები, აღიშის ხელნაწერი თავისთვეად მარტოოდენ და თავიდან ბოლომდის ერთი ტიპის რედაქტიის შემცველად არ არის წარმოდგენილი.

ავილოთ სანიმუშოდ რამოდენიმე ნაწყვეტი როგორც ხანმეტი, ისე აღიშის, ჯრუქის და პარხალის სახარებების ტექსტიდან. ერთი ტიპის ტექსტი დაწყობილი იქნება ერთს მხარეს და შეორებ ტიპისა შეორებ სკეტში (პარხ. სახარების ტექსტი ცალკე აღნიშვნული არ იქნება, რადგან ის მთლად მისდევს ჯრუქ. სახარებას).

ხანმეტ., ხელნაწ. № 844.

მათე 7<sub>11</sub>—1<sub>1</sub>\*).

ჯრუქ. ხელნ., მათე 7<sub>11</sub>—1<sub>1</sub>.

თჯკოჯკოთავ თქ'ნ თჯკოთოურთა თჯკოთეთავ თქ'ნ უკოთურთა იცით  
ხიცით<sup>1</sup> ნაწისა კეთილისა მიცე— მისაცემელი კეთილი მიაცემელ  
შავ შვილთა შავთ<sup>2</sup> თქ'ნთად რაო— შვილთა თქ'ნთა რაოდენ უფრთს

ვარიანტი ხანმეტი ხელნაწ. № 999 (A) და აღიშ. სახ. (B):

<sup>1)</sup> B: იცით <sup>2)</sup> AB abs.



დენ<sup>1</sup> არა ხოკიფრომას<sup>2</sup> მაშაშან  
თქწმან ზეცათამან მოსტეს<sup>3</sup>.  
კეთილი რღნი ხთხოვდენ<sup>4</sup> მას:  
ერდოგ<sup>5</sup> რადგა გნებას რადგა გა-  
ეონ თქწ კაცთა ეპრეცა თქწ  
ხეოფლით მათა<sup>6</sup> მიმართ რ ეპ-  
რე არს შეზოდა და წინაწარმე-  
ტუკელი<sup>7</sup> შევაღოდათ<sup>8</sup> იწრისა  
მას ბჭეს რ ფართო არს ბჭებ  
და გრცელ [ა]რს გზად [რღნ]  
მიგიჟოვანის<sup>9</sup> წარსაწევდებად  
და<sup>10</sup> მრავალ [არიან რწან გლენან]<sup>11</sup>  
შიკრ] რ იწრო არს ბჭებ და წოკ-  
ლილ<sup>12</sup> გზ[ა] რწ მისიერანის<sup>13</sup>  
ც[ხოვ]რებად და მცირე[დ ა]რიან  
რღნთა პოლ[ნ]<sup>14</sup> იგი: ხეკრძალე-  
ნით ცრ[ო] წინაწარმეტუკელ[ელ]-  
თა მათგან<sup>15</sup> რღნი [მო]ფიდოდიან  
თქწდა სამსალითა ცხოლ[არ]თა-  
მთა ხ შინაგან არიან მპელი  
შტ[ა]ტებელი ხ<sup>16</sup> ნაჟოვ[ისა] მა-  
თისაგან ხიტნე[თ]<sup>17</sup> იგიანი:<sup>18</sup> ეპალ-  
თაგან ეუ[რძენი] ანოვ კოვრ[თს  
თავთაგან დედოვ]

მამაშან თქწმან ზეცოლის მისცეს  
კეთილი რწან სთხოვდენ მას.

ერდო რღნი განდეს თქწ  
რა გაუონ თქწ გაცთა ეპრაცა  
თქწ ჰეოფლით იმათა შიმშართ  
რ ესრულ არს შევედი და წნი-  
წელნი.

შევაღეთ იწროდასაგნ ბჭესა,  
რ ვრცელ არს ბჭე და ფართო  
არს გზად რღნსა მიმეტეს წარსა-  
წევდებად და მრავალი არიან  
რწან შევდენან მას.

გრ იგი იწრო არს ბჭე და სა-  
ჭირებელ გზად რღნი შიგუე-  
ნებს ცხოვრებას და მცირები  
არიან, რწან ქმნებენ მას.

ეპრძალენით ცრუწნწელთაგნ  
რწან მოვიდოდან თქწდა სამო-  
სლითა ცხოვართამთა ხ შინაგან  
იყენენ მპელ მტაცებელ. ნაჟოვთა  
შრთთაგნ იცნებთ იგიანი. ნუ უკრე  
შეკრიბიან გპალთაგნ ეურძენი ანუ  
კურთხსთავთაგან დედოვ.

<sup>1)</sup> A: რაოდენად B: რადენ <sup>2)</sup> A: ხოკიფროს B: არა ოვლ-  
რომას <sup>3)</sup> A: მოგცეს B: მოცცეს მით <sup>4)</sup> A: რღნი ხთხოვდეს B სთხოვ-  
დენ <sup>5)</sup> B ყოველი <sup>6)</sup> AB: ჰეოფლით მათდა <sup>7)</sup> AB: წინასწარმეტ-  
უოპელნი <sup>8)</sup> A შეხვიდოდეთ <sup>9)</sup> AB: მიიყვანის <sup>10)</sup> B abs <sup>11)</sup> A: შევ-  
ლენან <sup>12)</sup> B: წოპრილ <sup>13)</sup> AB მიიყვანის <sup>14)</sup> A პოვიან B) პოიან  
<sup>15)</sup> A: წინასწარმეტუოპელთაგან <sup>16)</sup> B abs <sup>17)</sup> B: იცნეთ <sup>18)</sup> B +  
მონოკისთოვლიან.

აღიშ. სახ. მარკ. 9<sub>43</sub>—<sub>50</sub>.

და თავ გაცთოვნებდეს შენი (sic) კული შენი მოიკეთე იგი ოკმჭობეს არს შენდა ერთეულისა ცხოვრება შესვლამ ვათა არა ორთა კელთა დგმისა და მისვლად მეტელსა მას დაომრეტეტელსა და თოვფერკა შენი გაცთოვნებდეს შენ მოიკეთე იგი ოკმჭობეს არს შენდა ცხოვრებასა შესვლამ შეკედობებისამ ვეღარა თრთა ფერკა დგმისა და მისვლად გაემისასა თოვფერად შენი გაცთოვნებდეს შენ აღმოიყადე იგი ოკმჭობეს არს შენდა ერთ თვალისა შესვლამ სასოფლოებლსა და ისასა ვეღა არა ორთა თოვალთა სხმისა და მისვლად გეპენისა

სადა მატლი იგი მათი არა აღესროვდების და ცერხლი მათი არა დაშრტების რ ე ლი ცერხლითა დამშარილის კეთილ არს მარილი თვეოვეთოვ მარილი განწიბენდეს (sic) რამე შეამარილოს გაქონ აუქნ მარილი და მშედობასა ჰეთფლით თვეოვეთოვის

ხანშეტ. სახსტ. სახოგ. ხელნაწ.  
№ 844. მარკ. 9<sub>43</sub>—<sub>50</sub>

...[ტხ]ოვრებასა შესლ[გ]ად ვ ე თრთავე [კეღთ], სხმისა დ შენ [სლ]ებად გეპენისა [ტ]ეტხლსა მას ოკმ[რ]ეტსა:: [დ], ოკმჭეთოვ ფ[ე]რე შენი გაბრეტებდეს შენ მოიკო[ც]ეთა იკი ჩ განა[ბ]დე შენგან ხოვ[მ]ჭობეს არს შენდა [მ]ეტლიბების შესვლად [ტხოვრებასა ვ ე თრთა ფერკათა შესვლად გეპენისა და ოკმჭეთოვ თოვალი შენ გაცთე]ნებდეს აღმოიღე იგი ხოვმობის არს შენდა ერთითა თოვალითა შესვლად სასოფლოებლსა დ ისასა ვ ე თრთა თოვალითა და შთაგდებად გეპენისა სადა იგი მატლი მათი არა დაშრტოვდების<sup>2</sup> დ ცერხლი არა დ შრტების<sup>3</sup> რ ე ლი ცერხლითა დახმარილის<sup>4</sup> კეთილ არს მარილი ხ დ თვეოვეთოვ მარილი წილი ხევთს<sup>5</sup> რად და მარილის<sup>6</sup> ...

ჯრის: 1) უმჯობეს 2) დაესრულების 3) დაშრტების 4) დამარილოს 5) abs 6) იყოს 7) დაიმარილოს.



ଓଡ଼ିଆ, ପାତ୍ର, ମୁଦ୍ରଣ ୧୫୨୧—୧୮

ଶେଷେତ୍ର ବେଳନ୍ଦାୟ. № 884 ଲେଖ-  
15<sub>୩୩</sub>—୩୫

აღიშ. სახ. ლუკა 19:—<sub>8</sub>.

ხანმეტი ხელნაწ. № 844, ლუკ.  
19:—<sub>8</sub>.

(ამის მისდევს ამ აღმოლას ჯრუ-  
პის და პარხ. სახარების ტექსტიც).

და შეფილა ოკ და სიქრეოდა [იქ]-  
რიქს. და აჭა გაცი ერთი რ-დას  
სახელი ხერქოუ ზაქტ და სიუთ  
შეზოუერთ შოდოუარ და თავადი  
შდოდარ და ხეძიებდა ხილეად ოკს  
ვ-დ ვინშე ასს და ვერ იხილის  
სიმრავლისა შისგან რ შეირე ხი-  
უთ ჰასა[ტ]თა და წარმიოდა  
ჯელოზ თუბზ-ა რამცა იხილა იგი  
რ შეირ წასილეად ხიუთ:

ვ-ს შოხინია ადგილისა მას. ად  
ხედა ოკ და ხრქოუ მას ზა[ტ]ტ  
იწრაუე (sic) [დ]ა დამოკედ შ[ი-  
კრ რ კერ ასს] სახლსა შენსა ჩემი  
უთფად. [ისწრაფა და გარდშოკდა]  
და შეიწენარა იგი სიხარუკ[დათ]ვ-  
ა იხილეს იგი ურევდთა [დრტვინებ-  
დეს და ხორუოდეს [ვ-დ ცოდვალი-  
სა კაცისათანა შეფილა დალრგო-  
მად აღდგ] ზაქტ და ხრქოუ  
თ-ა. თ-თ აჭა[ა] ზოგი ფასისა ჩე-  
მისა შიხოუეც გლახაეთა და რო-  
[შ]ედა მე შომეხოუე... შიხოუებთ  
რთს წილად:

და შეფილა და განვიდა იური-  
ქოდა და აჭა ესერა გაცი ვანშე და  
სახელი ზაქტ და იუთ იგი მთავა-  
რი შეზერეუთად და იუთ იგი მდი-  
დარ ფ-დ და თვინდა ხილეად ივნია  
ვ-რ ვინდა ასს და ვერ თურდო  
ხილეად ვრისა მისგან რ ჰასაკოთა  
იუთ შეირე და წარმიოდა წინა და  
ადგედა ლელოკ სოკლელის და ვ-ს  
შოგიდა ადგილისა მას შიხედა იკ  
და თქოკა მას ზაქტ ესწრაუე და  
გარდამოკედ რ დღეს სახლსა შ-ნა  
შენსა ფერ ასს ჩემი უთფად ეს-  
წრაფა და გარდამოკედ და შეივე-  
ნა იგი სიხარუკლით ვ-ს იხილეს  
ერთა ღრტკნებიდეს და იტეოდეს  
ვ-დ ცოდვილისა თანა შეფილა და-  
დრგომად აღდგა ზაქტ და ჰემ-  
აჭა თ-თ ზოგი ნაუთეთა ჩემთა  
მიგსცე გლახაეთა და თპერეკეთა  
ვისმე ცილი დაცსდეს მიგაბრ თთ-  
ხი წილი.



აღიშის სახ. ი-ე 21<sub>7</sub>-<sub>11</sub>.

ჯრუს. ხანშეტებ  
წალეთაგანმან <sup>4)</sup> abs.

ବେଳମ୍ବେତ୍ରି କେଲନ୍ଦାର୍ଥ. № ୪୫.  
ମୂଲ୍ୟ. ୨୧,- ୧୭.

ხრქა მოწაფებან მან ჰე-  
ტრეს რდი ხოკეოკარდა იკვე-  
თ და არს: ხ' სიმონ. ჟეტრეს ვა-  
ხესმა რ და დი არს შესამო-  
სელი მოირტვა რ შემოკეც  
ხიუთ და შთაგდით თავი [თ]ვის  
ზღვად. ხ' სხოკანა მოწაფენი  
[ხ]ავითა მოხვადო[ღ]ეს<sup>1</sup>. რ  
არა მოვს (sic) [ხ]ავენეს ქოკეშ-  
ნა[ს]. ძდ თრთს წერ[თ]ა თდენ  
და გა[მ]ოხითრევდეს ბადესა მას  
თევზითა საფეხსა: და ვა გამოკ-  
დეს. ქოკ[ე]შანად იხილეს ნა[კო-  
კერცხალი] მდებარ[ე] და თევზი მას  
ზა და პთვრი: ხრქა შას იკ მოიღვთ  
თევზითა მაგათავანი რ დი ხიშეართ  
აწ გამოგიდა სიმონ ჟეტრე და გა-  
მოხითრევდა ბადესა მას ქოკეშანად  
[სავსე]სა ღიღდღილითა თე[გ]ზითა  
რ დ ხიუთ ას კრგასისა და სამ. და  
ე[ს]ოდენ ხიუთ და არა განხოჭდა  
(sic) ბადეს: იგი::: ხრქა შათ  
იკ მოვედით და ვისადინენეთ<sup>2</sup>. და  
არავინ იკადრა მოწაფეთაგან შათ-  
გან<sup>3</sup> ქითხვად მასგან ვა დ შენ ვინ  
ხარ ხ' იცოდეს რ თა თვათ იგი]  
არს:

ମେଲ୍ଲିପଦ୍ମ ର୍କୁ ଓ ମେଲ୍ଲିପଦ୍ମନ ମେଲ୍ଲିରିଂ

ჭრქოვა სიმონ პეტრის აკ სიმონ  
 იონაშვილი გიუოვარ მე თემეტე-  
 ამათხა. ჭრქოვა მას ჰე თო შენ  
 თვეწეო რ შაუოვარ შენ. ჭრქოვა მას  
 დამწესენ კრავნი ჩემნი მერმე  
 ჭრქოვა მას სიმონ იონაშვილი  
 გიუოვარ მე. ჭრქოვა მას ჰე თო  
 რ შაუოვარ შენ. ჭრქოვა მას დამწესენ  
 საცხოვარი ჩემნი ჭრქოვა მას სამ-  
 ძის სიმონ იონაშვილი გიუოვარ მე.

იგი და მიხტა მათ და თევზია იგი  
 ეპრევე: ესე სამძის განმოხეც-  
 ხადა აკ მოწაფეთა თვესთა აღ-  
 რადგა მეოცდრეთათ: და გა ხი-  
 სადაღნეს ხრქა ს[იმ]ონ [ცე]ტრე-  
 [ს] აკ სიმონ იონაშვილი  
 გიუოვარ შეა ხრუფრო[ს] ამათხა  
 ხრქა მა[ს] ჰე თო შენ ხიცია რ  
 შაუოვარ შენ. ხრქა აკ მას და-  
 ძოვენ კრავნი ჩემნი: ხრქა მას  
 მერ(?)მედ ი[გ] სიმონ იონაშ  
 სთ გიუოვარ მეა: ხრქა ჰე  
 თო შენ ხიცია რ მ[ი]უოვარ შენ:  
 ხრქა მა[ს] აკ დამწესენ ცხოვარი  
 ჩემნი იგია. ხრქა მას აკ შესა-  
 მ[ედ] სიმონ იონაშვილი გიუო-  
 ვარ მეა:

ერთი თვალის გადახედვითაც ცხალია, რომ აქ წარმო-  
 დგენილია სახარების ტექსტის ორი სხვადასხვა რედაქცია.  
 პარალელები აღასტურებენ ამას: ნიჭისა კეთილის მიცემა  
 || მისაცემელი კეთილი მიცემად; ყლივე რაცა გნებავს || ყლი  
 რლი გინდეს; ორთა კელთა დღმასა || ორთავე კელთა სხმასა  
 და სხ.. ასეთსავე რედაქციულ ხასიათის განსხვავების ვხედავთ  
 სახარების ორგვარად წარმოდგენილ ტექსტში ორ მარტო  
 ზემოდ მოყვანილ ნაწყვეტების მხრივ, ორამედ თითქმის მთელს  
 სიგრძეზე ორი რედაქციის სახარების ტექსტისა. ოსანიშნა-

ჯრუქ.: 1) + ცეტრე. 2) უწყი 3) მერმე ჰქ'ა მას აკ მეოცდე

<sup>4)</sup> მას პეტრე, <sup>5)</sup> abs.



ვით ამასთანავე, რომ განსხვავება რედაქციული წერტილის სახარების ქართული ტექსტის ამ ორს ტიპს შორის, ერთი—ხან-მეტი, ჯრუქვისა და პარხალისა, მეორე—აღიშისა, ხანმეტი № 999 ხელნაწერი და მათეს თვეის ნაწყევტში № 844 ხელნაწერი—არის მეტად თვალსაჩინო. ისეთი განსხვავება თან მიუვება ჯრუქვისა და პარხალის ერთის მხრივ და აღიშის ტექსტს მეორეს მხრივ თოხთავის მთელს სიკრძეზე გარდა ზოგიერთ ადგილებისა, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი. განსხვავება იმდენად ღიღია, რომ მისი განხილვა თხოულობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ ფაზად ჩვენ კუჩვენებთ ზემოთ მოტანილ ტექსტიდან ზოგიერთ ადგილებს, რომელიც დაგვეხმარება არსებულ რედაქციულ სხვადასხვაობის ხასიათის გაგებას, განსაკუთრებით თუ ამასთანავე მხედველობაში იქნება მიღებული ორი წყარო, რომლის საშუალებით დასაწყისშევე ფეხს იყიდებდა ჩვენში საეკლესიო მწერლობა და მწიგნობრიობა, სახელდობრ წყარო სომხური და ბერძნული. შედარება ზემოდ მოტანილ ტექსტების უალკე ადგილებისა სახარების სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან იძლევა ფრიად საინტერესო ფაქტებს.

ტექსტის შესაღარებლად ჩვენ ვხმარობდით სახარების ბერძნულ კრიტიკულად გაციმულ ტექსტს პროფ. ნესტოლესას (ლონდ. 1904 წ.) და სომხურ სახარების ჩვეულებრივ ტექსტს ვენის გამ. 1864 წ. და ლონდ. 1895 წ. შეფარდებით უძველეს 887 წლ. ხელნაწერის ტექსტთან (ლაზარევის ინსტიტ. ფოტოტიპი). გამოცემა მოსკ. 1899 წ.). ქართულ ტექსტებთავან აღიშ. სახარება გამოცემულია ფოტოტიპიურად (მოსკ. 1910 წელს), ხოლო ჯრუქვისა და პარხალისა არის ხელნაწერებად (პირველი ეკუთვნის საისტ. საზოგად. მუზეუმს და მეორე ტუ. სახ. უნივერსიტეტს). სახარების ქართულ რედაქციების შედარება სომხურ და ბერძნულ ტექსტთან უხად ყოფს ბევრს რამეს. ასეთი შედარება მომავალში და საზოგად საკითხის საფუძვლიანად შესწავლა ეჭვს გარეშეა იქნ. მრა-



ვალმეროვანი მნიშვნელობის მქონი. ჩეენ ასეთი ფასიზომის მიერაცხოვებულის ზანი არ დაგვისახვეს, ჩეენ გვაინტერესებდა საკითხის დაყენება იმდენად, რამოდენადაც ის საჭირო იქნებოდა ქართულ მწერლობის დასაწყისთან დაკავშირებულ ზოგიერთ ისტორიულ-კულტურულ საკითხის გამოსარკვევად საერთო მოხაზულობით მაინც. ამიტომაც ჩეენ მოიცვანთ ტექსტების შესაღარებლად ზოგიერთ დამხასიათებელ მაგალითებს, უპირველეს ყოვლისა იმ ნაწყვეტებიდან, რომლის ხანმეტი შესატყვისი უკვე დაბეჭდილია ტფ. უნივ. მოამბეჭი № 2. ამ რამოდენიმე მაგალითი ასეთი შედარებისა.

მაგ., შათე 7<sub>14</sub> ჯრუქის სახარ. რედაქტურიში ვკითხულობთ „იწრო არს ბეჭე და საჭირებულ გზად“. სხვევ ადგილი აღიშისა და ხანმ. № 999 და 844 ხელნაწერში იკითხება „იწრო არს ბეჭე და წულილი გზად“. აქ განსხვავებაა — „საჭირებული“ და „წულილი“ გზად. პირველი წაკითხვა დამიკიდებულია ბერძნულ ტექტისაგან, სადაც ვკითხულობთ ჯა თე შეაყმარე უ გრძელება — სახარების სომხური ტექსტის შეტ მანამუარნ პირდაპირ თარგმანს.

უკვე ამ ადგილიდან სჩანს, რომ ჯრუქის სახარ. რედაქტურია ამ შემთხვევაში არის დამოკიდებული ბერძნული ტექსტიდან, ხოლო აღიშ. და ხანმეტ. № 999 და 844 ხელნაწერისა — სახარების სომხურ თარგმანისაგან.

შათე 9<sub>13</sub>. ჯრუქ. და ხანმ. „და ოკეოვეთოვ დაგამრკოლებდეს კელი შენი“. აღიშ.: „თოვ გაცოვნებდეს კელი შენი“. პირველი წაკითხვა დამიკიდებულია ბერძნული ტექსტისაგან ჯა მათ თავაზალი ის უ გარე ის, ხოლო მეორე კი და წარმოადგენს სომხური ტექსტის პირდაპირ თარგმანს — ს ხემ უა და დაქმადებულის სომხურ კართულს „გაცოვნებდეს“.

დას 15<sub>23</sub>. ჯრუქ. და ხანმეტ.: „და მოიბო ზუარაკი იგი მსა ჟანი“. აღიშ.: „და მოიბო კარი იგი ოკსი“. მართლაც კ ანულში ვკითხულობთ ზვარაკის შესატყვისს თბი მა-

σχον, ἀλλαζόντες τὸν τρόπον, ποιῶντες συμβολὴν τοῦ θεοῦ μεταξύ τοῦ αὐτοῦ καὶ τοῦ θεοῦ.

„Ե՞լ 21<sub>ս</sub>-ի եանթյր, չհոյք: „Արա Ցոռն ուցնեց յուզպա-  
նածա ... լա ՅՇ զամուշացք յուզպանալ....“ Ադու՛: „Արա Ցոռն ուցնեց յուզպանալ.... ՅՇ զամուշացք յուզպանալ“....

აქ პირველი რედაქცია დამოკიდებულია ბერძნული ტექ-  
სტისაგან, სადაც ვკითხულობთ „ქუყანის“ შესატყვის ურ-  
სელო მეორეს შესატყვისს კი წარმოადგენს სომხური ტექ-  
სტი, სადაც ნათქვამია გამად. ე. ი. ხმელი.

օ՞յ 21<sub>15</sub>. նամբերու, չընսվ։ Առամոցքեն յիշացնո հիշենո”, և ալ Առաջապետու տարրցմանու ծցրմնայլուն թըսկա էւ մըրմէ մօս. ամուս մացուցիրալ աջո՛ւ. զյուտեսառումը: “Առամբնից յիշացնո հիշենո”, և ալ պշտուաց Առաջապետու տարրցմանու լիսոմեսայրուն արածեա զգաբինս իմ.

ინუ 21<sup>17</sup>. ხანშ. და ჯრუქ. ვკითხულობთ: „ჰრესუა მას იკ შესამედ“. „შესამედ“ აქ უღრის ბერძნულს თბ თეთო, სომხურ ტექსტში კი ამ აღგილოს ვკითხულობთ ხრესა ანგაմ და მართლაც ამის შესატყვისად აღიშ. არის: „ჰრესუა მას სამ გზის“.

განსაკუთრებით სინტერესოა შემდეგი აღვილი. აწე  
21<sup>16</sup> აღიშ. ვკითხულობთ: „მერმე ჰქევა მას“, სადაც  
„მერმე“ უდრის სომხურს ფარმაციას ანუ—ისევ, ხელმეო-  
რედ. ბერძნულს ტექსტში ეს ადგილი უფრო გარკვევით არის  
მოხსენებული—მემთერი—მეორეჯერ და მიტომაც ჯრუპ. ხელ  
ნაწერში ვკითხულობთ: „მერმე ჰქევა მას იკ მეორედ“. აქ,  
ცხადია, პირვენდელი ტექსტი გადაკეთებულია ბერძნულის  
დედნის მიხედვით, მხოლოდ პირველი რედაქციის („მერმე“)  
დატოვებით. საგულისხმოა, რომ ხანმეტ ტექსტში (იბ.  
ზემოდ) ეს ადგილი წარმოდგენილია ოდნავ გადაკეთებულად  
— „მერმედ“. პირველ გადაკეთებისას ეს სიტყვა ბერძნულის  
მემთერი-ის მაგივრად სიტყვისთვის მიმართულებითი ფორმის



მიცემით (მერმე-დ), საკმარისად იქნია ცნობილი („პეტრე-შემდეგ დაემატა ნურში ეხლაც ნიშნავს მეორეს); მაგრამ შემდეგ დაემატა განმარტების დაგვარად სიტყვა „მეორედ“.

ხსენებულ ვარიანტებში დაცული ტექსტები სახარებისა ჩვენ ამ გვარად შეგვიძლია გავყოთ ორ რედაქციად, რომელთაგან ერთი დამოკიდებულია სომხური თარგმანისაგან და მეორე ბერძნული დრუნისაგან. პირველი რედაქცია წარმოდგენილია აღიშის სახარების მთავარი ნაწილით № 999 და ნაწილობრივ № 844 ხელნაწერის ხანშეტი ტექსტით, ხოლო მეორე—ხანშეტი ტექსტის ეხლა შეკვედით ცნობილ უმეტეს ნაწყვეტებით და აგრეთვე ჯრუპის და პარხალის ხელნაწერ სახარებით.

რომ აღიშის სახარებაში წარმოდგენილი ტექსტი დამოკიდებულია სომხურ თარგმანიდან, ეს ცხადად მტკიცდება მისი სომხურ ტექსტთან შეფარდებით მრავალს აღილას. მრავალ მაგალითებს შორის მოყვანან ამოდენიშეს.

აღიშ. შარქ. 5<sub>14</sub>, „ხ“ მელორენი იგი ივლტოდეს, უთხრეს ქალაქებსა და აგარაკებსა“, — რაც სომხურის և խոպაրაზენ ჭავახიანი և պაտმებების წ ღაղაքი և კავარაცი პირდაპირ თარგმანია. ხოლო ჯრუპ. და პარხ. სახარებაში აქ ნათქვამია: „ხ“ მწყემსნი იგი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა“. ას ის ჩრისხოთა ამთან შეფიცი ას პირების ას ტერიტორიაზე და იყო სახელი მისი ემშაოვს“. სიტყვა ასპარეზი აქ პირდაპირ გადაუთარებნელად გადმოდებულია სომხური ტექსტიდან (ასაყარხეყ), მაშინ როდესაც ჯრუპ. და პარხ. სახარებებში ნათქვამია — „რომელი შორავს იერუსალიმსა ხამეოც უტევან“, სადაც უტევანი არის თარგმანი ბერძნული რამსიონ-ისა. ასეთივე შემთხვევასთან გვაჲსხ აუქმნა მოიწყოფისა ხარებაში ინგ 11<sub>1</sub>, და სხვაგანაც.

საქართველოს  
მთავრობის  
განკუთხული სამსახური



შათე 14<sub>1</sub> აღიშ.: „მას ფამსა შინა ესმა პერილური ჩილიტები როდესა ჰამბავი იკვი და ჰრეოვა მონათა თქვსთა“.

ჯრუქ.: „მას ფამსა შინა ესმა ცროდეს ოთხთა შოთ სამთავ- როთა მთავერსა ჰამბავი იკვი და ჰქე მონათა თქვსთა“.

ჩორორიოლესა — ეს პირდაპირ გადმოღებულია სომხურ ტექ- სტრილან გადაუთარგმნელად (ჩორორი ნიშნავს მეოთხეს) და გადაწერის დროს ოდნავ დამახინჯებულიც არის.

კიდევ ერთი მაგალითი. შათე 27<sub>1</sub> აღიშ.: „და მისცეს პილატეს ბქეს“. ესევე ადგილი ჯრუქ. და პარხ.: „და მისცეს იგი პილატეს მთავარსა“. აქ ბქე პირდაპირ გადათარგმნილია სომხურილან, რომელშიდაც ვკითხულობთ ჭათათორ, ხოლო ბერძნულში ამის მაგივრად იხსენიება წევმარი, რის შესა- ტყვისს წარმოადგენს მეორე რედაქციის „მთავარი“. ასეთი განსხვავება გატარებულია ანალოგიურ შემთხვევებში სხვა ად- გილსაც. შათე 27<sub>14,15</sub> აღიშ. პილატე წოდებულია „ბქედ“ (სომხ. ჭათათორ), ხოლო ჯრუქ. და პარხ.— „მთავარი“ (ბერძნ. წევმარი). შათე 27<sub>21</sub> აღიშისაში სომხ. ჭათათორ გა- დათარგმნილია როგორც „მსაჯული“, ჯრუქ. და პარხ. სახა- რებაში — „მთავარი“. შათე 10<sub>18</sub> აღიშ.: „წე მსაჯულთა და მეუფეთა“; ჯრუქ. და პარხ.: „წე მთავართა და მეუფეთა“, და სხ.

საქიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ ლუკა 19<sub>1-5</sub>-ში წარმოდგენილი ხანმეტიანი ტექსტი, როგორც მოვიხსენეთ, ამ ადგილს განმარტოებით სლგას ყველა დანარჩენ ხელნაწე- რებში დაცულ რედაქციისთვის შედარებით აღიშ. სახარების თანმითვლით. არსებითად ის უსათუოდ დამოკიდებულია სომხურ ტექსტისაგან, მაშინ როდესაც დანარჩენი ხელნაწე- რები (და მათ შორის ამ ადგილს აღიშისაც) იძლევიან ბერ- ძნულოთან დაკავშირებულ ტექსტს. ხელნაწ. № 999 ხანმე- ტურში ლუკა 19<sub>1</sub> ვკითხულობთ: „ამა კაცი ერთი, რ' ლსა სახელი ერქუა ზექც და ხიყო მეზოვრეთმოძლოვარ და თვა- დი მდიდარ“, რაც წარმოადგენს პირდაპირ თარგმანს სომხუ- რისას: և ანა აერ მწ ანიონ կაჯეფხალ ზადესი և ნა ხე



մաքսապետ և ինքն մեծատուն. Ցըրմճնյուղն ամուս Յացոյշաւ առուս: Կաև լիօն անդր ծնօմբաւ առօնմասօն Հաշխալու և ամեծ ի՞ն պրչւէլանդի և ամեծ պլօնօւօւ, Իւպ Բյահմուզցյնուոս Ցըրմճնյուղուան Ըսյացմուրցնյուլ Ծյշման: «Ճա աձա ցեց Իւպ ցոնմյ ճա Տանյու Նայյ ճա ոսու ոցո Յուացարո Մյթուցյնուաշ ճա ոսու ոցո մուզուան գորուած».

“ ୨ୟେ ଲ୍ଯାଙ୍କା 19<sub>8</sub> ବେଳନାଥ୍. ନେ 999 ବାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ ପ୍ରକାଶକ୍ଷେତ୍ର-  
ଲୋଡ଼ିଂ: „ଏହା ବାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ କେମିସିଡ୍ ମିଥିକ୍ସ୍ ଗଲାକାର୍ଯ୍ୟାତା“,  
ରୁପ ପ୍ରଦାନିବ ବାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ—ଏହା ଅନ୍ଧା ପକ୍ଷିଶ୍ରୀ ଲ୍ଯାଙ୍କା ବିମାନ ପାଇ  
ଅକ୍ଷାମାତ୍ରାବ୍ଦୀ. ବେଳନାଥ୍ ଦେଖିବନ୍ତିରେ ଶେତାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ ରୂପୀକ୍ରମିତି କିମ୍ବା  
(ଜୀବନ୍ଧୁକ୍ଷିତି, ବ୍ୟାକ୍, ଦା ଓ ଅଥ ଶେତାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ ଅନ୍ତିମିତିରେ)  
ବାପ୍ରକାଶକ୍ଷେତ୍ର ବିନ୍ଦୁ-  
ପ୍ରକାଶକ୍ଷେତ୍ରରେ ଉପାଦାନିବ କେମିସିଡ୍ ନାମାବଳୀରେ „ବାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ“,  
ରୁପ ପ୍ରଦାନିବ ବାନମ୍ଭେତୁରୀଶୀ ରୂପୀକ୍ରମିତିରେ ତା ନିର୍ମିତିର ମଧ୍ୟ ନିରାକରଣିତାରୁ.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აღიშის სახარების ტექ-  
სტი, ვამონაკულისის დაგვარად, უდგება ბერძნულობან დაკავ-  
შირებულ ქართულ ტექსტს, მაშინ როდესაც ხანმეტი ტექ-  
სტი № 999 ხელნაწერისა წარმოგვიდგენს სომხურიდან თარ-  
გმნილ ტექსტის რედაქციის.

საინტერესოა, რომ იღიშის სახარება ზოგიერთ აღვილას გადადის მეორე რედაქციის ტექსტზე. სახელდობრ, ასეთ მაგალითთან გვაქვს საჭმე, რამდენადც მე შევნიშვნე, მათე 94-ზე: „და დაკოვრებოვლ იყო ერთ იგი და იტუოდეს ვა აჩასადაეინ ესრეთ იტლა შორის გამოჩენდა ხურისევილნი იგი იტუოდეს მთავრითა ეშმაკთანთა განასხამს ეშმაკთა“.

აქ ტექსტი, დამოკიდებული სომხური თარგმანისაგან წყდება და იწყება ტექსტი დაკავშირებული ბერძნულ დე-  
დანთან, როგორც ეს წარმოდგენილია ჯრუქ. და პარა. სა-  
ხარებებში, მაგრამ მხოლოდ რამოდგენიმე მუხლის სიგრძეზე. ჟეზდებ გრძელდება მაცევ სომხურისაგან დამოკიდებული ტექ-  
სტი. სხვა იდგილის კიდევ ლუკ. 17<sub>25</sub>—23<sub>2</sub> თავებს შეუ აღი-  
შის სახარებაში ტექსტი ტყდება და იწყებს მიყოლის ჯრუ-



ჭის და პარბ. სახარებაში წარმოდგენილ ტექსტთან. აქ ვა-  
ჟავადამე, ჩვენ საქმე გვიქვს მეორე—ბერძნულთან შეთანხმე-  
ბით გადაკეთებულ რედაქტირითან ტექსტის სესხებასთან. ასე-  
თი შემთხვევა, რომლის მსგავსი ტექსტის დეტალურად გან-  
ცხრილების შემდეგ ამოწურებას, შესაძლებელია, კიდევ საჭი-  
როებდეს, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ზატბერდში, სადაც გა-  
დაწერილია აღიშის სახარება, მე-9 საუკ. ბოლოს პირვენდე-  
ლი რედაქტირის სახარების ტექსტი უნდა ყლულოდ წარმოდგე-  
ნილი უკიდ არ იყო და ამიტომ სიჭირო გახდა ნაკლის შევ-  
სება მეორე რედაქტირის მიხედვით.

ყველა ამის მიხედვით ცხადია, რომ სწორი უნდა  
იყოს აյალ. ნ. მარტინის აზრი, რომელიც თავიდანვე ამტკი-  
ცებდა, რომ პირვენდელი თარგმანი სახარებისა ქართულად  
შესრულებულ იქმნა სომხურიდან. უნდა ითქვას ამასთან ვე,  
რომ ბერძნულთან შეთანხმებული ქართული ტექსტი ზოგიერთ  
შემთხვევაში წარმოადგენს დამოუკიდებელს, მაგრამ სომხური-  
დან გადმოთარგმნილ რედაქტირის უკიდ არსებობის დროს  
ხელახლავ ბერძნულიდან წარმოებულ თარგმანს. მაგრამ ზო-  
გიერთ შემთხვევაში საჭირო შესწორებათა გარდა მაინც პირ-  
დაპირ იმურარებს პირვენდელ თარგმანის ტექსტს.

ეხლა იბადება საკითხი, რომის უნდა იყოს გადათარგ-  
მნილი სახარება ქართულიდ პირველიდ სომხურიდან და შევ-  
დეგ შეკეთებული ან ნაწილობრივ ხელახლად გადმოთარგ-  
მნილი ბერძნულის ტექსტის მიხედვით. კერძოდ ბერძნულ-  
თან დაკავშირებულ ქართული ტექსტის დასათარიღებლად თუ  
არა, ყოველს შემთხვევაში terminus post quem ითვის ნა-  
წილობრივ მაინც საჩვენებლად მნიშვნელობი აქვს ევსტათე  
მცხეთელის ცხოვრების. ამ ცხოვრებაში დაცული ცნობები  
ქრისტეს ამ ქვეყნად მოღვაწეობის შესახებ ჩვენ საქმიალ სა-  
ინტერესო ცნობებს გვაძლევს იმის გამასარკვევად, თუ რო-  
გორი სახარების ტექსტთან იყო გაცნობილი ცხოვრების აღ-  
მწერელი და მაშასადამე შეიძლება ითქვას მოწინავე ნაწილი



ქართველობისა მე-6 საუკ. მე-50 წლებში, როდესც და-  
ლოვებით უნდა იყოს დაწერილი თვით ცხოვრება. ესტატეს  
ცხოვრებაში ჩამოთვლილი ფაქტები ქრისტეს ცხოვრებიდან  
შეიძლება დალაგებულ იქნას სახარების ტექსტთან შეფარდე-  
ბით შემდეგნაირად: სახარების თავებთაგან ნაჩვენებია ის, რო-  
მელიც შინაარსით და ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტთაც უდ-  
გები ესტატე მცხოვრების ცხოვრების ტექსტს. ესტ. მცხ-  
ოვრების ცხოვრებაში ჩამოთვლილია სახარებიდან შემდეგი  
მოვლენები (საქ. სამ. 318—320):

ნათლისლება:... „ემა ყო ზეცით გარდამო და თქუა:  
ეს არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სითნო ვიყავ, მა-  
გისი ისმინეთ და სცხოვნდეთ“ (მათე 3).

იესოს შესვლა იერუსალიმად (ი'ნე 12).

38 წლის სნეულის განკურნება (ი'ნე 5).

დაბადებით ბრძის განკურნება (ი'ნე 9).

„მკელობელნი ავლინნა“ (მათე 21<sub>14</sub>).

„კეთროვანნი განწმილნა“ (ი'ნე 17<sub>12-19</sub>).

ქვრივის შეილის გაცოცხლება (ლუკა 7<sub>12-15</sub>).

განრღვეულის ავადმყოფის განკურნება (მათე 8<sub>6-8</sub>).

ქორწილი კანას გალილეს (ი'ნე 2).

12 წლ. სიგრძეზე წილოვან ქალის განკურნება (მათე 9<sub>20</sub>).

ხუთი პურით და 2 თევზით 5 ათასი სულის დაპურება  
(მარ. 6, მათე 14).

„კემლით ქუეყნით მოსლვა“ (ი'ნე 6<sub>16-22</sub>).

ლეგეონ ეშმაკი (მარკ. 5, pass.). ესტ. ცნით: „ქრი-  
სტემ უბრძანა ქუეყნასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი  
და შთავდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად“. მარკოზის სახარება-  
ში კი მოთხრობილია ლეგეონ ეშმაკის ლორებში გადასცლა  
და შემდეგ ზოგაში დაბრჩიობა.

4 დღის მკედარის ლაზერეს მკედრეთით ალდენა(ი'ნე 11<sub>3</sub>).

ტაძრიდან ვაჭრების განდევნა (ი'ნე 2+მათე 21<sub>13</sub>).

ქრისტეს ცემა და წვალება (მათე 27<sub>29-30</sub>+ი'ნე 19<sub>3</sub>).

ჯვარცმა (მათე 27<sub>34</sub> pass.).

დაკრძალვა ქრისტესი და აღდგომა, გამოცხადება რჩთა მოწაფეთა, მარიამ მაგდალინელისა და სხვთა დედათა (მათე 27—28 + მარკ 16).

სულის წმიდის მოფენა (მათე 28<sub>19-20</sub>).

როგორც ამ ნუსხიდან სჩანს, ევარ. ცხოვრების აეტორი ყველაზე კარგად ითანეს სახარებას იცნობს, შემდეგ მათეს და მარკოზს და ერთხელ ის უნდა სარგებლობდეს ლუკათითაც. ცემის სათანადო ადგილების შედარება უმთავრესად ლექსიკის და აგრეთვე ციტატების მხრივაც სახარების ორს ზემოგამორკვევ-ულ რედაქტიასთან ჩვენ საშუალებას მოვცემს გამოვარევით, თუ რომელი რედაქტით უპირატესად სარგებლობს ცემის დამწერი. ამ მხრივ საინტერესოა უპირველეს ყოვლისა ვთავარი, ასე ვსოდეთ, წყარო ცემის აეტორის — ითანეს სახარება.

„შევიდა დაბასა ერთსა — ამბობს ცხოვრების აეტორი ქრისტეზე — იყო მუნ ქორწილი და შევიდა იქსო საქორწინესა მას და ლვინოდე არა იყო მუნ, რამეთუ მილეულ იყო და ტაკუკნი ცარიელნი დგეს მუნ. ჩაშინ უბრძანა იქსო ვთავეთა მათ წყალი მოღებად და ტაკუკნი აღავსნეს წყლითა და აკურთხა წყალი იგი ქრისტემან და იქმნა ლვინო უპამოვნეს პირველისა მის ლვინისა“. შესატყვისს ადგილის აღიშის სახარებაში ვყითხულობთ:

აზე 2<sub>6</sub>: „მუნ დგეს ტაკოკნი მარმარილობაში ექოვსნი განსაწმედელად პოვრითა მათ შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანოკ თოკ სამ საწყაოვლ ჰქა მათ იკვ აღავსნის ტაკოკნი იგი წყლითა და იღავსნეს იგინი<sup>4</sup>. აქ სიტყვა ტაკუკი პირდაპირ გაღმოღებულია გადაუთარგმნელად სომხურისაგან — მანჭ ქართველი კახაეკე ქსევე და სხ.

ესევე ადგილი ჯრუვის და პარს. ხელნაწერში იყითხება შემდეგნაირად:

აზე 2<sub>6</sub>: იყვნეს მუნ სარწყობლნი ქვისანი მდგომარენი ექოვსნი მსგავსად განწმედისა მისებრ პოვრითათასა რ' ლთა



შოთა ასპინი საწყალელი თრიორი გინა სამსამი და ჰუმანისტური აღავსენით სარწყოლი იგი წყლითა".

აქ უკვე ტაკუკის მაგივრად გვხვდება სარწყოლი, რაც შეესაბამება ბერძნულის ტექსტიდან ხელახლავ თარგმნისას ტერმინების შეცვლას უჯ�ა ჩა მართავს მიზრავ. ცხადია, ევსტ. მცხოვრელის ცბის ავტორი იცნობს იოანეს სახარებას სომხურიდან ნათარგმნ ტექსტის მიხვდვით. ეს ცხადად სჩანს სხვა ადგილებიდანაც.

ცბაში 5 პურით და 2 თევზით 5 ათასი სულის დაპურების შესახებ ცნობის შემდეგ ვკითხულობთ: „მაშინ უბრავა ქრისტემან ერსა მას კრელით ქუეყნით მოსლევა; ხოლო ქრისტე და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას ვითარება კრელსა და ფერხნი მათნი არ დაივლტნეს და ვითარება განკალეს კრელიად მოემთხვია კაცი ერთი" (გვ. 319). „კრელის“ ხმარება მიწის მაგიერ, როგორც ზემოთაც იყო ნიჩევები, ახასიათებს, სომხური სახარების ტექსტის მიხვდვით, სომხურისაგან დამოკიდებულ ქართულ სახარების რედაქციის.

საინტერესო ცბაში ტერმინის სამარეს ხმარება ნაცვლად საფლავისა: „დაიდეა იგი (ლაზარე) სამარესა შინა და მივიდა ქრისტე კარსა მის სამარესასა: კრა ჰყო და ჰრეუა: ლაზარე გამოგუალე და ერთითა მით კმითა ქრისტესითა იგი სამარისაგან გამოვიდა მხიარული" (გვ. 319). „ალილო გუამი ქრისტესი და დადეა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი იყო, მიაგორეა კარსა სამარისასა" (გვ. 320). „გამოვიდა სამარით" (იქვე).

ქრისტეს სიტყვები ლაზარეს მკვდრეობით აღდგომისას პირდაპირ დამოკიდებულია სომხურიდან გადმოღებულ ქართულ ტექსტისაგან და არა ბერძნულ რედაქციიდან, როგორც ეს სჩანს შემდეგი ციტატებიდან.

აღიშ. ა. 11<sup>13</sup>: კმითა მალლითა ლალატყო (sic) და თქოვა ლაზარე აღდევ და გამოგოვალე და გამოვიდა ლაზარე მკონვარი იგი კროკლი ფერებით კელით რეზითა.



ჯრ. და პარს.: კმითა დიდითა დაღად ყო ლაზარე გამოვედ  
გარე და გამოვიდა მეოცხარი იგი შეკროვლი კელითა და  
უერკითა და სახოკეცელითა.

ევსტ. ც ბაში სხვა ადგილსაც იხმარება სიტყვა სამარქ.  
„აღიღო გუამი ქ'ესი და დაღვა ახალისა სამარესა და ლოდი  
დიდი იყო, მიაგორვა კარსა სამარისასა“ (საქ. სამ., 320).  
„გამოვიდა სამარით“ (იქვე). სახოგალოდ სამარე ჩვეულებრივ  
იხმარება სომხურისაგან დამოკიდებულ ქართულ სახარების  
ტექსტში იქ, სადაც ბერძნულ დედანთან დაკავშირებულ ქარ-  
თულ ტექსტში ჩვეულებრივ იხმარება საფლავი. მაგ., ინგ  
11<sub>17</sub>, ადიშ.: „პოვა ოთხდღისახსა (ლაზარე) სამარესა შინა“  
ჭრუქ.: „რ თოს დღე აქენდა საფლავსა შინა“.

ევსტათეს ც ბაში მხოლოდ ერთს ადგილის იხმარება  
და ისიც ქრისტეს ვნების აღწერილობაში სიტყვა საფლავი:  
„ანგელოზი გარდამოკად ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი  
მის საფლავისაგან და ქრისტე აღლვა და გამოვიდა მიერ  
სამარით“.

ადიშ. სახარებაში აქაც საფლავის მაგივრად სამარე იხმა-  
რება, მარქ. 16<sub>3</sub>: „და იტყოდეს ოკრთიერთას ვეინმე გარდა-  
გვერდოს ჩ'ნ ლოდი იგი კარისა მისგან სამარისახსა“.

ჯრუქ. და პარს. სახარებაში აქ კიდევ ვკითხულობთ: „ვინ  
გარდაგვერდოს ჩ'ნ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა“.

ამ გარემოებამ შეიძლება დაბადოს იშრი ევსტატეს ც ბის  
ავტორის დამოკიდებულებისა მარკოზის სახარების ტექსტში  
ბერძნულ რედაკციისთან დაკავშირებულ ქართულ ტექსტი-  
საგან.

მართლაც 5 პურით და 2 თევზით 5 ათასი სულის და-  
პურებას ევსტ. ც ბაში ვკითხულობთ შემდეგნაირად: ოლე-  
საც ქრისტეს შეეცოდა მშეირი ხალხი, რომელიც მას მოს-  
დევდა, პრქუა მოწაფეთა თვესთა—თქუენგანსა არავის გაქუს  
პური აქა და პრქუა ერთმან მოწაფეთაგანმან: მე მაქუს ხუთი  
პური და ორი თევზი. პრქუა ქრისტემან: მომართუთ იგი აქა

და ვითარება, მოარტეფეს ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზი, უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხვა ქუეყანასა ზედა და აღიპყრნა ზეცად ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზი, აკურთხნა და განტეხნა და მისცემდა მოწაფეთა თვესთა და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მასც.

ამ აღვილის შესატყვისი ჯრუჭ. და პარ. სახარებაში იყითხება ამნაირად, მარკ. 6<sup>38</sup>: ს' ი' ჰემ მათ რაოდნი გაქოვთ პოვრი, მივედით და იხილეთ და იხილეს და ჰრევს ხოვთი პოვრი და ორი თევზი.

ესევე აღვილი აღიშ.: მან ჰრევოვა მათ რაედნი კოვზად გაქოვს მივედით და იხილეთ და ვ' რ იხილეს ოვთხრეს ხოვთ კოვზა და ორ თევზ.

ცხალია, ევსტ. ც' ბის ავტორი დამოკიდებულია ბერძნულთან დაკავშირებულ ტექსტისაგან. ეს უფრო ცხალი იქნება, თუ ავილებთ შესატყვის აღვილს მათეს სახარებიდან, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო უდგება ევსტათეს ც' ბის ციტატას.

ჯრუჭ. მათე 14<sub>16-17</sub>: ს' მათ ჰევს მას არარად გოვაქს გარნა ხოვთი კოვზად პოვრი და ორი თევზი ჰევს მთ ი' კ მომართოვთ მე იგი აქა და ოვბრძანა ერსა მას დასხლომად თივესა ზ' ა და მოილო ი' კ ხოვთი იგი პოვრი და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკოვრთხნა იგინი და მისცემდეს ერსა მას.

აღიშ., რომელიც ამ შემთხვევაში ლექსიკის მხრივ ბერძნულთან დაკავშირებულ ტექსტს მისცემს, იყითხება აქ შემდეგნაირად, მათე 14<sub>16-17</sub>: ს' მათ ჰევს მას არა გოვაქოვნს აქა<sup>1</sup> გარნა ხოვთი პოვრი<sup>2</sup> და ორი თევზი ს' თავაღმან ჰრევოვა მათ მომართვთ მე იგი აქა და ოვბრძანა ერსა მას დასხლომად თივესა ზ' ა და მოილო ხოვთი იგი პოვრი და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკოვრთხნა და მისცემდეს მოწაფეთა თვესთა პოვრი იგი და მოწაფეთა მისცემდეს ერსა მას (ფარ.: პარ. 1) არა რად გოვაქოვს, 2) ხოვთი ხოვზად პოვრი).



ცაგი გვიაშბობს: „ჯუარს აცვეს ქედ და ძმარი დღი ნალვე  
ლი შეზავებული ასვეს ჯუარსა ზედა“.  
აქ აგრეთვე ავტორი  
იცნობს სახარებას მხოლოდ ბერძნულთან დაკავშირებულ ტექ-  
სტის საშუალებით. ეს ადგილი უდგება მათეს 27<sub>34</sub>.

ჯრუქ. და პარ. მათე 27<sub>34</sub>: და მისცეს მას ძმარი ნავ-  
ლლითა შეზავებოკლი და მირამლო არა ოკნდა სოვმის.

ხოლო ესევე ადგილი აღიშის სახარებაში იყითხება ასე:

და მისცეს მას სოვმად ღვნომ ნავლელრეოკლი და ვრ  
გემოდ იხილო არა ოკნდა სოვმად.

ერთი მაგალითი კიდევ ევსტ. ცაგის ავტორის დამოკიდე-  
ბულობისა, მათეს სახარებიდან აღებულ ცნობების მხრივ,  
ბერძნულთან დაკავშირებულ თარგმანისაგან.

ევსტ. ცაგი (საისტ. საზ. ხელნაწ. № 341, საქ. სამ., 318):  
და კა იყო ზეკით გარდამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი სა-  
უუარელი რ' ლი მე სათნო ვიყავ მაგისი ისმინეთ და სცხონ-  
დით.

პარ. მათე 13<sub>17</sub>: და კ' ა იყო ზეკით და თქოვა ესე  
არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ.

აღიშ. იქვე: და აპა კმად იყო ზეკით და თქო' ა ესე არს  
ძე ჩემი [საყოვარე]ლი რ' ლი მთნავს.

ცხადია, აქ ევსტ. ცაგის ავტორი დამოკიდებულია ბერ-  
ძნულიდან გაღმოთარების სახარ. ქართულ ტექსტისაგან.  
ამასე ვხედავთ კიდევ სხვა შემთხვევებშიაც:

„და მერმე დედაკაცი ათორშეტ წელ წილოვნებასა შინა  
იყო, განაგრძობს იესოს ცხოვრების მოთხრობას ევსტ. ცაგის  
აღმწერელი—და მოვიდა იღუმალ ზურგით კერძო და უცყრა  
ფეხუსა სამოსლისა მისისასა და განწმიდნა იგი“, ვკითხუ-  
ლომთ ცაგში (ვე. 319). ამ ცნობის შესატყვისს აღვილს სა-  
ხარებაში ვკითხულობთ:

ჯრუქ. მათე 9<sub>20</sub>: და აპა ესერა დედაკაცი ვინმე რ' ლსა  
დაეყო წილოვნებასა შინა ათოვრამეტ წელ<sup>1</sup> მომკედა იგი  
ზოვრგით კერძო იკს და შეახო<sup>2</sup> ფეხოვსა სამოსლისა მისისა-



სა<sup>3</sup> რ იტყოდა გოვლისა შინა<sup>4</sup> თვესსა ვა შემარტინული ფესოვსა სამოსლისა მისისასა ვცხოვნდე ხ იწ მოიქცა იხილა იგი და ჰქა მას ნოკ გეშინინ ასოვლო სარწმოვნოებამან შენმან გაცხოვნო<sup>5</sup> შენ და გრიკოვრნა დედაქაცი იგი მიერ გამითვან (გარიანტ. პარ. სახარება: <sup>1)</sup> ათონშეტი წელი <sup>2)</sup> შეეხ <sup>3)</sup> მისისას <sup>4)</sup> abs <sup>5)</sup> გაცხოვნა).

ხოლო ადაშისაში ეს აღგილი იყოთხება ასე:

მათე 9 და აპა ეხერა დედაქაცი ვინმე რ-ლი იყო სისხლისა ღინებისა ზედა ათორშეტ წელ მოოკუდა და ზოვრ-ვით კერძო შეახო ფესოვსა სამოსლისა მისისასა რ იტყოდა გოვლისა თოვსსა შეხ-თოვვახო სამოსლისა მისისა ვცხოვნდე ხ იწ მოიქცა იხილა იგი და ჰრქოვა ნუ გეშინინ ასოვლო სარწმოვნოებამან შენმან გაცხოვნა შენ და ცხონდა დედა-ქაცი იგი მიერ გამითვან.

ცხადია, რომ აქ უქვე ც-ბის ვეტორი დამოკიდებულია ბერძნულ დედანთან დაკავშირებულ ქართულ ტექსტისაგან.

ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით წვენ შევი-ძლია მივიდეთ იმ დასკვნამდის, რომ თავისს მთავარ წყაროს —იოანეს სახარებას ევსტათე მცნეთელის ც-ბის აღმწერელი იცნობდა სომხურიდან გადათარგმნილ რედაქციის საშუალე-ბით, ხოლო მეორე თავისს წყაროს —მათეს სახარებას ბერძნულთან დაკავშირებულ რედაქციით. ლუკას სახარებიდან აღმწერელს სპეციფიური ცნობები არ მოყავს, ხოლო მის ხელში მყოფ მარკ. სახარების რედაქციის შესახებ კიდევ არა-ფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ერთ ზემოდ მოხსენებულ ტერმინის განსილვა სათანადო დასკვნისთვის, რასაკვირველია, არ კმარია.

ამ გვარად ირკვევა, რომ მე-6 საუკ. 60-იან წლებში სახარების ბერძნულთან შეთანხმებული ქართული თარგმანი უკვე არსებობდა თუ მთლად თათხთავის არა, ნაწილობრივ მაინც.

საკითხს სომხური ტექსტისაგან დამოკიდებულ სახარ-



ბის ქართულ ვერსიის შესახებ არკვეტენ ქართულ შემონიშვნების რობის დაფუძნების შესახებ არსებული ცნობები.

მაშტოცმა (მესროპმა), როგორც ცნობილია კორიუნის და მოსე ხორენელის მიხედვით, მას შემდეგ რაც შეაკეთა დანოელის მიერ შედგენილი სომხური ინბანი და უმთავრესად შეავსო ის სმოვანი და ნახევარ-ხმოვანი ასოებით (სულ 7), რის შემდეგ მოეწყო საღმრთო წერილის თარგმნაც სომხურად, მიიღო ხელმძღვანელობა მწიგნობრობის გაუმჯობესების საქმეში როგორც ივერიისთვის, ისე აღმანიისთვის (გარგარულ ენაზე), „მესროპი მიღის ივერიაში, გაღმოვვემს მოსე ხორენელი, და ღვთის შემწეობით მათთვისაც აწყობს მწიგნობრობას ვინმე ჯაყას, ბერძნულიდან და სომხურიდან მთარგმნელის, დახმარებით. ივერიიელთა მეუე ბაკური და მათი ეპიკობოსი მოსე ემარებიან მესროპს. აქ მან ამოარჩია ყმაწეოლები, გამყო ისინი 2 რიგად და დაუტოვა მათ მასწავლებლად ორი თავისი მოწაფე ტერი ხორენელი და მუშე ტართნელი“ (მოსე ხორენ., სომეხთა ისტორია, § 54).

მესროპი ამის შემდეგ მეორეჯერაც ჩნდება, სახელდობრ პიტიაშვის არმუშეს მოწვევით ის ამყარებს მართლისარწმუნოებას და სპობს მწვალებლობას ტაშირში. ივერიაში ამ ღროს არჩილი მეფობდათ (ზ. ხორ. ისტორია, § 60).

კორიუნი (պատմ., ტ. 4. გვ. 23) ამ ჯაყას უწოდებს „ქართულ ენაზე მთარგმნელს“ (և գთხალ ყაյլ მწმარდმან Վրաსებრნ ქხელუბნ, որ անուանեալ կიჯեր Զაղայ — და იპოვა ერთი კაცი, ქართულ ენაზე მთარგმნელი, რომლისა სახელი იყო ჯაყა).

როგორც კორიუნი, ისე აგრეთვე მოსე ხორენელი, გადმოგვცემენ ამგვარად ქართულ მწიგნობრობის რეფორმატორის სახელს, რომელსაც უნდა მიეწერებოდეს წინად არსებულ არამეტულ და ფაპლოურ ინბანის საფუძველზე განვითარებულ და უკვე დამოუკიდებლად ჩიმოყალიბებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც თავისი მოცულობის მხრივ ნაკლულევან ქართულ



ანბანის შევსება ახალი, უმთავრესად ხმოვან და რამდენიმე  
თანხმოვან ასოთი. საინტერესოა ამ ჩეკინი ისტორიისთვის დიდ-  
მნიშვნელოვან პირის სახელის გამოთქმა. სომხურად ის იწე-  
რება — ასე აქვს კორიუნს და მოსე ხორენელსაც — ღაղაჯ,  
რაც შეიძლება ქართულად წაყითხულ იქმნას აგრეთვე რო-  
გორც ჯალა: ძევლი სომხური უ ქართულში ხშირად გადმო-  
ლიოდა როგორ ლ. მაგრამ არის შემთხვევები ქართულ სა-  
კუთარ სახელებში, როდესაც ძევლი სომხური უ შეესაბამება  
ქართულს ლ-ს. სტეფ. ორბელიანი, მაგ., დემნას აჯანყების  
დროს იხსენიებს (պაտმ. ზარ. შემ., ტფ. 1911 წ. გვ.  
384) მემნა ჯაყელს (ღაღել Մեմնայ) და ყვარევარებს (უა-  
რყავარაკ), სადაც ქართული უ სომხურად უ-დ არის ვამთ-  
ხატული. ამისდა მიხედვით შეიძლება მიღებულ იქმნას, რომ  
ქართული ანბანის რეფორმატორის და იმავე დროს უძველეს  
ქართველ მთარგმნელის სახელი უნდა ყოფილიყო ქართული  
გამოთქმით ჯაყა.

იმის გამოხსარკვევებად, თუ როგორ და რა პირობებში  
დაიწყო ფეხის აღმა ქართულში მწიგნობრობამ, კერძოდ რო-  
მელ კილოს ტერიტორია გახდა პირველი ქართული ლიტე-  
რატურულ ცდის ასპარეზად, თავისი მნიშვნელობა აქვს ამ  
ცნობაში შენარჩუნებულ მწიგნობრობის შექმნის ნიადაგზე  
მომუშავე ქართველ მოღვაწის სახელს. ეს სახელი მოხსენებუ-  
ლია — ჯაყა. თუ მიეიღებთ მხედველობაში, რომ მეტად საუკ-  
დასაშეყისს, როდესაც მიეკუთვნება მესროპის მოღვაწეობა  
ჯაყისთან ერთად, პატრიარქალურ წესწყობილების ნორმები  
ქართველ ხალხში ჯერ კიდევ ძლიერი იყო, შეიძლება ჯა-  
ყის სახელი მარვენებელი იყოს მისი წარმომავლობისა იმ სა-  
ხლიდან, რომლის ნაშთად შემდეგ დარჩენილი იყო ვეოგრა-  
ფიული სახელი ჯაყის-წყალი და რომლის ამოძახილს ჩვენ  
ვპოულობთ ერთს ცნობილს ისტორიულ გვარეულობაში —  
სამცხის შემდეგ დროინდელ მთავრების ჯაყელების სახით.  
ჯაყის წყალი, ვახუშტით, გამომდინარეობს არსიანის მთიდან



და ერთვის ფოცხვების ხევს. მისი აუზი იტანიებს ყველის-ცი ხეს და წურწუმას და იქერს, მაშასადამე, სამცხის სამხრეთდა-სავლეთ კუთხეს.

თუ მე-5 საუკ. მოლვაწე ჯაყა შეიძლება თავისი წარმო-მავლობით ამ ტერიტორიასთან იყოს დაკავშირებული, მაშინ ჩვენ ვლებულობთ ფრიად სინტერესო გარემოების, რომელიც რამოდენადმე ამირთლებს აკად. ნ. მარრის მიერ წამოყენე-ბულ თეორიას საღმრთო წერილის თარგმნის შესხებ სვა-ნიზმებით გაპოხიერებულ ქართული მოლაპარაკე მხარეში. ნ. მარრი, როგორც ცნობილია, თვით სვანების ეთნიურს სა-ხელს უკავშირებს მესხებს, რასაც ის ამტკიცებს სვანეთში ებ-ლაც დარჩენილ ტერმინის ლაშის ანალიზით. „Географи-ческий термин лашх, восходящий к прототипу ла-вих (ла-бых) || лашх, значит страна месхов или мосохов“. სვა-ნების აწინდელს სახელს კი ნ. მარრი შესაძლებლად სთვლის ამ ტომის მიერ შემდეგ ნასესხებად აღიარებას (Из поездок в Сванетию, X. В. II, 32—33). მართლაც სახარების თარგმან-ში, როგორც ეს ნ. მარრმაც აღნიშნა, ყურადღებას იპყრობს სვანიზმები. გარდა ნ. მარრის მიერ ბეჭდვით უკვე აღნიშ-ნულ ცალკე გამოთქმათა, როგორც, მაგალ., ერგასი ე. ი. ნა-ხევარი ასი, მსგეფსი—შვიდეული, სტევი—სვანურის ფონე-ტიკით შესატყვისი ქართ. სიტყვისა—თმა (ნ. მარრი უჩვენებს კიდევ სხვა სვანიზმებსაც ძველს ლიტერატურულ ქართულში, მაგ., ურეა, ზრუნვა=სვ. ეურ წყალობა). ზემოღმოყვანილ სახარების ტექსტის განხილვის დროს ამ თვალსაზრისით ყუ-რადღებას იპყრობს ზოგიერთი გარემოება. მაგალითად: ლუკა 19<sup>ს</sup> ერთი ადგილი ჯრუქ. და პარა. სახარ. იკითხება: „აპა, ორ, ზოგი ნაყოფთა ჩემთა მიესცე გლობაკთა“. ხანშეტ ტექსტში ხელნაწ. № 999 ეს ადგილი იკითხება ამნაირად: „ორ, აპა ზოგი ფასისა ჩემისად მიხოვეც გლობაკთა“. „ზოგი“ აქ უღრის ნახევარს, რაც ეჭვს გარეშეა სვანური შტოს და-მახასიათებელ ძირად უნდა ჩაითვალოს. ისგ-ლეთ სვანურში



ეხლაც ნიშნავს შუალამეს, ისგ-თე—ნახევრამდის (H. Mapp, loc. citat.). ძირისაგან ისგ(\*ესგ) წარმომდგარია, როგორც ნ. მარტინ უჩვენა, ერგ (აქედან ერგასეული) და ამივე წარმომავლობისა უნდა იყოს სიტყვა „ზოგიც“—ნახევარის მნიშვნელობით.

მეორე მაგალითი ეს არის უკვე ნაწერნები „მერმე“ მეორეს მნიშვნელობით (ი. 21, 1). რომ ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით მართლაც სვანიშვილის წარმოადგენს (სვანურში „მერმე ეხლაც მეორეს ნიშნავს), ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ესევე სიტყვა ევსტათე მცხეთელის ცბაში იხმარება უკვე „მერმე“—ის მნიშვნელობით. „და მერმე რავდენთაშე ეამთა... მერმე შობითგან ბრძა ჰყავა... მერმე განვიღოდა დაბასა ერთსა...“ და სხ. (საქართ. სამოთხე, 317—319). ცხადია, მაჟასიდამე, რომ სახარება ითარგმნებოდა ისეთს მხარეში, სადაც ქართულში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო „მერმე“ მეორეს მნიშვნელობით, ე. ი. ახლოს, მაჟასადამე, ამ სიტყვის სვანურ წყაროსთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი ტერმინი ხუეზა პურის მაგიკრალ, რომელიც იხმარება სომხურისაგან დამოკიდებულ რედაქციაში (ი. ზემოდ ციტატი მარკ. 6, 38, აციშ.). ესევე სიტყვა მოხსენებულია კიდევ ადიშ. იოანე 6,:

„მიოვკო მას ფილიპე ორისისა დრაპენისად პოვრი ვერ ეყოს მათ დალათოვ თითოეოვლად მცირედ რამ მიოღონ რქოვა მას ერთმან მოწაფეთაგანშინ ანდრია სვმონ კლდისამან არს აქა ყრმად ერთი რლისა აქოვს (sic) ბოვთ კოვეზა ქრისტილის და ორთვეზ ხე ესე რამყოფ არს ესდენსა ამას პქმ იკ ინაჟ ოვდგო კაცებსა მაგას და იყო დიდად თივლოვან აღგოლი იგი და ინაჟიდგა კაცები ამან რიცხვთ ხოვთ ათასმან და მოილო პურნი იგი იკ პრადლობდა და განოვკო მეინაჟეთა მათ ეგრეცა თვეზთა მათგან რაედენცა ოვნდა“.

სიტყვა ხევზა აქ ნახმარია, როგორც რექსტიდან ცხადად სჩანს, პურის მაგიკრალ.



სიტყვა ხეება შეიძლება იყოს სვანურის შესატყვების ქოთერთ კილოს ნიადაგზე წარმოშობილი და ქართულის მიერ ნასესხები. სვანურში ეხლაც პურს ეძახიან კვეცენ, შეად. იმერ. ლევზ-ელი, რომელი სიტყვაც იმერულში სვანური ენის მონათესავე კილოს ანარეკლი უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ ბერძნულთან დაკავშირებულ სახარების ქართულ თარგმანში, ეს სიტყვა (მათე 14<sub>16</sub>) შენარჩუნებულია ქართულ პურ-თან ერთად (იხ. ზემო). საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა შემდევ გაუგებარი ყოფილა ზოგ ქართულ მხარეში და ამით აიხსნება, ალბათ, რომ ზოგ შემთხვევაში, როგორც, მაგ., მათე 14<sub>16</sub>, ეს სიტყვა აღიშის სახარებიდანაც უკვეგვამოდევნილია. ეს გარემოება უნდა გვიჩვენებდეს იმას, რომ ბერძნულთან დაკავშირებული სახარ. ქართარგმანი რამოდენადმე შეინც დამოკიდებულია სომხურიდან გაღმოთარებინილ ქართულ ტექსტიდან.

სვან-შესხიზმების მაგალითები სომხურთან დაკავშირებულ სახარების ტექსტის დეტალურ განხილვისას შეიძლება დაგროვილ იქმნას ბლომად. მოვიყეან კიდევ ერთს მაგალითს. მარკ. 6<sub>27</sub> აღიშ. ვკითხულობთ: „და მოვნქოვესვე მიაფლინა მეფებინ მეხარებელ და ოპტიმინა მოკოვეთად თავისა მისისა და მოართოვა თავი მისი ლანკლისა ზა“. 6<sub>27</sub>.

ესევე ადგილი მარკ. 6<sub>27</sub> ჯრუქ. და პარხ. სახარ.: „და მეყსეულად წარავლინა მეტამლიც თვეს და უბრძანა მოღებად თავი მისი და წარეიდა და მოჰკუეთა თავი საპტობილება შინა და მოიღო თავი მისი ფეშხუენითა და მისცა ქალსა მას“. 6<sub>27</sub>.

ცხადია, სომხურთან დაკავშირებულ ტექსტის „მეხარებელ“ უდრის ბერძნულთან დაკავშირებულ ტექსტის მეტამლებს. სვანურში „ყვაბა“ ეხლაც ნიშნავს ხის ჩაქუჩის, აფხაზურში კიდევ ეს ძირი წარმოდგენილია სახარების ქართულ ტექსტის მეხარებეს უფრო ახლო შინშველობით—ყამა (ა-ყამა), რაც ნიშნავს ხანჯალს (Үსლაр, აბხ. კა., ლექსიკ.). თუ მივიღებთ



მხედველობაში, რომ აფხაზურში, ნ. მარტის შემცირების პისტორია, წარმოდგენილია ერთი ფენა, რომელიც მას აერთებს სვანურთან და რომელსაც ნ. მარტი უწოდებს ძველ შესხურ ფენას, მაშინ ჩვენ მიეიღებთ კიდევ ერთ ფრთად საინტერესო საბუთს, რომელიც ადასტურებს შემოდ მოყვანილ მოსაზრებას სახარების პირველ ქართულ თარგმანის კილოს შესახებ.

ამ კილოს დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს კიდევ შემდეგი აღვილი „აღიშ. ჯუჭა 14: „ვის თქმნეანისა ძი ანუ კარი ჯოვრლოვმოკლსა შთავარდეს“. ჯრუქ. და პარს. სახარებაში ეს აღვილი იკითხება ასე: „ვისი თქმნეანისა შვილი გინა კარი შთავარდეს ჯოვრლოკლსა“. პირველი რეაქციის ძი უდრის სომხური ტექსტის ჩა—ვირი (ჩ. მ. ჩ. ჩა სტენა ანსელმეგები....) და თავისი ძირით შეესაბამება სომხურს მჩ—ტევნი. სომხური მჩ და აღმად ძველი მესხურიდან ქართულში გადასული ძი არიან ერთი იმავე ლინგვისტურ ფენის წარმომავლობის სიტყვა, ძველს მესხურში მთლილ სემასიურად შეცვლილი ვირის მნიშვნელობით ნაცვლად სომხურში დარჩენილ ცხენის გამომხატველ სიტყვისა. ბერძნულთან შეთანხმებულ ქართულ ტექსტში კიდევ სიტყვა ძი შეცვლილ იქმნა, როგორც ენახეთ, შვილ-ად, თანახმად ბერძნულ ტექსტისა, საღაც შესატყვის აღვილის ვკითხულობთ უნდა.

ცველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს ვიფუიქროთ, რომ პირველი თარგმანი სახარებისა ქართულად შესრულებულ იქმნა მე-၅ საუკ. დასაწყისში და სამელდობრ სომხურ ენადან უკვე ქართულ ენაზე გადასულ მესხების ტერიტორიაზე, საღაც სვანურის შესატყვისი კილოს ნაშთი ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მას ძლიერი კვალი დაგმინია აღვილობრივ ქართული ენის კილოზე. შესაძლებელია, პირველი მთარგმნელი სახარებისა იყო თითონ ჯაყა ან მისი სკოლის წარმომადგენელი. შემდეგ, არა უგვიანეს მე-၆ საუკ. ნახევრისა,



მიგრამ შესაძლებელია მე-5 საუკუნის სიცრძეზედე დაწყებული იქმნა მუშაობა ქართულ სახარების ტექსტის ბერძნულ დედანთან შესათანხმებლად. ტექსტი ხელშეკრედ გადათარგმნილ იქმნა, მხოლოდ თარგმნის დროს გამოყენებულ იქმნა სომხურიდან არსებული ქართული თარგმანიც. ამით აისწება, რომ ზოგიერთი ადგილები და ცალკე გამოთქმანიც ბლობად უცვლელია იქმნა შეტანილი ახალ თარგმანშიც. შესაძლებელია ამ მუშაობის დაწყება დაკავშირებული იყო საბაწმინდის ლავრასთან ერთსალიშიც ან საზოგადოდ ქართველების მოღვაწეობასთან წმ. ადგილებში. ამ მხრივ ფრიად ხაყურადღებო მე-6 საუკ. ერთი ცნობა. სახელდობრ, პროკ. კესარიელის სიტყვით იმპერატორმა იუსტინიანემ (527—565 წ.). განაახლა სხვათა შორის „ივერთა მონასტერი“ იერუსალიმში, მონასტერი ლაზებისა იერუსალიმის უდაბნოში (De aedific. V, 9)<sup>4</sup>. ცნობა ამ მონასტერების განახლების შესახებ გვიჩვენებს, რომ ისინი მე-5 საუკუნის დასასრულს მაინც უნდა არსებულიყვნენ. საბაწმინდაში ქართველების დამკვიდრება თვით საბას დროს უნდა მომხდარიყო, ე. ი. მე-6 საუკ. დასტყისში (საბა † 532 წ.). მათ ამ დროს საბას მონასტერში ეამნის, სამოციქულოს და სახარების თავისა ენაზე კითხვის უცლებაც ჰქონდათ. (K. კეკელიძე, იერუსალიმის კანონა 8-ი სეკა გვ. 25). თუ ეს ასეა, მაშინ გიორგი მთაწმინდელის ოდერბში მოსხენებული ცატატა — „ჩენი ყრი სახარებანი პირველთაგან წარიდად თარგმნილნია და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმილურნიცა“ (იხ. უკანასკნელ პროფ. ა. შენიძის — ცნობა ახლად იღმონ. უძვ. ქართ. ტექსტებზე მე-11 საუკ., ტფ. უნივ. მოამბე № 2 გვ. 403), ლებულობს თავისებურს განმარტებას. ყურადსალებია ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმინდელმა იცის მხოლოდ ორი ვერსია სახარებისა — ხანმეტი და საბაწმილური. მართლაც ჩვენს წინაშე წარმოდგენილია ორი რედაქცია სახარებისა — სომხურიდან ნითარგმნი და ბერძნულთან თარგმნით შეთანხმებული. გიორგი მთაწმინდელს



შესაძლებელია მე-11 საუკუნეში ამ ორი, ოოგორუ ჭირის სახარების ეკლესით წრეებში ჩვეულებრივი და სახარების ვერსიების განმსხვავებელი ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობა არ სცოდნილია. მართლაც, ოდგანაც ჩვენ ვიცით, ოომ ხანშეტობა არ შეიძლება დაფუკავშიროთ რომელიმე განსაზღვრულს ვერსიას სიხარებისას (ხანშეტო წარმოდგენილია ორივე ვერსიის ნაწილები), ამიტომ შესაძლებელია ეს ხანშეტობა წარმოადგენდა განსაზღვრულ დიალექტიურს ნორმას, ოომლის ლოკალიზაცია უძველეს ხანისათვის ჯერჯერობით მტკიცედ შეიძლება. ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში. იმის მაჩვენებელია ბოლნისის და ჯვარის მონასტრის უძველესი წარწერები, ოომელშიდაც ეს ხანშეტო წარმოდგენილია ხმოვნების წინ (აკ. შანიძე, ნაშთ. მე-3 პირის ობიექტ. პრეფ.. ტფ. უნივ. მოაშშე № 2, 262—281). ის გარემოება, ოომ ოოგორუ ეს ხახარების უკვე გამოქვეყნებულ ხანშეტო ნაწილებიდან სჩანს, ხანშეტობა ახასიათებს ორივე რედაციის სახარების, ოოგორუ სომხურიდან ნათარგმნს, ისე ბერძნულთან დაკავშირებულს, უნდა გვიჩვენებდეს, ოომ ხანშეტობა მართლაც განსაზღვრულ კუთხის დიალექტურ ნორმას წარმოადგენდა, იმდენად შეღვარს, რომ ყოველს ნაწარმოებს თავისს წესებს უმორილდება. მეორეს მხრივ სიყურადღებოა ისიც, ოომ ხანშეტობა უფრო ახასიათებს ბერძნულთან დაკავშირებულ სახარების ტექსტს და ძლიერ ნიულებ სახარების უძველეს ქართულ ვერსიას. ეს გარემოება შესაძლებელია იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ხანშეტობა წარმოადგენს არა მარტო კუთხობრივ, არამედ ლიტერატურულ ენის განვითარებისთვის დროის მიხედვით უფრო ნავეიანეს თვისებას. მაშინ ჩვენ მივიღებდით, ოდგანაც ხანშეტობა ჯერჯერობით, ყოველს შემთხვევაში მე-6—7 საუკუნის მიჯნაზე და მე-7 საუკუნეშიც, დაკავშირებულია ჯვარისა და ბოლნისის ოიონნებთან, რომ ქართული სალიტერატურო ენის თავდაპირველად შემუშავების ადგილი ამ ოიონების გარეშე უნდა ყოფილიყო. ეს წაკითხი



თხოულობს დამოუკიდებელ დამუშავებას, ეხლა კი საქონლო  
აღინიშვნის, რომ გიორგი მთაწმინდელი, როგორც ვნახეთ,  
არჩევს ერთმანეთისაგან ხანშეტ და საბაწმიდურ ტექსტს. საბა-  
ჭმიდური ტექსტი სახარებისა, თუ მიეიღებთ მხედველობაში,  
რომ აქ იჯულისხმება საბაწმიდის ლაგრაში შემუშავებული  
სახარების ქართული ვერსია, არ შეიძლება იყოს ყოველს  
შემთხვევაში მე-5—6 საუკუნის მიჯნაზე უფრო აღრინდელი.  
საბაწმიდური ვერსია არ უნდა იყოს, მაშასადამე უძველესი  
ქართული ვერსია სახარებისა, არამედ შემდეგდროინდელი და  
ამიტომ შესაძლებელია, რომ საბაწმინდურად ცნობილი იყო  
სწორედ ბერძნულთან შეთანხმებული სახარების ქართული  
ტექსტი. თუ ეს აზრი მართალი გამოდგა, ე. ი. თუ საბაწმი-  
დურად მისაღები უნდა იყოს ბერძნულთან შეთანხმებული სა-  
ხარების ქართული ვერსია, მაშინ ჩენ მიეიღებთ კიდევ ახალს  
საპუთს ხანმეტობის დასათარიღებლად სალიტერატურო ენა-  
ში. მართლაც, კინაიდგან ხანშეტად უმთავრესად ბერძნულ-  
თან დაკავშირებული სახარების ტექსტია წარმოდგენილი,  
ამიტომ გამოდის, რომ ბერძნულთან შეთანხმებულ სახარების  
ტექსტის გამოსელა მოხდა იმ დროს, როდესაც ლიტერატუ-  
რული ენის ერთ მთავარ ასპარეზად ჩენში ხანშეტობით და-  
ტვირთული კილო ხდებოდა, რომელი კილოც ჩენ იმ უძვე-  
ლეს ხანში აღმოსავლეთ ქართლის ტერიტორიაზე ვიცით.  
ამისდა მიხედვით ჩენ, ისტოიულ-ლიტერატურულ პერსპექ-  
ტივის თვალსაზრისით, მიეიღებდით, რომ პირველად სახარე-  
ბი უნდა გადათარგმნილი ყოფილიყო არახანმეტ კილოზ—  
იყო თუ არა ის ჰაემეზური, ეს კიდევ სხვა საკითხია, რადგან  
შესაძლებელია ჰაემეტობაც ისეთივე უძველეს ლიტერატუ-  
რულ ენასთან შედარებით ცალკე მდგარ დიალექტურ ნორ-  
მას წარმოადგენდა, როგორც ხანმეტობა—და მხოლოდ შემ-  
დეგ, დაახლოვებით მე-6 საუკუნის დასაწყისიდან, ქართულ  
ლიტერატურულ ენაში მნიშვნელოვან ადგილს იკვრს ხანმე-



ტობა, როგორც ქრთი კუთხის დაშახასიათებელი დიალექტის  
რო თვისება.

თავისთავად იგულისხმება, რომ საკითხის საპოლოოდ  
გარდაწყვეტა შესაძლებელი იქნება უკვე აღმოჩენილ, მაგრამ  
ჯერ მთლიანად არაგამოქვეყნებელ ხანჩეტ ტექსტების შესწავ-  
ლისა და ივრეთვე სხვა როგორც დიალექტოლოგიურ, ისე  
ისტორიულ-ლიტერატურულ მასალების მოშეველების შემდეგ.

---

## როდის არის დაწერილი ტრაქტატი—გაცემულისათ- ვის ქართლისა და სომხეთისა.

ტრაქტატი არსენი კათალიკოზისა „განყოფისათვს ქართ-  
ლისა და სომხეთისა“, რომლის სრული სათაური იყოთხება  
ამნაირად: „თქმული წმიდისა მაშისა ჩუენისა არსენისა მცხვ-  
თელ კათალიკოზისა, რომელი იყო სინახებთაგან სიმცხისათვა  
საფარით განყოფისათვს ქართლისა და სომხეთისა“—წარ-  
მოადგენს ერთს ფრიად საინტერესო ძეგლთაგანს ჩვენი ძევლი  
სისტორია მწერლობისას. ეს ტრაქტატი ღამეებილი იყო ო.  
ეორდანის მიერ მის „ქრისტინებში“ I წიგნი, გვ. 313—332,  
მის მიერვე გარნეულ იქმნა ცალკე წერილში (იქვე გვ. 303  
—413) და შემდეგ განხილულ იქმნა პროფ. ივ. ჯავახიშვილის  
მიერ მის „ისტ. მის. და წყაროები“ წ. I, ძევლი ქართუ-  
ლი საისტ. მწერლობა, პირველი გამოცემა ტფ. 1916 გვ. 25  
—29 და უფრო ვრცლად ამავე წიგნის მეორე გამოცემაში  
ტფ. 1921 წ. გვ. 59—73. ძეგლი წარმოადგენს ფრიად სა-  
ყურადღებო ნაწარმოებს, რომელიც გვიხატავს ქართულ ექ-  
ლების თფიციალურ წრების შეხელულებას ქართველ-სომეხთა  
ეკლესიურ განხეთქილებაზე შემდეგს ხანებში, გვაძლევს ამას-  
თანავე, უმთავრესად სომხურ წყაროებში არსებულ ცნობე-  
ბის დადასტურების მხრივ, საინტერესო მასალას, ზოგიერთ  
შემთხვევაში იძლევა ახალს ცნობებსაც და ავრეთვე შეიცავს  
თეთი ქართულ ისტორიულ ეკლესიურ შევნების დასახასია-  
თებლად უაღრესად საყურადღებო გლოსებს. ასეთია, მაგა-  
ლითად, ტრაქტატში დაცული ცნობა გრიგორ პართელის  
მიერ საბერძნეთით ქრისტიანობის შემოღების შესახებ



ქართლში, რომელიც ცნობაც ქართლის ეკლესიის ოფიციალურ წრებისთვის მე-7 საუკუნის დასაწყისში თავის თავად საგულისხმებელად ითვლებოდა. უკანასკნელ, ძეგლს აქვს წმიდა ლიტერატურული მნიშვნელობაც. ამიტომაც მისი გარნევა სხვადასხვა მხრივ შეიძლება და საჭიროც არის. ამ ეპიდ კი ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად ამ ძეგლის დათარიღების საკითხი, რომელსაც, თავისთვად იგულისხმება, აქვს უმთავრესი მნიშვნელობა მისი ჯეროვნად შესაფასებლად როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით.

ტრაქტატის „განყოფისათვს ქართლისა და სომხითისა“ დასათარიღებლად მთავარი მნიშვნელობა აქვს მისი დამწერის არსენი კათალიკოზის ეინაობის გარევებს. ვინაიდგან ჩვენს სისტორიო წყაროებში („მოქა. ქართლისად“) ცნობილია არსენი I მეუხერე საუკუნეში და არსენი II მე-10 საუკუნეში, ხოლო არსენი III კიდევ მართავდა ეკლესიას წინად მიღებულ იზრის მიხედვით, მე-13 საუკ. პირველ ნახევარში (1233 წლ. ახლ.)<sup>1</sup>, ამიტომ თ. ეკორდანია ექვებდა ტრაქტატის დამწერის ეინაობის ამ კათალიკოზთა შორის და ამტკიცებდა, რომ ტრაქტატი უნდა ყოფილიყო შეღენილი მე-10 საუკუნეში მცხოვრებ არსენ II-ის მიერ. „მართალია, ამბობდა ის, არსენ II-ის უწინ იყო არსენ I მე-9 საუკ. დასასრულის, ხოლო არსენ III მე-13 საუკ., 1233 წლის ახლო ხანებს, მაგრამ ჩვენ ამ წერილს ვერც არსენ I-ს ვაკუონებთ, რადგან იგი სრულიად ცნობილი არ არის მწერლად და ვერც არსენ მე-13 საუკ. მწერალს, რადგან: 1) მე-13 საუკუნეში რომ დაწერილიყო მოსხენებული წერილი, მაშინ იგი უხა-

<sup>1)</sup> შემდეგ მოხდენილ შესწორებათა მიხედვით 1224 და 1233 წლებში კათალიკოზად მყოფი არსენი მულმაისისძე იყო მეორე ამ სახელის მატარებელი მე-13 საუკუნეში. მას წინაუსწრებდა არსენი III 1218—1224 წლებში (ხ. კაკაბაძე, მე-13 საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები).



თუოდ მოისხენებდა იმ კრებებს, რომელშიც მეტყველები მცირებული გადასახლდნენ შექნენ იმავე კითხვებს.... შეკრალი თავისს დრომდე ყველა შესანიშნავს მოვლენას აღნუსხდედა. არსენი II-ს მართლაც კვრე უქნია. მას ყველა დიდიდიდი მოვლენა-ნი აღუნიშნავს მანაწყერტის 726 წლის კრებამდე, რომელ-მაც სრულიად დაარსეთ კუველივე კავშირი სომეხთ სარ-წმუნოებისა მსოფლიო კულტურის მოძღვრებასთან. ამ კრების შემდეგ არსენ II კათალიკოზამდე ამ საქმის შესახები შესა-ნიშნავი ისტორიული მოვლენა არა მომზღარარა ბაგრატ III-ს დროინდელს არტანუჯის კრებამდე, როდესაც არსენი ცოცხალი არ იქნებოდა (ქრონიკ. I, 309)<sup>4</sup>. შემდეგ. ერთი წ. კ. საზოგ: მუზეუმის № 1463) ხელნაწერიდან ამოღებუ-ლი ცნობის მიხედვით, საღაც მოხსენებულია არსენი ვაჩქს ძე, რომელსაც „გადმოუქართულებიან.... თავნი სომეხთა გან-მაქიქებულნი“ ვითოვ 934 წ. (ამ წელს არის დაწერილი ეს ხელნაწერი), თ. ეორდანია ამტკიცებდა, რომ ტრაქტატის ავ-ტორი არსენი კათოლიკოზი უნდა ყოფილიყო სწორედ ეს არსენი ვაჩქს ძე, რომელიც 934 წლის შემდეგ, ამ ანგარი-შის მიხედვით, შეიძლება საქათალიკოზო ტახტზე დამჯდარი-ყო (ქრონიკ. I 309—310). თ. ეორდანიას აზრი ტრაქტა-ტის ავტორის ვინაობის შესახებ და საზოგადოდ თვით ტრაქ-ტატი გაარჩია იყ. ჯავახიშეიღმა თავის წიგნში „ისტ. მიზა-ნი, წყაროები და მეთოდები“, წ. I, ძველი ქართული საი-სტორიო მწერლობა ტფ. 1916 წ. და შემდეგ უფრო ვრცლად ამავე წიგნის შეორე გამოცემაში ტფ. 1921 წ.. ი. ჯავახი-შეიღმა აღნიშნავს, რომ თ. ეორდანიას აზრი არსენ II კათა-ლიკოზის და არსენ ვაჩქს ძის იგივეობის შესახებ შეტის შეტ პიპოტეთურია და შემდეგ არსებითად საკითხის შესახებ გა-ნაგრძობს: „თ. ეორდანიას აზრს, რომ „განყოფისათვის“-ის ავტორი მე-10 საუკუნის არსენი უნდა იყოს და არა მე-9 საუკ., განსაკუთრებით საეჭვოთ თვით მისი თხზულების შე-ნაარსი ხდის. ამ მარივ დამახასიათებელია, რომ არსენის



თხზულებაში წმ. ნინო არსად ისსენიება და თანატენასქვერება  
მია, რომ კირიონ კათალიკოზის დროს ქართველებიც თა-  
ვიანთ განმანათლებლად გრიგოლ პართელს სთვლიდენ. „ქარ-  
თველნი იტყვიდეს ვითარმედ წმიდამან გრიგოლი საბერძნე-  
თით მოგუცა წუენ სარწმუნოებაა, რომელი თქუენ დაუტე-  
ვეთ აღსარება მისი“-ო (ქრონიკ. I, 319). ამას გარდა არ-  
სენის ისიც აქვს აღნიშნული, ვითომც განხეთქილების შემ-  
დგომ ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეცენ-  
ნეს კელდასხმისა სომეხთიანონ-ო (იქვე 323). ისე გამოდის,  
თითქოს ქართველები კირიონის დროსიც კი ხელთდასხმის  
მხრივ სომეხთა ეკლესიისაგან ყოფილიყვნენ დამოკიდებულ-  
ნი. ამ გვარი შემცდარი აზრები უფრო ადრინდელს დროს  
შემცერის ვიდრე მერმინდელს, უფრო მე-9 საუკ., ვიდრე  
მე-10 საუკუნეს, როდესაც წმ. ნინო საქართველოს ერთად-  
ერთ განმანათლებელად იყო ცნობილი და სომხებთან ყო-  
ველგვარი სარწმუნოებრივი ერთობის დამამტკიცებელი კვა-  
ლის წარხოცას ცდილობდენ“ (დასახელ. წიგნი, მეორე გამ.,  
62). შემდეგ ივ. ჯავახიშვილი უწევნებს, რომ გრიგოლ ხანძთე-  
ლის მოწაფე დიდი არსენი კათ-ზიც სამცხითვან იყო, რომ  
ეს დიდი არსენი კათალიკოზი ესწრება 861 წ. გრიგოლ ხან-  
ძთელის დასაფლავებას, რის გამო, მაშასადამე, არსენის კა-  
თოლიკოზობა მეცხრე საუკუნეში მოდის და ამბობს: „ეს კია,  
რომ (არსენის) სამწერლომბო მოღვაწეობის შესხებ გიორგი  
მერჩელის არაფერი აქვს ნათვეამი, მაგრამ რაკი მას არც სხვა-  
თა სამწერლომბო მოღვაწეობა აქვს მოხსენებული, ამიტომ ეს  
გარემოება უძლეველ დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება. ხამა-  
გიეროდ ჩვენი ავტორის აზროვნობისა და სამუთიანობის სა-  
ზოვადო მიმართულება (წმ. ნინოს მოუხსენებლობა, ხოლო  
გრიგოლ პართელის საქართველოს განმანათლებლად აღსარე-  
ბა, მისი ცნობა სომხეთის ეკლესიისაგან ქართლის ეკლესის  
დამოკიდებულების შესახებ) და აგრეთვე სომხ. ხაისტორიო  
მწერლობისა და საეკლესიო კანონების საფუძვლიანი ცოდნაც



გვაფიქრებინებენ, რომ ჩას უფრო მე-9 საუკუნეში ძუნდა უცხოვრა, ვიდრე მე-10-ში. ამიტომ საფიქრებელია ჩვენი არსენი პირები იყო, თუ მე-9 საუკუნის არსენი მართლა არსენი I იყო და არა მეორე (იქვე, გვ. 63).

აქედან სჩანს, რომ ტრაქტატის ავტორობის მიკუთვნებას მე-9 საუკუნეში მცხოვრებ კათალიკოზ არსენ I-ისთვის, საფუძველად უქცეს ის გარემოება, რომ ეს თბილება თვეისი საერთო სტრუქტურით მე-10 საუკუნეშე უფრო ძველი დროის ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს და გარდა ამისა ამ სახელის კათალიკოზი, ცნობილი უწინარეს მე-10 საუკუნისა, არის მე-9 საუკუნეში მცხოვრები არსენი კათალიკოზი, რომელიც იმავე დროს დაბადებით სამცხითგან იყო. ეს გარემოება იმდენად უდგებოდა ტრაქტატის ავტორის საფარით წარმომავლობას, რომ თვეით ფაქტი მე-9 საუკუნეში მცხოვრებ არსენ კათალიკოზის სამწერლობო მოღვაწეობის შესახებ რაიმე ცნობის უქონლობისა ვერ არლევდა შესაძლებლობას ტრაქტატის მე-9 საუკუნის არსენ I-ისთვის მიკუთვნების შესახებ.

საუკეთესო საშუალებას ამა თუ იმ თბილების დასათარი-  
ლებლად წარმოადგენს, რასაკვირეველია, თვეით ნაწარმოები თა-  
ვისი შინაგან და ნიშანდობლივ თვისებათა მიხედვით. ამ თვალ-  
საზრისით ყურადსალებია ის გარემოება, რომ ტრაქტატი გვა-  
ყოფისათვეს ქართლისა და სომხითისა" წარმოადგენს არა  
მარტო ცდას ქართული ეკლესიის თვალისაზრისით და იმავე  
დროს ორთოდოქსალობის შეხედულობით სომხეთის ეკლე-  
სიის მიერ კეშმარიტ გზის ახვევის დადასტურებისას, არა-  
მედ ეს არის იმავე დროს სომხეთის საეკლესიო ცხოვრების  
შესახებ საკმაოდ ვრცელი მოთხოვობა, მართალია გაშუქებუ-  
ლი თვეისებური პარტიული შეხედულებით, მაგრამ სწორედ  
ამიტომ საინტერესო ჩვენის თემის თვალისაზრისით. მართლაც  
ავტორი იწყებს თვეისი თბილებას, თვეისი ასე ესთქვათ  
ორთოდოქსოლობისათვის ხაზის გახსახელოდ, მრწამსით და



შემდეგ მოგვითხრობს თუ როგორ სომხეთის ეკლექტიკა შორის საბერძნეთის ეკლესიას და თუ როგორ „ვითარუა იხულეს ქართველთა და ჰერთა კათალიკოზმან კვრიონ მცხეთი-სანან [და აბაზ], რამეთუ ეკლესია იძლიშო ასურისათვა კრება-ჰყუეს სომხთა ქუდანასა დეინსა და შეჩერებით განდგეს ალსარებისაგან წმინდისა კათოლიკე ეკლესიისა და განვეუნებს თოხთა საპატიოირქოთავან და გარდაქციეს აღთქმა იყო, რომელი დაუდვა წმინდამან გრიგოლი კესარია ეკლესიისა უკუ-ნისამდე არა განშორებად მისგან კელთდასხმად ეპისკოპოსო-ბისა სომხითიხად: და რამეთუ სომხითმან ბრძანება მოილო სპარსთა მეფისაგან კელთდასხმად ეპისკოპოსობისა თავით თვისით, ესე რამ ცნეს ჭრიარიტად კვრიონ კათალიკოზმან, აბაზ ჰერთა კათალიკოზმან და იქმნა ცილობათ დიდი შორის სომხითისა და ქართლისა” (ქრონ. I, 319). ალსანიშვნიდა, რომ გარეშე სომხეთის და ქართლის ეკლესიის განყო-ფის ფაქტებისა, აეტორი ვრცლად ეხება სომხეთის სა-ეკლესიო ცხოვრებას გრიგოლ პართელის დროიდან ვიდრე შევიდე საუკუნემდის და ამ საუკუნის სიგრძეზედაც. მისი მოთხოვნა წყდება ისრაელ კათალიკოზისა (667—683 წ. კი-რაյოსით, 607—677 წ. ასოლიკით) და გრიგოლ მარტინის († 682) ეპოქაზე. უცნაურია სჩანს, როგორ მოხდა, რომ ავტორმა, თუ კი ის მე-9 საუკუნეში ცხოვრობდა, პარტიუ-ლად შეიძლება ითქვას დაინტერესებულიძე მოთხოვნის გა-გრძელებაში, შესწყვიტა თავისი ნაშრომი ასეთს უხერხულს აღვილას, მაშინ როდესაც მისთვის ფრიად ხელსაყრელ მასა-ლას იძლეოდა სომხეთის ეკლესიის მე-8 საუკუნის ისტორია, მაგალითად ითანე კათალიკოზის ხანა, როდესაც 726 წ. მო-წვეულ იქმნა მანაწერტის ქრება, რომელმაც ერთხელ კიდევ და-უკეც საბოლოოდ დაადასტურა სომხეთის ეკლესიის მიერ აღვ-ბული გეზი, კერძოდ დაამტკიცა ერთხელ კიდევ ამ ეკლესიის მიერ მიღებული დოგმა ზიარების “შესახებ”).

<sup>1)</sup> არსენიც იხსენიებს მანაწერტის კრებას ითანე კათალიკო-ზის დროს, მხოლოდ აქ იჯულისხმება არა 726 წლის კრება, რო-



დიდმინიშვილოვანია კიდევ ის გარემოება, რამაც მას უნდა გათაღოკინობა იცის მხოლოდ ნ მსოფლიო კრება. „კაცნო ლუთის მოყუარენო, ამბობს არსენი თავისი თხზულების და-საწყისში, რომელიც შეებით ემბაზისაგან ცხოველისა შეი-ლად წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკლესიისა სარ-წმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა, რომელი.... წამეს ვი-თარცა ერთითა პირითა ექვსთა მათ შინა კრებათა, რომელ-თა მიერ პირველ ზრახვიდა თვით თავადი ლმერთი და განა-წესეს ესრეთ და გუასწავეს ჩუენ“ (ქრონ. I, 313).

ვინაიდგან მეექვსე მსოფლიო კრება შესდგა კოსტანტი-ნიაპოლში 680—681 წლებში, ხოლო მეშვიდე კრება (ნი-კეის) კი ერთი საუკუნის შემდეგ 787 წ., ამიტომ თავის თავად იმ გარემოებას, რომ არსენმა, ტრაქტატის ავტორმა, იცის მხოლოდ ექვსი მსოფლიო კრება, შეიძლება ჰქონდეს საკითხში ტრაქტატის დათარილების შესახებ გარდამწყვეტი პნიშვილობა. უკიდ აქედანაც, შაშახადამე, ცხადი უნდა იყოს, რომ ტრაქტატი არ შეიძლება მეცხრე საუკუნეს მიე-კუთვნოს, რომ ის არ შეიძლება ყოველს შემთხვევაში მე-8 საუკუნის დასასრულზე უფრო გვიან იყოს დაწერილი. მაგ-რამ საკითხის გასარკვევად საჭიროა სხვა მოსაზრებები და სა-ბუთებიც იქმნას მოშველებული.

პირველი საკითხი, რომელიც აქ უნდა დაისვას, არის მაინც საკითხი თვით ტრაქტატის ავტორის არსენი კათალი-კოზის ვინაობის შესახებ. ჩვენ გვაქვს სქემა კათალიკოზე-ბის, ერთმეორის შემდეგ მცხეობის სიყიდრის მესავეობისა, და-წერილი კათალიკოზობის შემოლებიდან ვიდრე მე-10 საუ-კორც ამას ფიქრობდა თ. ქორდანია, არამედ, როგორც ტექსტიდან ცხადად სჩიანს. შემდეგ ნერსე კათოლიკოზის დროს დეინის კრებაზე 551 წ. ბერძნებთან განშორების შესახებ დადგენილების გამოტანისა, ნერსეს მეტვეიდრის ითანე კათოლიკოსის მიერ ზიარების დოგმის სა-კითხში ახლად მანაშეკრუს მოწვეული საეკლესიო კრება ამ განშორების დადასტურების მიზნით.



კუნძულის. ეს არის ის სექტემბერი, რომელიც დაცულია „შოთა რეზიდენცია“  
ვად ქართლისაა-ში და მის დამატებად ჩართულ კათალიკო-  
ზების სახელების ნუსხაში. ნუსხა, როგორც ცნობილია, შატ-  
ბერდის ვარიანტში მოყვანილია მე-10 საუკუნეში.

ამ ამ ნუსხებში მართლაც ჩვენ გვიგულება მხოლოდ  
ორი არსენი კათოლიკოზი, ერთი მე-9 საუკუნეში მცხო-  
ვრები და მეორე მე-10 საუკუნეში და რასაკვირცხელია ამ თა-  
ვისთა შორის ტრაქტარის ავტორობის მხრივ უპირატესობა  
სამართლიანად ეძლევა ოვ. ჯავახიშვილის მიერ არ-  
სენ I-ს.

ტრაქტარის ავტორის ვინაობის გარკვევისას ამგვარად  
დიდი მნიშვნელობა ეძლევა კათალიკოზთა სიას, რომელში-  
დაც, არსებულ ცნობების მიხედვით, არსენის სახელის პირ-  
ველი მატარებელი მე-9 საუკუნეში ცხოვრობდა. მაგრამ აქ  
მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ არსებული ცნო-  
ბები ჩვენ არ გვაძლევენ სრულს სურათს საკათალიკოზო  
ტახტის მდიაჭეთა შემადგენლობის შესახებ. „მოქა. ქართლ“-ს  
ქრონიკას რომ თავი დავანებოთ, საქმიანისია მოყიფონთ,  
რომ ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა-  
მფისა, მშობელთა [მისთა] და შემდგომად თვით შის დიდი-  
სა და ღუთივ მსახურისა მეფისა“ წყდება ერეკლე იმპერატო-  
რის ლაშქრობებზე და ამას მისდევს მატიანეს სრულს რედაქ-  
ციაში მოთხოვთა მურვან-ყრუს შემოსევის შესახებ (753 წ.).  
ხარვეზი ამ გვარიდ უდრის თითქმის ერთს საუკუნეს. ეს ხარ-  
ვეზი შეეხება არა მარტო პოლიტიკურ ისტორიას ქართლი-  
სას. „მოქა. ქართლისაა“ ამ ხნის შესახებ წარმოგვიდგენს  
კარიელ სახელებს ერისთავებისა და კათალიკოზებისას, მაგ-  
რამ ეს სიაც საჭიროებს მკაცრ განცხრილვას, ყოველს შემ-  
თხვევაში კათოლიკოზების ვინაობის მხრივ ის სრული სურა-  
თის წარმომდგენი არ უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ კე-  
ლიშის ვარიანტი „მოქა. ქართ.“, რომელიც ამ შემთხვევა-  
ში უფრო ძველი რედაქციის შემცველია, ათავებს მე-7 საუ-



კუნის კათალიკოზების სის შემდეგნაირად. „კათალიკოზების რწინ [ევნონისი]თვან იყვნეს: თავნიაფაგ, ავლალი, იოველ, სამოელ, გომრგი, კუირიონ, იშიძოდ, თეოდორე, პეტრე, ესენი ცოლოსანნი იყუნეს. [ხ ჯომლად ევნონისითვან მოღმართ იყუნეს კათალიკოზნი შე]. ხ ამისა შდ ვინცა შეიცვალებოდის კათალიკოზთაგანი იწერებოდის. (ე. „თაყაი-შეილის Օცე. ყველ., II 727). უნდა აღინიშნოს რომ შატბერდის ვარიანტი ამ სის განაგრძობს შემდეგნაირად:... ესე ცხრილი (კათალიკოზნი) ცოლოსანნი იყუნეს. შეჩმე მამა. ა. იმანე. ბ“... და ს. მე-10 საუკ. არსენამდის (იქვე). ცხადია, რომ კათალიკოზების სია, მამადან დაწყებული, შემდეგ არის მიმატებული და ისიც მე-10 საუკუნეში არსენ კათალიკოზის დროს. ასეთს პირობებში წევნ არაეითარი ვარიანტია არა ვვაქეს, რომ მე-10 საუკ. მიმატებულს სიას და წინად არსებულ ნუსხას შორის (ე. ი. ცოლოსან კათალიკოზთა და მამას შორის) რამე ხარევეზი არ იყოს. აღსანიშნავია ამისთანავე, რომ მამას მომდევნო იმანე კათ-ზი, როგორც საკულტისით მუშ. № 24 ხელნაწერში მოთავსებულ ეფრემ ეცირის წერილის „ხოლო თუ ოდეს იწყეს კელდასხმად“... მიხედვით საგულისხმებელია (თ. ერთდ. ქრონიკ. I, 76), თანამედროვე იყო ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტესი (745—751 წ.) და ამისაგანც ეკურნთხა. მამას კათალიკოზობა, მაშასაღამე მოდის დახლოვებით მე-730—740 წლებში. ამ დროიდან, მაშასაღამე, წევნ გვაქვს ცოტათ თუ ბევრად სრულია სია კათალიკოზებისა ვიდრე მე-10 საუკუნემდის (არსენამდის).

აღსანიშნავია ამისთანავე, რომ „მოქც. ქართლ“.. „ში მოქცეული კათალიკოზთა სია ეიდრე ცოლოსან კათალიკოზთა ჩამოთველამდის სძრავს ზოგიერთ საკითხებს, რომელიც გარევევის თხოვულობს. კელიშის ვარიანტის სია წარმოდგენილია შემდეგნაირად: პეტრე პირველი კათალიკოზი, შემდეგ სამოელ, საბა „მკუიცრა მცხეთისა“. „აქადგან რრთა სახლთა (დედ.:



სხუათა) დაიპყრეს ქათალიკოზობაა მკუიდრთა მცუნებისათვალშე 11  
შემდეგ მაკარი, სამოელ, ბართლომე, [იოანე], თაბარ, ბაბილე,  
სამოელ, ევნონ, შემდეგ ცოლოსანნი კათალიკოზნი. შატ-  
ბერდის ვარიანტში სია უფრო განვერცომით არის მოყვანილი,  
სახელდობრ (ზედმეტი სახელები შევაღ არის ნაწევნები):  
პეტრე, სამოელ, პეტრე, სამოელ, თავფაჩაგ, ჩიმაგა, საბა  
(დედ.: დასაბია), ევლალე, მაკარი, სამოელ, სიმონ-პეტრე,  
სამოელ, ბართლომე, იოვანე, ბაბილა, თაბარ, სამოელ,  
ევნონ. საუკუნე ნახვრის სიგრძეზე მეფე ვახტანგ გორგა-  
სლიდან ვიდრე სტეფანოზ II ერისთავამდის ჰელიშის ვარიან-  
ტი უწევნებს 11 კათალიკოზს, ხოლო შატბერდისა 18—ს.  
ხსენებულ კათალიკოზების სიას ვარდა ამისა მიუყებოდა  
ორივე ვარიანტის მიხედვით ცხრა ცოლოსანი კათალიკოზი,  
რომელთა სია ზევით იყო მოყვანილი. აღსანიშნავია, რომ  
შატბერდის ვარიანტში მოყვანილ ზედმეტ კათალიკოზთა  
უმეტესობა ცოლოსან კათალიკოზთა რიცხვშია მოთავსებუ-  
ლია, სახელდობრ: თავფაჩაგ, ევლალე, სამოელ, [სიმონ]პეტრე-  
შესაძლებელია ამიტომ, რომ აქ ჩვენ საქმე გვქონდეს კათალი-  
კოზთა სიაში ერთგვარ პარალელიზმითან. ამ მხრივ შეიძლება  
პნიშენელობა ჰქონდეს ქრისტიანის სიტყვებს საბა კათ-ზის შე-  
სახებ „აქალგან ორთა სხუათა დაიპყრეს კათალიკოზობაა  
მკუიდრთა მცენოსათა“ (პელ. ვარ.), „აქალგან ორთა სახლთა  
აღილეს კათალიკოზობაა მცენოელთა მკუიდრთა“ (შატბ. ვარ.).  
მე-6 და მე-7 საუკ. ქართლის ეკლესიის ისტორია ჯერ კი-  
ლევ საქმიოდ გამორჩეული არ არის, მაგრამ თუ მივიღებთ  
მხედველობაში იმ ვარემოებას, რომ ქართლის ნაწილი „ტა-  
სისკარითგან ვიდრე ზღვამდე სპერისა“ წარმოადგენდა ცალ-  
კე საერისთავოს, სადაც მთავრობდა ვახტანგის შეილის მირდა-  
რის. შთამომავლობა და ეს საერისთავო იმყოფებოდა ბერძნე-  
ბის გავლენის ქვეშ (ქ. ც-ბა, მარ. დედოფ. ვარ., 186—187),  
მაშინ ჩვენთვის ტალი იქნება, რომ მერყეობა საკათალი-  
კოზო ტახტის უფლების მთლიანობაში შესაძლებელია გამო-



წვეული ყოფილიყო პოლიტიკურათაც ქართველი სალის მართვა  
ნაწილიდ გაყოფით და იმ ბრძოლით, რომელიც იმ ნიადაგ-  
ზე სწარმოებდა ეკლესიის სფეროშიც ქრისტიანობის სხვა და  
სხვა მიმართულებათა, სახელიობრ ხალკედონურ და ანტი-  
ხალკედონურ მიმართულებათა შორის. თვით ქართველ სო-  
მებთა ეკლესიის განხეთქილების ხანაში, მაშიადამე მე-7 საუკ.  
დასაწყისში, როგორც ამას ამოწმებს უნთანები (ისტორია,  
§ 57), ქართლის ქვეყანა გაყოფილი იყო პოლიტიკურად  
კვლავინდებურად ბიზანტიის იმპერიასა და სპარსეთს შორის.  
როგორც უხთანესის ცნობილი სჩანს, კირიონ კათალიკუნის  
შეურიგებელი პოზიცია სომხეთის ეკლესიისადმი აისწერილი  
სხვათა შორის იმითაც, რომ კირიონის სამწყსოს ერთი ნაწი-  
ლი ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო და ამიტომ კი-  
რიონს სხვათა შორის ამ მიზეზის გამოც თვალი ბერძნე-  
ბისკენ ეჭირა, აღმაღ, როგორც საგულისშებელია, ქართვე-  
ლებში ეკლესიურ ერთიანობის დამყარების მიზნითაც.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ევსტათი მცხეთელის  
ცხოვრებაში მოხსენებულ სამოელ კათალიკუნის წარმონენა  
შეიძლება მთლილ „მოქც. ქართლ.“ შატბერდის ვარიანტ-  
ში მოთავსებულ კათალიკუნთა უფრო სრული სიით, სახელ-  
იობრ, ის უნდა იყოს მაკარის შემდეგ მოხსენებული სამოე-  
ლი, რომელიც თავის მხრივ ცოლოსან კათალიკუნთა სია-  
შიც მოიპოვება. თვით ქართველ-სომებთა ეკლესიის გაყოფის  
გამტარებელი კირიონი არც ჭრილიშის და არც შატბერდის  
ვარიანტში მე-7 საუკ. დასაწყისისთვის სრულებით არ არის  
მოხსენებული, მაგრამ ცოლოსან კათალიკუნთა სიაში ის  
ისხსენიება სამოელ და პეტრეს შორის (ეს ორი სახელი შე-  
ტანილია, როგორც ვნახეთ, შატბერდის ვარიანტის ტექსტუ-  
ალურ სიაში) გიორგის შემდეგ. შესაძლებელია ამისდა მი-  
ხედვით ვითიქროთ, რომ განკუთის გამტარებელი კირიონ კა-  
თალიკუნი სწორედ ცოლოსან კათალიკუნთა სიაში მოთავ-  
სებული კირიონი იყოს. მაშინ ჩვენ მივიღებდით, ევსტათი



მუხეთელის ცხოვრებაში მოხსენებულ სამოელ კათალიკოზის და და ამ კირიონის მიხედვით, რომ ცოლოსან კათალიკოზთა სია, მომეტებულ ნაშილიდ მაინც, შეიძლება წარმოგვიღენდეს სიას იმ კათალიკოზებისას, რომელთა იურისდიქცია ფრცელდებოდა უმთავრესად სპარსეთის მფლობელობაში მყოფ ქართლზე. ამ შემთხვევაში სია კათალიკოზებისა ჩვენ გვექნებადა და ისიც არა სრული, მხოლოდ მე 7 საუკუნის ნახევრამდის, სტეფანოზ II-ის ერისთაობაშიდის. ვინაზღვან შატბ. ვარიანტში შემდეგ მიმატებული კათალიკოზების სხვა სია, როგორც ვნახეთ, მერე 1 საუკუნისთვის იძლევა სათანადო ცნობებს მხოლოდ მე-730 წლებიდან, ამიტომ გამოიდის კათალიკოზთა სიაში სრული ხარვეზი მე-7 საუკ. მეორე ნახევრისა და მე-8 საუკ. პირველი მეოთხედის სიგრძეზე, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თვით ის ვარემოება, რომ „მოქა-ქართლ.“ თანამდებობის საზოგადოება არ ისხენიება ისეთი კათალიკოზი, როგორც არის კირიონი, ცხადად გვიჩვენებს, რომ საერთოდ მე-7 საუკუნისთვის, ავტეოვე მე-8 საუკ. დასაწყისისთვის ჩვენ არ მოგვეპოება ჯერჯერობით სანდო მას-ლა ხავათალიკოზთა ტახტის მესამეთა სრული სიის აღსაღენებად.

ტრაქეთის აეტორის არსენი კათალიკოზის ვინობის გასარკვევად მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს ერთს ნაწარმოებს, სახელითო აბიბოს ნეკრისელის ცხოვრებას.

აბიბოს ნეკრისელის მოწვენულ ცხოვრების ტექსტს სათაურად აქვს: „თუენა ნოემბერსა იბ წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრისელ ეპისკოპოზისა, რომელი იწამა ცე-ცხლის მსახურთა მიერ ქართლს თქმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოზისა“. წამების აღწერილობა დიდი არ არის, მაგრამ მხატვრულიდ და ლამაზი ენით დაუწერალს თხზულებას წარმოადგენს. ეტყობა არსენი კათალიკოზს, მის დამწერს, კალაში ერჩოდა. თხზულება თავისი ენის მიხე უკა ძველს ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს და უკვლად შეუძლებელია ის არსენი იყალთოელს ეკუთვნოდეს, როგორც



ამას საბინინი ფიქტობდა (საქ. სამოთხე, 213). უშვილის მიერ თუნდაც იმიტომ რომ არსენი იყალთოელი კათალიკოსად არ ყოფილა.

თბილების დაახლოებით შონც დასათარიღებლად, რასაკეირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინოლოგიას, რომელიც იქ იხმარება. თბილების სრდელის მაჩვენებელია, რომ აქ ქვეყანის მავიორად უმეტესად ტერმინი სოფელი იხმარება. „რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყუნეს ჩუენი ა იმას სოფელსა“ (გვ. 213). „რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩუენ ზედა ამპარტივნებითა თუისითა რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი“ (გვ. 214). „შიდა-ქართლი აქ ყველგან იხსენიება ზედა სოფელი, —გამოთქმა, რომელიც ძალიან ძველს დროს მეტყუთნება. „ამის შემდგომად მისწოდეს მსწრაფლ ზენასოფლად მარჩვანისა საქმე ესე“ (გვ. 214). „და ვრათარცა მოუყ უანეს იგი (ამიბოს) მარჩვანის მის [წინაშე] ზენასოფლად —სოფელსა, რომელია პრეჭიან რეუი და შექმნა მუნ სიმრავლე ეპისკოპოსთა და მღულელთა და ერთიმთავართა და თვატრონი დიდი იქნა წინაშე მარჩვანისა“ (გვ. 215). „ერთმან ვინძე მათვანებან (ათვამეტ ასურელ მამათაგანმან) აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიღზე დლეინდელიად დლედზე დიდი საკუთრებულებანი და მრავალნი კუნებანი განთქმულნი გარემოს ყოველსა მას სოფელსა.... ხოლო ერთმან ზენასოფელსა აღაშენა მონასტერი“.... (გვ. 216). თუმცა ნაკუები, მაგრამ მაინც მნიშვნელობა აქვს კახეთის წოდებას ხევალ: „ხოლო ნეტარი აბიბოს ნეტარისელ ქალაქისა ეპისკოპოსი ეკვისა კახეთისა აღიძრა შურითა სალთოთა“ და სხ. (გვ. 214).

თბილების უფრო დაახლოებით დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს ერთს ისტორიულ ხასიათის რეალურ ცნობას, რომელიც წამებას აღწერილობაშია შენარჩუნებული: „ამას რა გითხოვთ თქვენ ნეტარისა ეპისკოპოსისა აბიბოსისა, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ლურწლთა



მისთა ვაუწყებ თქმენ, ანუ ვითარ იგი დალერზა კურინი და ულთოთა მათ არჩენა ქრისტე და ნათელ ჰსცა მათ სახელითა წმიდისა სამებისითა ანუ ვითარ დედაკაცა მას უწინასწარმეტყუელი შემდეგ მისსა მოსილვა ბერძნთა და დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩეენისა, რომელიცა იგი იქნა მსწრაფლ მისვე დედაკაცა ზედა. მოვიდეს ბერძნი და ვანასხეს უსაჯულონი იგი სპარსი და დაპყრეს ქუეყანად ესე ჩეენი. მიურითგან ერისთავენი იქმნეს მპყრობელ ქართლისა და სხანი მრავალნი ვითარცა წერილ ორს წიგნსა მის წამებისა მისისასა" (გვ. 216. ტექსტი შესწორებულია ხელნაწერების მიხედვით).

ამ ადვილიდან ცხადად სჩანს, რომ ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს ისეთს ხანიში, როგორც ქართლს ერისთვები მალობრენ და ვარდა ამისა ბერძნების მიერ სპარსელების ქართლიდან გან დაინის შედეგები ჯერ ამოწურული არ იყო, ყოველს შემთხვევაში ქუეყანა შედარებით თავისუფლად გრძნობდა თავს და ქრისტიანობაც დანირდილული არ იყო. ერისთვების ხანა, როგორც ამიმოსის ცხოვრებიდანაც სჩანს, დაწყებულია ბერძნების მიერ ქართლის დაპყრობიდან. ცნობილია, რომ მე-7 საუკუნის დასაწყისს ქართლი ჯერ კიდევ ორად იყო გაყოფილი ბიზანტიის იმპერიის და სპარსეთის გავლენის სფეროდ. ამას ამოწმებს ზემოღმოყვანილი ცნობა უხთანესისა (ისტორია, § 57). როგორც სჩანს, ბიზანტიის იმპერიის ფერივობას აღმოსავალეთში მე-6—7 საუკ. მიჯნაზე და შემდეგ მე 7 საუკუნეში მოყვა ის, რომ ერისთავენი, რომელნიც წინად მარტოოდენ ბიზანტიის იმპერიის მოსამხრე ქართლის ნაწილს ფლობდნენ. ებლა მთელი ქართლის მფლობელები შეიძნენ. გვარაში პირველი ერისთავიც, კურაპალატი, კლარჯეთის და ჯავახეთის მფლობელ სიერისთვის სახლის შეილი იყო (ქ. ცხოვრ., მარ. დედოფ. ვარ., 190). შემდეგ იმპერატორმა ერეკლემ იღლო ტიფლისი და დამყარა ბიზანტიის იმპერიის გავლენა მთელს ქართლზე. 643—645 წლებში ივ.



ჯავახიშეილის გამოანგარიშებით, 646 წ. ასოლიკის სიტყვით, ქართლში შემოვიდნენ აჩაბები, დაიპორჩილეს ის და ხარჯი დაადგეს მას. მაგრამ არაბთა ბატონობა ამ ხანაც ხანგრძლივი არ იყო. აღმოსავლეთა საქართველოში აჩაბები მატონობდნენ 657 წლის დროზე (ივ. ჯავახიშეილი, ქართვ. ერის ისტორია II, 347). ამის შემდეგ, არაბების იპოზიტი ამ უკუდარ ზონაურ არეულობის გამო, არაბების ბატონობაც ქართლში ძლიერ შეირყა და ბოლოს სრულდებით მოისპო. მართალია, არაბები დროგამო შეებით თავის პ-ეტერზის აცხადებდნენ ქართლის მიმართ, ხანდახან ამ პრეტენზიების ჩეალიზაციისათვის ლაშქრობდნენ კიდეც, მაგრამ საერთოდ მტკ-ცად უკნის მოყიდვას ვერ ახერხებდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ ქართლის ერისთავება ნერსებ მე-7 საუკ. მეორე ნახევარში ქართლს შემოსული არაბთა სახდალი ბარაბა დაამარცხა და განდევნა. ბოლოს 688—689 წლებში ბერძნე მა საქმიოდ ხანგრძლივად შეაფერხეს არაბების პრეტენზიების ჩეალიზაცია იმით, რომ დაამარცხეს და განდევნეს ქართლიც. ნ და აგრეთვე ალბანიიდან იქ შემოსული და ფეხმუკი ბული არაბები. ამის შემდეგ ქართლში ისევ განბრუი და ბერძნული გავლენა. ასეთი იყო მდგომარეობა, ვიურე 729—730 წლებში, როდესაც ხაზარების წიგნალმდევ მივაევალმა არაბების ლაშქარმა ტურისისის ხანახებზე გადაიირა. ამას მოყვა მურვან ყრუს შემოსევა, რომლის შედევგად ურდა ჩაითვალოს არაბების ბატონობის სრული განმტკიცება ქართლშე (ივ. ჯავახიშვ., ქართ. ერის ისტ. II, 348—35?).

ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ არსენი კათალიკოზის ზემადმოყვანილი კმაყიფილების გრძნობით გაღმოცემული ცნობა, ბერძნების მიერ უსჯულო სპარსთა განდევნის შემდეგ ერისთავთა მაყრიბელობის დ მყარების შესახებ ყველაზედ უკეთ შეიძლება მაუკუთხნოს 689—729 წლებს, როდესაც ქართლი საპოლონოდ განთავისუფაფებული იყო არაბების პრეტენზიებისაგან და ბერძნებთან შე-



კავშირებით და თავისი ქრისტავების განმგებლობის ქვეშ ან  
ვითარებდა თვის ცხოვრებას ქაისტიანობის ნიადაგზე. ეს  
დრო სწორედ ყველაზედ უფრო უდგება კათალიკოზების  
სიაში აღნიშნულ ხარჯებს, რომელიც ჩვენ საშუალებას  
არ გვაძლევს წარმოდგენა ვიქტორიოთ საკათალიკოზო ტაბ-  
რის. მდროინდელ მესაკეთა ვინაობის შესახებ. ამ ხანებში,  
მაშიასღამე, შეიძლება ჩვენ ვეძებოთ ამიბოს ნეკროსელის  
ცხოვრების აღწერელის არსენი კათალიკოზის მოღვაწეო-  
ბის დრო.

როგორც მოვიხსენიეთ, „განყოფისათვეს ქართლისა და  
სომხითისა“ მოგვითხრობს სომხეთის ეკლესიის ამბებს ვიღრე  
ისრაელ კათალიკოსამდის († კირაკისით 673 წ. ასოლიკით  
677 წ.), „შემდგომად ანასტასია (კათალიკოზისა 661—  
667 წ.)—ამთავრებს თავისს ტრაქტატს არსენი კათალიკოზი—  
შემოდე (იოანე მაირეგვემელი) სომხითს მსგავსად შეეცისა  
თვესხევ სოფელსა პირველსა ბიჯნის და მამრევანს საესე  
მითვე წინააღმდეგობითა და მუნ მოყუდა დაძუელებული ძალ-  
ლი ბორიტთა დღეთა რლოგ-სა წლისა წარმდები და გან-  
მხრენელი სომხითისა და მოწაფენი მისნი და დაბერებით გამ-  
ერთ მამრევანს, ელვარს და თეოდორე წმიდას და მეტმე ის-  
რაელ კათალიკოზისაგან და გრიგოლ ერისთვისა განისხნეს  
და განიბნივეს ყოველსა სომხითსა აქა და იქი ქალაქთა და  
სოფელთა საკუთრიად ყოველთა კაცთა ვიღრე დღეინდელად  
დღედ და მოაქამდე“. ეს გარემოება უკავშირებს არსენის  
მიერ ტრაქტატის დაწერას მე-7 ხაუკ. დასასრულს. ხოლო  
ამას უდგება ზემოდ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ  
არსენმა იკის მხოლოდ ექვსი მსოფლიო კრების არსებობა.

ამ იავილიდან ცხადი უნდა იყოს, რომ არსენი თით-  
კოს მოსწრებია იოანე მაირეგვემელის მოწაფეებს, რომელ-  
ნიც „განიბნივეს ყოველსა სომხითსა აქა და იქი ქალაქთა და  
სოფელთა საკუთრიად ყოველთა კაცთა ვიღრე დღეინდელად  
დღედ და მოაქამდე“. ეს გარემოება უკავშირებს არსენის  
მიერ ტრაქტატის დაწერას მე-7 ხაუკ. დასასრულს. ხოლო  
ამას უდგება ზემოდ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ  
არსენმა იკის მხოლოდ ექვსი მსოფლიო კრების არსებობა.



ზედმეტი არ არის ეხლა მოვიგონოთ, რომ აჩენი უწყვეტ სომხეთის საეკლესიო ამბებს მე-7 საუკ. მე 80 წლებზე, რა-საც ეხლა, ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებთან დაკავშირდეთ, ეძლევა თავისი მნიშვნელობა.

საჭიროა მასთანავე აღინიშნოს ერთი გარემოება, რო-  
მელიც დაკავშირებულია ეხლასან მოყვანილ ციტატასთან.

ტრაქტატში ეხლასან მოყვანილ აღვილას გვხვდება ტერ-  
მინის „სოფლის“ ხმარება დაბის მაგივრად. მიღებული აზრით  
კი ამ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა—ნაცვლად ქვეყანისა  
დაბად—მიეწერება მე-7 საუკუნეზე უფრო ნაჯვიანევ დროს.  
ნამდევილად კი სიტყვა „სოფელი“ დაბის მნიშვნელობით  
ჯერ კიდევ გვხვდება სერაპიონ ზარზელის ცხოვრებაში, რო-  
მელიც ჩემის აზრით, წინააღმდეგ ივ. ჯავახიშვილის აზრისა,  
რომელიც მას მე-10 საუკ. ნაწარმოებად სოფლის (აკ. ქართ.  
საისტ. მწერ. პირე. გამ., 62, მეორე გამ., 113), მე 7 საუ-  
კუნეზი უნდა იყოს შედგენილი, რაც უხადად სჩანს ოუკლაც  
იმ გარემოებიდან, რომ ცხოვრება დაწერილია სერაპიონის  
ძმისწულის ბაილის მიერ, სერაპიონი კი ცხოვრებაში მო-  
ხსენებულია მიქელ პარეხელის მოწაფედ, ხოლო მიქელ პა-  
რეხელი—შიო მღვიმელის მოწაფედ. მე-7 საუკუნის ამ ნაწარ-  
მოებში, სერაპ. ზარზელის ცხ—ბაზი, ვკითხულობთ: „სოფ-  
ლებნიცა მისცნ (სერაპონის) კაცმან მან ღუთისამან გიორგი  
(სერაპ. ზარზმ. ც-ბა, მ. ჯანაშვ. გამ. 27), უდა იყო კაცი  
იგი აღვილისავან მცირისა, რომელსა ძარლუას სოფელი ეწო-  
დების“ (გვ. 37), „და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად  
თვესა“ (გვ. 38). მე-7 საუკუნეზი ამ გვარად ჩვენ უკვე  
გვაქვს ნაგალითები სიტყვის სოფლის ძმარებისა დაბის მა-  
გივრად. ამის შემდევ უცნაურად არ შეიძლება ჩაითვალოს  
არსენი კათალიკოზის მიერ ტრაქტატში სიტყვის სოფლის  
შემცევ დროისთვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარება—  
„შემოედა... თვესავე სოფელსა ბიჯნის“, ...„განიბნევეს ყო-  
ველსა სომხითსა აქა და იქი ქალაქთა და სოფელთა“. პირ-

იქით, არსენი კათალიკოზის ტექსტში მე-7 საუკ. დასასრულს  
 ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო.

სულ სხვაა, რასაკეირველია, საყითხი თეით ტერმინის  
 სოფლის საზოგადოლ ამ დროს ჩმარებისა. აბიბოს ნეკრესე-  
 ლის ცხოვრებიდან სჩანს (იხ. ზემოდ), რომ მე-7—8 საუკ.  
 მიჯნაზე სოფელი იხმარებოდა ძველი მნიშვნელობითაც ქვეყ-  
 ნის მავიერად, როგორც საზარების თაზგმანის მე-5 საუკ.  
 ტექსტში გვხვდება. როგორც სჩანს, არსენი კათალიკოზის  
 დროს მე-7—8 საუკ. მიჯნაზე ლიტერატურულ წრეებში  
 ტერმინი სოფელი უკვე ერთგვარ ცვალებაღობას, უკვეთ ორი  
 სხვა მნიშვნელობით პარალელურ ჩმარებას ფანიციდიდა.

დასკვნა არის შემდეგი: „განცოცისათვს ქართლისა  
 და სომხითისა“ ტრაქტატის ავტორი უნდა იყოს იქამდის  
 უცნობი ქართლის კათალიკოზი არსენი, რომელიც საყა-  
 თალიკოზო ტახტზე უნდა მჯდარიყო მე-7 საუკ. დას-  
 სრულს. ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს დაწერილი თავისი  
 მნიშვნელოვანი ტრაქტატი და აბიბოს ნეკრესელის ცხოვ-  
 რებაც.

---

## მოქცევა ჩართლისად.

„მოქცევა ქართლისად“ წარმოადგენს ერთ ფრიდა სა-  
 ურადლებო ძეგლთაგანს ჩეენი საისტორიო მწერლობისას.  
 გასაგებია ამიტომ, რომ მის შესახებ უკვე არსებობს, დღი-  
 დან მისი ოღმოჩენისა 1888 წ., საკანოდ ვრცელი ლიტერა-  
 ტურ. შატბერდის ხელნაწერს, რომლითაც შხოლოდ ეს ნა-  
 წარმოები იყო ცნობილი (წ. კ. საზოგ. მუხ. № 120),  
 1903 წ. მიემატა კიდევ მეორე, ჰელიშის ვარიანტი, ოღმოჩე-  
 ნილი არქიმ., შემდეგ კათალიკოზის აშპროსის მიერ (სა-  
 ისტ. საზოგ. მუხ. დაცული). მთელი ნაწარმოები, წარმოდგე-  
 ნილი სხვადასხვა ვარიანტებით და ნაწილობრივ რედაქციი-  
 თაც, შეიძლება გაყოფილ იქნას ორ ნაწილად: საკუთრივ მო-  
 ქცევა ქართლისად—მოკლე სქემატიკური მოთხოვნა ქართ-  
 ლის ისტორიისა აღექსანდრე მაკედონელიდან აშოტ კურა-  
 პალატამდის, ხშირად—განსაკუთრებით დასაწყისის ერთს ნა-  
 წილში და ბოლოს—წარმოადგენილი მეცნ.—მთავართა და ბოლო  
 ნაწარმოებისა შეადგენს ვრცელი რედაქცია წმ. ნინოს  
 ცხოვრებისა. ორივე ნაწილი გამოსუა პირველად 1890 წ. ე.  
 თაყაიშვილმა (სამი ისტ. ქრონიკა, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს  
 ცხოვრებისა) და მეორედ მანვე (Опис. руک. общ. расп. грам.,  
 т. II) 1906—1912 წლებში. პირველი ნაწილი გამოცემული  
 აქვს თ. ერადანიასაც (ქრონიკები I, 11—79). ჩეენ შეკუდ-  
 გეთ ორივე ნაწილის განხილვას ცალ-ცალკე და პირველად  
 დავიწყოთ საკუთრივ მოქცევა—დან ქართლისად, ე. ი. ეგრედ  
 წოდებულ პირველ ნაწილიდან.



ლიტერატურაში ამ ნაწილის შესახებ არსებობს სხვადასხვა აზრი. ე. თაყაიშვილი ფიქრობდა 1890 წ., რომ „მოქაცად ქართლისაა“ (პირველი ნაწილი ამიერიდგან ამ სახელით იქნება დასხელებული ამ შრომაში) პირველად მოტანილი იყო სტეფანის II დრომის (მე-7 საუკ.) და საბოლოო კი იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია, მე-9 საუკ. ჩამოყალიბებული უნდა იყოს (სამი ისტ. ქრ. XCIII—XCIV). თ. ქორდანიაც აგრძეთვე აღასტურებს, რომ თავდაპირველად ტექსტი სტეფანის II-მდის უნდა ყოფილიყო მოყვანილი, რადგან შემდეგ მას მისდევს ქრონიკაში მთავრების და კათალიკოზების ცარიელი სახელები.

ამ სტრიქონების დამწერი 1912 წ. დაბჭელილ შრომაში ი დრევნე-გრძ. ლეთოსიცახ ათარილებდა „მოქაც. ქართლ.“ მე-10 საუკუნით. ივანე ჯავახიშვილმაც კრცლად გააჩნია „მოქაც. ქართლ.“ თვეის ისტორიის მიზნისა და წყაროებში წ. I, პირველი გამოცემა 1916 წ. და მეორე 1921 წ.. მისი აზრით უმოქ. ქარ.“ ეს ნაწილი მე-10 საუკუნეზე ცოტა უფრო აღრე უნდა იყოს შედგენილი (დასხ. წ., მეორ. გამ. 85), სახელდობრ მე-9 საუკუნეში (იქვე, გვ. 88).

„მოქაც. ქარ.“, წარმოდგენილი ამ ეამად ორი ხელნაწერით — შატრერდისა და კელიშისა, არა მარტო ტექსტის შინაგანი ანაგრძით, არამედ თავისი მოცულობის მხრივაც ორსავე ხელნაწერში სრულს იგივეობას არ წარმოადგენს. კელიშის ხელნაწერში ტექსტი მოყვანილია აშორ და გურგენ ერის-თავებამდის, ხოლო კათალიკოზების მხრივ ცოლოსან კათალიკოზებამდის (Опис., II 727), შატრერდის ხელნაწერი კი განაკრძობს კათალიკოზების სის ვიზრე მე-10 საუკ. აზეგნამდის (იქვე, 727). ეს გარეგნულად, საერთო მოცულობის მხრივ. შინაგანი გარჩევა კიდევ გვიჩვენებს სხვადასხვა განსხვავებას.

დეტალური შედარება შატრ. და კელიშ. ხელნაწერების ტექსტისა ცხად ჰყოფს შემდეგ გარემოებას. თავი კელ. აკ-



ეროვნული  
შემოსილება

ლია, სახელდობრ ხელნაწერში ამოხელულია ორი ფურცელი, რომელსაც შეაძლო დაეტია ქქვთ. თაყაიშეილის მეორე გამოცემის (Oppsc. რუკო. II) 78 სტრიქონი, ნამდვილად კი შატბ. დაცული ტექსტი აქ შეიცავს 66 სტრიქ. (Oppsc. II. 708—709). ვინაიდან საერთოდ ჭელ. წარმოგვიდგენს უფრო ვრცელ რედაქციას, მიტომ შესაძლებელია, თუ რასაკვირველი ზეღმეტი ადგილი სათაურს არ ეჭირა, რომ აქაც ჭელ. ცოტოოდნად მეტი მოცულობის ტექსტს შეიცავდა. შეორე ადგილის (Oppsc. II 713) ერთი ფურცელი აკლია უკვე შატბ. ხელნაწერს, მაგრამ ტექსტი დაცულია ჭელ. ხელნაწერში. ჭელ. ხელნაწერში ეს შატბ. ხელნაწერის ნაკლი წარმოდგენილია დაბეჭდილი 39 სტრიქონით (იქვე 713—715), ე. ი. ა) შემთხვევაში ჭელ. შედარებით შატბ. ტექსტიან უნდა იყოს წარმოდგენილი სრულად.

ჭელ., შედარებით შატბ., უფრო ვრცელს რედაქციას წარმოადგენს. ნაჩთაული ადგილები ჭელ. არის შემდეგი: 1) გვ. 712 (Oppsc. II) მე-3 სტრ. ბოლოდან ვადრე გვ. 713 15 სტრიქ. (ხ' მოცულნა.... ეპისტოლენი ივი); 2) გვ. 719 სტ. 2—9 (და ვ' რ შესაძლებელ.... საფლავსა ზ' ა მის წმიდასასა); 3) გვ. 722 სტრ. 2—8 (რ' ისათს მიზეზისათს.... მისუა მტერსა) 3) გვ. 723 სტ. 5 (ქართლის მოქცევითან მეორასესა წელსა) 4) გვ. 723 სტრ. 8 ვილრე გვ. 724 სტრ. 4 (და ვ' ა მეფობამ.... ესე აღშეტილი გამოკრებილად არს) 5) გვ. 727 სტრ. 7—8 (ხ' ჯომლად... მ'ე).

შატბ. ხელნაწერის განსხვავება ჭელიში-საგან. ზეღმეტ ადგილების მხრიდ, გამოიხატება ზოგ ფრიად მოკლე გლოსებში, განსაკუთრებით მეორე ნაწილში.

შედარებითი განხილვა შატბ. და ჭელ. ვარიანტებისა ჩვენ გვიჩვენებს კიდევ ერთს ფრიად საინტერესო გარეშემოქმედას. სახელდობრ. თავის პირველ ნაწილში „მოქ. ქ“-ს ორივე ვარიანტი შინაარსის მიხედვით თუმცა მისდევს ერთმანეთს, მაგრამ თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან რო-

გორც სტილის, ისე უმთავრესად ლექსიური შოცულობის მის მხრივ. შესადარებლიდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები.

### კელიშ.

### შატბ.

[შატ ქაშა] აღეგზნა გულის მისის სიუფარელი ქ'ნი და წარავლინა მთავარი ერთი მოუკანებად ეპასეკო-შისთა იტეშისთა და ანტიოქიისთა და ტრიმისთა და აღექმანდრისთა და ნათელ იღო შან და დედაშან შისში პალატ ბანაკითური შ'თით.

და მასთან იერ ტევებ ერთი დე-დაკაცი მოშემი დ'ისა შუბნიერი და ქმნებ კეთილი და შეგაფს შეიღის მავართას და სახელი მა-სი ნინო, რ'ისა საქმე გამოეძა კლენე დედოფალის.

და მთავარი დიდის მდინარესა ზ'ა შტეკერსა და შოტერა შტეკერსა მდინარისა დასავალთა მცხეო დ ქალქად დიდთა შეფერთა საფდემ-თასა და იურ [ეგრეთ ფარელად] სამ წელ ილოცვადა [ფარელად] დ'ისა შ'რ აჯგიდის ერთას მაჟო-ლითა შებორევადისა და შექმნა ნა-სხლევისა ზ'ი და ადმართა იგი შონ და ილოცვადა შ[აღე]ლი და აუ შათ მაჟუალ-თა ადგილი არს ზემომა კე-სისა საკურთხევლისა აღიაღია.

მას ქაშა აღიძრა შექ' ბ გუნებითა (ერდ.: გუნდებითა) და წარავლინა მთებანებად ეპასეკოშისთა იტ' მის ანტიოქიამთ ტრიმით და აღექმანდ-რიამთ და ნათელ იღო შან თავადმან და დედაშან შისში ბანაკითური.

და იურ მისთანა ტევე ერთა დე-დაკაცი შეენ ერთ სახელით ნინო რ' დისა საქმე მისა გამოაძია შე-ლენე დედოფალმან და იურ იგი შრომი მთავარი.

და მთავარი მდინარესა შტეკერსა მოტევა და მთვიდა შტეკერთად ქ-ლაქს დიდის შეფერთა საფდომელისა და იურ სამ წელ ეგრეთ ილო-ცვადა ფარელად ადგილის ერთსა შტეკერთადს, ბრძანებითა მაჟუალ-სამთა და შექმნა სასი ჭ' ნა-სხლევისა და შენ დაადგრა და ილოცვადა და ადგილი იგი იურ ზღუდესა გარსებრ ჩ' შათ მაჟუალ-თა ადგილი არს ზემომა კე-სისა საკურთხევლისა აღიაღია.



და გ'ა ესე თქ'ა დედოფალმან წარ-  
ვიდა და უკანა ჰევებოდა სანატ-  
რელის ნინოს და წარიუგანენეს  
შათოან, შთავარ ეპისკოპოსი და  
მღდელი და ელისთავი და წარვი-  
ზეს და დადგეს წობენს და მოუ-  
წოდეს მათელთა ერთა ჭართაზე და  
ფხოვდთა წალეპასნელთა და შემო-  
კრიბა ერთ ჟრაცხევი. მაშინ აღდ-  
გა წმ და ს. წ. ტრედი და განმა-  
ნათელებელი ნეტარი ნინო დედა და  
ჩ'ნი ადიბრის კლინი დ'ისა მრ და  
მოუწოდა შემწედ წა დ'ის შმო-  
ბელს და კ'ღ განირისა კალი  
ერისა შრო და უქადაგა სარწმო-  
ნობად ძას დ'ისა ხ' მათ პართ-  
ოლევესახთა გ'ა ესმა ქადაგებად  
უცხოდ განოურნეს თავნი და პარ-  
ნი გარე შიაქეცვნეს და იღრისწ-  
ეს ქმილთა მათთა წ'ისა ნინოს  
თხ' ხ' ეშინოდა და დოფლიოსგნ.  
ხ' ნინო თბრძანსა ერისთავსა რ' ა  
წარმართოს მცირედ მახუდი მათ  
ზ'ა და გ'ა შებმა უკეცს შიშით  
შისცნეს თავნი მათინი ნათლის და-  
ბას და დადერნეს კურნია შ:თნი  
და წარვიდ კ' წოდ და დადგეს  
კდომს დაბ:სა ჟალეთს და ნათელ-  
სცა ერწო თანაზღოთა. ხ' უკარებ-  
თა რ' ა ესმა ესე შემინდეს და  
თოშეთს გარდაქმბეს რ' ა კ'ღ  
შოთევანის შონითლისა და ნინო კ'ღ  
წარვიდა კაუსეთად...

და გ'ა ესე თქ'ა (იგუშტისშემცირება  
სა დედოფლი) წარავენა იაკობ  
მღდელი საბერძნეთით მთსრული  
და ერისთავი ერთი წარვიდა და  
დადგა წობენს და მოუწოდა მთე-  
ლითა ჭართაზელთა და ფხოვდთა  
და წილეპანელთა და უქადაგა სარ-  
წმუნოფებად ქ' უსი ხ' მათ განუ-  
გარეს თავი და ერისთავებან მცი-  
რედ წარმართა მახუდი და მა-  
შით შისცნეს კურნია მათინი და-  
ბერწად და გარდაგიდა ერწუდ და  
დადგა ჟალეთს დაბასა ედემს და  
ნათელსცა ერწუდ თანანელთა და უკ-  
არებთა ესმა ესე და გარდაკრბეს  
თოშეთა რ' ა უკუნამახევნედ იპოფ-  
ნეს, თრდატ შეფეხმან შოთევანის  
და შონითლისა და ნინო შთავიდა  
კ'თეთა....

შპინ შეიძრნეს ურნივე ესე ქადაგზა მცხოვრილი და უფრომია და ერთობილი ქართლი სიკედლისა მისისათვის, მოვიდეს და დაკერძალეს ძლიერი შემთხვევი გეგმი შისი ადგილსავე თუსა ბოლს სოფელსა კონკრეტულისა.

შპინ შეიძრნეს ორი ესე ქადაგზა მცხოვრილი და უფრომია და ერთობილი სიკედლი სა მისისათვის და მოვიდეს და დაკერძალეს ძლიერი შემთხვევი გეგმი შისი ადგილსავე ზა ბეჭს დაბასა კონკრეტისასა.

საინტერესოა კიდევ ერთნაირ შინაგანი სიტყვების ცვალებადობა ორს ვარიანტში. ჰელ. გალიკოვცემი: „ილოცვიდა მ[ალული]“, შატბ.: „ილოცვიდა ფარულია“ (კვ. 712); ჰელ.: „აქლმან პალიტბანაქმან“, შატბ.: „აქნ სახლმან“ (კვ. 713); ჰელ.: „მოკუდა მირიან მეფე [და] დაქმარხა“, შატბ.: „მოკუდა მირიან მეფე და დაეფულია“ (კვ. 719).

ტექსტი ასეთი რედაქციული, შეიძლება ითქვას, განსხვავებით მიღის ორსავე ხელნაწერებში ვიღრე მირიან მეფეს სიკუდილამდის, აქედან კი იწყება, ჩეცუავებრივ გადამწერლობით ასახსნელ ვარიანტებს გარდა, ტექსტის სრული მსგავსება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თუმცა აქედან, ე. ი. მირიან მეფის სიკედლის ცნობილან, შატბერდის ხელნაწერი წარმოვიდგენს შედარებით ქელიშისთან ნართაულ ადგილებს, მაგრამ გარდა ამ ნართაულ ადგილებისა ტექსტის იგივეობა ცხადია.

და დაჯდა მეფედ ბაქურ ძე რევისი და მოკუდა ინეცა<sup>1</sup> ეპასკოპოსი და მის წილ დაჯდა ბლდელი რი ენება ნინოს<sup>2</sup> მთავარეპისკოპოსი და [ოცდა] მესამედა

შატბ.: 1) ინე. 2) და დაჯდა მლდელი იკი მუნიცე მოსრული.



წელსა აღმართებიდან პატიოსნისა ჯრისა შე[<sup>ზე წერილი ყურადღება</sup>]  
ბოւ რევ[და] შეიქნა საფლავი ქუებოს ეკლესია<sup>1</sup>] და  
მოკუდა [რევ] და დაემარხა ცოლითურთ ქუებოს ეკ-  
ლესიასა<sup>2</sup> და შემდგომად მისსა ამან ბაკურ მეფემან<sup>3</sup> ძე-  
მან რევისამან დაიწყო წილკნისა ეკლესია და განა-  
სრულა<sup>4</sup> ოცდა მეათერთმეტესა<sup>5</sup> წელსა მოკუდა და და-  
ეჭლა ქუებოსავე<sup>6</sup> ეკლესიასა. მესამედ<sup>7</sup> დაჯდა<sup>8</sup> ძმას მი-  
სი თრთაზ მ<sup>9</sup> მოკრებისკოპოსი იყო ნერსე [სომებ-  
თა კათალიკოზისა დიაკონი იობ] და მეფემს რომელიმენისა  
რუდ გამოიღო და კახეთს ნეკრისა ეკლესიად აღაშენა<sup>10</sup>  
და მეოთხედ<sup>11</sup> მისსა<sup>12</sup> ვარაზპერ<sup>13</sup> და მის ზე<sup>14</sup> სპარს-  
ნი<sup>15</sup> უ მოყენდეს და მეფე<sup>16</sup> კოდრიდ უკუჯდა. მაშენ მო-  
ვრდა [ქრიმ] ხუარ[ბორჩესად] სპარსთა ძეფასა პიტიან-  
[ში] რფილი [ათ ქალაქა] <sup>17</sup> ციხედ და ჭროლი მისსა  
ხარესა შეუდგა<sup>18</sup> და სომხითი და სივნიერი და გუასპო-  
რიგანი.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ შმოქუ. ქართ.<sup>\*</sup> შეძლე-  
ბა გაიყოს ორ ნაწილად: ერთი, რომელიც წარმოდგენილია  
შატბ. და ჭელ. (უკანასკნელის ნართაულ ადგრლებს გარდა)  
ერთი შარაბარსით, მაგრამ სტილისტური და ლექსიური გან-  
სხვაეცებით, ე. ი. ვადრე მ-რიან მეფის სიკედლის აღწერი-  
ლობა<sup>19</sup> დის. მეორე—მირიანის სიკედლის აღწერილობის შემ-  
დეგ. ეს შეორე ნაწილი ორვანევე წარმოადგენს, შატბერ.  
ხელნაწერის ნართაულ ადგილებს გარდა, ერთაირ ტექსტს  
ჩვეულებრივა სახის ვარიანტებით. ამ გვარად მირიან მეფის  
სიკედლის აღწერილობაზე ტექსტში ხდება ერთგვარი გარ-

1) შ.:abs 2) შ.:abs 3) შ.:abs 4) შ.:განიშორა 5) შ.:ოცდამეტ-  
ხუთმეტესა 6) შ.:ქ-ემოსა 7) შ.:და 8) შ.:+მეფედ<sup>9</sup> შ.:დ, 10) შ.:  
და მისშევე ნეკრესა კახეთისასა ეკლესიად აღაშენა განსრულებით  
11) შ.: შემდგომად<sup>11</sup>) შ.:+დალგა<sup>12</sup>) შ.:+?ეკედ<sup>13</sup>) შ.: მისახვე-  
13) შ.: სპარსთა მეფისა შარჩაპარნი 14) შ.: იგი 17) ჭელ. დედანში:  
ტფილის და კ<sup>14</sup> 18) შ.: შედგა.



დატება. აღსანიშნავია აქ კიდევ შემდეგი გარემოებრივ შეზღუდვების სიკულილის შემდევ, მოგვითხრობს „მოქაც. ქართ.“, — „დაჯდა მეფებ ბაკურ ას რევისი... და [ოცდა] მესამესა წელსა აღმართებითვან პატიოსნისა ჯრისა შეუქმნა კუბოს რევ [და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიას] და მოკუდა რევ და დაემარხა ცოლითურთ<sup>1</sup> და შემდგომიდ მისა ძეათესა წელსა ამან ბაკურ დაიწყო წილენისა ეკლესია (აღდგენილი ტექსტი. ფრჩხილებში ჩასმული კელ. არ არის).

მატიანები ეს ცრობა შეტანილია შემდეგნაირად: „მოქცევითვან მიზიან მეფისათა კე წელი მოკუდა ძე მისი რევ... და დაფლეს აკლდამასავე რომელი თვით მასვე ალეშენა და მასვე წელიწადსა დასწეულდა მიზიან მეფე, რომელიცა ალესრილა“. (ქ.ც. გარ. გარ. 110). მატიანეთი რევის სიკულილი წინაუსწრებს მიზიანის გრძალვალებას, რაც იგულისხმება თვით „მოქც. ქ.“-შიაც, რა უგანასკნელის მიხედვით მიზიანის შემავებ მეფედ ჯდება რევის შვილი ბაკურ. მიუხედავად ამისა ბაკურის მეფობის მოკლე ალწერილობაში „მოქ. ქარ.“ გადმოგვცემს უკავ დაგვიანებულად და ქრინოლოგიურ რიგის აღრევით რევის მიერ პატიოსან ჯვარისთვის კუბოს გაკეთებას და შემდეგ რევის სიკულილის შესხებ. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ აქ ტექსტში მართლაც გარდატება ხდება, თავდება ერთი ნაწილი და იწყება მეორე. ამ მეორე ნაწილის ავტორს ჩევის შესახებ ცნობები მისი შეილის ბაკურის მეფობის ალწერილობაში ჩაუკერებია უცხრესოდ ათგილას. მარტო ამ მოსაზრებათა მიხედვითაც საკმარისია, რომ „მოქც.“-ს ტექსტი გაიყოს ორ ნაწილად — პარველი, ყიდრე სიტყვებამდის Ossic. II, 719: „და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისად მის ცხოველისად და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი (მიზიანისა) ნანა [შაჟბ. + და დაეფრთხო დასავლით კერძო მასვე სუეტსა საჭა მიზიან მეფე“

<sup>1)</sup> კელ. უმატებს: ქუემოსა ეკლესიას.



დამართული იყო<sup>4</sup>], ხოლო მეორე ნაწილი — აქედან დაწყებული დამთავრებაშიც.

რას უნდა წარმოადგენდეს ახლა „მოქ. ქართ.“-ს პირ-  
ველი ნაწილი, ე. ი. ტექსტი დაწყებული ალექსანდრე მაკ-  
დონელის შემოსვლითგან ვიზუაჟ მიღებან. მეფის სიკვდილამ-  
დოს? ვინაიდვან ის საერთო მოცულობით, ნართაულ აღვი-  
ლების გამოკვლებით, შინაარსით ორივე ვაჩიანტშა, ერთნაი-  
რად არის წარმოადგენილი, ამიტომ უსაფუძლ ჩეენ აქ საქმე  
გვაქვს ნაწარმოების ერთს რედაქტირისან. მაგრამ რათ უნდა  
მისინას, რომ სტილის და ლექსიკის მხრივ, შინაარსის ერ-  
თიანობასთან ერთად, ამ თას რედაქტირის შორის თვალსაჩი-  
ნო განსხვავებაა? ერთად ერთს მისინას ამისას უნდა წარმოად-  
გენდეს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ნაწარმოების ერ-  
თი მოცულობისა და რედაქტირისა შეეძლო ლექსიურიად და  
სტილისტურიად სხვა და სხვა სხვე მიეღოდ მხოლოდ თარგმანის  
დროს, განსაკუთრებით თუ მეორეჯერ ეს თარგმანი სწარ-  
მოებს დამოუკიდებლივ პირველი თარგმანისაგან. სახარების  
ძველ თარგმანების განხილვა ცხადად გვიჩვენებს, რომ თემ-  
ცა მეორეჯერ სახარების ბერძნულიდან თარგმნის დროს  
მთარგმნელთ ხელთ ჰქონდათ სო ხურიდან პირველი თარგ-  
მანის ტექსტი და მით სარგებლობდნ. ნ კადეც, მაგრამ ხელ-  
მეორედ თარგმნის დროს ტექსტი თვალსაჩინოდ დატრუო რო-  
გორც სტილისტური, ისე ლექსიური განსხვავება. უნდა ით-  
ქვას, რომ სახარების სომხური ტექსტი, დაოკიდებული სი-  
რიულისაგან, თავისთავად განსხვავდებოდა წერილ ლექსიურ  
და სტილისტურ ნიადაგზე აღმოცენილ გლოსების მხედ-  
ვით ბერძნულ ტექსტისაგან. ეს გარემოება, რასაკვირველია,  
ზოგიერთ აღვილებში საქაოდ აშორებდა სახარების მეორე  
თარგმანის ტექსტს პირველ ტექსტი ავან, მათინ როდესაც  
მეორე ფენის მთარგმნელთა დამოუკიდებულება პირველ თარ-  
გმანისაგან სხვა აღვალებში პარიქა გვაძლევდა სტილისტუ-  
რად და ლექსიურიადაც პირველ თარგმანთან დაახლოვებულ



ტექსტს. „მოქ. ქ“-ს შესახებ კი შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ორი არსებულ ვარიანტის შედარება გვიჩვენებს, აქ არ არის არც ერთი ვარიანტის მეორისაგან დამოკიდებულების ნიშანი, ე. ი. იმისი, რომ პირველ თარგმანს შემდეგ მოყოლოდეს მეორეჯელ პირველის საფუძველზე ტექსტის შეკეთება ან ხელმეორედ თარგმანი, და არც არის იმისი ნიშანი, რომ თარგმანი წარმოებულიყოს ნაწილმოების ორი სხვადასხვა რელაჟისაგან. იმიტომ, მაშასაღამე, ჩვენ შევეძლია მივიღოთ, რომ თარგმანი შეიძლება წარმოებულიყო ერთი და იმავე ტექსტისაგან, ორჯელ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ.

აღსანიშნავია მხოლოდ ტექსტის პირვანდელ სახის აღსაღვენად შემდეგი გარემოება. სახელდობრ, „მოქ. ქართ“-ს ორსავე ვარიანტში ორს იდგილის ჩვენ გვხვდება, შეიძლება ითქვას გამონაკლისის დაგვარად, სრული იგივეობა ტექსტისა. პირველს შემთხვევას წარმოადგენს ცნობა რიცხიმეს შესახებ: „ხ“ ამით გამითვან მეათესა წელსა წარვიდა ელენე დედოფალი იტელმდ მოძიებად ჯრისა და მეათოთხმეტესა წელსა იყლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ვადაგი სახელით რიცხიმე რისა მიზეზისათა დედამძუძითურთ (შატბ. + და იყო მისთანა ტყუე ერთი დედაკაცი შუენიერი სახელით ნინო... და იყო იგი პრომი მთავარი; ჭედ.: იყო ტყუე ერთი დედაკაცი მოშიში ღრისა და შუენიერი და ქმულ კეთილი და მსგავს შეილსა მთავართასა და სახელი მისი ნინო) რისა საქმე გამოეძია ელენე დედოფალსა და თვეთ მოევლო გზად თვისი და ექმნეს კურნებანი მრავალნი ძალითა ქესითა და მოწევნილ იყო საბერძნეთად და მოძღვრიდა მთავარსა მას რიცხიმეს. ვა წარმოიკლტოდა თანა ჰყუეს გაიანე და ნინო და სხუანი იგი მათთანა და გამოვიდეს არეთა სომხითისათა საუფლელსა თრდატ მეფისასა და იყინი იმარტვილნეს შუნ თრდატ მეფისაგან ორმეოცდაცხრანი სულნი. ხ ნინო დარჩა განკებითა ღრისათა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოსათა (იქვე, 711—712, აღდგ. ტექსტი).



მეორე შემთხვევაა — ნინოს (ჭედ. ვარიაციული ჩატაფტებულობის) ლოცვა მთიულებზე გალაშქრებისას. „მაშინ ნებრეტარმან მან დედაკაცმან ნინო თქუა (ჭედ.: მაშინ სანატრელმან მან დედოფლალმან ნანა თქუა): კახლარს ღრი და მამა ისლის ჩინისა იკ ჭის ჩენ მოავლინა სიტყუად წა მისი ცათა მაღალთადთ (ჭედ.: ზეტყით მაღლით) თვით ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული (ჭედ. abs): ჭუეყანად მდაბლად უეჭუელად შობად კორციელად თესლისაგან ღრისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წლისაგან (ჭედ.: ჭყანახა ზა კორცით იშვა თესლისაგან ღრისა და ქალწულისაგან მარიამის წისა) და უბიწოდესა ჩენ სათნო ეყო მას და ამით მიზეზითა ცხორებად ჩინი შექმნა და ყრი ცახა ჭუეშე მყოფი განანათლია და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა ჩენ იშვა კაცი და პატივ ეცა ვრ ღრი არს და ნათლ იღო ვრ შესახურმან ვინმე (ჭედ. abs) სჯულისამან წყლისა და მიწისაგან ხე მამით და სლით წით ზეგარდაშით იწამია და იღია და ჯუარს ეცუა დაეცლა და ღლდგა და იღვდა მათვე სიმაღლეთა შემისა თანა და მომავალ არს დიღებითა ჩლის შუენის გალობად ამენითა და ვრ ესე თქუა (ჭედ. + დედოფალმან)... (გვ. 715—716).

ზემოდ მოყვანილი პირეელი ადგილი რიცხიმეს შესახებ უნდა იყოს შემდეგ დროინდელი ნართაული, შეტანილი წმ. ნინოს სრული ცხოვრებიდან (შეად. ტექსტს იშა. II, 746), რომელიც ერთნაირი მოცულობით მოყოლია „მოქცეანა“-ს ორსახე ვარიანტში. ჯერ კიდევ 1900 წ. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ რიცხიმეს შესახებ ცნობა წმ. ნინოს სრულს ცხოვრებაში შემდეგ უნდა იყოს შეტანილით (ანდრია მოციქ. და წმ. ნინოს მოღვაწეობა, მოამბე № 5—6, 1900 წ.). ესევე შეიძლება, რასაცირველია, ითქვას „მოქც. ქართ“-ს შესახებ, როგორც ეხლა ეს ირკვევა თვით ტექსტის მოცულობის განხილვიდანაც.

მეორე ადგილი კიდევ წარმოაღენს ძველი ჰიმნოგრა-

ფილის ერთ-ერთ ნიმუშს, ჩაკერძებულს განსაზღვრულ აღვილას. უნდა ითქვას ამისთანავე. რომ ამ ჰიმნის წარმომტკმელად შეატბ. ვარიანტში დასახელებულია „დედაქაცი ნინო“, ხოლო კელ. ვარიანტში უდედოფალი ნინა\*. მასახელების ორეაქციერება წამომდგარიყოს შემდეგს ხანებში ქარაგმის სხვადასხვა ნაირად გახსნის მიხედვით (დი ნ'ნ). შესაძლებელია, რომ ეს ჰიმნი პირვანდელ ტექსტის კუთხით ილება იყოს, ხოლო მისი იგივეობა „მოქ. ქ.“-ს ორსავე ვარიანტში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჰიმნი „მოქ. ქ.“-ს გაღმოქართულების დროს ქართულად უკვე არსებობდა და ამიტომ სტერეოტიპურად შეტანილ იქმნა ორივე რედაქციის ტექსტში ერთნაირად. შესაძლებელია ისიც, რომ ეს ჰიმნი საერთოდ ნართულად იყვეს მიწნეული. ამის სასარგებლობდ ამბობს ის გარემოება, რომ ჰიმნის თეთრ ტექსტის წანუროფელ ნაწილად მიღებით გამოდის, თითქოს მირიან მეფის მოქცევის შემდეგ მთიულეობზე ლაშქრობს ქრისტიანობის გასავრცელებლად მეფე კი არა, არამედ დედოფალი ნანა (შეატბ. ვარიანტით შარტო ნინო). უფრო მისაღებად სჩანს, რომ ეს აღვილი მთლად შემდეგიროინდელ ნართულად მიერჩიოთ, რის შემდეგ მთიულებზე ლაშქრობის მაწარმოებლად, როგორც ეს საფიქრებელიც უნდა ყოფილიყო, თითონ მირიან მეფე გვეხატება.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩენ მივიღებთ „მოქ. ქარ.“-ს ალექსანდრე მაკედონელის შემოსევიდან ვიდრე მირიან მეფის სიკვდილამდის, როგორც ერთს ნაწარმოებს, რომელიც ქართულად წარმოდგენილი უნდა იყოს, არსებულ ორი ვარიანტის მიხედვით, ორი თარგმანით. ეხლა იმადება საკითხი, რომელს ენაზე უნდა ყოფილიყო პირველად დაწერილი „მოქ. ქართ.“-სა. ამ სიკითხის გასარკვევად საციროა აღინიშნოს, რომ ტექსტში გვხვდება ზოგიერთი უცხო სიტყვა და ისიც ასეთს აღვილას, რომელიც უნდა გვიჩვენებდეს მთარგმნელის დამოკიდებულებას ბერძნულიდან. საკუთარი სახელი ჰქომი



იხშირება ბერძნული ასპირატით 'Pώμη' (გვ. 710). აღსანიშნავია კიდევ, რომ შეტყოფილი ბანაჟს ჭელ. უფროს პალატ-ბანაჟი-შეტბ.: „ნათელ იღო (კოსტანტინე) შან თავადმან და დედა-შეან მისმან ბანაჟითურთ“ (გვ. 710). ჭელ.: პალატ-ბანაჟითურთ. ამ სიტყვას ჭელ. ვარ. იხსენიებს მეორე აღგილასაც, სადაც შეტბ. ტექსტი მის შესატყვისად ხმარობს სიტყვას „სახლი“ (გვ. 713). პალატი თუმცა ლათინური სიტყვაა, მაგრამ ლა-თინურიდან ბერძნულ შიდაც იყო გადასული და ამიტომ მისი წარმომქინა ქართულ ტექსტში უნდა იყოს მაჩვენებელი თარ-გმანის დამოკიდებულებისა ბერძნულ კულტურ სამყაროდან.

აღსანიშნავია კიდევ ერთი აღგილი. „დასცა ვენაჟი (ალექსანდრე მაკედონელმა) და რუს გამოილო ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი და სტაგითა რუსისადთა დატექვან აღ-გილსა მას ნასტაგისი“ (გვ. 708). სიტყვა სტაგი ამ ციტატაში უკვე იპყრობდა ყურადღებას ლიტერატურაში. ნ. ვარაუ-ფიქრობდა, რომ სტაგი უნდა იყოს ხპარსული სტაკ, რაც ნიშნავს ბაზილოს, ახალს შტოს და კურძოდ ვაშს (ვაკ. ვისტ. იტ. იმპ. ყც. არქ. ინშ., IX, 192—195). მაგრამ ცხადად სჩანს, რომ ეს მნიშვნელობა არ უდგება ტექსტს. საბას ლექსიკონში განმარტებულია სტაგი როგორც რუს სათავე, მაგრამ არა სჩანს საიდან მიიღო საბამ ეს ცნობა და შესა-ძლებელია ეს განმარტება ლექსიკონში შეტანილი იყოს თვით „ქართლ. მოქც.“-ს ტექსტის მიხედვით. სხვა არა იყოს რა, შატბერლის ხელნაწერი ქართლში იმყოფებოდა, ასე რომ საბას შეეძლო „ქართ. მოქც.“ ტექსტს გაცნობოდა. შესა-ძლებელია აქ იყოს ბერძნული სიტყვის თავაზ წყლის წვე-თი და ზმის თაძალ—წყლის დენა მიხედვით სახელის ნასტაგი-სი-ს განმარტება წარმოდგენილი ბერძნული სიტყვის საშუა-ლებით თავდაპირველად, მაშასადამე, ბერძნულსავე ენაზე. ამ შემთხვევაში ჩევნ გვექნებოდა ქართულ თარგმანში ბერძნული სიტყვის გადაუთარგმნელად დატოვების შემთხვევა გეოგრა-ფიულ ტერმინის ასახსნელად.

ალსანიშნავია ქიდევ შემდეგი გარემოება. სახელი ბული  
 შატბ. და ჭელ. ნაჩვენებია შემდეგნაირად: შატბ.: (ნინო გარ-  
 ლაიცვალა) „აღვილსავე ზა ბულს დაბასა კხოეთისასა“. ჭელ.:  
 „აღვილსავე თსსა ბოლს სოფელსა კოხეთისას“ (გვ. 718—  
 719). დაბას მავიცრად მეორე თარჯმანში სიტყვა სოფელია,  
 რომელიც აქ ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. ამ ორი სხვადასხვა  
 სიტყვის წარმოჩენა ქართულ ტექსტში შეიძლება ბერძნული  
 ორი სიტყვის არა (სოფელი, ძე. ქართ. დაბა) ჯრა (შატბ.,  
 ქვეყანა) ერთმანეთში არცის გამო ერთი და იმავე სიტყვის  
 (აზრის მიხედვით ჯრა) მეორე შემთხვევაში დამახინჯებულად  
 წაკითხეთ, რაც აღვილი შესაძლებელი იყო დამწერლობის  
 ნიადაგზე. ჯრა, მაშასადამე, მეორე შეთხვევაში შეცოომით  
 წაკითხულ იქმნა არაუ, რის გამო შატბ. წარმოდგენილია „და-  
 ბასა კხოეთისასა“.

ყველაფერის ზემოლ თქმულის მიხედვით შესაძლებელია  
 მიღებულ იქმნას, რომ პირვანდელი ტექსტი „მოქც. ქართლ.“-სა  
 ვიღრე მირიან მეფის სიკვდილამდის დაწერილი ყოფილა  
 ბერძნულად და შემდეგ გადათარგმნილი ქართულად ორჯერ,  
 არსებულ ორი ვარიანტის მიხედვით.

როდის უნდა იყოს დაწერილი „მოქ. ქართ.“-ს ბერძ-  
 ნული ტექსტი? ამის გასარკვევად ჩვენ უნდა მიიღოთ მხედ-  
 ველობაში ის გარემოება, რომ „მოქც. ქართლისაც“ ამ აღვე-  
 ნილ ძველი რედაქციით წარმოადგენს მეტად ძველ თხრო-  
 ბას, რომელიც თვეისი შესაღებენლობით უსწრებს რუფინთან  
 დაცულ მოთხრობასაც. „მოქც. ქარ.“. არაულს გვი-  
 უპნება, შედარებით რუფინის თხრობასთან, ნინოს მიერ  
 ავადმყოფ ბავშვის განკურნების შესახებ. ნანა დედოფლის  
 და მირიანის გაქრისტიანების შესახებ ის მოკლედ გადმოგვ-  
 ცემს: „მევექუსესა წელსა არწმუნა ნანა დედოფლალსა ცოლსა  
 მეფისასა სენსა შინა მისსა და მეშვეობესა წელსა არწმუნა მი-  
 რიან მეფესა სასწაულითა“ (გვ. 712). რუფინს ეს გარემოება  
 უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული, კერძოდ ცნობა მირია-

ნის ნადირობის დროს უცხად დაბნელების შესახებ. შემდევ-  
ულესის შენებისას რუფინს ასევე ვრცლად აქვს მო-  
თხოვთობილი სკეტის (სახელდობრ შესამის) სასწაულებრივ აღ-  
მართების შესახებ სკეტების დადგების დაწყებილან მეორე  
დღეს. „მოქ. ქ.“ კი მოკლედ გადმოგვცემს: „და სუეტი იგი  
იყო ძელისად რა თვით აღმართა“ (ჰელ.. „და სუეტი იგი  
პატიოსანი რა თვით აღმართა“). სამაგიეროდ „მოქ. ქ.“-ს  
ტექსტი გადმოგვცემს ისეთს დეტალებს, რომელიც მოსა-  
ლოდნელი იყო აღვილობრივ წარმოშობილ ნაწარმოებში.  
ასეთია განმანათლებელის ქართული სახელი (ნინოს სახელი-  
რუფინშა არ იცის), ნინოს ფარულად დგომა სამს წელს მა-  
ყელოვან აღვილას, ცნობა უფლის კვართის შესახებ, რომე-  
ლი ცნობაც, როგორც ტექსტიდან სჩანს, კოსტანტინეს  
მიერ გამოგზავნილ ეპისკოპოსის მიერ უნდა იყოს ქართლში  
შემოტანილი, მთიულების იარაღით მოქრისტიანება, რომე-  
ლიც საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი და, უკანა-  
სკნელ, ნინოს სიკვდილი ბუდს დაბასა კუთხეთისასა. რუფინის  
მიერ შენახული ცნობები პალესტინაში მყოფ ქართველ მე-  
ფის ბაკურისაგან მიღებულად სჩანს დაახლოვებით 380 წლებ-  
ში. როგორც სჩანს, ცნობა მირიანის სასწაულებრივ მოქცე-  
ვისა და სკეტის აღმართების შესახებ უკვე მკვიდრად ფეხ მო-  
კიდებული ყოფილა მე-4 საუკ. მეორე ნახევარში, ყოველს  
შემთხვევაში მირიანის სიკვდილის შემდეგ. მირიანი ცოცხ-  
ლად სჩანს, ამიან მარცელინის სიტყვით, 361 წელს. ის  
გარემოება, რომ „მოქ. ქარ.“ სწავლებას მოთხოვთას სწო-  
რედ მირიანის სიკვდილზე, ტექსტის საერთო მოცულობასა  
და აგრეთვე ფაქტების დეტალზაციასთან დაკავშირებით, ვე-  
ძლევს სამუალებას ვიფიქროთ, რომ ეს ნაწარმოები უნდა  
დაწერილი იყოს მირიანის სიკვდილის შემდეგ ახლო დრო-  
ებში.

ნაწარმოების დასათარიღებლად შეიძლება მნიშვნელობა  
ჰქონდეს ერთს გლოსას, რომელიც შენახულია შატა. ვარიანტ-

ში მთიულთა ძალად მოქმედის შესახებ. ... „და ერისთავის მცირედ წარპმართა მახვლი ... და ნათელსკა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრძეს თოშეთა რ'ნი უკუანასკნელ იპოვნეს თრდატი მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“ (გვ. 716—717). კელ. ვარიანტში თრდატი სრულებით არა მოხსენებულია: „ხ ყუარელთა რ' ესმა ესე შეშინდეს და თოშეთს გარდაკრძეს რ' ი კ' დ მოიყვანნა მონათლნა“ (გვ. 717). ვინაიდგან კელიშის ვარიანტი საერთოდ, როგორც სჩანს, პირვანდელ ტექსტს თავისი მოცულობით უკეთ უნდა წარმოადგენდეს, ამიტომ საგულისხმებელია, რომ თრდატის სახელი დედანში სრულებით არ იქმნებოდა. ყოველს შემთხვევისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ თრდატის ცხოვრების დრო. თრდატი, „მოქ. ქ.“-ს მეორე ნაწილის მიხედვით, შეუდგა მეფობაში ბაკურს, რომელიც მიზიანის შვილისშვილი იყო და პაპის შემდეგ გამეფებულა. თრდატის შემდეგ „მოქ. ქ.“ იხსენიებს მეფეებად ვარაზბაკურს, ბაკურს, ფარსმანს, მირდატს, არჩილს. ეს არჩილი მოხსენებული აქვს მოსე ხორენელს, როგორც საგულისხმებელია, იმპერატორ თეოდოს II-ის დროს (გამეფდა 408 წ.) და ეფესის მსოფლიო კრების წინ (ეს კრება შესდგა 431 წ.), მაშასადამე 408—431 წლებში და უფრო ახლოს უკანასკნელს თარიღოთან. გამოდის, მაშასადამე, რომ მიზიანიდან (გარდაიცვალა „მ. ქ.“-ს მიხედვით 364 წ.) არჩილიამდის (430 წლ. ახლ.) არჩილიითურთ შეიძლება ჩაითვალოს 7 მეტე. თითოზე მოდის ორთა შეა რიცხვით 9 წლის მეფობა. მაშასადამე თრდატის მეფობა მოდის 373—382 წლებში.

ყველა ზემოდმოხსენებულის მიხედვით მე ვფიქრობ, რომ „მოქ. ქართლ.“-ს ბერძნული დედანი შეიძლება დაწერილი იყოს 365—400 წლებში ან 380—400 წლებში.

ეხლა ვინ უნდა იყოს ავტორი ამ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებისა? მის შესახებ ცნობა დაცულია თვით „მოქ. ქ.“-ს ქართულ ტექსტში, მხოლოდ იმ გვარის, რომ ეს ცნობა



პირდაპირ გაუგებრად სჩანდა. სახელდობრ, კელ. ვალ. „გრძ-  
მოგვცემს: „შექმნეს სახე პატიოსნისა ჯრისა ვა ასწავლა  
მთავარდიაკონმან. სამ გუამად შექმნეს ხისა მის ტანისაგან  
სამნი ჯრნი და აღმართნეს მცხვთას ვა სწერია მცირესა მას  
მოკლედ აღწერილსა მს წიგნსა ქართლის მოქცევისსა გრი-  
გოლი დიაკონისა მრ აღწერილსა“ (გვ. 714). უცნაურად  
სჩანდა, რომ „მოქ. ქ.“, თავისთვეად პატარა ნაწარმოები,  
ისხსნიებს გრიგოლ დიაკონის „მცირესა მას მოკლედ აღწე-  
რილსა მს წიგნსა ქართლის მოქცევისსა.“ მაგრამ თუ მოვი-  
ლებთ მხედველობაში, რომ, როგორც ირკვევა, „მოქ. ქ.“  
პირველად ბერძნულად იქმნა დაწერილი, მაშინ გასაგებია  
გრიგოლ დიაკონის ტექსტში მოხსენება: „მცირე“ და „მოკ-  
ლედ აღწერილი“ „მოქ. ქ.“ არის ეგვევე ნაწარმოები, მხო-  
ლოდ მისი ბერძნული დედანი.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს გრიგოლ დიაკონი? მე მიმაჩ-  
ნია საეჭვოდ ამ გრიგოლის ვინაობა დავუკავშიროთ იმპერა-  
ტორ კოსტანტინეს მიერ მღვდლებთან ერთად გამოგზავნილ  
დიაკონის პიროვნებას, რომლის შესახებ „მოქ. ქ.“ მმობს  
„შექმნეს სახე პატიოსნისა ჯრისა ვა ასწავა მთავარდიაკონმან.“  
ამ შემთხვევაში შესაძლებელია გრიგოლი ქართველიც არ  
ყოფილიყო. მაგრამ საკითხის საჟ დაყენება მეტად პრობლე-  
მატიურად სჩანს. პირიქით ის გარემოება, რომ ავტორი იწ-  
ყებს თავისს თხზულებას წარმართობის დროიდან, — ალექსანდ-  
რე მაკედონელის ხანიდან, — ალექსანდრეს შესახებ ცნობებს  
ის ბერძნული წყაროებით გვეცნობოდა, სახელდობრ, რო-  
გორუ გამორკვეულია, ფსევდოკალისთვის, ალექსანდრიანით\*  
რომელიც მე-3 საუკ. დამდეგს ქრ. შ. იქმნა შედეგენილი, — ის  
გარემოება კილევ, რომ მას მიწნად აქეს დასახული სქემატი-  
ურად დაგვისახოს სურათი ქართველების მოსელისა მცხვთის  
რაიონისა და შიდა-ქართლში, იქ სახელმწიფოებრივ ცხოვრე-  
ბის მოწყობისა, რომ შემდეგ ის თუმცა სქემატიურად და მე-  
ტად მცირე-სიტყვაობით, ხშირად მარტო მეუკების სახელების

ჩამოთვლით, მაგრამ პაინც საქმაოდ ცხადლივ ცდილობს გვ-  
ნეტიური ძაფი მოუნახოს ქართველების სახელმწიფო ებრივ  
ცხოვრების რამოდენიმე საუკუნის სიცრდეზე, მირიან მეფემ-  
დის — ყველაფერი ეს თითქმის დანამდვილებით უნდა გვი-  
ჩიენებდეს „მოქ. ქ.“-ს ავტორის ქართველობას. შესაძლე-  
ბელია ისიც, რომ გეოგრაფ. ტერმინის ნასტავისის ასენის  
ცდა გამოწვეული იყო ავტორის ლოკალური პატრიოტიზმით  
და მაშინ ჩვენ მოვიღებდით, რომ გრიგოლ დიაკონი იყო  
არა მარტო ქართველი, არამედ კურძოდ შიდა-ქართლის გან-  
საზღვრულ რაიონის მცხოვრები. აღსანიშნავია, რომ „მოქ.  
ქ.“-ს მოყვას კიდევ ერთი საკუთარი სახელის ინტერპრეტა-  
ციის ცდა: „მაშინ მოვიღეს... პონნი და იოხოვეს ბუნთურქ-  
თა ოლისაგან ქ' ყნაა ხარჯითა და დასხდეს იგინი ზანავს  
და ეპყრით იგი რ' ლ ხარჯითა აქცნდა ჰრეკან მას ხერქი.“  
(გვ. 708). აქ უკვე გეოგრაფიული ტერმინი განმარტებულია  
ქართული სიტყვის ხარჯის საშუალებით. სიტყვა - ხარჯი სე-  
მიტური ძირის: ან შესაძლებელია პრა-იალეტურიც (ასუ-  
რულში ხარუ, მრავლ. ხარიატე ნიშნავდა ჭურჭელს, ხოლო  
დაკავშირებით სხვა სიტყვასთან გარდასახალს, ხარჯს), იხსე-  
ნიება სახერების თარგმანში უკვე მე-5 საუკუნეში (ლუკ. 23.).

ძელი დასაშვებია, რომ ბერძნულ ტექსტში, გრიგოლ  
დიაკონს ქართული მიშვნელობით განვითარებინოს გეოგრ.  
ტერმინი ხერქი. უფრო საგუსსმებელია, რომ ხერქი განმარ-  
ტებული იყო ბერძნული სიტყვით ჯარან, აკაც, რაც ნიშნავს  
სარს და შემდეგ მესერით და თხრილით გამაგრებულს აღვილს.  
მაშინ მოელი ეს ციტატა ქართული თარგმანით წაიკითხებოდა  
დაახლოებით ამნაირად: ჰუნებრა იოხოვეს ბუნთურქთა უფ-  
ლისაგან მიწა და დასხდნენ იგინი ზანავს და ეპყრით იგი და  
(იმ ადგილს), რომელიც გამაგრებული ქქონდათ მესრით, ჰრეკებია  
ხერქი. ხერქი ტერმინი იყოს ვახუშტიმ, როგორც სწანს, მა-  
რიანეს მიხედვით, რადგან მატიანესავით ის ამბობს ებრაელე-  
ბის აქ დასახლებაზე (გეოგრ., მ. ჯანაშ. გამ. 127, ქ. ც.-ბა



I, 25). ხერქის ის ეძახის მთელს საფურამოს ანუ თეზის კეცე (გეოგრ., მ. ჯანაშვ. გამოცემა, 128, 138, 142), არავის მარტენა ნაპირის, ახლოს შესართავთან. აღსანიშნავია, რომ ხერქი როგორც ცალკე თლიქი აღნიშნული აქვს ანონიმ სომები გეოგრაფისს (Géogr de Moïse de Cor., par Soukry, სომხ. ტ. 28), რომლის ცნობა, ჩემის აზრით, მე-4 საუკუნის ნახევრის წყაროდან არის ამოღებული. შესაძლებელია, რომ ეს სახელწოდება ყოფილიყო არა მარტო თლიქის სახელი, არა მედ განსაზღვრული პუნქტის (სოფლის) სახელიც. ამ სახელის ნაშთი ეხლაც უნდა იყოს შენახული სოფ. ხელკელაანთ-კარის სახით მცხეთის რაიონში. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ვინაიდგან გრიგოლ დიაკონს განსაკუთრებით აინტერესებს თარი პუნქტის — ნასტარისის ქანის ხეობაში და ხერქის არავესის ხეობაში — სახელის ინტერპრეტაცია, ამიტომ ცხადია, რომ „მოქ. ქ.“-ს ავტორი ამ თარი პუნქტს შორის ან ახლოს მდებარე რაიონიდან უნდა ყოფილიყო წარმოშობილი.

აღსანიშნავია კიდევ შემდევი გარემოება. ავტორი თავისი თხრობის დროს სხარტულად გადმოვცემს ცალკე მეფეების დროის დამახასიათებელ ფაქტიურ ცნობებს ვიდრე ასეუკამდის, „რა კასპი შეიძყრა და რა ლის ციხე განაგო“ (გვ. 709). ამის შემდევ კი იწყება სქემატიური ჩამოთვლა მეფებისა ივერიის სახელმწიფო წყობილების ნორმების მექრონიკეს მიერ უცნაური გაგებით, სახელდობრ ეგრედ წოდებულ ორმეტობის მიხედვით. ეს მშრალი სია მეფეებისა მხოლოდ ერთს აღვილას შეიცავს ცნობას და ისიც ქარრამის და ბრატ-მინის დროს ურიების მოსვლის შესახებ მცხეთას. ეს ცნობა თავისი ტენდენციით ქრისტიანულ დროინდელ ხანის წარმოშობილი უნდა იყოს, როდესაც მცხეთაში არსებული ებრაულ სარწმუნოების მოსახლეობა თავისებური ყურადღების ღირსი ხდებოდა. მეფეების სიის ასეთი განსხვავება, ესე იგი უძველესი ნაწილის თუმცა მოკლე, მაგრამ მაინც საყურადღებო შინდარსიანობა შედარებით შემდეგდროინდელ მეფეთა სიასთან

შემთხვევით მოვლენაზე არ უნდა იყოს დამყარებული. ცხა-  
 დია, აქ გრიგოლ დიაკონი დამოკიდებული იყო განსაზღვრულ  
 წყაროსაგან, რომელსაც ის აღმად მისდევს კიდევ. ამ გარე-  
 მოების მხედველობაში მიღებით საყურადღებო ხდება კიდევ  
 ისიც, რომ დასაწყისი, სახელდობრ ალექსანდრე მაკელონე-  
 ლის შემოსელა ქართლში, ხელოვნურად მიკოჩიწებულად სჩანს  
 მთელს ქრონიკასთან. ეპვს გარეშეა, რომ ეს ნაწილი ლიტე-  
 რატურულ—ბერძნულ ან ძველ ფამლიაურ წყაროდან არის  
 დამოკიდებული და შესაძლებელია უსევდოკალისთვის ალე-  
 ქსანდრიანთან იყოს დაკავშირებული (შეად. კ. კიკელიძე,  
 ლეონტი მროველის ლიტერატურულ წყაროები, ტფ. უნივ.  
 მთამბეჭ № 3).

ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია „მოქ. ქართ.“-ს და-  
 შეცვლითი ნაწილი გავყოთ სამ ნაწილად: 1. ალექსანდრე  
 მაკელონელის შესახებ (OCC. II, გვ. 708—709, 5 სტრიქ).  
 სიტუაციამდის „საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და გვრის წყა-  
 ლი და სომხითი და მთავ ცროლისა და წარვიდა“. 2. ქარ-  
 თელების მოსვლა პცხეთის და შიდა ქართლს და პირველი  
 შეფეხები ვიდრე არსუკამდის (გვ. 708, სტრიქ. 6—25). 3. ორ  
 მეფობის და შემდეგ დროინდელ მეფეთა სია მირიანმდის  
 (გვ. 709 სტრიქ. 26—710 სტრიქ. 12). ეს სამი ნაწილი  
 ვანსხვავდება ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ თვეის საერთო  
 მოკულობის მხრიց.

პირველი ნაწილი წარმოადგენს უცხო (ბერძნულ ან  
 ფამლიაურ) წყაროდან აღმართ ცნობის ალექსანდრე მაკელო-  
 ნელის ლაშქრობის შესახებ დამოუკიდებლივ დამუშავების  
 ცდას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის  
 ცდა გეოგრაფიულ ტერიტორიულისა (იხ. ზე-  
 მოდ). მეორე ნაწილში მოყვანილია ცნობები ქართველების  
 შიდა-ქართლს მოსვლიდან და სახელმწიფოებრივ ცხოვრების  
 დაწყებიდან ვიდრე არსუკ შეფეხების. სახელი არსუკ „მოქ. ქ“-ში  
 დამახინჯებულია. ეს ცხადად სჩანს მატიანედან, რომელშიდაც

ამის შეგივრად იხმარება სახელი არშავი (იხ. მარ. ვარ. 28, სადაც დამწერლობითი შეცდომის მიზეზით უარბაკი"-ა მოსენებული), ხოლო ეს არშავი მეფობდა დაახლოებითის ანგარიშით 30—12 წ.წ. (ს. კავაბაძე, ქართ. სახელმწიფო ბრიობის გენეზისის საკითხთაგან). მეორე ნაწილი ამ გვარიდ მოყვანილი ყოფილი I საუკუნის პირველ ნახევრამდის ქრ. შემდეგ. მესამე ნაწილი კიდევ—არშავის შემდეგ მირიანამდის და ქრისტიანობის დამკვიდრებამდის, წარმოადგენს მეფეების მშრალ ნუსხას. ეს სია შეიტავს მხოლოდ ერთს ფაქტურულ ცნობას—ებრაელების მოსელის შესახებ მცხეთას ქარჩამ-ბრატ-მანის დროს. თუ პირველი ნაწილი (უნობა ოლექსანდრე მაკელონელის მოსელის შესახებ) სტოკებს ლიტერატურული გზით ნისახებ წყაროს შთაბეჭილებას, მესამე ნაწილი ცხადად წარმოადგენს შემდეგ მიმატებულს მშრალს ნუსხას მეფეების სახელებისას და მხოლოდ შუა ანუ მეორე ნაწილი ქრისტიანისა (აზოდან არშავამდის) იქცევს ყურადღებას თავისი შინაარსიანობით, რაც ცხად უნდა ყოფილს, რომ მექრონიკეს ამ ეპოქის შესახებ ხელთ ჰქონდა რომელილაც ლიტერატურული წყარო ქართლის ისტორიის ამ უძველეს ეპოქის შესახებ.

როგორი უნდა ყოფილიყო ეს ფრიად საყურადღებო წყარო, რომელიც ხელთ ჰქონია გრიგოლ დიაკონს? წყარო იყო წარმოშობით, რახაევირელია, ქართული, რაღაც როგორც გრიგოლ დიაკონის მიერ „მოქ. ქა-ში მოყვანილ მოკლე ექსცეპტილან სჩანს, ამ წყაროში დაცული ყოფილა ფრიად საყურადღებო და რეალურ შესაძლებლობასთან ძლიერ ახლოს მყოფი ცნობა ქართველების მოსელის შესახებ 18 სახლად მცხეთას და შიდა-ქართლს, აქ სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწყობისა და ქვეყნის მოქალაქობრივად განვითარების შესახებ. საკითხია მხოლოდ, რა ენაზე უნდა ყოფილიყო ეს წყარო დაწერილი.

ამ საკითხის გასაჩვევად საყურადღებოა მოწევნულ ქარ-



თუმ ტექსტში შენახული ერთი ფრიად სინტერესო ვლოსა. სახელდობრ აზოს შესახებ იქ ნათქვამია: „დაჯდა (აზო) ძულ მცხეთას და თანა ჰუგანდეს კერპნი ღრთად გაცი და გაიმ“. (გვ. 709). თავისს გამოკვლეულში ნიკო ქავერია. გრევი ნ. მარტი არქვეკვედა ამ ძველი სირიულ-არამეულ ღმერთების სახელების წარმოშობის მხარეს. გაცა, მისის აზრით, არის ქართულ პილეო-გრაფიულ ნიადაგზე (ხუცურში ც და ტ-ს არქევის გიმო) დამახინჯებული სახელი ძველი სირიულ ღმერთის გატისა. ის უდრის პალმირულ წარწერებში მოხსენებულ ყაოე-ს, რომელიც ბერძნულ ტრანსკრიპციით იხსენიებოდა, სხვათა შორის, აგრეთვე როგორც ყავა ანუ ყავას (ნ. მარტი, დას. შრ., 22—23). ნ. მარტი ფიქტობდა, რომ ეს ღმერთი, ისე როგორც გა, შეტანილი იყო წმ. ნინოს ცხოვრებაში და საზოგადო ქართულ წყაროებში ლიტერატურული გზით, რომ ჩამორიგული ამ ლეთაებას, ისე როგორც გა-ს, არასოდეს ქართველები არ იცნობდნენ და მათი სახელის შეტანა სირიულ წყაროებიდან საჭირო გახდა ნაგვიანევად წმ. ნინოს კურტის ლიტერატურულად დამუშავების დროს, რაც, მისი მაშინდელი აზრით, უნდა მომხდარიყო არა უადრეს მე-8 საუკუნისა და ილიად მე-8—9 საუკუნეში, შეიძლებია რამოდენადმე უფრო გვიანაც, რათა ამით ცოტათი მაინც შემცირებულიყო ქართულ ისტორიულ შემეცნებაში არსებული ხარვეზი ძველი ქართული წარმართობის შესახებ (იქვე, გვ. 1). მეორე სახელი გვიმ, ნ. მარტის აზრით, წარმოადგენს ებრაულ (და არამეულ) მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით „ძმ“ ღმერთის გა-ს სახელს. ეს ღმერთი იხსენიება უფროს მეტად რთულ სახელებში ფინიკურ, კართაგენულ, ნაბატეურ-პალმირულ წარწერებში (იქვე 17—18). ლევიმ სხვათა შორის გამოთქვა ის მოსაზრებაც, რომ ლეთაება გა უნდა გადმოტანილი ყოფილიყო არამეულ რაიონიდან (იქვე).

რომ ღმერთს გა-ს ძველი ქართველები იცნობდნენ და ის არ არის ხელოვნურად სირიულ ლიტერატურულ წყართვა



დან ნახესხები, ამას უჩვენებს ის გარემოება, რომ ეს არის ერთ-ერთი უძველესი და დამადების ქართულ ტექსტში მეტ. I, 7<sup>ა</sup>, ოთვორტც ეჭვიფილენტი ასტარტის კერპისა. 6. მარტი მაინც დაჯერებული იყო გა-ს ისე ოთვორტც გაცი-ს ქართულ საისტორიო მწერლობის ნია-დაგზე ხელოვნურად გაღმოტანაში, რაღაც უმოქმედად ქა-ლის\* გაგრძელებაში და სახელდობრ წმ. ნინოს ცტცულ ცხოვრებაში გა მოყვანილია ებრაულ მრავლობითი რიცხვში, რაც ქართველებისთვის გაუგებარი ყოფილა და ამიტომ ღმერ-თის სახელიც უცხო მრავლობითი რიცხვით იყო ქართულში მიწნეული.

აქ საჭიროა მონიშნული იქმნას, რომ რიცხვის დამო-ლოება არ შეადგენს მარტო ებრაულ ენის კუთვნილებას. ასეთივე დაბოლოება მრავლობ. რიცხვისა უნდა ყოფილიყო, როგორც თ. ნელდეკი აღნიშნავს (Семитич. яз. и на-роды в обработке Крымского, 36), არამეულშიც. თუმცა წვეულებრივ არამეულში, ისე ოთვორტც არაბულში, მრავლ. რიცხვის დაბოლოება ინ არის, მაგრამ თ. ნელდეკის აზრით არამეულშიც მრავლობითი რიცხვი თავდაპირველად იმ-ზე პოლოვდებოდა. ებრაული და არამეული ძლიერ ახლოს იდ-გნენ ერთმანეთთან და რომ მცხეთაში ებრაულიც წერდნენ, ამას ამტკიცებს მე-2 საუკ. ებრაული წარწერა, რომელიც ნაპოვნია მცხეთაში და რომელიც საქ. მუშეუშმია დაცული. წარწერა დათარილებულია ასურეთიდან გადმოსახლების მე-131 წელიწადად (Mus. Caucas., V, 193). „მოქც. ქართლისად“ ებრაელების მოსვლას მცხეთაში უკავშირებს ქარტამ—ბრატ-მანის. მეტობას ანუ 1 საუკ. დასაწყისს ქრ. 18.. ხსენებული წარწერაც ამიტომ შესაძლებელია მე-2 საუკუნეს ეკუთხოდეს.

ის გარემოება, რომ ქართულ ქრონიკის ტექსტში ღმე-რთი გა მოხატებულია ებრაულ-არამეულ მრავლ. რიცხვის დაბოლოებით იმ, შეიძლება გამოყენებულ იქმნას ამ უძველეს წყაროს ამა თუ იმ ენაზე დამწერლობის საკითხის გამოსარ-



კვევად. ცნობილია, რომ რამდენიმე საუკუნის სიგრძეშიც მჭრია  
წ. მთელს წინა-აზიაში საერთაშორისო კულტურულ ენად  
ითვლებოდა არამეული ხნა. ასურეთის იმპერიის მოსახლეო-  
ბის თვალსაჩინო ნაწილი არამეულად ლაპარაკობდა. ებრა-  
ელების სამეფოს დაცემის შემდეგ (586 წ. ქ. წ.) დაწყო  
ჰალესტრინის არამეიზაცია, რასაც, გარეშე სხვა ფაქტორების  
და პირობებისა, ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ არამე-  
ული, როგორც ცნობილია, არის ძველ ებრაულთან ძლიერ  
ახლოს შდგარი კილო. სპარსეთის ახემენიდების დროს არა-  
მეული ენა გავრცელებული იყო ირანის დასავლეთ მხარეებ-  
ში, ხოლო ეფრატის დასავლეთით მდებარე ქვეყნებისთვის  
ის ოფიციალურ ურთიერთობის ენას წარმოადგენდა (Семит.  
яз. и народы, Т. Нельдеке в обработке А. Крымского, 107, pass.). არამეული ანბანი გამოყენებულ იქმნა ფაქლაუ-  
რისთვის, რომელშიაც მოიპოვებოდა არამეული ენის მძლავ-  
რი ნალეკიც.

ამის შემდეგ ჩვენთვის ტადი უნდა იყოს, თუ რატომ  
იხმარება უძველეს ქართულ წყაროში ღმერთი გა-ს სახელი  
ებრაულ-არამეული მრავლობითი რიცხვით. საფიქრებელია,  
რომ თვით ეს პირვენდელი წყარო, შემცველი ქართული  
უძველეს სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოკლე სქემატიურ  
ნიუსხისა, დაწერილი უნდა ყოფილიყო მაშინ მთელი წინა  
აზიისთვის საერთაშორისოდ ცნობილ და იმავე დროს კულ-  
ტურულ ურთიერთობის ენაზე — არამეულზე. გრიგოლ დია-  
კონს ან უშუალოდ ამ წყაროდან ან კიდევ, რაც უფრო სა-  
ფიქრებელია, სხვა წყაროს მეშვებით შექჩა სახელი გა ამ  
უცხო მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით, რომელიც ქართ-  
ველებისთვის გაუცემარი იყო. ამიტომაც გა-ს სახელმა მიიღო  
შემდეგ დროინდელ ლიტერატურულ ქართულში ასეთი უცნა-  
ური ფორმა, რამაც აფიქრებინა ნ. მარტს ქართულ წყა-  
როებში მოხსენებულის ქართულ წარმართულ პანთეონის რეა-



ლურად აჩასოდეს არ აჩებობა და მისი მწიფნობრულობა  
გზით ხელოვნურად ქართულ ნიადაგზე გადმოტანა.

ამის შემდეგ საჭიროება არ მოითხოვს სახელი გაცი-ს  
ფორმა ნაცვლად გატისა აუცილებლივ დამწერლობითი შეც-  
დობას მიეწეროს. შესაძლებელია გაცი იყო ქართულ ნია-  
დაგზე კანონიერ ფონეტიკური ცვლილებით გარდაქცეული  
ძველ-სემიტურ გატისაგან.

აღსანიშნავია, რომ ეს უძველესი ისტორიული წყარო  
წყდება არ შეკის მეფობაზე, რომლის დროს იბერია უკვი-  
ორი თაობის დროის სიგრძეზე რომის იმპერიის პოლი-  
ტიკურ ინტერესების ფარგლებს შეგნით იყო მოყოლილი.  
რომის იმპერიის აქტივობის კავკასიაში ერთგვარი გარდატეხა-  
უნდა მოეხდინა ქართველების ცხოვრებაშიდაც, განსაკუთრე-  
ბით იმ დროს, როდესაც სპარსეთიც ნელნელა იწყებდა შეა-  
დებას ადგილობრივ კულტურულ საცურცველზე თავისი  
ინდივიდუალობის განვითარებისთვის (ფაშლაური ენა და  
ლიტერატურა). რომის იმპერია ეფელინებოდა ქართველ ტო-  
მების მიწაწყალს ბერძნების სახით, რომელთა ენა და კულ-  
ტურა უფრო და უფრო მეტს კვალს ამჩნევდა წინა-აზიის და-  
სხვლეთ ქვეყნებს და კერძოდ შევი ზღვის აღმოსავლეთ სა-  
ნაპიროზე მცხოვრებ ქართველ ტომებს. რომის იმპერიის  
განმტკიცება იბერიაში—ეს ერთგვარი გარდატეხას მოასწა-  
ვებდა ქართველ ტომების ცხოვრებაში არა მარტო პოლი-  
ტიკურად, არამედ კულტურულადაც. ქართველობის ცხოვ-  
რებაში თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა ბერძნულ  
კულტურას და ბერძნულ ენასაც.

ამ გვარიდ ჩვენ ვდებულობთ, რომ პირველ საუკ. პირ-  
ველ ნახევარში ქრ. შ. ქართველებს ჰქონიათ ისტორიული  
ნაწარმოები, არამეულად დაწერილი, რომელიც მოგვითხ-  
რობდა ქართველთა მოსხლას შიდაქართლში და შემდეგ აღ-  
ნიშნავდა, შესაძლებელია მოკლედ, უალკე მეფეების დროს  
მომხდარ ლირსშესანიშნავ ფაქტებს ქვეყნის მოქალაქობრივ



ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. პირველ საუკუნე-ში ქართველებს უკვე ჰქონდათ მოთხოვნილება საკუთარ ისტორიულ ლიტერატურისა თავისი წარსულის პერსპექტივის შესაქმნელად.

ასეთი უნდა ყოფილიყო გრიგოლ დიაკონის განკარგულებაში მყოფი უძველესი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული წყარო, რომელიც დაცულია უმოქ. ქართული მინიჭებული ასე ვთქვათ, მეორე ნაწილად (შემდეგ აღექმდებოდა) მაკელონელის შემოსევის შესახებ თხრობისა).

რაც შეეხება მესამე ნაწილს „მოქუ. ქართული დასაწყისისას, რის შესახებ ზემოდ იყო ნათქვამი და რომელიც წარმოადგენს მხოლოდ შეფერის სის ვიდრე მირიანმიდის, ეს ცნობებიც აღნად ამოწერილი უნდა იყოს, ნაწილობრივ მაინც, რომელიმე ისტორიულ ნაწარმოებიდან ანდა შედგენილი ხამეფო სამწიგნობროში დაცულ მასალების მიხედვით. მომავალში, რასაკვირველია; საქორო იქნება ამ სისაც დეტალურად განხილვა.

ამ გვარიდ გამოდის, რომ „მოქუ. ქართული დაწერილი შეფერის ქართულს საისტორიო ნაწარმოებს დაწერილს შე-4 საუკ. უკანასკნელ მეოთხედში ბერძნულ ენაზე. ვეტორს გრიგოლ დიაკონს ხელთ ჰქონია უძველესი ქართული მატიანე, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო არამეულად I საუკუნის პირველ ნახევარში. ქართული მწერლობითი შემოქმედების პარველ ნაბიჯებს, კერძოდ საისტორიო მწერლობის ასპარეზზედ, ამ გვარიდ ჩვენ მივყევართ უძველეს ხანამდის.

რასაკვირველია, საკითხია კიდევ სარგებლობდა თუ არა გრიგოლ დიაკონი ამ წყაროთი არამეულ ენაზე, უკეთუ ეს ნაწარმოები მართლაც ამ ენაზე იყო დაწერილი?

ის გარემოება, რომ გრიგოლ დიაკონი ბრწად იმეორებს ლმერთი გა-ს სახელს ებრაულ-არამეულ მრავლობითი რიც-ხვით, ცხადად ამტკიცებს, რომ ის ამ წყაროს კითხულობდა ქართულად.



ამ საკითხის გარჩევა თვეოლსაჩინოდ დამრეცემულებულია  
თვით საკუთრივ ქართული მწიგნობრობის პირველ საეჭვუ-  
რების საკითხთან. 1923 წ. ზაფხულში საქ. საისტ. და სა-  
ეთნ. საზოგადოებაში მე წავიკითხე მოხსენება, სადაც მე შე-  
ვეცალე ნინოშმინდის ერთს უძველეს და იქამდის გამოურკვე-  
ველ ასოებით წარმოდგენილ წარწერის გარჩევას. წარწერა  
სამსტრიქონიანია, რომლის ორი სტრიქონის წაკითხვის ცდა  
მე წამოვაყენე შემდევნაირად: + ღო შეც თან იყბ მთკუს |  
ტ[?]- - ბჲ. ამ წარწერაში მეოთხე ასო, სტამბაში სათანა-  
დო ნიშნის უქონლობის გამო წარმოდგენილი როგორც ქარაგ-  
მიანი ც, არის არამეული ცალეს ექვივალენტი, ბოლო მეო-  
რე სტრიქონის პირველი ასო თ ამ ადგილას სემიტურ აინის  
მაგივრობას სწევს, თვით ტექსტი კი იკითხება შემდევნი-  
რად: ღ თო შ[ეგ]წ[იე] [ი]თან[ე] [ი]ყ[უ][გ]ბ მთ[ივარ] [ე]პ[ის]-  
კო[პოს]ს ტ(?) - - ბ კ, ანუ სრული წაკითხეთ: „ლერთო შეე-  
წიე ითანე იაყებ მთავარებისკოპოს“... წარწერა მასში მოხსე-  
ნებულ ისტორიულ პირთა სახელების მიხედვით მიუკუთხე-  
ბა ქართლში ქრისტიანობის დამკიდრების პირველ ხანებს.  
ითანე არის პირველი მთავარებისკოპოსი და იაკობ მისი შემ-  
დევი მღვდელამთავარი მცხოვარი. ითანე მოესწორ ნინოს  
სიკედილს და რაღაც ჩემის ანგარიშით ნინოს სიკედილი მიე-  
წერება 360 წ., ამიტომ წარწერა დაახლოებით უნდა ეკუთ-  
ნიდეს 360 წლის იბლო ხანებს, უკეთ 360 — 370 წლებს.  
წარწერას მიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ გენატავს ჩვენ  
ფასლაურ ანბანის ნიადგზე განვითარებულ ქართულ ანბანის  
უძველეს სახეს მას შემდევ, რაც ქართულმა ანბანმა პირი  
იმრუნა, კ. ი. მას შემდევ რაც ქართულად იწყეს მარცხინიდან  
მარჯვნივ წერა ნაცვლად წინად, არამეულის და ფასლაურის  
მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ წერისა. ქართული ანბანის  
მიერ ამ პირის შებრუნებას ჰქონდა უდიდესი მნაშვნელობა,  
შეიძლება ითქვას, რომ ამ შებრუნების დროით თარიღდება  
ნამდვილად ქართულ მწიგნობრობის დასაწყისი, რაღაც პირ-



ანბანის ეს ძირითადი რეფორმაცი იბერიაში, რომელმაც  
საუკეთესო ხაუკარა ქართულ მწიგნობრივას, უნდა მომზღა-  
როყო ან პირველ საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. წ., ან და,  
რაც უფრო საუკიტჩებელია, პირველ საუკუნეში ქრ. შედეგ.  
ანბანის ამ გადამუშავებას უნდა მოყოლოდა ქართულ იზ-  
როვნების ერთგვარი ამუშავებაც და ამიტომ შესძლებელია,  
რომ უემოდ გარჩეული ძველი ქართული საისტორიო წყარო,  
აზოდან არშავამდის შეფეხების სქემის შემცველი, უკავ პირ-  
ველ საუკუნეშივე და ეკებ ამ საუკუნის ნახევარში მოიპო-  
ვებოდა ქართულიადც.

ამ გვარად „მოქ. ქ-ს ქრონიკის პირველი ნაწილის ერთი მთავარი წყაროთაგანი გრიგოლ დიაკონის დროს, როგორც სიგულისხმებულია, უკვე ქართულად უნდა არსებულიყო.



ეხლა იმადება საკითხი, თუ როდის იქმნა გვიტაციანებული  
ნილი ქართულად თვით „მოქმედ. ჭ-დ.“

ამ საკითხის გარდასამაცვეტად, ეხლა როდესაც ჩვენ ვი-  
ცით მე-4 საუკ. ქართული წარწერა (ნინოშვილისა) და ქარ-  
თულ ასოების უზეტესი ნაწილის ამ დროინდელი მოხაზუ-  
ლობა. შესაძლებელია პალეოგრაფიულ ხასიათის ფაქტების  
მოშვერებითაც. ამ მხრივ საინტერესოა ნინოს მიცვალების  
აღვილის სახელის ცვალებადობა შატბ. და ჰელ. ვარიანტში.  
სახელდობრ შატბ. ეს სოფელი იწოდება ბოლინი (გვ. 717),  
ჰელ. ბოლისი (იქვე). ასოები ნ და ს მე-4 საუკუნეში თავისი  
მოხაზულობით ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს, ასე რომ მათი  
არევა შატბ. და ჰელ. ვარიანტში შესაძლებელია მე-4 საუკ.  
ქართული ასოების პალეოგრაფიული თვისებებით აიხსნას.  
იქვე კიდევ საკუთარი სახელი—შატბ. ქცელდაბა (გვ. 717),  
ხოლო ჰელ. ქცელდაბა. აქაც ვარიაცია ც || ვ შეიძლება  
აიხსნას ამ ორივე ასოს მე-4 საუკუნის ქართულში ახლო  
მსგავსებით, რის დადასტურებას ჭირდაპირ ჯერჯერობით  
ერთადერთ ამ დროინდელ ქართულ წარწერაში ვერ ვპოუ-  
ლობთ (ასო ვ იქ წარმოდგენილად არა სჩანს), მაგრამ მე-3  
საუკ. ქრ. შ. ფამლაურში ჩვენ ვხედავთ ამ ორი ასოს შე-  
სატყვისის თითქმის სრულს მსგავსებას (ასოები ვავი და სა-  
მები).

ამ მოსაზრებების მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ,  
რომ „მოქმ. ქართლ.“ გადათარგმნილ იქმნა ქართული დ  
შეოთხე საუკუნეშივე, მაშასადამე ბერძნულად დაწერის უმაღ-  
მდერამ აქ აღიძრევის სხვა საკითხიც, სახელდობრ მართლაც  
ორ გზის იქმნა გადათარგმნილი „მოქმ. ქ.“ ბერძნულიდან  
თუ არა. ორი ერთგვარ მოცულობის, მაგრამ სტილისტურ  
და ლექსიურ სხვადასხვაობის შეონ ტექსტის დადასტუ-  
რება შეიძლება მიეწეროს, როგორც ჭნახეთ, უკხო ენაზე  
ტექსტის დედნის არსებობას და შემდეგ მისი ქართულად  
თარგმნას. მაგრამ როდესაც ეს ფაქტი უკვე დადასტურებუ-

ლი, შეიძლება არც იყოს საჭირო ვიტიქტოთ, რომ უმჯ. ქ. ქ.-ს ორივე წევნიმდის მოღწეული ტექსტი აუცილებლივ თარგმანს წარმოადგენდეს. პირიქით საფიქტებელია, რომ ერთი მათგანი ყოფილიყო თვით ქართულადაც დედანი, ხოლო მეორე კი შესაძლებელია გადათარგმნილიყო ბერძნულიდან ქართულად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ჰელ. ვარიანტი, რომელსაც სტილის უფრო მოქნილობით და თხრობის სიმარჯვით შეუძლია დასტოოს ორიგინალური ნაწარმოების შთაბეჭდილება. ავტორის სტილის და, შეიძლება ითქვას, ორიგინალობის დასახისიათებლად აღსანიშნავია, რომ ჰელ. ვარ. ერიდება ისეთს მაშინდელ ქართველისთვის გრეციზმს როვორიც არის შატბ. ვარ.-ის ლათინური სიტყვა პალატი (პალატბანავი).

უცელა არის მიხედვით შესაძლებელია მიგვეღო, რომ 1) მოქ. ქ. " შეიძლება დაწერილიყო ბერძნულად და ქართულად, ბერძნულის პრიორიტეტით, ისეთი ავტორის შეირ, რომელსაც კარგად ეხერხებოდა ბერძნულად აზროვნება და ამიტომ ბერძნულად წერაც — თუნდაც ქართულ ანბანის ამ დროს ნაკლულევანებისა გამო — უფრო ემარჯვებოდა. შეიძლება ამ უკანასკნელ გარემოებით აიხსნას წერის უფრო თავისუფალი მანერა შატბ. ვარ. ში (აქ არ იგულისხმება, რასაკეირველია, ცნობა რიცხვისებს შესახებ და აგრძოვე ნინოს თუ ნანას ლოცვა, რომელიც, როგორც ვნახეთ, შემდეგი დროის ნართაულს წარმოადგენს). 2) თავდაპირუელ ქართულ ტექსტის შემცველი უნდა იყოს ჰელ. ვარიანტი, ხოლო ბერძნულიდან ქართული თარგმანის — შატბ. ვარიანტი. 3) ეს ავტორი ყოფილა გრიგოლ დიაკონი, რომლის ბერძნული ტექსტი მეოთხე საუკუნეშივე, ყოველს შემთხვევაში არა-უგვიანეს მებუთე საუკუნის დასაწყისისა (ანბანის რეცონმების), ქართულად ყოფილა გადათარგმნილი (შატბ. ვარიანტი).

მოქ. ქ. "ს მეორე ნაწილი ანუ ქრონიკა შემდეგ მირიან შეფის სიკვდილისა მოყვანილია თხრობის წესით სტეფა-



ნობ II-მდის, ახალც შემდეგ მიუვება მშრალი ნუსხა ქრისტა-  
ვების და კათალიკოზებისა — ჰელ.-ში აშოტ და გურგენ ერის-  
თავებამდის და ცოლოსან კათალიკოზებამდის, ხოლო შატბ.-ში,  
კათალიკოზების მხრივ, მე-10 საუკუნის არსენამდის.

უპირატესობა ორსხვე ვარიანტს შორის აქც ეკუთვნის  
კელიშის ვარიანტს, რომელიც სტეფანოს II-ის შემდეგროინ-  
დელ ერისთავების ჩამოთვლისთანავე ათავებს თხრობას ცოლო-  
სან კათალიკოზთა აღნუსხვით, ხოლო შატბ. კი ამას უმა-  
ტებს კიდევ სიას მე-8—10 საუკ. კათალიკოზებისას. რო-  
გორც ზემოდ იყო ნაჩენები (გვ. 47—49), ცოლოსან კა-  
თალიკოზთა სია უნდა იყოს კათალიკოზების ძირითად სიის  
პარალელური ნუსხა და უნდა წარმოგვიდგენდეს უფრო სიას  
იმ კათალიკოზებისას, რომელთა იურისდიქცია მე-6 საუკ.  
შეორე ნახევრიდან უმთავრესად სპარსეთის მფლობელობაში  
მყოფ ქარილზე ვრცელდებოდა. მეეღლი სია კათალიკოზებისა,  
ცოლოსან კათალიკოზთა თან მითვლით, [რომელიც] წარმო-  
დგენილია შატბერიდის ვარიანტში, გვაძლევს ხურაოს და  
ისიც არა-სრულს მცხეთის ტახტის მესაჭვთა ვინოობის შესა-  
ხებ მხალოდ მე-7 საუკუნის ნახევრამდის, სტეფანოს II-ის  
ერისთაობამდის, სალამდისაც არის მოყვანილი პოლიტიკური,  
ასე ვთქვათ, ნაწილი ქრონიკისა შატბ. ვარიანტის მიხედვით  
(იბ. ზემოდ 49). სტეფანოს II-ის შესახებ თხრობას ქრონი-  
კაში მისღებს, გარდა ცოლოსან კათალიკოზთა სიისა, რომე-  
ლიც, როგორც ნათქვამი იყო, თხრობის კათალიკოზთა პარა-  
ლელურ სიას უნდა წარმოადგენდეს, ჰელ.-ში — სია ერისთავე-  
ბისა გვარამ კურაპალატიდან დაწყებული ვიღრე იღარნერსეს  
შეიღებამდის (Օშვ. II, 726—727), ხოლო შატბ.-ში წარ-  
მოდგენილია ესევე სია და მიმატებით კიდევ მე-8—10 საუკ.  
კათალიკოზების სახელები დაწყებული მამადან ვიღრე არსენამდის  
(იბვ. გვ. 727). ცხადია, რომ პირვენდელი ტექსტი ქრონი-  
კისა თავდებოდა ქრონიკაში სტეფანოს II ერისთაობაზე, სა-  
ხელობრ ცნობაზე არაბების მიერ ბალდაცის აღების შესახებ



— „და ჰემპავი მოკლა ვ'დ ბალდალი აფირეანთა დაიპუტენის სულიერა  
ამისთვის ბეჭდენთა ქუნად ჯორსა აჲეიდეს და წირილეს ს-  
ბერძნეთა“ (Օცხ. II, 726). ერისთვების და კათალიკოზების  
სია კი შემდეგისთვინდელ ნართაულს უნდა წარმოადგენდეს,  
ერ სთვებისა თრისავე ვარიანტში, ხოლო ვე-8—10 საუკ. კა-  
თალიკოზებისა მხოლოდ შატბ. ვარიანტში.

ამ გვარად, „მოქუცედ ქართლისაღ“-ს შეორე ნაწილი  
წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს ისტორიულ  
ამნავთა თხრობას დაწყებული შირიანის სიკვდილიდან ვიღრე  
სტრუანოზ II-მდის. თხრობა თავდება არაბების მიერ ბალდა-  
ლის დაპყრობით. ბალდალი არაბებმა აიღეს 637 წ., ასე რომ  
ქრონიკა ამ გვარად მოყვანილია ვე-7 საუკუნის თითქმის ნა-  
ხევრამდის.

ქრონიკის ტექსტში აღსანიშნავია ორი სიტუა, რომე-  
ლიც, როგორც არაბების ეპოქასთან დაკავშირებული, დიდი  
ხანია ყურადღებას იპყრობს სწორედ ძეგლის დათარილების  
თვალსაზრისით. პირველი სიტყვაა—კალა, შეორე—საკუთა-  
რი სახელი ბალდალი.

„კალა“ აქ იჩიარება განსაზღვრული მნიშვნელობით: „პა-  
შინ მცხეთაშ ათხელდებოლა და ტუილისი ეშენებოლა, არმაზ-  
ნი შემცირდებოდეს და კალა განლიდებოდა“ (შატბ. ვარ.  
Օცხ. II, 724). „უკან ციხისთავმან კალათ ტუილისისათ  
მეფესა ჰერაკლეს“ (იქვე). ეს კალა ჩვეულებრივ მიღებული  
იყო, როგორც ქართულში გაღმოსული არაბული სიტუა-  
ცა—ციხე. მაგრამ ამის წინააღმდეგი უნდა იყოს თითქოს ის  
გარემოება, რომ კალი როგორც დაპირდაპირება არმაზისა,  
„მოქუ. ქ.“-ში მოხსენებულია ვე-6 საუკუნის თხრობაში.  
ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ტეხნიკურ  
ტერმინთან, არამედ იმდევ დროს ისეთს სიტყვასთან, რომე-  
ლიც ქრონიკის ავტორის ღროს სპეციალისტ და უკვე თო-  
ბათა სიგრძეზე გამტკიცებულ მნიშვნელობით არსებობდა  
(ტუილისი ეშენებოლა.... კალა განლიდებოდა). ამიტომც



ამ ტერმინის ფიქსაციია ტუილისის ნიაღაგზე ტუილისტავობის დიდების ხანას უნდა მიეწეროს, ე. ი. არაბებშე უწინდელ ტროს. ვართლაც აღსანიშნავია, რომ არაბული ას ქართულად გამოითქმოდა შესატყვისობის მიხედვით როგორც კალა. როსტომიანის მე-14 საუკ., ერთს მინაწერში, მაგ., (ი. ამულ. გამ., 141), მოხსენებულია: აქა ბავრატ იენგი-ყალა წაულო ჩტერთა. ეს მინაწერი, ისე როგორც ეს ნაწილი როსტომიანისა, ჩემის ოზრით, მიყვანავნება მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს და შესაძლებელია ეკუთხნოულს თვით როსტომიანის ამ ნაწილის ზალის შობიდან ლუარსაბამილის) ავტორს, მე-14 საუკუნის შეორე ნახევრის პოეტს სერაპიონს სოვერატის-ძე საბაშვილს. ამ საყითხშე მე სხვაგან მექნება ლაპარაკი, ამ გამად კი ალ-სანიშნავია, რომ თუმცა შედარებით ნავეიონვა ტექსტში, მაგრამ მაინც არაბული ას-ს შესატყვისი ქართულად აქ მოგვეპოვება სრულიად კანონიერად — ყალა.

ამ მოსაზრებათა მიხედვით მე მგონია, რომ „მოქუ. ქ.“-ში მოხსენებული სიტყვა „კალა“ არ უნდა იყოს დამოკიდებული არაბულიდან, არამედ ის შეიძლება იყოს ნასესხები უძველეს დროში სემურ ენებიდან. სამწუხაროოდ, სათანადო წიგნების უქონლობის გამო მე ვერ შეეძლი ამ სიტყვის ფორმის შედარება, მაგალითად, არამეულ ფორმასთან. მაგრამ საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ასურულში გვხვდება ეს სიტყვა ახლო ფორმით კალა, კალუ, რაც ნიშნავს ამოკირვას, ამოზლედვას (Assyr. Handwört., von Fr. Delitsch, Leipzig, 1896, S. 328) აღსანიშნავია ამასთანავე, რომ პირველი ბერია აქ არის ქართულის კ-ს შესატყვისი და არა არაბული ც-სა. ეს საყითხი კიდევ საჭიროებს გამოქვებას შესძლებლობის უკეთეს პირობებში, მაგრამ მაინც საქმიოდ ცნადი უნდა იყოს, რომ „მოქ. ქარ.“-ში მოხსენებული სიტყვა კალა აუცილებლივ არ მოითხოვს თავისს მონათესავე სიტყვებთან არაბულში დაკავშირებას.



ხაჭიროა ამასთანავე მოსხენებულ იქნას, როგორც შემოხატულია „ცალკ“ აუცილებლად არ საჭიროებს ზემოხსენებულ სემუშ  
ძირებთან დაკავშირებას. როგორც „მოქ. ქ.“-დან სჩანს, კა-  
ლად იწოდებოდა ტფილისის მაღლობი ნაწილი, ხადაც ციხე  
იყო: ტექსტში, როგორც ვნახეთ, კალა დაპირდაპირებულია  
არმაზის, საკუთრივ ტფილისი კიდევ მცხეთას. რადგა-  
ნიც არმაზის მაღლობი ეჭირა, ხოლო მცხეთა დაბლობზე იყო  
გაშენებული, ამიტომ „მოქ. ქ.“-შიც ტფილისის და კალას  
შესახებ ანალოგიური გაგება უნდა გვქონდეს, კალა—მაღ-  
ლობი ადგილზე, ტფილისი კიდევ—დაბლობზე. ამასთან დაკავ-  
შირებით ინტერესს მოქლებული არ უნდა იყოს ის გარე-  
შოება, რომ უდირებელ ქალა ეხლაც ნიშნავს დიდს, სვანურ-  
შიდაც არის ამავე ძირის სიტყვა იმავე მნიშვნელობით შე-  
ნახული, მხოლოდ ორმაგად ხმარებული—განგალ (=გალ-  
გალ), როგორც ქართული დიდ-დიდი, სომხური մხატამხაბ (H. Mapp, Archeol. экспед. 1916 г. в Ван. 50). უდირში  
ქალა ნიშნავს იმავე დროს მაღალსაც. სვანურში ამავე ძი-  
რიდან არის წარმოებული მაღალი—ქვლთხი. ამიტომაც, და-  
კავშირებით იმ გარემოებასთან, რომ, როგორც ირკვევა (იხ.  
ამაზე ს. კაკაბ.—ქართ. სახელმწ. გენეზისის საკითხები),  
მცხეთის რაიონში ქართულის ჩამოყალიბებაშიდის გაბატონე-  
ბული იყო ეხლანდელ სვანურის შესატყვისთან ახლოს მდგა-  
რი კილო, შევვიძლია მივიღოთ, რომ სახელიც კალა უნდა  
იყოს ამავე კილოდან უძველეს დროში დარჩენილი სიტყვა.  
რომელიც ნიშნავდა პირდაპირ მაღალს, სომხლევს. ამ ძირის  
შესატყვისი სიტყვა ეხლაც დარჩენილია სვანურში (ორმაგი  
ხმარებით: განგალ=გალგალ) და უდირშიდაც.

სინტერესო, რომ მეგრულია ტფილისს ეხლაც ეწო.  
დება ქართი. ამ სიტყვაში თა შეიძლება იყოს მხადვრობითი  
რიცხვის დაბოლოება, რომლის გევივალენტი შენახული  
იყო ჰაიურში—თუ (H. Mapp, Грам. დრ.-არმან. яз., 98).  
სტამონი ქრთ და იმავე ხალხად სოვლიდა ჯალბარი: და



ჯალსქეც. პირველი ფურმა უდრის სომხურის წარუმატებელი, მაგრა გვი მრავლობს. რიცხვის დაბოლოებით, მეორე კიდევ წარმოდგენილია მეგრულ-ქართულის შესატყვის კილოს მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით (კბ=ებ). შესაძლებელია ამისღა მიხედვით, რომ მეგრულში ეხლაც შენახული სახელწოდება ტუკლისისა ქართი იყოს იგივე კალა, მაგრამ მრავლობითი დაბოლოებით.

ამ განმარტების მიხედვით სისტემი კალა უკავშირდება უძველეს ხანას, ქართული ენის საბოლოოდ ჩამოყალიბების უწინოერე დროს.

ეს საკითხი კიდევ საჭიროებს ღამუშავებას, მაგრამ სა-  
ქრისტიან მე შესაძლებლად მიმართ ზემოდ მოხსენებულ მოხა-  
ზრებათა მიხედვითაც აღიარებულ იქნება სახელის ბალადის  
არსებობა არაბების გამოსვლამდის ჯერ კიდევ სახანიანთ სპა-  
სეფის ნიადაგზე. აღსანიშნავია ამისთანავე, რომ ჰელიშის გა-  
რიანტი, მეორე ნაწილში უსათუოდ უფრო ძველი რედაქციის  
შემცველი, თოთქოს სრულიად უარყოფს სახელის ბალადს.  
ჰარებ. ვკითხულობთ: „და თვით (ერეკლე კეისარი) წარვიდა  
ბალდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა“. ჰერ. ვარიანტში სახე-  
ლი ბალდადი უკვე არ ისენიება, ამის მავირად იქ ვკით-  
ხულობთ „ბაბილონეანს“. ჰერ.: „და იგი წარვიდა ბაბი-  
ლონიად ბრძოლად ხუასრო მეფისა“. იქვე კიდევ ჰერ.:  
„წარვიდა ჰერაკლე მეფე ბაბილონეანს და შეიპყრა ხუას-  
რო მეფე და შემოსრა ბალდადი და ბაბილონი“ (Opus.

II, 725). უკანასკნელს ციტატაში ბალდადი და ბაბილონიანი წილი და იგივე აღვილის სახელია და ასეთი უაღგილო განშეორება ცხადად ამტკიცებს, რომ სიტუაცია ბალდადი აქ შემდეგ ჩამატებული უნდა იყოს განმარტების სახით, ამნირად ჰელ-ვარიანტში, რომელიც „მოქ. ქ.“-ს უფრო ძველი რედაქციის შემცველია, სახელი ბალდადი სრულიად არ ისხენიება, სასა-ნიანთ დედაქალაქს ამ ტექსტში ბაბილონი რქები და ფს გარემოება კიდევ იმის დაზამტკიცებელი უნდა იყოს, რომ სახელი ბალდადი „მოქ. ქ.“-ს პირველს ტექსტში შესაძლებე-ლია სრულიადაც არ მოიპოვებოდა.

ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა შემდეგ შეიძლება საჭი-როდ არ ჩაითვალოს „მოქ. ქ.“-ს დაცილება მე-7 საუკ. ნა-ხევარზე. ის გარემოება, რომ ავტორი თავისს თხრობას არა-ბების მიერ ბალდადის დაპყრობაზე ათავებს, კვათიქრებინებს, რომ ავტორი უნდა ცხოვრებულიყო ბალდადის აღების წელი-წალზე არც თუ ფრიად დაშორებულ დროს. წინააღმდეგ შემ-თხევებაში ის ამის შემდეგაც თხრობას გააგრძელებდა. ამიტო-მაც მე შესაძლებლად მიმაჩნია „მოქ. ქ.“-ს მეორე ნაწილის შედეგნა მე-7 საუკუნის ნახევარს მიეკუთხნოს.

ქრონიკა ზოგიერთ ფაქტს შეცდომით ათარიღებს. ასეთია, ბაგალითად, ქრონიკის ცნობა შუშინიკის წამების შესახებ ბაკურ მეფის დროს მე-6 საუკუნეში (Oshc. II, 723). მაგ-რამ ასეთი შეცდომა რამოცვნიმე თაობის უწინარე ფაქტე-ბის აღნუსხვაში შესაძლებელია და ისტორიულ მეთოდოლო-გის მიერ შრავალჯერ არის აღნიშნული.

აღსანიშნებია ამასთან ავე, რომ შატბ. ვარიანტი „მოქ. ქართ.“-ს ამ ნაწილში შეიცავს კათალიკოზების სიის მხრავ დანართ გლოსებს, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოდაც (გვ. 48). ისედაც ვარიანტის ტექსტის შედარება იძ-ლევა საინტერესო დასკვნებს, მაგრამ სამწუხაროდ ამ სა-კითხს მე აქ გვერდს კლელი აღვილის სიცოტივისა ვამო.

ამ გვარიად, „მოქ. ქართ“-ს მეორე ნაწილი დაწერილი

უნდა იყოს დაახლოებით მე-7 საუკუნის ნახევარს, 650 წლ.  
 ასეთს. ტექსტი უნდა თავდებოდეს არაპეტის მიერ ბალა-  
 დის აღების და ბერძნების კავკასიიდან წასვლის ცნობაზე.

ამას მიყობა ორსავე ვარიანტში სია მე-7—8 საუკ. ერის-  
 თვებისა, მიმატებული, სიაში უკანასკნელად მოხსენებულ  
 ერისთვის მიხედვით, მე-9 საუკ. დასაწყისს. შატბ. ვარიანტი  
 ამას კიდევ უმატებს მე-8—10 საუკ. კათალიკოზების სიას,  
 რომელიც ჩასაკვირველია მე-10 საუკ. არის შედგენილი.

---

## ქველი ქართული მატიანიები.

ქართლის-ცხოვრების უძველესი ნაწილი, როგორც უკანასკნელ ეს ცნობილი იყო (С. Кахабадзе, О древне-грузинских письменах, №. 20-21. 1916 და მეორე გამ. 1921 წ.), შესდგება ორი მთავარი თხზულებისაგან: 1) ცხოვრება ქართველთა შეფერხა და პირველთაგანთა მ.მათა და ნათესავთა და 2) ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. პირველი თხზულება პიერერებოდა, მატიანე შივე ირსებულ ცნობილ მინაწერებისა ვამო, ლეონტი მროველს, შეორე კიდევ ჯუანშერს.

პროფ. პატკანოვის უარყოფითი კრიტიკის შემდეგ (О древне-грузинской хронике, Журн. мин. нар. прос. 1883 г. № 12), რომელ აზრის მიხედვით ქართული მატიანე შედგენილი უნდა ყოფილიყო არა უადრეს მე-11—12 საუკუნისა, მატიანები კრისტიანი გაარჩია თ. ეორდანიამ (ქრონიკ. I წინასიტყვა). თ. ეორდანიას აზრით მატიანები სდგებოდა დროგამოშვებით და ნიშილ-ნაწილ. ის ეძებს მატიანებში რამოდენიმე წყაროს: ნებრიოთიანს, —წყაროს, რომლის მიხედვით შედგენილია ისტორია აზოსი და ფარნავაზის შეფობა, შემდეგ ამას მისდევს ცხოვრება მირიანისა, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება თანამედროვეს მიერ იყოს დაწერილი და ცხოვრება ვახტანგ შეფილან 200 წლის სიგრძეზე, ჯუანშერის მიერ შედგენილი.

თ. ეორდანიას შემდეგ ნ. მარტის აქვს მატიანების გურმაღლ დათარიღების შესახებ თავისი აზრი გამოთქმული, თუმცა ცალკე წერილის გამოუქვეყნებლივ. სახელდობრ ნ. მარ-



რო მატიანეს სთვლიდა თუ უფრო აღრე არა, მე-8 საუკ. დაწერილია (Кавк. вестн., 1902 г. № 3, 18).

მატიანეების შესახებ აქვს თავისი აზრი გამოთქმული 3. ჯანაშვილსაც (Картл. იქივ., Сб. мат. опис. и п. Кавк., ვ. 35), რომელიც ძეგლის დათარიღების მხრივ, ისე როგორც 6. მატიანი, ფიქრობს, რომ მატიანე საბოლოოდ უნდა მე-8 საუკუნეში იყოს ჩამოყალიბებული. ამ სტრიქონების დამწერიც შეეხო მემატიანეებს ტალკე მონოგრაფიაში О древнегруз. летописцах XI в. (Тифл. 1912 г.), სადაც იმ აზრს ადგა, რომ ლეონტი მროველი, ავტორი მეოქეთა ცხოვრებისა, უნდა ყოფილიყო მე-XI საუკ. მეორე ნახევრის მწერალი, ხოლო ჯუანშერი კი, ავტორი ვახტანგ გორგავალის ცხოვრებისა და ამ ცხოვრების გაგრძელებისა, ლეონტი მროველზე ცატრა უფრო აღრე მცხოვრები, მაგრამ იმავე მე-XI საუკუნეში\*).

უკანასკნელ, ვრცელია ამ საკითხს შეეხო ივ. ჯავახიშვილი (ძეველ ქართ. საისტ. მუზეუმი., წ. I), რომელსაც ამის შესახებ ჯერ კიდევ 1910 წ. ჰქონდა წაკითხული ტფილისში საჯარო მოსსენება. ივ. ჯავახიშვილი საქართოდ იმ აზრს ადგა, რომ მატიანეები ჩამოყალიბებული უნდა იყოს მე-XI საუკ., კერძოდ ლეონტი მროველი არის მე XI საუკ. პირველი ნახევრის ავტორი, ხოლო ჯუანშერი, ავტორი ვახტანგ გორგავასალის ცხოვრებისა და მისი გაგრძელებისა—მე-XI საუკ. პირველ ნახევრის დასასრულს ანდა მეორე ნახევრის დამდებარებას მცხოვრები.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი „მეოქეთა უბა“, ე. ი. მატიანე ვორგავალის შეფობიდის, ვარევანულიად ერთს ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც ლეონტი მროველს მიეწერება. ჩვენც ჯერჯერობით ამ დებულებიდან გამოვიდეთ. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ მოელი თბილი

\*). იხ. შენიშვნა წიგნის ბოლოს.

ლეგბა ერთბაშად შედგენილი იყოს ერთი პირის მიერ, რომ  
 მასში არ არის წინა დროის ლიტერატურული მუშაობის ნა-  
 ლეკი ნაწილობრივ ან მთლიანად ცალკე თავებად შეტანი-  
 ლი. რასაკეირველია, არა. ჯერ კიდევ თ. ეროდანიამ აღ-  
 ნიშა (ქრონიკ., I, წინასირც.), რომ მატიანეს უძველესი  
 ნაწილი სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროების მიხედვით  
 უნდა იყოს შედგენილი. კორნ. კეკელიძე ეხლახან ვრცლად  
 და დასაბუთებულად შეეხო კერძოდ ლეონტი მროველის  
 ლიტერატურულ წყაროებს (ამავე სათაურის წერილი, ტფ-  
 უნივ. მოაშშე № 3), ივ. ჯავახიშვილიც უფრო წინად ფიქ-  
 რობდა, რომ კერძოდ ცნობა მარასახლისობის შესახებ ლე-  
 ონტი მროველს რომელიდაც ძველ საუკეთესო ქართულ  
 საისტორიო წყაროდან უნდა პეტრიც ამოღებულიო. ასევე  
 ძველ ქართულ წარმართობის შესახებაც, ამბობს ის, ლეონ-  
 ტის რაღაც სანდო ცნობები უნდა პეტრიც ხელთაო (ქართ.  
 ხაისტ. მწერ., მე-2 გამ., 180—181).

ჯერ კიდევ 1915 წ. საჯარო მოსსენებაში\*) მე შემთ-  
 ხვევა მქონდა წამომეუყნებინა მატიანის ერთ შემაღებელ  
 ნაწილის — სახელდობრ ეთნარქების სქემის გაშუქების  
 ცდა. ჩაშინ ჩემ მიერ გამოთქმული აზრით ეს სქემა ერთ-  
 ქებისა მე-7 საუკ. მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო შედ-  
 გენილი. ჩაშინვე მე ყურადღება მქონდა მიქუდილი მატია-  
 ნების ძველ შემაღებელ ნაწილებზე და დაწყებული მქონდა  
 კიდევ მათი გარკვევა, მაგრამ მუშაობის ხანგრძლივად შექე-  
 რების მიზეზით მე პხოლოდ ეხლა ისევ ვუბრუნდები ამ 8  
 წლის წინად დაწყებულ თემას გასარკვევად და გასაღრმავებ-  
 ლად.

ეგრედ წოდებული „მეფეთა ცხოვრება“, რომლის სრუ-  
 ლი სათაური იყითხვის ამნაირად: „ცხოვრება ქართველთა

\*) შინაარსი ამ მოსსენებისა დამცემილი იყო ვაშ. „ოცმში“  
 № 214, 18 აპრ. 1915 წ.

მეფეთა და პირველთაგანთა მაშათა და ნათესავთა” (მარ. ვარიანტი), ე. ი. მატიანე დასაწყისიღვან ეიდრე სხვა თბზულების—ვახტანგ გორგასლის ქავრების დაწყებამდე, შეიძლება გაყოფილ იქნის, თავის ნიშანდობლივ დამახასიათებელ ხაზების მიხედვით, აგრეთვე მოცულობის მხრივ, რას შესახებაც ქვემოდ იქნება ლაპარაკი, სამ ნაწილიდ. ტექსტი ამასთანავე, რასაკვირველია, აღმოჩენილი უნდა იქმნას ძველი მოცულობით ისე, როგორც ის წარმოდგენილია მარ. ვარიანტში. ეს სამი ნაწილი არის შემდეგი.

პირველი—ეს არის ეთნარქების და ეპონიმების სქემა, რომლის სათაური შეფარვით შენახული იქვს ლეონტი მროველსაც—„ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მაშათა და ნათესავთა”. ამ სათაურში უფრო ძველი, რასაკვირველია, მეორე ნაკვეთი („მაშათა და ნათესავთა”) და არა პირველი („მეფეთა”), რის გამო ჩვენ შეგვიძლია ეთნარქების და ეპონიმების ძველი სათაური აღვაღინოთ ამ ნაირად: „ცხორება პირველთაგანთა მაშათა და ნათესავთა”. რომ ეს მოსაზრება შართალი უნდა იყოს, ეს სჩანს შემდეგ გარემოებიდან. ნათესავი—ძველს ქართულში ნიშნავდა გუნდსაც. ამ აზრითაც იხმარება ეს სიტყვა სახარებაში, მაგ., იხ. შათე 27<sup>27</sup>, სადაც სიტყვა ნათესავი უდრის სომხური ტექსტის ყავნაზ. ამიტომ ეს სათაური ახალი ქართულით შეიძლება წაკითხულ იქმნას ამნაირად: ისტორია ქართველთ მეფეებისა, პირველ მაშათა და ტომებისა. ცხადია, რომ აქ სათაური არეცულია და სიტყვა „ქართველთა მეფეთა” შემდეგ უნდა იყოს ნიმატებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თავიდანვე სათაურის ასეთი არეცული ფორმით შედგნა.

ამ გვარად პირველი ნაწილის სათაური არის „ცხორება პირველთაგანთა მაშათა და ნათესავთა”. ეს ნაწილი შეიცავს ეპონიმების მთელს სქემას ვიღრე ხაზართა გამოსელის შესახებ მოთხრობამდის (ქ. ც.-ბა ბროსეს გამ., I, 15—21, მარ.



ვარ., 1—8). ამ ნაწილს მისდევს თხრობა ხაზართა გამოსკლის და ამისი მიმყოლი მოვლენების შესახებ ვიღრე ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდის. ხაზართა გამოსკლის შესახებ თხრობა, როგორც ნაჩვენები იქნება, „მეფეთა ც-ბის“ ნაწილს უნდა შეატანებოდეს.

მეორე ნაწილს მატიანესას დაცული აქვს სათაური— „თვი შემოსულია ალექსანდრესი“ (მარ. ვარ., 13) და შეიცვალ თხრობას ფარნავაზის შესახებ (ბრძ. გამ., I, 26—32, მარ. ვარ., 13—23).

შესაძე ნაწილი კიდევ შეიცავს დანარჩენს ტექსტს საურ-  
მაგიდან დაწყებული მოლომდის, ე. ი. უვახტინგ გორგასლის  
ცხოვრების „დაწყებიმდის, ფაქტიურად მაშასადამე მირდარ შე-  
ფერდის ამისი ისტორიის თანმითვლით (ბროს. გამ. I, 32—107,  
მარ. ვარ. 22—117). ტექსტს მხოლოდ უნდა გამოეკლოს  
წმ. ნინოს ცხოვრება (მარ. 55—110), რომელიც, რო-  
გორც ცნობილია, შემდევ დროინდელ ნართაულს წარმო-  
ადგენს, ხოლო ადრეკის მეფობაში ამის გარდა კიდევ  
თხრობა უფლის კვართის მოტანისა და ანდრია მოციქულის  
ქადაგების შესახებ, რომელი თხრობანი (მარ. ვარ., 30) შემ-  
დევ არის მატიანეში შეტანილი.

„მეფეთა ცხოვრების“ ცალკე ნაწილად შეიძლება ჩაითვა-  
ლოს ზემოდ აღნიშნული თხრობა ხაზართა გმოსელის შე-  
სახებ, რომელიც ტექსტის თანდათანობით განვითარებასთან  
უშუალოდ დაკავშირებულად არა სჩანს. მაგრამ, როგორც  
დაეინახავთ, „მეფეთა ცხოვრებასთან“ უნდა იყოს დაკავში-  
რებული.

პირველი ნაწილი — „ცხორება პირველთაგანთა მამათა  
და ნათესავთა“ — მეთოდოლოგიურად დამყარებულია ძელის  
ხრონიკათვებშე, აქამდის მიღებული აზრით (ივ. ჯავახი-  
შვილი, სახელმწიფო მუზეუმი, გვ. 10—11) და არა მარტინ არმანი  
(არმან არმანის ძე, მეცნიერებების დოკორაციის მიმღებადი). მათ  
შემდეგ დაუდინაობენ მარტინის მიღებული აზრის მიხედვით.



ნალურ მეცნიერულ შემოქმედების ნაყოფს. აქტორს, როგორც სჩანს, ხელთ ჰქონდა ლიტერატურული წყარო ნებროთის შესახებაც.

მეორე ნაწილი — „თავი შემოსულა ალექსანდრესი“, დამყარებულია ლიტერატურული თავისს დასაწყისში ფსევდოკალისთვის „ალექსანდრიაზე“ (პ. კეკელიძე, დასახელ. შრომა), საერთოდ კიდევ აგრეთვე წარმოადგენს თვალსაჩინოდ დამოუკიდებელ ნაწარმოებს, კერძოდ ფარნავაზის ცხოვრების აღწერილობაში ორიგინალურ შემოქმედების ნაყოფს, შეზავებულს, როგორც ეს ნ. მარტიმა უწვენა (Боги языч. Грузии, 10), ირანულ მავალ-ზღაპრულ თხრობათა გლოსებით და ქართველ ხალხურ სიტყვიერების ნიშვნითაც (პ. კმკელიძე, დასახ. შრომა, 4).

შესამც ნაწილი ვიღრე „ვაზტანგ გორგასლის ცხოვრება“ — მდე — საკუთრივ „მეფეთა ცხოვრება“ — არის კარგად დამუშავებული ნაწარმოები, რომელშიდაც ეპიური აზროვნება ავტორისა ეჯიბრება საკუთრივ ქართულ მატიანის დაწერის ცდას.

შესამც ნაწილში შედის თხრობა ხაზართა გამოსელის შესახებ (ქ. ცხ. I, 21—26, მარ. ვარ. 8—13), რომელიც შედგენილია თვით ავტორისავე მოხსენებით სპარსულ „მეფეთა ცხოვრების“ გამოყენებით. მეფეთა ცხოვრება აქ ნაგულისხმევი არის, როგორც დაეინახავთ, ფაზლაური ძველი ხუდაინამე, საიდანაც ქართველ ავტორს იმოლებული იქვე მისთვის სინტერესო ცნობები.

ასეთია ჩოელი დიდი თხზულების — ეგრეთ წოდებულ „მეფეთა ცხოვრების“ საერთო დანაწილება სამ ნაწილად ან, როგორც შეიძლება კიდევ მათ ვუწოდოთ, სამ ნაწარმოებად. პირობით ისინი გარჩევის დროს ამიერილებან ცალკე ნაწარმოებად იქნებიან მოხსენებულნი. მათ განარჩევს ერთმანეთისაგან ტერმინოლოგია, ისტორიულ ხასიათის რეალები და, უკანასკნელ, შინაგანი ნიშანდობლივი თვისებანი. დავიწ-



ყოთ პირველი ნაწარმოების გარჩევიდან და თანდათან შევა-  
ფარისოთ ერთმანეთს ყველა ზემოდ ხსენებული ნაწარმოები.

ჰაოსის წილის სახლვარი პირველ ნაწარმოგბში („ცხო-  
რება... გამათა და ნოტესაფთა“) ასევე ნაჩვენებია: „აღმოსავ-  
ლით ზღუა გურგანისა, რომელსა ამ გილანის ზღუად სახელ-  
სდებენ, დასავლით ზღუა პონტოსა, რომელსა ამ ზავ ზღუად  
სახელსდებენ, სამხრით მთა ორეთისა, რომელ არს ქურთოა  
ქუყანასა პირისპირ მიღისა, ჩრდილოთ მთა კავკასია, რო-  
მელსა სპარსი იალბუზს უწოდენ“ (ქ. ცბა I, 16, მარ. ვარ. 1).

օյ პირვეანდეռ ტექსტու საკუთարი სახელցბո განმარტე-  
ծովագ և սիան Շեմდեզաւրուն դր ტրութուն ցեղական Շետարկեցոտ,  
թագ., սաხելիուցի Շացո նկա նայուա ճապարա ծեհմնուլ პան-  
ցունո. Ֆերմենցի Շացո նկա սկանենց Պոնտօ. Սաხելիուցի  
Շացո նկա գահնու շաբա մաս Շեմդեց, հապ პայանոցնո մույնը-  
ցն ամ նկա ինքուլուտ սանաձուրու, մահասաւամբ առա յա-  
կա Շե-ն սառչ. յի. Շեմդեց. Շյասմեց ծեղու օնուց, հոմ յե  
սաხելիուցի առ ուսու პորւաձուն գայա Շոհեց պալո նայանուտա  
գալաշաբա ծետան. յոցյու Շեմտեց յու յրու համ լուսու,  
սաხելունք, հոմ սաხելիուցի Շացո նկա առու սեց յուր-  
մայուս, յուրու პոն րո, լա յայրու մերմին ցեղուու.

გარდა პონტოს ზღვის სახელწოდებისა, ამ ტიტადაში კიდევ სინტერესო გურგანის ზღვის სახელწოდება, რომლის შესატყვევისად შემდეგ დროისთვის გილანის სახელი არის ნაჩვენები.

სახელშოდება პონტოს და გურგანის ზღვის აქ სჩინს როგორც პირვანდელი, შედარებით ამავე ზღვების შავად და კილანისად წოდებულებასთან.

ესევე პირვენდელი სახის ტერმინოლოგია წარმოდგენილია ამ პირველ ნაწილის სხვა აღილებშიაც. „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვერი აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისა, დასავლით ზღუა პონტოსი“ და სხ. (ქ. ც-ბა I, 16, მარ. ვარ., 2).

პირველ ნაწარმოებში („ცხორ. მამათა და ნათესავთა“) ამ გვარიად შევის ზღვის სახელიად გვხვდება პონტო.

შეორებ ნაწარმოებში (თავი ალექსანდრეს გამოსულა) უკავი პონტოს მაგივრად გვხვდება სხვა ტერმინი, სახელდობრ „ზღვა სპერისა“. „დაიპყრნა (აზომან) ყოველნი საზღვაონი ქართლისანი ბერდუჯის მუნიციპატებან ვიდრე ზღვადმდე სპერისა“ (ქ. ც-ბა I, 28, მარ. ვარ. 15). ეს ახალი სახელწოდება, ცხადია, წარმოებულია იმ გვარიადვე, როგორც გეოგრაფიული სახელი სპერი, ზღვის სახელიც ამ პროვინციის წოდებულობის მიხედვით უნდა იყოს წარმოებული და ორივე ის ერთნაირად დაკავშირებული ეთნიურ ტერმინთან სასპირი. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ აქ სხვა წარმოების ტერმინთან გვაქვს საჭმე.

ეს ტერმინი „ზღვა სპერისა“ გვხვდება ადგილ-ადგილ პირველ ნაწარმოებშიც („ცხორ. მამათა და ნათეს.“): „და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი ხუნანითგან ვიდრე ზღვადმდე სპერისა“ (ქ. ც-ბა I, 19, მარ. ვარ. 5). „ტულილისითგან და არაგვითგან დასაელით ვიდრე ზღვადმდე სპერისა“, „ტასისკარითგან ვიდრე ზღვადმდე სპერისა“ (იქვე 20 და 6—7). შესძლებელია თუ არა ეს ადგილები, პონტოს მაგივრად სპერის ზღვის სახელწოდებით, სხვადროინდელს, თუნდაც მეორე ნაწარმოების ავტორის ინტერპოლაციას წარმოადგენდეს? ამ საკითხის გამოსარჩევებად ჩვენ უნდა განვცხრილოთ სხვა, ანილოდის განმარტებათა შემცველი ადგილებიც.

საყურადღებოა, რომ იმავე პირველს ნაწილში მოიპოვება ახალი ინტერპოლაცია გურგანის ზღვის სხვა სახელწოდების სახით. „უმკვიდრო იყო ქუეყანა იყი კავკასიონგან ვიდრე მდინარედმდე დიდად, რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისას. ამისთვის მოიყვანნა მრავალთა გმირთაგან თრია გმირნი ლექან და კავკასი და მისცა ლექანს ზღვითგან დარტბინდისათა ვიდრე მდინარედმდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასის ლო-



შეეცის მდინარითვან ვიღრე დასასრულადმდე კაფეასისა და უალით\* (ქ. ც.-ბა I, 17., მარ. ვარ. 3).

აქ გურგანის ზღვა არც გილანის ზღვად არის დასახელებული, არამედ დარჩებინდისად. ეს მით უფრო სიინტერესობა, რომ ზემოდ მოყვანილ ტირადას თან მისდევს ტექსტი თბილობა ჰაოსის დამკვიდრების შესახებ: „და დაიპყრა (ჰაოს) ქუდიანა... აღმოსავალით ვიღრე ზღულადმდე გურგანისა”...

რომ ეს ადგილი საერთოდ შემდეგდროინდელ ინტერნაციას წარმოადგენს, ეს სჩანს შემდეგ გარემოებიდანაც. თარგამოსის შეიღების შესახებ მატიანეში კი ითხოვლობთ: „ხოლო შეიღოთაგან თარგამოსისთა გამოჩენდეს კაცნი რვანი ვმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაჯან, მესვეთხესა ლეკოს, მეექვესესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეკროს”. (ქ. ც.-ბა I, 16, მარ. ვარ. 2). შემდეგ ჩამოთვლილია ამ ეთნარქების ხევდრი სამფლობელო. ჰაოსი ლებულობს მამეულის ნახევარს, შემდეგ დასახელებულია ქართლოსის წილის საზღვრები. ამას მისდევს ბარდოსის, მოვაჯანის, ჰეროსის და ეგროსის წილის საზღვრები. ეგროსის შემდეგ კი მოხსენებულია, გურგანის ზღის დარჩებანდისად წოდებით, ლეკოსის და კავკასის წილის საზღვრები. რიგი აქ ამგვარად დარღვეულია. ჩამოთვლის დროს ლეკოსი თავისს ადგილას გამოტოვებულია და ავრეთვე კავკასიც და შემდეგ ბოლოში კი ერთად ისხენიებიან. ეს გარემოება, ზემოდ მოყვანილ ცნობასთან გეოგრაფიულ ტერმინის შეცვლის შესახებ დაკავშირებით, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ცნობა ლეკოსის და კავკასის ხევდრ წილის საზღვრების შესახებ პირველ ნაწილში შემდეგ უნდა იყოს ჩამატებული.

საყურადღებოა ამ ნაჩთაულ ტირადაში ტერმინი ლომეკი მდ. თერგისთვის. ლომეკად ისხენიება მდინარე თერგი ნაწარმოებში ხაზართა გამოსვლის შესახებ ორს ადგილას:



„და მისცა (ხაზართა მეფებმ თავისს შვილს უობისს) „ქუდიანიკა კაცკასის ნაწილი ლომეკის მდინარისა დასავალით დასავლეთადმდე მთისა და დაეშენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოცნი“ (ქ. ც-ბა I, 22, მარ. ვარ. 9). „ხოლო მასვე გზობასა მისცა მამის ძმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა აღმოსავლით ზღვითვან დარუბანდისით მდინარედმდე ლომეკისა და მისცა ტყვე რანისა და მოვაკნისა და ეშენა მუნ“ (ქ. ც-ბა I, 22—23, მარ. ვარ. 9).

ჯუანშერის თხზულებაში („ცხოვრება ვახტანგ გოგიასლისა“....) ისხენიება „ქართლისა არაგვი და თვესეთისა არაგვი“ (ქ. ც-ბა I, 116, მარ. ვარ. 129), სადაც თვესეთის არაგვად ზემოდ ხსენებული ლომეკი იგულისხმება. ეს გარემოება, ეკეს გარეშეა, განარჩევს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიის მხრივ ზემოდ ხსენებულს ისტორიულ თხრობას (ხაზართა გამოსვლას) ჯუანშერის თხზულებიდან. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ამ (მესამე) ნაწარმოების ავტორი იმავე თავში ხაზართა გამოსვლის შესახებ დარიალს უწოდებს არაგვის კარს (ქ. ც-ბა I, 22, მარ. ვარ. 9) და ეინაიდგან დარიალი თერგზედ არის, ამიტომ შესაძლებელია ამ დროს ქართველებში უკვე არსებობდა მდ. თერგისთვის ტერმინი „თვესეთისა არაგვი“. მაგრამ „ხაზართა გამოსვლის“ ავტორის მიერ ლომეკის სახელის ხმარებას აქვს მაინც, განსაკუთრებით სხვადასხვა ავტორთა თხზულებების ერთმანერთისაგან გარჩევის თვალსაზრისით, თავისი მნიშვნელობა.

ზემოდმოხსენებულ ტიტალიში, ხაზართა მეფის მიერ თავის მამის ძმისწულისთვის ხეედრი წილის მიცემის შესახებ, მოხსენებულია რანი და მოვაკნი („მისცა ტყვე რანისა და მოვაკნისა“). რანი აქ უდრის ბარილის წილს. რანი,—სპარსული ფორმის სახელი მდინარე მტკვრის სამხრეთით მდგბარე ქვეყნისთვის, ჩვეულებრივი მოვლენაა შესამე ნაწარმოებში როგორც ბარდოსის ხველრ ტერიტორიის სახელწოდება. „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთითვან ქართლს, სომხითს,



რანს, პერეთს, მოვაკანს და ეგრისს“ (ქ. ც-ბა I, ტერეზებულება კიდევ იქვე 39, 60, 62, 64, 101, 106, 108).

საყურადღებოა I და II ნაწილის შესამესაგან განსარჩევად ერთი გარემოება. პირველ ნაწილში ვკითხულობთ: „ოძრახოსს მისცა (მცხეთოსმა) ტასისკარითვან ვიღრე ზღუადმდე სპერისა.... ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითვან ვიღრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ამ შეერთ ჰური“ (ქ. ც-ბა I, 20, მარ. ვარ. 7). ესევე აღილი განშეორებულია მოთხრობაში ფარნავაზის შესახებ: „და მიეცება (ფარნავაზ აზონს) ნაქალაქეებსა თანა არტანისა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი რომელ არს ჰური და ეწყუნეს მუნ“ (ქ. ც-ბა I, 31, მარ. ვარ. 31).

სრულებით განსხვავებით არის მოთხრობილი ქაჯთა ქალაქის დაარსება და თეით სახელიც მისი შესამე ნაწარმოების დასაწყისს. „ხოლო აღერკისითვან ესე მეფენი იყენეს მორჩილებასა შინა სომეხთა შეფისასა, უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა ზედა. მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემდლიერა ფარსანს არმაზელსა და მიუღი საზღვრარი ქართლისა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მეცნი ნათესავნი დევთანი და უწოდა სახელად ქაჯატუნი, რომელი ითარგმნების დევთ სახლი“ (ქ. ც. ბ. I, 48, მარ. ვარ. 32). მეორე ნაწარმოებში ქაჯთ ქალაქი განსხვავებულია წუნდასაგან და დაქავშირებული ჰურთან, აქ (მესამეში) კიდევ ეს სახელწოდება წარმოდგენილია სომხური ფორმით (ქაჯტუნ) როგორც წუნდას შესატყვისი.

პირველს ნაწარმოებში მდ. იორი წოდებულია მცირე ალაზნად. „და მოვაკანს მისცა (თარგამოსმა) მტკურისა ჩრდილო მცირისა ალაზნისა შესართავითვან ვიღრე ზღუადმდე (ქ. ც-ბა I, 17, მარ. ვარ. 2)...ხოლო ჰეროს მისცა ქუეყანა



მტკურისა ჩრდილო მცირისა აღაზნის შესართავისგან უძღიერე  
ტყებადმდე, რომელსა აწ პქუიან გულგულა და ამან ჰეროს  
აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე  
აღაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი" (იქვე). მესამე  
ნაწილში კი გვხვდება სახელი იორი: ხოლო ეს ყოველნი  
ჩრდილონი განსრულ იყონეს მტკუარსა და მისრულ იყონეს  
კანბერივანს და დაებანავათ იორსა ზედა" (ქ. ც-ბა I, 49, გარ.  
ვარ. 32—33).

ეს ცალკე ნაწარმოებნი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან  
ტენიკურ, ასე ვსოდეთ, ტერმინოლოგის თვალსაზრისითაც. მეორე ნაწარმოებში, მაგალითად, იარაღად შვილდ-ისრის  
გარდა იხსენიება ოროლი და ჩუგლუგი: „ხოლო ფარავაზ  
აღმოილო ჩუგლუგი და გამოაროვია კარი ქუაბისა მის" (ქ.  
ც-ბა I, 29). მესამე ნაწარმოებში, მართალია, ჩუგლუგი  
იხსენიება — „აღიზახნეს ორთავე (დღერკ და არშაკმა) და იწყეს  
ორთავე გურემად ოროლითა... და გაუტყდათ ოროლები,  
აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა" (იქვე, 38), — მაგრამ ჩუგლუგის გარდა იხსენიება ხმალიც,  
რომელიც პირველმა და მეორე ნაწარმოებმა სრულიად არ  
იცის. „იწყეს ბრძოლად კრმლითა" (იქვე, 53), „აღმოიხადა  
კრმალი" (იქვე, 55).

გარდა ამისა ხსენებულ ნაწარმოებებს შორის არის სხვა  
განსხვავებაც ლექსიური, სტილისტური და, უკანასკნელ, ში-  
ნაგან თვისებების და ანაგების მიხედვით, რაც განაშორებს  
მთ ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განსხვავებათა წარმოჩნდა  
უფრო აღვილი იქნება ცალკე ნაწარმოებთა სათითაოდ გან-  
ხილვის ღროს.

პირველი ნაწარმოების — „ცორება პირველთაგანთა მა-  
მათა და ნათესავთა" განხილვისას და უპირველეს ყოველისა  
ტექსტის აღსაღვენად მხედველობაში მისაღებია ის გარემოება,  
რომ ეს ნაწარმოები, როგორც ზემოდ ვნახეთ (გვ. 99—101),  
შეიცავს შემდეგდროინდელ ინტერპოლაციებს. გარდა უკვი



ნამოთვლილ ადგილებისა, მოწევნულ ტექსტში უნდა ჩიტანა კიდევ შემდეგი ინტერპოლაციები, რომელიც თავისი ხსიათით პირვენდელ ტექსტის კუთვნილებას არ უნდა შეაღენდეს და შეიძლება შემდეგდროინდელ ნართაულს წარმოადგენდეს. ჩემის აზრით, ამ გვარი ინტერპოლაციის შედეგი უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელების განმარტებანი. „ზღვა პონტისა, რომელსა აწ შეადგენდებან;“ „ჩრდილოთ საზღვარი ღადო-მთა, რომელსა აწ ჰქონდებან;“ „ვიდრე ტყე-ტბა ადმდე, რომელსა აწ ჰქონდებან გუაბულა;“ „პერეთი (ქალაქი) და აწ მას ადგილს ჰქონდან ხორანთა“ (ქ. ცბ. I, 16—17).

საყურადღებოა შემდეგი ადგილი პირველ ნაწარმოებში: „ეგროსს მისცა (თარგამოსმა) ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქონდებან დაბა“ (ქ. ცბ. I, 17, მარ. ვარ. 3). „მთა მცირე“—აქ შეიძლება იყოს გადამახინჯებული მთა ცროლი, რომელიც „მთა ცროლისად“—ს სახით იხსენიება „მოქც. ქართლ.“-ში (Опис. русл. обш. грам. II, 709), ლიხი კიდევ—შემდეგ დროინდელი ინტერპოლაცია.

სხვა დროის განმარტების შედეგად უნდა მიეჩნიოთ აგრეთვე შემდეგი ადგილი: „მის ვამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი ხუნანითგან ვადრე ზღვადმდე სპერისა. შემდგომად ამისსა ამანვე ქართლის აღაშენა ციხე თრზისა, რომელსა აწ ჰქონდან სამშვალდე და კუალად აღაშენა მტკურის-ციხე, რომელსა აწ ჰქონდან ხუნანი“ (ქ. ცბ. I, 19, მარ. ვარ. 6). სპერის ზღვის მოხსენება ამ ციტატაში ცხად ყოფს, ზემოდი თქმულის მიხედვით (გვ. 100—101), ამ ადგილის შემდეგდროინდელ ნართაულობას, დანარჩენი ადგილები მოყვანილ ციტატაში წარმოადგენენ გეოფრ. ტერმინების განმარტებას და, როგორც ასეთი, აგრეთვე ინტერპოლაციის შედეგი უნდა იყვნენ.

„ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსაც მაშინ ერქვა სანადირო ქალაქი. ხოლო კუხოს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქონდან რესთავი“ (ქ. ცბ. I, 19, მარ.



ვარ. 6). უკანასკნელი 4 სიტყვა აგრეთვე ნართოული: სუნდუქი წარმოადგენდეს.

როგორც აქ ჩამოთვლილ, ისე ზემოდ (ვვ. 99—101) ნაჩვენებ ნართაულ ადგილების გამოკლებით ჩვენ მივიღებთ „მამათა და ნათესავთა ცხოვრების“ პირვენდელ სახის დაახლოებითი ტექსტს, რომელიც აქ ადგილის ეკონომიკისთვის ვერ მოგვყავს.

ეხლა ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ეს „პირველთავანთა მამათა და ნათესავთა ცხორება“ და როდის უნდა იყოს ის შედგენილი. „მამათა ცხოვრება“ წარმოადგენს ორიგინალურს ნაწარმოებს, რომელშიც მოთავსებულია კავკასიის ეთნარქების და ქართულ ეპონიმების სქემა და, ავტორის მიერ დასახული მიზნით, შეიცავს ქართველი ხალხის წარმოშობისა და უძველეს ისტორიის გაგების ცდას. მეთოდოლოგიურია ეს ნაწარმოები დამოკიდებულია ბერძნულ ხრონიკრატებილან, საიდანაც უნდა იყოს აღმოჩენილი ცნობა ჰაიების და ქართველების იაფეტისაგან წარმომავლობის შესახებ. კავკასიის ხალხების იაფეტისაგან წარმომავლობის შესახებ ცნობა ჰქონდა ჯერ კიდევ მე-3 საუკ. პირველ ნახევრიში ქრ. შ. მცხოვრებ ბერძნულ ქრონიკის ავტორს, პირტის ეპისკოპოსს იპოლიტეს, რომელმაც დასწერა „წარმომავლობის წიგნი“. ამ წიგნის მხოლოდ ლათინურმა თარგმანშია მოაღწია ჩენენამდის. ამ ტექსტში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ეს ტომები იაფეთი გავრცელებული არიან მიღიადან ოკეანეს დასავლეთამდის და უწევენ ჩრდილოეთამდის.“ შემდეგ ჩამოთვლილია ხახელები, რომელთა ხახელები უკვეთეს ვარიანტების მიხედვით საბოლოოდ იკითხვის როგორც ეს აქვე მოყვანილი იქნება. Et haec gentes Jafeth a Media usque vesperum oceanii diffusae sunt adtendentes usque ad borram: Medi, Albani, Gargani (=Hyrcani), Arrei (=Arii), Armenii, Amazones, Choli, Corzini (=Chorzeni), Benaginæ, Cappadoces, Paflagones, Mariandyni, Tibarenses, Cha-



lybes, Mossynoeci, Colchi, Melanchlaeni, Sarmatae, Sauro-matae, Meotes, Scythae, Tauri, Thraces, Bastarnae... (Monum. Germ. hist. IX, 78). ციტატა მოყვას ვ. ლატიშევს ჩავ. II, 445). აյ ჩამოთვლილ სახელებს შორის ყურადღებას იქცევს: Armenii, Corzini (=Chorzeni) და Colchi. ამ სახელთაგან მეორე დაცულია პირდაპირ ბერძნული ფორმით, ის ცხადად უდრის სტრაბონის ჯირზუნებს, რომელი სახელიც, ადგილიდან წარმომავლობის მაჩვენებლის გამოკლებით, არის, ჩემის აზრით, მატარებელი ქართველების სახელწოდებისა მეგრულ-ქანური ახმოვანებით: ჯირ=ქორთუ=ქართველი (იხ. ამის შესახებ ს. კავაბ.—ქართულ სახელმწიფო ებრიონის გვნებისის ხავითხები). მესამე სახელი—კოლხებისა, ისე როგორც პირველი, განმარტებას არ თხოვულობს. საყურადღებოა, რომ ეპისკოპოსი იპოლიტე კოლხებს ქართველებისაგან ცალკე იხსენიებს და ამის შემდეგ გასავები ხდება, თუ რატომ „მამთა და ნათესავთა ცხოვრებაში“ ეგრისის ეპონიმი ცალკედ, ქართლოსის ძმად და, მაშასადამე შეიძლება ითქვას, მის თანასწორად არის დასახელებული. ეს გარემოება, დაკავშირებით იმ ფაქტთან, რომ ქართველ მემატიანეს ეთნარეკების და ეპონიმების სახელები ბერძნული დაბოლოებით ას მოყვას (თარგამოს, პაოს, ქართლოს და სხ.), საჭმოდ ცალდად უნდა გვიჩვენებდეს ქართველ ფეოდალის დამოკიდებულებას მეთოდოლოგიურად ბერძნულ წყაროზე, შესაძლებელია, სწორედ იპოლიტეს თხზულებაზე. უნდა ითქვას, რომ იპოლიტეს „წარმომავლობის წიგნს“ ჰქონდა დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა როგორც ბერძნულ-ბიზანტიურს, ისე დას. ეკროპის ისტორიულ ლიტერატურაში და ამიტომ ადგილი გასავებია, რომ ამავე ნაწარმოებს ჰქონდა ხელმძღვანელობითი მნიშვნელობა ქართველ მამატიანესთვის ძველს დროშივე.

გარდა ამ მეთოდოლოგიურ მომენტისა „მამთა და ნათესავთა ცხოვრებაში“ ძლიერ საინტერესოა თვით სქემა გთ-



ნარქების და ეპონიმებისა იმდენად, რამდენადაც შესშინ გამოიყენებოდა სკოლის განსაზღვრული ისტორიულ პერიოდების ქარგა. ამ გარემოებას, ჩემის აზრით, უნდა ჰქონდეს ძლიერ დიდი მნი-შენელობა კერძოდ თვით ამ ნაწარმოების დასათარიღებლად, რადგანაც ეჭვს გარეშეა, რომ ეთნარქების სკოლას უდევს ხა-ფურცელად განსაზღვრული ისტორიული სარჩული, რომელიც თაოულობს განმარტებას და გარკვევას.

„მამ, და ნათ. ც-ბაში“ ქართლოსის წილი ნანერებია შემდეგ საზღვრებში: „აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისა, დასავლით ზღვა პონტოსი, სამხრით მთა რო-მელი მიჰყების ბერდუჯის მდინარის თავს და მთა რომელი მიჰყების დასავლით კერძო, რომლის წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელი მიჰყე-ბის მთა შორის კლარჯეთისა და ტაოს ვიცრე ზღვიმდის და ჩრდილოთ საზღვარი ღალა-მთა (ქ. ც-ბა I, 16).“ ქართლოსის წილის აღმოსავლეთ საზღვრის გამოსარკვევად მნიშვნელობა აქვს ჰეროსის წილის აღწერილობას. ჰეროსის წილი იყო (ქ. ც-ბა I, 17) „ქუეყანა მტკურისა ჩრდილო, მცირისა ალა-ზნის შესართავიდგან ვიცრე ტყეტბადმდე (რომელსა აწ ჰქუ-იან გულგულა) და ამან ჰეროს ალაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახე-ლი თვესი ჰერეთი და მის გამო ჰქუიან ჰერეთი (და აწ მის ადგილს ჰქუიან ხორანთა).“ ამ აღწერილობიდან (უხადად სჩინს, რომ ქართლოსის წილის საზღვარი ავტორის წარმოდგენით გადიოდა დაახლოებით კახეთის ქედის ხაზზე ციცის მწვერ-ვალამდის, ხოლო აქედან აღმოსავლეთისეკნ გადაჭრით თე-ლავ-გულგულას ხაზზე (გულგული ეხლი მდებარეობს თელა-ვიდან ჩრდ.-აღმ. ჩკლმ.-ზე). საყურადღებოა, რომ 506 წლ. ახლო ხანის ქართველ ეპისკოპოსთა სია (ს. კაებ., ქართ. სახელმწ. გენ. საკითხ.) ამ ხაზის გარეშე გვიჩვენებს ორს საეპისკოპოზოს—ჰერემისას და ბერთის ანუ ჩელებისას. ეს გარემოება კი იმის მანერებელი უნდა იყოს, რომ ეთნარქების

სქემა თავისი გეოგრაფიული, ასე ეთქვათ, გენეზისით წინა-  
 უსწრებს მექენის საუკუნეს და მეხუთე საუკუნის დასასრულ-  
 საც. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში  
 შენახულ ცნობის მიხედვით კერძოის და ჩელეთის საეპისკო-  
 პოსო კათედრები ვახტანგის მიერ არის დაარსებული. ამისდა  
 მახედვით შეიძლება ითქვას, რომ ეთნარქების სქემა თავისი  
 გეოგრაფიული გენეზისით არ შეიძლება მეხუთე საუკუნის  
 დასასრულის შემდეგდროინდელ ხანას მიეკუთვნოს.

დასავლეთი საზღვარი ქართლისის წილისა, სქემის მი-  
 ხედვით, უწევს შავ ზღვამდის. სომხურ უსახელო გეოგრა-  
 ფიაში (ვენეციის გამოცემა სუკრისა) დაცულ იმერიის და  
 კოლხიის აღწერილობით, რომელიც მე-4 საუკ. ნახევრის  
 უნდა იყოს (ს. კაკაბ., ქართ. სახელმწ. გენეზ. საკ.), შევი  
 ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო კოლხიდას მიეკუთვნება. კოლ-  
 ხიდაში არის ტრაპიზონი და ოლქები ჭანეთი, ლაზების ქვე-  
 ყანა, საკუთრივ ეგრისი და მარგვისი. ეგრისი, როგორც  
 სჩანს, მდ. ფაზისამდის უწევდა. მარგვისი იქნებოდა ეგრისის  
 როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთითაც, როგორც ამის  
 მოცულობა მოხსენებული აქვს ფარნაოზის ცხოვრების ანუ  
 მატიანეს მეორე ნაწარმოების აღწერელსაც. უფრო სამხრე-  
 თით მდებარეობდა ლაზების ქვეყანა და შემდეგ ჭანეთი (და-  
 წვრილებით იქვე). ცხადია, რომ უსახელო გეოგრაფიაშ ჯერ  
 არ იყის იმერიის საზღვრები შევი ზღვის სანაპირომდის. ეს  
 ვარემოება კი თვალსაჩინოდ განაშორებს ეთნარქების სქემას  
 გეოგრაფიაში დაცულ იმერიისა და კოლხიდის აღწერილო-  
 ბისგან. ვინაიდგან მე-4 საუკ. ნახევარში იმერია ჯერ კიდევ  
 შავ ზღვას არ უწევდა, მეორე მხრივ ეთნარქების სქემის  
 შედგენის დროს სქემის გეოგრაფიული რუკა 3—4  
 თაობის წინად მაინც ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო,—  
 უფრო მოკლე ხანში ძნელი გასავები იქნებოდა გენეზისის  
 ლიტერატურულად ჩამოყალიბება,—ამიტომ საფიქრებელია,  
 რომ ამისდა მიხედვით ეთნარქების სქემის შედგენა შეიძლე-



ბა მიეკუთხენოს დაახლოვებით მეხუთე საუკუნის შექმნა  
ნახევარს.

„მამ. და ნათ. ცხ.-ბის“ დასათარილებლად მნიშვნელობა  
აქვს ჰეროსის, მოვაკანის და ბარდოსის წილის გეოგრაფიულ  
მოცულობას. ჰეროსის წილი ქართლოსის წილის აღმოსავ-  
ლეთით ფრინად შეზღუდული იყო, რადგან მის აღმოსავლე-  
თით „მცირისა ალაზნისა შესართავითან ვიდრე ზღუადმდე“  
(ქ. ც.-ბა I, 17) მდებარეობდა მოვაკანის წილი, რომელიც  
„მტკურის ჩრდილო“-ს წარმოადგენდა. ჰეროსის წილის აღმ.  
საზღვარი, ამ გვარიდ, იყულისხმება იორის შესართავითან გა-  
დაჭრით ჩრდ.-აღმოსავლეთით კავკასიონის ზრდასეკენ. მის აღ-  
მოსავლეთით და მტკურის ჩრდილოეთით კასპიის ზღვამდის  
მოვაკანის წილი იყულისხმებოდა. მტკურის სამხრეთით, „მერ-  
დუჯის მდინარითან ვიდრე სადა შეკრძებიან მტკური და  
რავსი“, მდებარეობდა ბარდოსის წილი. ტრიად სანტერესოა,  
რომ „მამ. და ნათ. ცხ.-ბის“ აეტორი ჰყოფს ერთმანეთისა-  
გან ჰეროსის, მოვაკანის და ბარდოსის წილ კვეყნებს. ცხა-  
დით, ჩვენ აქ გვაქვს საქმე განსაზღვრულ პოლიტიკურ მდგო-  
მარეობის განსახიერებასთან და სახელდობრ ისეთს ხანაში, რო-  
დესაც აღმანია გაყიდვილი იყო სამ პოლიტიკურ ერთეულად.

სტრაბონის დროს აღმანელებს ექირათ ტერიტორია  
„იმპერიასა და კასპიის ზღვას შორის, აღმოსავლეთით ემსრო-  
ბოდნენ ზღვას, დასავლეთით იმპერიას, ჩრდილოეთით აღმა-  
ნია დაცულია კავკასიის მთებით, სამხრეთით ის ესამზღვრება  
სომხეთს. ეს უკანასკნელი ნაწილი აღმანიისა ადგილ-ადგილ  
დაბლობს წარმოადგენს, ადგილ კიდევ მთიანია, განსაკუთ-  
რების კამპისენე (Камбусიური — კამპენიოვანი), საჯაც ერთმა-  
ნერთს ეყრდნობან სომხეთის, იმპერიის და აღმანიის საზღვრები.  
მტკვარი, რომელიც აღმანიაზე მომდინარეობს და ავრეთვე  
სხვა მისი შენაკადი მდინარეები აძლიერებენ ამ ქვეყნის ლირ-  
სებას“ Geogr. XI., 4<sub>1</sub>. Латыш. I, 141).

სხვა ადგილს კიდევ სტრაბონი აღნიშნავს სომხეთის

კუთხის ილებად საკასენს (სახათური—შიკაშვილი), რომელიც „საზღვრავს ალბანიას და მდ. მტკვარს.“ სომხეთის ავე საკუთრებას ამ დროს შეადგინდა ვოგარენე ანუ ვუგარექი. შიკაშვილი ეს უტის ერთ-ერთი პროვინცია იყო (სომხ. გეოგრ., სუკრის გამ., 33). აქედან ცხალია, რომ სომხეთის პოლიტიკური საზღვარი იძერის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ სტრაბონის დროს მდ. მტკვარზე გადიოდა ან და მას უახლოედ დებოდა. ამისდა შიხედვით ალბანიას სტრაბონის ხანაში შეადგინდა დაახლოებით ქართველი მემატიის ჰერეთი და მოვაკანი. პოლიტიკურად ეს ქვეყანა სტრაბონის დროს გერთიანი აღმოჩენის დროს გეფორციანი იყო: „მათი მეფებიც აღსანიშნავი არიან. ესლა ყველაზე მეფობს ერთი, წინად კი თითო ტომს, რომელსაც თავისი ენა ჰქონდა, ყავდა თავისი მეფეც. ენა კი მათ აქვთ 26, ასე რომ ერთმანეთს ეკრც თუ ადვილად ხედებიან.“ (Geogr. XI, 4<sup>o</sup>. ლათ. I, 143).

შემდეგ ხანებში ალბანელების პოლიტიკური მდგრადი შეიცვალა.

სომხ. უსაბ. გეოგრაფია, რომელიც ამ ნაწილში, ჩემის აზრით, მე-4 საუკ. დასასრულს არის შედგენილი და პაპი აღმართის ასანდრიელის აღწერილობის ექსცეპტს უნდა წარმოადგენდეს (ს. კაკ., ქართ. სამელ. გენ. საკიონ.). ალბანიას გვიხატავს მტკვრის სამხრეთითაც. საკუთრივ ალბანია მდებარეობს „მდ. მტკვარსა და კავკასიონს შუა“ (გეოგრ., სუკრის გამ., 29). ცხადია, აქ იყულისხმება ქართული ჰერეთი. ალბანიის ერთი ოლქთაგანი იყო კამბერიანი (ჩამერხსან), მტკვრის ახლოს. „ამის სამხრეთით იყო ციხე ვარაზმანავი საფაქირ აღვილებულაქით ხითებამზ“ (იქვე). ქალაქი წყუდრით წარმოადგენილია ფრიად დამახინჯებული სახელით, რაც აღვილი გასაგებია სახელის ჯერ ბერძნულად გადატანით და შემდეგ ბერძნულიდან სომხურად გაღმოლებით. კულტურათ შეიძლება იყოს დამახინჯებული ხორათ=ხორანთა, რომელიც მოხსენებული აქვს „მამ. და ნათ. ცხ-ბის“ ამწერელს ჰერეთის მთავარქალაქად „შესაკრებელთა შორის ორთხვე აღაზიანთასა.“

ჰერეთის აღმოსაფლეთით ეთნარქების სქემის ავტორი ათავსებს მოვაკანს. პაპი აღექანდრიელი, ანონიმ სომხურ გეოგრაფიის შინელებით, ჩამოთვლის აღმოსაფლეთ სარმატიის ხალხებს კავკასიის ქედის ორ შტოდ გაყოფის შემდეგ, რომელთაგან ერთი, იმავე სომხ. გეოგრაფიის ცნობით, შირვანის-კუნ მიმართული იყო. აქ იყულისშება კავკასიონის ის ორი შტო, რომელთა შორის ამ ეძმედ დაღვესტანი არის მოთავ-სებული. ამ ორი შტოს მიმართულებით ანონიმს, პაპის მი-ხედეთ, ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ხალხები: თავასპარე, ჰერმატაკე, იქმახე, ფასხე, ფუსხე, ფვერანაკე, ბაგანქ. ამ ჭვე-ყანაში იყო დარუბანდი (გეოგრ., სუკრის გამ., 27), აქ ჩამოთვლილ ტოპების სახელებს შორის უკანასკნელი — ბა-განქ (*Բագանք*) უნდა იყოს, მრავლ. რიცხ. დაბოლოების ქ-ს გამოკლებით და ქართული თავსართის მო-ს მიმარტებით (როგორც, მაგ., მო-ხევე) და შიგნით კიდევ თანხმოვანთა კანო-ნიერი შეცვლით, იგივე ქართული მო-ვაკან-ი. როგორც სჩანს, ჭველი ქართველებისთვის ვაკან-ს, მოვაკანს ჰქონდა საზოგა-ლო მნიშვნელობა ჰერეთის აღმოსაფლეთით მდებარე ჭვენე-ბის აღსანიშნავად.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ანონიმი აღმანიას სოელის შტოერის სამხრეთითაც, საღაც მდებარეობდა უტი და არცა-ხი. უტი შეიცავდა 7 ოლქს, რომელიც „ეხლა ალბანელე-ბის დამოკიდებულებაში არიანთ“ — დასტენს ანონიმი (გეოგრ., 33). ამ 7 ოლქთაგან საკუთრივ უტის ოლქში მდებარეობდა ქალაქი პარტავი (=ბარდა). უტის აღმოსაფლეთით მდებარე-ობდა არცახი თავისი 12 ოლქით. არცახი იგრეთვე აღმანე-ლების ხელში იყო (გეოგრ., 33). ანონიმის უტი და არცახი უდევბა ქართველ ავტორის ვიერ მოხსენებულს ბარდოსის წილს, რომელიც უწევდა „ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე საღა შეკრძგნიან მტკუარი და რაյსი“ (ქ. ცხ. I, 17). საყუ-რადლებოა, რომ თუმცა ანონიმი უტის და არცახს აღმანე-ლების სამულობელოდ იხსენიებს, მაგრამ შათ, როგორც



ალბანელების მიერ სომხებისაგან ახალ წალებულთ, შეანც  
განარჩევს საკუთარ ალბანიისაგან. მართლაც, ფაუსტის ვად-  
მოცემით, არშავ მფეის დროს (346—349 წ.) სომხეთს ვადა-  
უდა როგორც გუგარქი, ისე სხვათა შორის არცახიც. გუ-  
გარქს და არცახს შორის მდებარეობდა უტი, რომლის ერთი  
ოლქის გარდამანის მთავარი აღრეთვე ვადალგომილთა შორის  
არის მოსხენებული (Φωτιστის ჩატ. Պაտმ. ჩავ. IV, § 50,  
ტფილ. გამ., გვ. 242). რაღვანიც, ჩემის აზრით, ანონიმი  
დაცული აღწერილობა ამ რაიონისაც უნდა მიეკუთხნოს თა-  
ვისი გენეზისით მე-4 საუკ. დასასრულს, ე. ი. პაპკი აღექსანდ-  
რიელის დროს, ამიტომ გასაგებია, თუ ანონიმი რატომ იხსე-  
ნიებს უტის და არცახს ალბანიისაგან განკურძოებით და  
სომხების მიერ თითქოს ახალ დაყარგულად. ყოველს შემთ-  
ხვევაში ცხადია, რომ ანონიმი დაცული ვეოგრ. დანაწილე-  
ბა იბერიის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისა დაახლოვა-  
ბით უდგება ქართველ ავტორის ეთნარქების სქემის ვეოგრა-  
ფიულ გენეზის — პერიოდის, მოდაქანის და ბარდობის წილს.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სირიელ მწერლის ზექ-  
რია რიტორის მოწმობით 555 წ. არრანი (=ალბანია) წარ-  
მოადგენს უკვე ერთს სახელმწიფოს, რომელსაც თავისი მთა-  
ვარი შეავს. „გარდა აღწერილ ქვეყნებისა, ამბობს ის, ჩრდი-  
ლოეთ მხარეში კიდევ 5 მორწმუნე ხალხია. მათ ჰყავთ 24  
ეპისკოპოსი და მათი კათალიკოსი ცხოვრობს დეინში, სპარ-  
სეთის სომხეთის სატახტო ქალაქში. მათი პირელ კათალი-  
კოზის სახელია გრიგოლი, რომელიც იყო კაცი მართალი და  
ლირს შესანიშნავი. შემდეგ — გურზან, ქვეყანა სომხეთში, ამი-  
სი ენა გავს ბერძნულს. მათ ჰყავთ ქრისტიანე მთივარი, რო-  
მელიც სპარსეთის შეფეს ემორჩილება. შემდეგ არრანი — ქვეყა-  
ნა სომხეთში, თავისი ენით. ხალხი მორწმუნეა და მონათ-  
ლული, მაგრამ არიან წარმართნიც. მათაც ჰყავთ მთავარი,  
რომელიც სპარსეთის შეფეს ემორჩილება. შემდეგ — ქვეყანა  
სისახან, თავისი ენით, ხალხი მორწმუნეა, მაგრამ არიან წარ-



Յահոնուր, յեզրան ծանցուն տացուսո յնու. յև յմեկունք նկատու  
ու շաբանաւուն յանձնու յարամդուս, [ըռմելուր առուս] նշոնցն օնքուն  
յեզրանանո. ամ յարեցն օնքունմա ընտառապետ նոլցարեցն (H. Աճոնի, Արմ. Յ. ՅՈՒՏԻՆ, 219).

Ամ ընոճութան ընտառապ սիանս, հոմ մե-6 սայս. նաեւցարան  
առնանու շաբան ոցուլուսիմեծութա հոգուրը յարու սանցամինուցու  
յրտցունո. Ընտառա, մանաւաճամբ, հոմ յունարկեցն օնքուն  
սու առմուսացլուր յայցասուս եալուցն օնքուն յըոցք. յընցն օնտապ շն-  
ճա վոնացն ընրեցն օնք-6 սայսյունու յըույժն. այսպ, ամ յարապ,  
հիցն մոցուցարու յունարկեցն օնքուն յըցցցն օնտունու մերուց  
մցիցու սայսյունցմուս, շաբան առաջատ, նշունը շաբան նահցնցն  
մուսանցրեատա մոնցուցու—մցիցու սայսյունու մցուրը նաեւցրուս  
յըույժամցուս.

Սայսյունագլուցուա „մամ. լա նատ. ը-ծանու“ յըրուսուս վուլուս  
յանսանցրա. „յըրուսս մուսպա (տարկամուսեմ) յեզրան նկատուս  
ու շինու սանցրարո, առմուսացլուտ մու մուրը (Մյումլցի յև  
սանցրո ոցու ոցույց „մոյ. յարտ.“-ս ընտալո), հոմելուս այ  
յեզրան լուսո. օնտացլուտ նկատու լա մունարու մուրուսս եանցարետո-  
սա, սալա վիճան ընդուցն յըցրո յայցասուսա“ (յ. ը-ծ, I, 17).  
յարտալուսուս վուլուս յանսանցրարուան կո սիանս, հոմ մըթարուանց  
յըրուսուս վուլուս սամերետուտ շնճա յշուլուսիմուցն լուցուս մուս  
յանցրուց յուրաքանչ նկատուս, մանաւաճամբ յըմցուցարուն ըւլ յա-  
րուսուս տանմուտցուուտ լա յըսամլցիցըլուս տցուտ մը. յուրուսուս  
յըսարտացուս մուցմամլուս. հոգուրը նեմուտ յնանցրո, նամու առց-  
յիսան ընդուցլու մը-4 սայս. օնտանայուլուս յուլներուան սուլուսուս,  
անոնմուս մոնցուցու, նեցրալ շուտիո սամերետուտ ընաձունունուս  
հուունամլուս, մացրամ այ յուլներուա, Ընտառա, ոցուլուսիմեցն հո-  
գուրը յըուղուայուլու ընդունուն. մը-5 սայս. նշուանու յուլնե-  
ուս ընդունուունուս յումբույս նահունանո, հոգուրը ընոճուլուս,  
շաբան համուսալուն օնքունաւ սիանս լանցոյուս սամցու, հոմելուր  
456 վուլուան յարկացուլ ուարկացն օնքունուցն. լանցն օն-  
քուն նշուանուցուունուս յարտայուլու յիշուալուն ընդունուայուլ լու-

ტერატურაში იყო მეგრელი და აფხაზი (კ. კიკელიძე, კიმენი, 93—94, კიდევ Xp. B. II, 188—189). ამ სახელთაგან მეგრელი, ოოგორც ლაზის ეჭვივალენტი, უფრო ძველი უნდა იყოს, ტერმინის აფხაზის ამ მნიშვნელობით წარმოჩნდა კი შეიძლება მიეწეროს აფხაზეთის სამეცნის საისტორიო ასპარეზედ გამოსვლის შემდეგდროინდელ ხანას.

ლაზიკის სახელმწიფო მე-6 საუკ., პროკოპი კესარიელის მიხედვით, უწევდა თითქმის მღ. ჭორობის შესართავის რიონიამდის. ციხე პეტრა ლაზიკის საზღვარზე იდა. მე-5 საუკუნეშიც ლაზიკის საზღვარი დაახლოებით ამ რიონიამდის უწევდა. იმპერატორის ლეო დიდის დროს (457—474), სახელდობრ პრისკის სიტყვით 461 წ. (B. ლათაშ., Изв. I, 840—842), ლაზების მეფე გუბაზე კოსტანტინოპოლიში მივიდა და აქ იმპერატორთან მოლაპარაკების დროს, ერთ ჰავითობრივიულ ნაწარმოების ქართულ თარგმანის მიხედვით, „დადევს საზღვრად ციხს ხუფათი“ (X. B. II, 188). ხუფათათი მოხსენებულია სერაპ. ზარზმელის ცხოვრებაში (მ. ჯანაშვ. გამ., 42) — „ქუეყანისაგან ბერძენთა[დ]სა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა“<sup>6</sup>. ხუფათი შესაძლებელია იყოს შემდეგდროინდელი ხოფა და მაშინ მივიღებთ, რომ 461 წ. გუბაზესა და იმპერატორს შორის მოლაპარაკება მეფის სასარგებლოდ გათავებული ლაზიკის საზღვრის ოდნავ ს. მხრეთისკენ წაწევით.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება გამოტანილი იქმნას დასკვნა, რომ მე-5 საუკუნეში პოლიტიკური მდგრადიება და ახლო წარსული ლაზიკის სახელმწიფოს ტერიტორიისა იძლევა ამ შემთხვევაშიდაც ეთნარქების სქემის გეოგრაფიულ გენეზისის გამამართლებელ სურათს. უნდა აღინიშნოს ამასთანავე, რომ პაპი ალექსანდრიილი მე-4 საუკ. დასასრულს, ანონიმის მიხედვით, კოლხიდაში სოვლის 4 პროვინციას — ეგრისს, მარგვისს, ლაზების ქვეყანას და ჭანეთს. ამისდამისხედვით, ოოგორც ეს სჩანს ეგრისის მოხსენებით,



კოლხიდის ჩრდ.-დასავლეთ საზღვარს ის იწყებს ყოველს შემთხვევაში უფრო სამხრეთით, ვიღრე ეთნარქების სქემის აკრიტიკი. ეს რომ ასეა, სწავლის იმ გარემოებიდან, რომ პაპი ალექს., ანონიმით, სემასტოპოლს (დიოსკურიას) ათავსებს აფხაზების ქვეყანაში და აფხაზების ქვეყანასა და ეგრისს შეუძლვარს სოველის უფრო სამხრეთით მდ. ლიაკონზე (ვეშაპზე) (გეოგრ., სუკრის გამ., სომხ. ტ. 25—26). თუნდაც რომ ეს მდინარე კოდორი იყოს, მაინც აქ ტერიტორიის მოცულობის მხრივ ცხადად ვხედავთ განსხვავებას, რადგანაც ეთნარქების სქემის ავტორის მიხედვით ეგროსის წილი უწევდა მცირე ხაზარეთის მდინარეზე, „სადა წარსწორების წვერი კავკასიისა“. გარდა ამისა პაპს ანონიმის მიხედვით ჩამოთვლილი აქვს კოლხიდის ქალაქები: სეგანეუმი, კოტა (ქოთა), როდიოპოლის, ათინა, რიზე, მავრამ მათ შორის არ სჩანს ეგრისი, რომელიც ეთნარქების სქემის მიხედვით დაკავშირებულია ეგროსის სახელთან: „ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი, აწ მას აღიღისა ჰქონიან ბედია“. ეს ეგრისი, ამისდა მიხედვით, უძველესი ქალაქთაგანი უნდა იყოს კოლხიდის ტერიტორიაზე.

ქალაქ ეგრისის ნანგრევებს, როგორც ზუგდ. მუშავების დირექტორიმა ა.კ. ჭანტურიამ გადმომეცა, ხალხის გაღმოცემა ეხლაც უჩვენებს ზუგდიდის დასავლეთით 5—6 კილომეტრზე სოფ. ჯამგანასთან მდ. ენგურის მარცხნა ნაპირას. ენგურის მეორე ნაპირას ეგრისის ნაქალაქარიდან დასავლეთით 8 კილომეტრზე, იმავე პირის ცნობით, არის დარჩენილი აღგილის სახელი ბედიანი. ამ ორი ცნობის ერთმანეთთან შეფარდება, ენგურის კალაპოტის დიდ ცვალებადობის მხედველობაში მიღებით, კადაც ყოფს, რომ „მამ. და ნათ. ცხოვრების“ ეგრისი (იგივე ბედია) ჩრდილოეთით კი არ ა—ისტორიულ ბედიას აღიღისა, არამედ უფრო სამხრეთით მდ. ენგურის რაიონში უნდა იყოს ნაგულისხმევი. მასთან შეფარდებით საყურადღებოა თვით ენგურის სახელი ინგრ., მეგრულისთვის ჩერ-



ლებრივი ნაზალიზაციით მიღებულ ზედმეტ ნ-ს გამოცემული მიღებული ნიშანი — იგრ, იგივე მაშასადამე ეგერ-ის ანუ ეგრისის მდინარე. ის გარემოება, რომ სქემის ავტორს ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი, ზღვისაკენ მიმართული, კავკასიონის წევრამდის იქვე წარმოდგენილი, გარდა ამისა უძველეს ქალაქიდ ეგრისი მიასინია და სხვა ქალაქებს ირ ისაენიების — აქ განსაკუთრებით შინენელოვანია შიგნით ხმელეთზე მდებარე ქალაქების მოუსენებლობა, ხოლო ფაზისის და დიოსკირიდის უყურადღებოდ დატოვება შესაძლებელია აიბსნასაც ქალაქების ფაქტურად და ყოველ შემთხვევაში ეკონომიკურად, მერქნების ხელში ყოფნით — ყველაფერი ეს უნდა ადასტურებდეს ეგრისის ეპონიმიზაციას ძლიერ ძველს დროში. ხაინტერესოა, რომ კლავდიუს პტოლემეუსის დროს მე-2 ს. ქრ. შ. კოლხიდა შეიცავდა ტერიტორიას დაწყებული აზის სარმატიდან ვიდრე ფაზისის შესართავის კუთხემდის. უფრო წინად სტრაბონის დროსაც კოლხიდა დაახლოვებით ამავე ფარგლებში იყულისხმებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონს და განსაკუთრებით პტოლემეუსის კოლხიდა დაახლოვებით იმავე საზღვრებში აქვს წარმოდგენილი, როგორც „მამ. და ნათ. ცხოვრების“ ავტორს ეგრისის წილი. ყოველს შემთხვევაში ფრიათ საყურადღებოა ის გარემოება, რომ „მამათა და ნათესავთა ცხოვრების“ ავტორი სრულიად არ იკნობს აფხაზებს, არც სთელის საჭიროდ მათთვის ტერიტორიის მიწენას და არც ცდილობს გამოვჩას თავისიუფალი კუთხე, სადაც მათი ბინადრობის გულისხმობა შესაძლებელი იქნებოდა, მაშინ როდესაც არიანის, მაგ., უროს, მე-2 ს. ქრ. შ. „აფხისილები“ და „აბასკები“ ცხოვრობუნენ ლაზებსა და სანიგებს შორის ანუ დაახლოვებით ეხლანდელ ენგურის აუზში, მაგრამ სოხუმის სამხრეთით. მე მკონია, რომ ერთნარქების სქემის ავტორის მიერ ეგრისის წილის ასე ფართოდ განსაზღვრა შემთხვევით არ უნდა იმსხებოდეს. შესაძლებელია, მას უკეთ საქმე ჰქონდა კოლხიდის (ეგრისის) ეპონიმიზაციის ფაქტთან მასზე თვალსაჩინოდ უწი-



ნარეს. ქალ. ეგრისის მოხსენება სხვა ქალაქების სანელების მივიწყებით აგრეთვე ძალიან ძველი გლოსის შემცველი უნდა იყოს. მე ვფიქრობ ამისდა მიხედვით, რომ ეგრისის ეპონი-მიზაცია შესძლებელია შემუშავებული იყოს პირველ — მეორე საუკუნეში ქრ. შემდეგ და სათანადო ფაქტიური ცნობა შემდეგ გამოყენებული იქნია „მამათა და ნათესავთა ცხოვ-რების“ ავტორის მიერ.

ზემოდ ხსენებულის მიხედვით შეიძლება მიღებულ იქმნას, რომ ეთნარქების სქემა, მასში დაცულ გეოგრაფიულ გე-ნეზისის თვალსაზრისით, შეიძლება მიეკუთვნოს მე-5 საუკუნის მეორე ნაბევარს, ზოგიერთი ნაწილი კიდევ — კერძოდ გე-რისის ეპონიმიზაცია თავისი წარმოშობით კიდევ უფრო ძველი უნდა იყოს, სახელდობრ პირველ — მე-2 საუკუნის დროისა.

რომ მართლაც „მამ. და ნათ. ც-ბა“ ძლიერ ძველი ნა-წარმოებია, ეს მტკიცდება მასში დაცულ ძლიერ ძველი გლო-სებით. გარდა ზემოდ მოხსენებულ ცნობისა ეგრისის ქალა-ქის დაარსების შესახებ ეგროსის მიერ, ძლიერ სინტერესო-ჩელების უძველეს სახელის მოხსენება. „კუხოს შეეწია (კახოსს) შენებასა ჩელებისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველ შენე-ბულსა კახეთისასა“ (ქ. ც-ბა I, 30). ბერ — ეს არის ამ აღგი-ლის უძველესი სახელი, რომლის შესატყვისს წარმოადგენს ეხლანდელ ხუნძურში ბად — დანის ან ხმალის პირი, იმავე ხუნძურში ბერ — თოხი. ხუნძურის შესატყვის ძველ ენიდან ნა-სესხები უნდა იყოს ქართული ბარი და მეგრულში სვანური ახ-მოვანებით შენახული ბერგი — თოხი. ამის შესაფერისი უნდა ყოფილიყო ძველს ქართულში ჩელთა (ეზექ. 34, 4) — ფართო მახვილი. ჩელთა ქართულში ნისესხები უნდა ყოფილიყო სვა-ნურის შესატყვის ძველი კილოდან (ფოზურ-შესხურიდან). სვა-ნურში ეხლაც არის დარჩენილი სიტყვა ნერთ, ნორთად, რო-მელსაც 6. მარრი თარგმნის օრудие для тесания дерева (Из-влеч. из св.-рус. слов., 33). აფხაზურში არის სიტყვა ანალტგა — ფარცხი (Бартоломей, абр. букварь, 126), რომელი



სიტყვაც აფხაზურში მესხური ფენიდან უნდა იყოს შეტყობინების ლი. ამისგან მიხედვით შეგვიძლია მივიღოთ, რომ პერ არის სახელწოდება ადგილისა, რომლის ახსნა უნდა ვეძებოთ ეხლანდელ ხუნძურის ძველს შესატყვის ან ახლო მონათესავე კილოში, ჩეჯეთი — კიდევ ამ ტერმინის ქართული თარგმანი — იმ დროს წარმოშობილი, როდესაც ქართული ენის შემაღებელობაში ჯერ კიდევ ბლობად იყო ეხლანდელ სანურის შესატყვის ან ახლო მონათესავე კილოს ელემენტები. ის გარემოება, რომ მემატიანეს კარგად ახსოვს ჩელების ძველი სახელი, ცხადად მოწმობს, რომ „მამ. და ნათ. ც-ბის“ ავტორი ცხოვრობდა კახეთის ამ კუთხის გაქართულების დაწყებიდან არც თუ ძლიერ დაშორებულს დროს. ეს გაქართულება კი შეიძლება დაწყებულიყო ყვარელთა დაპყრობის და გაქრისტიანების შემდეგ, რომელ ფაქტს „მოქ. ქ.“ მე-4 ხაუკ. დასასრულს უკავშირებს (იხ. ზემოდ გვ. 80).

აგრეთვე დიდი ყურადღების ღირსია „მამ. და ნათ. ცბ-ბაში“ დაცული ძლიერ ძველი გლოსა არმაზის წინანდელ სახელის შესახებ. ქართლოსმა არმაზის მთაზე, ვეითხულობთ ტექსტში, „იშენა სახელი და უწოდა მთისა შეს სახელი თვის თვისისა ქართლი და ვიღრე აღმართებადმდე მუნ ჟედა კერპი არმაზისი ერქვა მთასა მის ქართლი“.

როგორც ეხლა გამორკეულია (ს. კავაბ., ქართ. სახელმწიფო გენერალური საკითხები), ქართლი ეს არის არმაზის ძველი სახელი, არსებული პომპეიუსის დროსაც, რომელიც დაკავშირებულია სანურის შესატყვის ფონურ კილოს არსებობასთან არაგვის შესართავში I ხაუკ. ქრ. წ.

ენის მხრივ „მამ. და ნათ. ც-ბის“ ტექსტი წარმოგვიდებუნს შედარებით უძველეს ქართულ საეკლესიო ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილ ტექსტებთან ერთგვარ თავისებურობას, რაც გმოიხატება სტილის სიმარტივეში. თავისებურობა ტექსტისა შედარებით, მაგ., სომხურიდან გადაორგმნილ სახარების უძველეს ტექსტთან უფრო ცხადად სჩანს, თუ მი-



ვიდებთ მხედველობაში, რომ „მამ. და ნათ. ც-ბაში“, მაგრამ ასეთი რიცხვი ისმარება მხოლოდ ნი დაბოლოებით, მა-  
შინ როდესაც სომხურთან დაკავშირებულ სახარების ტექსტი  
ხშირად ხმარობს მეორე დაბოლოებასაც — ებ, რომელიც მეგ-  
რულს ფას-ს ეშვესატყვის ბა.

საყურადღებო კიდევ „მამ. და ნათ. ც-ბაში“, შედა-  
რებით საეკლესიო ცხოვრების ნიდაგზე წარმოშობილ ტექს-  
ტებთან, ტერმინის „ქვეყანის“ ხმარება საშუალო და ახალი  
ქართულისთვისაც წვეულებრივი მინშენელობით: „ქუეყანა  
არარატისა,“ „ვკითხულობთ „მამ. და ნათ ცხოვრების“ ტექსტ-  
ში; „განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თვესი;“ „ქე-  
როსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილო;“ „ეგროსს მისცა  
ქუეყანა ზღვს უკრისა;“ „მისცა ქუეყანა ქართლოსს; „ქუეყა-  
ნა არაგვიდგან ვიდრე რასისკარადმდე“ (ქ. ცხ. I, 16—19); ზოგი-  
ერთ შემთხვევაში, როგორც, მაგ., — „მთა ორეთისა, რომელ არს  
ქურთთა ქუეყანასა“ — მთელი განმარტება შესაძლებელია იყოს  
შემდეგიდროინდელ ინტერპოლაციის შედეგი. ზემოდ მოყვა-  
ნილ მაგალითებშიც „ქუეყანა“ შესაძლებელია ვაგებულ იქნის  
როგორც საზოგადოდ მიწის შესატყვისი. მაგრამ მაინც მხე-  
დველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სახარების ტექსტ-  
ში, როგორც სომხურიდან ნათარგმნში (მე-5 საუკ.), ისე  
აგრეთვე ბერძნულიდან შეთანხმებულში (მეექვსე საუკ.  
პირვ. ნახ.) მხარეს შესატყვისად ინმარება სიტყვა სოფელი,  
ადგილი და კერძო, ხოლო ეხლანდელი სოფელის მინშენე-  
ლობით კი — ყველგან სიტყვა დაბა\*). აქედან სჩანს, რომ მე-5

\*) აი ასეთი ადგილები მცნების „ქუეყანის“ აღნიშვნით:

სომხურიდან გადათარგმნი- ბერძნულთან მე-5—6 საუკ. შე-  
და ტაქსტი (ადიშ. სახ.): თანხმებული ტაქსტი (მარხ. სახ.):  
შათე 4<sub>16</sub>: და რ' ი სხდეს სოფ- და რ' ი სხდეს სოფელთა და  
ლებისა და აჩრდილთა აჩრდილთა  
შათე 15<sub>21</sub>: და მოფიდა ადგილთა და შოვიდა ადგილთა ტკროსისა



საუკუნეში საეკლ. ნიადაგზე წარმოშობილ ტექსტების გვერდზე აღსანიშნავი მარტო ტერმინი სოფელი არ იხმარებოდა. აღსანიშნავია ამასთანავე, როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო (გვ. 54), რომ უკვ მე-7 საჟ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების და ტრაქტატის — უგანკოფისათვეს ქართლისა და სომხითისა “ მიხელეთ, ტერმინი სოფელი იმშარებოდა სახარების დაბის მნიშვნელობით. სჩანს, ტერმინის სოფელის დე-

მარტ. 5<sub>10</sub>: და არა მიავლინეს და არა განასხნეს იგინი გარეშე იყინი გარეშე სოფელსა სოფელსა.

აუქ. 1<sub>45</sub>: და ოდი დამჯოვდე ერთა ზე გარეშო შეტყდოთა მი- რებოვდ იუნეს გარეშო სთა და ერთა მათ შთით კურ- მათსა და ერთსა მას ძოთა ჭოვრისასტანისათა სტანისასა

აუქ. 15<sub>13</sub>: და წარედა შთისა idem  
სოფელსა

აუქ. 15<sub>14</sub>: და იუთ სიუმილი ძლიერ და იუთ სიუმილი ძლიერი სთ- რი მას სოფელსა ფელსა მას

აუქ. 15<sub>15</sub>: და სოფელსა ერთსა და მივიღა და შეოვდგა ერთსა მივიღა და შეეცო ერთსა მოქალაქესა მას სოფლისასა მოქალაქეთაგანსა

საშეადო და ახალი ქართულის „სოფელის“ შიმშენელობით თარსავე რედაქტირის სახარებაში იხმარება დაბა. მაგალითად:

მათე 21<sub>2</sub>: მივედით დაბასა იმას წარეგედით დაბასა მაგას

მარტ. 11<sub>2</sub>: მივედით დაბასა მას წარეგედით დაბასა მას

აუქ. 19<sub>30</sub>: წარეგედით დაბასა წარეგედით წე დაბასა

აუქ. 24<sub>13</sub>: და აქა თან მათგან- და აპა თანი მათგანი მივიღო- ნი მივიღოდეს მასებე დეს მასებე დღესა შინა დაბასა ერთსა დღესა შინა დაბასა ერთსა

აუქ. 11<sub>30</sub>: არდა მოსროვდი- რ არდა მოსროვდიუ ი კ და- ეო ი კ დაბასა მას კ დ ბად კ დ მოკნდა იუთ ადგილსა იუთ მოკნეე ადგილსა მას. მას.



გრაფაცია, ყოველს შემთხვევების მესხების ტერიტორიისზე (სერაპიონ ზარჩმელის ცხოვრება სამცხეში დაწერილი, ტრაქეტატის ავტორი—არსენი კათალიკოზი კიდევ მესხი იყო), უძველეს ხანაშიც დაწყებულია. რაც შეეხება ტერმინს ქვეყანას, ფრიად საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი მხარეს მნიშვნელობით იხმარება შუშანიკის ცხოვრებაში: „და ვითარ მოიწია იგი (ყარსქენი) საზღვართა ქართლისათვის ქუეყანასა მას ჰერეთისას,“ „მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“ (შუშ. ცხ-ბა, ს. გორგაძის გამ., 2 და 17). ხანის ტერებოთა, რომ იგივე ავტორი ქვეყანას ხმარობს მიწის მნიშვნელობითაც: „ვითარცა ესმა ეს ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა“ (გვ. 2). ოჯ მივიღებთ მხედველობაში, რომ შუშანიკის ცხოვრება მე-5 საუკ. მეორე ნახევრის ნაწარმოებია და ვარსქენის მოკელაზე უფრო აღრე უნდა იყოს დაწერილი, მაშესადამე 482 წელზე აღრე,—472 წ. (შუშანიკის სიკვდილის წელი) და 482 წელს, გამოდის, რომ უკვე მე-5 საუკუნეში ქართულ მწერლობაში, ყოველს შემთხვევაში განსახლებულ კილოს ნიადაგზე, უკვე იხმარებოდა ტერმინი ქვეყანა მხარეს მნიშვნელობით. ყურადღების ღირსაც უნდა ჩითვაოლოს, ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ ტერმინის ზენა-სოფლის (შიდა-ქართლის მნიშვნელობით) დეგრადაციის აღნიშვნა. აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში, რომელიც ჩემის აზრით (იხ. ზემოც 50) დაწერილი უნდა იყოს მე-7 საუკუნის დასახლეულის, ზენა-სოფელი ჯერ კიდევ იხმარება შიდა-ქართლის მნიშვნელობით (საქ. სამ., 213—216), მაგრამ კახას ცხოვრებაში (მე-9 საუკ. ტექსტში) ზენა-სოფელი იხმარება სხვა მნიშვნელობით: „იყო ვინმე (კაცი) ქუეყანასა ქართლისასა ხანახებსა ზენასოფელისასა“ (საქ. სამ., 364). პარალელისთვის საყურადღებოა ერთი ადგილი არჩილის ცხოვრებიდან (მეათე საუკ.) \*ქუეყანასა ხამეგრელოსასა სანახებსა ჰყონდილისას (იქვე, გვ. 328). \* ამ ადგილებიდან ცხადია ტერმინის ზენა-სოფლის დეგრადაცია მე-9 საუკუნისთვის, როდესაც ის

გამხდარი მხოლოდ ერთი რაიონის და შესაძლებელია პუნქტის სახელიად. ინტერესს მოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში სოფელი იხმარება ქვეყნის მნიშვნელობით (იქვე, გვ. 214), მაგრამ აგრეთვე დაქნინებულ მნიშვნელობითაც. „ზენასოფლიდ, სოფელის, რომელსაც ჰქონიან რეյი“ (გვ. 215). ხოლო ყველაფერი ეს შედარებით ზემოდ მოყვანილ ფაქტებთან უნდა ნიშნავდეს, რომ „სოფელი“ ძველ დროიდანვე არ წარმოადგენდა ერთად ერთს გამომსახველს ტერმინს ქვეყნის ანუ მხარისას, რომ დევრადეცია შისი დაიწყო ძლიერ ადრე და გარდა ამისა დამოუკიდებლივ მისგან ამავე მნიშვნელობით ძველი დროიდანვე არსებობდა ტერმინი ქვეყანა.

როგორც ზემოდ ვნახეთ, შუშანიკის ცხოვრება აღასტურებს ტერმინის ქვეყანის ხმარებას მხარეს მნიშვნელობით მე-5 საუკ. მეორე ნახვაზე. ასეთივე მნიშვნელობით სიტყვა ქვეყანა იხმარება „მამ. და ნათ. ცხოვრებაშიც.“ აღსანიშნავია ასეთანავე, რომ შუშანიკის ცხოვრებაში, წინააღმდეგ სახარების უძველეს ჩედაჭერებისა, მრავლობითი რიცხვი იხმარება მხოლოდ ნი დაბოლოებით, რაც უახლოებს მას, კილოს და კუთხის ნიადაგზე წარმომავლობის მხრივ, „მამ. და ნათ. ცხოვრებას“.

რადგანაც შუშანიკის ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს აღმ. ქართლის რაიონში, შესაძლებელია შუშანიკის ცხოვრების და პატიმრად ყოფილის აღვილების ახლოს — ცურტავ-ორბეთის რაიონში, ამიტომ ამისსდე მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ნამ. და ნათ. ცხოვრება“ უნდა დაწერილი იყოს ქართლის აღმოსავლეთ რაიონში, შესაძლებელია მცხეობის ახლომახლო ანდა თვით მცხეთაში.

სხვაფრიფ ტექსტი არ იწვევს არაეითარს გაუგებრობას. „მამ. და ნათ. ც-ბის ავტორი“ იკნობს ხაზარებს: ეგროსის წილის დასავლეთი ხაზღვარი იყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, მაგრამ ხაზარებს იხსენიებს მე-5 საუკუნეში პრისკი და გარდა



ամուս եածարյօն մոեսցեցք պատ մուսց եռհրեցլուն (II, 65) տերութա՞մո, հոմելուց Շնօնարկուտ մյ-1 սայցանունու ըստ-սասրուլու յիշ. Ե. յեցա, մուսց մաստաճազց ասաեցլոց տացուս բնակրու, սաուրանց մաս վնութ եածարյօնու զամուցլուն Շըսաեց և ոմեցուն իննալմոցց այլուս, սաեցլումն ծահլցեսանս, վնոնուլ զնուսուցիս, հոմելուց պետորոծու մյ-2 սայց. գաստ-սրուլու ու մյ-3 և. գասեցիունուն (Արմ. ցօց. VII Բ., Խմ. Կ. Պատկանու, Շընո՛Շեն 37 ցըցրժնե). եածարյօն ուսեցնոյցն անոնուն և ոմեցի ցըցրացուուսուց, հոմելուց Վազեու ալյցիսանուրուցլուտ և արցըլումնու (ոչց ու սոյցրուն ցամ. 26).

Տայցուրալուց յուղց ՝մթ. ու նատ. Ո-ծա՛մու” ցյուրցանուն նեցու սաեցլումնու տեսլու սըարևուլու ցուրմուտ Նիշուր. մյցըլու սըարևուլու ցուրմա մի սաեցլուս ոյս Vrkana, պյուլան ծյրէնուլու ‘Մրասնա (Hübschmann, Persische Studien, 144). մացհամ ալսանունոցու, հոմ ուղմու անցունունու” մածլ սըարևուլ ցուրմուտ և մինս, սանըրէցուու, հոմ օսցուցց ցուրմուտ (Gurgan) և ուրուլուադ ուսեցնոյցն չյըր յուղց 430 թըլս (ZDMG. 43, 414. Կուրարու մուցոց մէջնունուն, գասան. Ցհ. 162).

Կըցլա նյըմուդ մոեսցեցք պունցուու նյըյն Շըցցունլու զամոցուրանու գասցուն, հոմ անցուրէն մամատա ու նատցացտա” գաֆէրուլու ունդա ոյսուն մյ-5 սայցանուն նաեցահուս ան Ցյուրց նաեցահուս յարտլուս ալմուսացլուտ հաուննու, Շըսածլուց պրցետա՞մո.

միուն Շըմուցց պնացու, հոմ մամատա ու նատ. Ունցուրէն” Ցյուրուլունցուրունու ուցալուսանրունուու ցենցուրունու ցըր գայց-Շնօրշեն անցրուլու տենցուլոց նյանմու նյանմուն յըրտ-ցիւր հրցայցուուս յարտուլ տարցմանս, հոմելուց յարտուլուադ վնոնուլուս սատայրուտ: “Եմինուլու նյանմուն մամուս նյունուս ցուրց-մուսու, — տարցմանու ըածագունուսատցէ ցուս ու յուցանուս ու ագամուստցէ, ցուտար մուսպրալց ցուամու մուսու ու գամահեցն ցոլց-ցուամու ու պրալցն նատցացտաւ” (Ցար. ցար. ցց. 786—846). յըս նաֆահուրցու ուղմու ցուրց անցրուս մուցիւրէն, մացհամ նամ-



დუილად შეოლოდ მე-6 საუკუნეში უნდა იყოს შედეგის ლიტერატურა (ივ. ჯავახიშვ., ძვ. ქართ. საისტ. მწერ., I გამ., 120). ქართული თარგმანი, რასაცირკელია, კიდევ უფრო გვიანდელია, თუმცა შესაძლებელია, წინააღმდეგ კორნ. კეკელიძის აზრისა (ლ. პროფ. ლიოტერ. წყაროები 21), — და ამის საბუთს იძლევა ტექსტის როგორც ენა, ხე სტილი, — ქართული თარგმანი თვალსაჩინოდ წინაუსწრებდეს მე-11 საუკუნეს. ამ საკითხზე მე შეიძლება შემთხვევა მომეცეს სხვაგან გავხერდე, ამ უმაღლესი საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებითად, იმ პარალელების მიხედვით, რომელთა მოყვანას ცდილობდნენ ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე (დასახ. შრომები), სრულიადაც არ სწავს რაიმე კავშირი ხსენგზულ ასოკრიფსა და „მამ. და ნათ. ცხოვრებას“ შორის. ძლიერ დაშორებული და ისიც საერთო მოხაზულობის შეხვედრა ზოგიერთ მეთოდოლოგიურ ხასიათის მომენტებისა, მაგ., გამგებლობის წესის დამკიდერება ლეთისაგან აღამითგანვე, ისე როგორც გამგებლობა ჰასისისა თავისს ძმებზე, აღამის დამარხვა „თავსა მთისასა,“ როგორც ქართლოსის დასაულავება „თავსა ზედა მთისასა,“ ცნობა ნებროთ ვმირის ბატონობის შესახებ ქვეყანაზე — ყველაფერი ეს მხოლოდ უნდა ვაიჩენენდეს ერთ-ნაირ მეთოდოლოგიურ მიმართულებას, რომელიც იხსიათებდა ქრისტიანულ შეგნებას და კულტურის ნიადაგზე ვანკიარებულ ისტორიულ შემეცნებას განსიზღვრულ საფეხურზე და რომელმაც ვავლენა იქონია „მამ. და ნათ. ცხოვრების“ ჩამოყალიბებაზე. კერძოდ თხრობაში ნებროთის შესახებ შეუძლებელია დაინახოთ მოსე ხორენელის გავლენა, როგორც ამას მატიანის ამ აღვილის მიმართ ფიქრობს კორნ. კეკელიძე (დასახ. შრომები, 11—13) თუნდაც იმიტომ, რომ მოსე ხორენელი ნებროთის უწოდებს ბელს, ხოლო ცნობა ბელის შესახებ მოსეს ამოღებული იქნეს, როგორც თითონ ამბობს, მარ-აბას კატინის თხზულებიდან. ვარ-აბასი — სირიელი მწერალი, თავისი ცხოვრების დროით დაახლოვებით მიეკუთხება მე-3



საუკ. ქრ. შ. მარაბას კატინას, თავის მხრივ, ჰერიტაჟის მიმდევრული წყარო (მოსე ხორენ. ისტორია I, 9).

უცელა ამ მოსაზრებების მიხედვით — თუნდაც სპეციალურ ლიტერატურის განხილვამდის, რის საშუალება შე ტფილისში არ მქონდა, ცხადი უნდა იყოს, რომ „მამ. და ნათ. ცხოვ-რება“ ნებროთის ოხრობაში ყოველს შემთხვევაში მოსე ხო-რენელისაგან არ შეიძლება იყოს დამოკიდებული — ამას ამტკი-ცებს, სხვა არა იყოს რა, სახელების ნებროთის და ბელის სხვადასხვაობა, — არამედ ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვქონდეს ქართველ ავტორის დამოკიდებულება ერთ-ერთ ძველ ხრონი-გრაფიულ წყაროსაგან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები (გვ. 120), პაოსის, ქართ-ლოსის და ეგროსის ეპონიმიზაციაში „მამ. და ნათ. ც-ბა“ დამოკიდებული უნდა იყოს გარკვეულ ბერძნულ წყაროსაგან — ეპისკოპოს იპოლიტეს თბილებისაგან (შე-3 ს. ქრ. შ.), გარდა ამისა საერთოდ ვიქონიებთ სახეში ქართველ ავტორის ბერძნულ ტენლენციას, რაც გამოიხატება ეთნარქების და ეპონიმების ბერძნულ დაბოლოებაში (პა-ოს, ქართლ-ოს და სხ.), მაშინ შეიძლება ვითიქროთ, რომ ნებროთის შესახებ ოხრობაშიდაც „მამ. და ნათ. ც-ბა“ დამოკიდებული უნდა იყოს ერთ-ერთ ძველ ბერძნულ ხრონიგრაფიულ წყაროსაგან.

მეორე ნაწარმოები — ფარნავაზის ცხოვრება — იწყება სათა-ურით: „თავი შემოსული ალექსანდრესი“ (მარ. ვარ. 13, ბროს. გამ. I, 26) და უნდა თავდებოდეს სიტყვებით: „იყო განსვენე-ბა და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეტობისათვის ფარ-ნავაზისა და იტყოდეს ამას ყოველნი: ვპრეზელობთ სუესა ჩუენსა რამეთუ მრგვეცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუ-ენთასა.... და ეს ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქალულითა და სიმენითა და სიმდიდრითა“ (ქ. ცხ. I, 32, მარ. 22). ამ აღგილს, რომელიც შესაძლებელია ხალხურ სი-ტყვაობასთან იყოს დაკავშირებული, მისდევს შემდეგი ხელოფ-ნურად მიკოწიწებული ტექსტი. „ესეუ ძე და უწოდა სახელი



სოურმაგ და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლის შინა ქართლოსის ნათესავთაგანი. ამან განაცხადული ენა ქართული და არლარი იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. ამანვე შექმნა შეიგნობრობა ქართული და მოკუდა ფარნავაზ და დატელეს იგი წინაშე კერპისა არმაშისა (ქ. ცხ. I, 82, მარ. 22). აღსანიშვნები, რომ თვით ცხოვრებაში ფარნავაზი პირველ მეფედ არ იხსენიება, „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თუისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეკურსა ზედა“ (გვ. 31, მარ. 20). გლოსსა „განაცხადული ენა ქართული და არლა რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა“ და კავშირებულია ფარნავაზის ცხოვრების წინ მოსხენებულ ცნობასთან ქართლში ნ ენის ვაჭრულების შესახებ (ქ. ცხ. I, 26, მარ. ვარ. 18), რაც დამოკიდებულია „ხაზარების გამოსვლის“ ავტორის მიერ შექმნილ რთულ კონკრეტულისაგან ხაზარების და სპარსელების როლის შესახებ ქართველთა უძველეს ისტორიაში.

ხევნებული ნაწარმოები, დაწყებული სათაურიდან („თავი შემოსული ალექსანდრესი“) და გათავებული ზემოდ მოყვანილი სიტყვებით, წარმოადგენს ერთს მთლიან თხრობას. ტექსტი, რასაკვირველია, უნდა აღებულ იქმნას მარ. ვარიანტის მოცულობით იმ პატარა ნართაულ აღვილის გამოქვებით, რომელიც ახასიათებს ბროსეს გამოცემას, გვ. 27 მე-7 სტრიქ. ქვემოდან — „იხილა რად ესე ნათესავი ... მსხლომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხურევით“.

„ფარნავაზის ცხოვრების“ დასათარიღებლად, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრისის გეოგრაფიულად განმარტებას, რომელიც იქ მოიპოვება. ავტორი სახელდობრ გაღმოგვეუმს, რომ ფარნავაზმა საერისთოების შექმნის დროს „მისცა ქუჯის ეგრისის წყალსა და რიონს შუა ზღუიდგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი და დამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯიმ აღაშენა ციხე-გოჯი“; დანარჩენ ერისთავან „ერთი გაგზვნა მარგვს ერის-



თავად და მისკა მცირით მთითგან რომელ ასეს ჰქონის ვიღის  
ზღუადმდე რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ აღუშენნა ორნი  
ციხენი შორაპანი და დომნა“ (ქ. ცხ. I, 31, მარ. 20).

ქუჯი აქ არის, ეცვს გარეშეა, ეპონიმი ციხე-გოჯისა.  
ციხე-გოჯი მეტყველად ჯერ კიდევ მე-10—11 საუკუნეში გა-  
მოითქმეოდა როგორც ჯიხან(=ციხე)ქვიჯა (ქ. ცბა, I,  
174). გოჯი, ქვემო-იმერულ კილოში ეხლაც მოხუცის ჩნი-  
შვენელობით ხმარებული, სემასიოლოგიური ცვლილებით წარ-  
მოდგენილია სიტყვით გონჯი (უშნო, კულაზათო, ხაბას ლექ-  
სიკონით — კორცდარლვეული, მაშასა დამტ მოხუცი) და ამიტომ  
თვეისი ძველი მნიშვნელობით შესაძლებელია დაუკავშირდეს  
ბერძნების 'აρχაიპიას' (ე. ი. ძველი ქალაქი. ამის შესახებ  
იხ. ს. კავაბ., ქართ. ხახელმწ. გენეზ. ხაკითხ.).

საკუთრივ ეკრისი ავტორს განსაზღვრული აქვს რიონსა  
და ეგრისის წყალს შორის მდებარე ტერიტორიით. ეგრისის  
წყალის ჩრდილოეთით ავტორი გულისხმობს სხვა ტომებს,  
როგორც ხაფიქრებელია, აფხაზურ ჯიუფისას. არტიანით აფ-  
სილები და აბასკები ("აფილა, 'აბასახი") ცხოვრობენ მე-2  
საუკ. ქრ. შ. ლაზებსა და სანიგებს შორის. სანიგების სამ-  
ხრეთით მდ. ფაზისისკენ ცხოვრობდნენ აბასკები, შემდეგ აფში-  
ლები. აფშილებს, ალბად ფაზისიდან მიყობოდნენ ლაზები. იმ  
ცნობის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავისკვნათ, რომ აბხაზ-  
თა ტომების საბოლოოდ დამკიდრება ეგრისის წყლის ჩრდი-  
ლოეთით შეიძლება მომზდარიყო შემდეგ მე-2 საუკუნისა.

განსაკუთრებით საინტერესოა ფარნავაზის ცხოვრებაში  
მარგვისის განსაზღვრა ლიხის შთახა და რიონს შეუ ზღვამ-  
დის. როგორც სწანს მატიანის შესამე ნაწარმოების — „მეფეთა  
ცხოვრების“ ერთი ადგილიდან, მარგვისი ითვლებოდა ნაწი-  
ლად ეგრისის — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — ტერიტო-  
რიისა. „მაშინ აღდგეს ერისთავნი დასხვლეთისანი ზუთნი  
(მზასპ მეფის დროს მე-2 საუკ. ქრ. შ.) — ორნი ერისთავნი  
ეგრისისანი (იგულისხმება საკუთრივ ეგრისის და მარგვისისა),



ერთი ოძნებისა, ერთი კლარჯეობისა, ერთი წუნდისხმატეს ცუდია (ნნ, მარ. 42). „გარდამოვლეს გზი თავვერისა (ოსებმა) და მიყიდეს ერთსთავთა თანა მეგრისათა“ (ქ. ცხ., მარ. 41; ბრო-სეს გამოცემაში იკითხება: მეგრელისათა, გვ. 56). მარგვ-სი საერთოდ უნდა ყოფილიყო მარგალების უკანასკნელი ეტაპი მათი სამხრეთიდან მიმავლობისას ისტორიულ სამეგრე-ლოში მოთავსებამდის.

ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ფარნავაზის ცხოვრებაში ეგრისის ორ ნაწილად მოხსენება (საკუთ. ეგრისი და მარგვისი) უნდა ჩარჩოადგენდეს იმ დროის ამოძანილს, როდესაც რიონის მარცხნა ნაპირის მიზ-დგამ ტერიტორიის ქართულ ენაზე გადასცლის საჭი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. ყოველს შემთხვევაში მარგვი-სის ტერიტორიის ისეთს ფარგლებში ლოკალიზაციის შესაძლებ-ლობა, როგორც ეს ფარნავაზის ცხოვრების შემთხვევას აქვს მოხსენებული, უნდა უსწრებდეს პროკოპი კესარიელის მიერ შენაბულ ცონბას მდ. რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყნის ვიდრე ჭორობის შესართავის მიღვმამდის უკაცურობის შესა-ხებ. პროკოპი კესარიელი სახელდობრ ამბობს (De bello Pers. II, 29, ჰავრის გამ. გვ. 292), რომ ფაზისის სამხრეთით მდე-ბარე ლაზიკა დაწყებული ამ მდინარიდან ლაზიკის საზღვრე-ბამდის ერთ კარგი დღის სავალს შეაღენდა და ეს ქვეყანა სრულიად უკაცური არისო. რიონის სამხრეთით მდებარე ტე-რიტორიის მე-ზ საუკ-ნახევრში ამ უკაცურობას მოყვა შემ-დევ ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობის შექრა ებლანდელ გურიის და ქობულეთის სიერცეზე, რამაც შეცვალი აღი-ლობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურაც. ამის შემდევ რი-ონის სამხრეთით მდებარე მხარე არ იწოდება მარგვისად, არამედ გურიად. ამისდა მიხედვით ფარნავაზის ცხოვრების term. post quem ით შეიძლებოდა დადგებულიყო მეტევსე საუკუნის დასაწყისი ან მეხუთე საუკუნის დასასრული.

ინტერესს არ არის მოკლებული ისიც, რომ ფარნავაზის



ცალკეულის დამწერი ასახელებს მარგვისში მარტინული მარტინული პენქტის — ორსახე ციხეს, შორაპანსა და დიმნას. შორაპანს, როგორც მნიშვნელოვან სიმაგრეს, იცნობს ჯერ კიდევ სტრაბონიც, მას იხსენიებს აგრეთვე, სხვებს გარდა, პროკოპი კესარიელი. დიმნას მდებარეობა არა სჩანს, მაგრამ ეჭვს გარეშეა ეს არის ძლიერ ძველი გეოგრაფიული სახელი, რომელიც შემდეგს დროებში არ ისხსნიერა. შესაძლებელია, ის იყოს პაპი ალექსანდრიელის, ანონიმის მიხედვით, და პროკოპის ‘Родрополис’ (ვარდის ქალაქი, ვარდციხე). ებლანდელს სვანურში ვარდის შესატყვისი სიტყვა არის და-ილ სადაც იდ არის კნინობითი დაბოლოება. ამ შემთხვევაში დამანა (და-ვან, და-ბან) შეიძლება მართლაც ნიშნავდეს, სვანურის მონათესავე ძველი კილოს სიტყვის ქართულ-სომხურ ვან, ბან-თან შესატყვისობის მხრივ დაკავშირებით და კანონიერი ფანეტიკური მებ ცელილებით, — სავარდეს. მაშინ სწორი და უფრო ძველი წაყითხვა ამ სახელისა გვექნებოდა — დამნა.

ამასთან დაკავშირებით და ამ სიტყვის წარმოების გასაგებად შეიძლება მოვიგონოთ ქართული სიტყვა ქალმანი, სადაც ქად არის ხუნძხურის გადა და ჰიოურის ქადა — ნაბიჯის შესატყვისი, სესხების გზით შემოტანილი ქართულში. ამანი კიდევ არის შესატყვისი ჰაიურის ა-შან და სირიულის შან, რაც ნიშნავს კურქელს (შეად. H. Mapp., Непоч. ист. ист. кавк. міра, Изв. Ак. Н. 1917, 323). ქალმანი მაშასაღამე უდრის სემასიურად საფეხოს, სწორედ ისე როგორც დამანი, დამნა, დიმნა, ამ განმარტების მიხედვით, იქნებოდა თავისი მნიშვნელობით — სავარდე, აქედან ქართული ვარდ-ციხე (სიტყვა ვარდი ქართულს ნასესხები აქვს).

საყურადღებოა, რომ აწმყო სვანურში (ლაშეურ კილოში) მოიპოვება სიტყვა დინა აკეშ, ყვითელი ყვავილის სახელი (არ. ონიანი, Сбор. сван. назв. дер. и гаст. 9, შეაღარე იქვე დინა გვარცხ), სადაც დინა ძალიან მოგვაგონებს ზემოდ მოხსენებულს დამნა, დამნა, დიმნა-ს.



ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს კიდევ შოვიგონონთ ისტორიული ცნობილი სახელი გიორგის, დიდის თამარის შემის, ძმისწულის დემეტრე ბატონიშვილისა — დემნა. ეს სახელი აქმდის განუმარტებელი იყო. მაგრამ ესლა შესაძლებელია ფიფიქროთ, რომ როგორც თამარის შეილი გიორგი ატარებდა აფხაზურს სახელს ლაშეს, რომელი სიტყვაც ნიშნავდა თამარის მემატიის სიტყვით (ქ. ცხ. I, 298) და ესლაც ნიშნავს აფხაზურად ბრწყინვალეს, სწორედ ესევე შესაძლებელია დემნა ნიშნავდა დველ სვანურად და შესაძლებელია აფხაზურადაც (აფხაზურში მესხურ ფენის არსებობის გამო) სავარდეს, ვარდს.

ამ ნაირად გამოიდის, რომ ფარნავაზის ცხოვრების ავტორი ვარდუიხეს იუნობს ჯერ კადევ სვანურის შესატყვის კილოს სახელით. ამ ფაქტს აქვს, რასაკეირველია, დიდი მნიშვნელობა. პროკოპი კესარიელისაგან ჩვენ ვიცით, რომ ქუთაისი მე-6 საუკ. ნახევარში უკვე ქართულ სახელს ატარებდა — *Koustatosiv=ქუთათისი*. შესაძლებელია ამისგან მიხედვით ვიფიქროთ, რომ ვარდუიხეც ამ დროს უკვე ქართული სახელის მატარებელი იქნებოდა. ეს ვარემოვება კი ჩვენ გვიჩვენებს, რომ ფარნავაზის ცხოვრება მე-6 საუკუნის ნახევარზე თვალსაჩინოდ უფრო აღრე უნდა იყოს დაწერილი.

ყველაფერ ზემოდ მოხსენებულის მიხედვით მე მგონია, რომ ფარნავაზის ცხოვრება, შედგენილი მამათა და ნათე-სავთა ცხორების<sup>6</sup> შემდეგ, [ შესაძლებელია დაკავშირებულ იქნას მე-6 საუკუნის მეორე ნახევარსა, უკვე დასასრულ-თან, დაახლოვებით მაშინადამე 480—500 წლების ხანისთან.]

საყურადღებოა ფარნავაზის ცხოვრებაში ზოგიერთი ძველი გეოგრაფიულ სახელწოდების ხშარება. ასეთია ზემოდ მოხსენებული დომნა, ასეთივე ჭური (ქაჯთა ქალაქი რომელ არს ჭური), რომელიც სხვა დროს არსად არ იჩსენიება. აღსანიშნავია, რომ ავტორი იუნობს ტფილისს, მაგრამ როგორც უმნიშვნელო ჭუნქტს. უივლტოდეს იჩემნი ლრილალთა შინა



ტფილისისათა“ (ქ. ცხ. 24). „მერვე დაადგინა სპისტეტული მუსიკის ტფილისითგან და არა გვითვა ვიდრე ტასისეარიადმდე და ფარავნადმდე რომელ არს შიდა-ქართლი“ (გვ. 31). უკანასკნელი სიტყვები—რომელ არს შიდაქართლი,—შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგ დროის ნართაულს, თუმცა ისიც უნდა ითვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საშუალება არა გვაძვს სისწორით განვსაზღვროთ ტერმინის შიდაქართლის დამოკიდებულება ტერმინთან ზენა-სოფელი, რომელიც უფრო ძველი უნდა იყოს და თავისი წარმოშობით ქართველების მიერ შიდა-ქართლის პირვანდელ კოლონიზაციისთან დაკავშირებულად სხანს. კერძოდ ტფილისის შესახებ აღსანიშნავია, რომ ავტორი მასში სრულებით არ აკხოვდებს მეფეს. ფარნავაზმა, ამბობს ის—„თუ ენი გაზაფხულისანი და სთულისა არისანი დაყუნის მცხოთას სამეფოსა და თუ ენი ზამთრისანი დაყუნის განიანთა, ხოლო თუ ენი ზაფხულისანი წუნდას“ (ქ. ცხ. I, გვ. 32, მარ. 21—22).

აღსანიშნავია, რომ ლიხის მთას „ფარნ. ცხოვრების“ ავტორიც უწოდებს მცირე მთას, როგორც ამის უმაშ. და ნით. ც-ბაში“ ეხედავთ. მარგვისის ერისთავს, „ცხოვრების“ მიხედვით, მიეცა ტერიტორია „მცირით მთითგან რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე რიონს ზემოთ“ (ქ. ცხ. I, 31; მარ. ვარ. 20).

წყაროების შერიც ავტორი დამოკიდებულია მოთხრობაში ალექსანდრეს შემოსელის შესახებ ფსევდო-კალისთვნის ალექსანდრიანისაგან (პ. კეკელიძე, ლ. მროველის ლიტერ. წყაროები), რომელსაც ის, როგორც სჩანს, მცირნულ ენაზე იცნობდა. „ეს ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისას...—იწყებს ავტორი თავისს ნაწარმოებს, ვითარება წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.“ გამოთქმა „წიგნსა ბერძენთასა“ უფრო იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართველი ავტორი იმ ნაწარმოებით ბერძნულად სარგებლობდა. მეორე წყაროს „ფარნ. ცხოვრების“ ავტორისთვის წარ-



პოლგერ თა „მოქ. ქ.“, რომელიდან მას ცალკე აღიღილები სი-  
ტუვა-სიტუვით მოყვას.

ଓମ୍ପାତ୍ର. ଶାରୀତଳୀ.

ঢাক্কাবঙ্গ (৩. 709).

და დასწრება კაცნი მერუვენი.... და-  
ჭრებულ ადგილს შას ხასრული-  
სი (გვ. 708).

ଏହାଙ୍କ ଅଧିକାରତା ପ୍ରେରଣେ ଦୀର୍ଘମ ବ୍ରତ୍ୟୁଷିତ  
ଥିଲା ଯା ଦୀର୍ଘମ୍ ବ୍ରତ୍ୟୁଷିତ ଶିଳ୍ପିମାନଙ୍କରେ  
ମଧ୍ୟରେ (ହୀ. 709).

და დასწინა კაცნი მერუვენი.... და-  
ჭრებულ ადგილს შას ხასრავი-  
ზო (გვ. 708).

ଏହାଙ୍କ ଅଧିକାରତା ପ୍ରେରଣେ ଦୀର୍ଘମ ବ୍ରତ୍ୟୁଷିତ  
ଥିଲା ଯା ଦୀର୍ଘମ୍ ବ୍ରତ୍ୟୁଷିତ ଶିଳ୍ପିମାନଙ୍କରେ  
ମଧ୍ୟରେ (ପୃଷ୍ଠ. 709).

და პოვნა უფეხლინა ქართველინა  
უბოროტეს უფეხლითა ნათესავთა  
სჭულითა რმეტუ ცოდნებრივით-  
სა და სიძუისათვის არა უწინდათ  
ნათესაბა, უფეხლისა სულს ჰამ-  
ლეს, მკედარსა შესჭიმდეს (გვ.  
26, მარ., გვ. 14).

ଦୁ ଅକ୍ଷୟ ଦୁଇପା ଜୀବନ୍ତିରେ ହେଉଥାଏ ଏହି-  
ପାଇଁରେ କମିଶ୍ଵରି ପାଇଁରେ ନାହିଁରେକା-  
ନିଃ (ପୃଷ୍ଠା 27, ମାର୍ଚ୍ଚ., 14).

ოფებზე დაყრდნობით ავტორი,  
ალხური ქოსის ნიმუშების გა-  
ლის უწყობლა ფარნავაზის დიდი  
ზი ისტორიულად მე-4—5 სა-  
ს ხამეფო დინასტიის დამაარ-  
ამეფო დინასტიას მე-4 ხაუკ.  
უწოდებს (ისტორია ვ., § 25).  
ე როგორ მოხდა ფარნავაზის,  
დამაარსებლის, ლიტერატურუ-  
ბა. „მოქც. ქარ.“, ალექსანდ-  
რევსანდრე მაკედონელის ხანი-  
უკავშირებს, აზოს შემდეგ ისე-  
მოქ. ქ.“-ს მიხედვით იყო მხო-



ლოდ მოადგილე აზოსი. „ფარნავაზის ცხოვრების“ ვეტოლი კი ფარნავაზს, როგორც მისთვის ცნობილ დინასტიის დამაარსებელს, სთვლის მეფობის დამაარსებლად და, როგორც ხალხური ვმირი, გამოყავს ის მაკელონელების წინააღმდეგ მებრძოლად. აქ მოხდა, ასე ვთქვათ, შეზავება უკე არსებულ ლიტერატურულ („მოქ. ქ.“) და ხალხურ გადმოცემის მასალებისა. რეალურად, რასაკვირველია, ქართლის სამეფო დინასტიის დამაარსებელი ფარნავაზი არ შეიძლება ყოფილიყო ალექსანდრე მაკელონელის თუნდაც უმცროსი თანამედროვე, უკეთეს შემთხვევაში ამ ფარნავაზიად შეიძლება იყულისხმებოდეს I საუკუნის პირველ ნახევარში ქრ. შ. მცხოვრები ფარნავაზი, რომელიც ფარსმანავაზის ხახელით იხსნიება „მოქ. ქ.“-ში ფარსმანთან (ქველთან) ერთად (ს. კავაბ., ქართ. სახელმწ. გვერძ. საკიონ). ფარნავაზი, როგორც დინასტიის დამაარსებელი, ხალხურ ეპოსში კარგად იქნებოდა ცნობილი და ამ ხალხურ ეპოსის ერთი მშენიერი ნიმუშთაგანი შენახულია „ფარნავაზის ცხოვრებაში“, ხახელდობრ ფარნავაზის სიზმარი — „იხილა სიზმარი ფარნავაზ, რეცა იყო იგი სხელსა შინა უკაცრებსა და ეგულვებოდა ვანსლეა და ვერ განვიდა. მაშინ ვამოვიდა სარკმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა და ვანიზიღნა და ვანიყუინა სარკმელსა მას და ვითარ ვანვიდა ველად, იხილა მზე ქუემდებარედ, მისყო კელი მისი, მოკოცა ცეკრი პირისა მისისა და იცხო პირსა მისსა“, (ქ. ც. I, 29, მარ. 17). სიზმარს მისცემს თხრობა ფარნავაზის ნადირობად წასვლის და განძეულობის ნახევის შესახებ. ამას მიყობა ეპიზოდი ქუჯის შესახებ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ხელოვნურ ანაგებს, ციხე-გოჯის ცონიმიზაციის ნიადაგზე წარმოშობილს. ასეთი ხელოვნურ ანაგებად სიანს ცნობაც ქართლის ერისთვების დანიშნის შესახებ.

საყურადღებოა ზოგიერთი ლექსიური ფაქტები „ფარნავაზის ც-ბაში.“ მაგ., ვეტოლი ხმარობს ცხენის მავირად სიტყვას საკედარი — „წარმოვიდეს სამნივე იგი საკედრებითა



და კურტლებითა,“ ქ. ცხ. I, 29; ეინაიდგან სა-კუდ-არა არის  
წარმომდგარი სვანიზმით გაპოხიერებულ ქართულ კილოს ნი-  
აღდებე (ძირი კე სვანურში ქალაც აწარმოებს ზმიას მსვლე-  
ლობის მნიშვნელობით, H. Mapp, ჩავლე. აზ. ცხ.-რუ.  
ლოვ., 35), ამიტომ ამ გარემოებას შეიძლება მიეცეს მნიშ-  
ვნელობა ავტორის, — კუთხის და კილოს თვალსაზრისით, წარ-  
წარმომავლობის გასარკვევად. ამასთან დაკავშირებით სინ-  
ტერებს უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ც-ბაში გვხვდება,  
თუმცა იშვიათიდ, მეორე მრავლობითი რიცხვის (—ებ) და-  
ბოლოვება, რომელიც მეგრულში ქალაც შენახულ — ეფ-ს  
ეშესატყვისებოდა და რომელიც შეიძლება ვიუიქროთ,  
რომ ქართულში მეგრულიდან არის გაღმოსული, ან და მათი  
საერთო წინაპარ ფენიდან წარმომავალი. მაშინ როდესაც  
უმა. და ნათ. ც-ბა“, როგორც ვნახეთ, შეიძლება წარმომავ-  
ლობის მხრივ დაუკავშირდეს ძველი ქართლის აღმოსავლეთ  
განაპირია კუთხეებს, კერძოდ მცხეთის რაიონს, ფარნავაზის  
ც-ბის ავტორის წარმომავლობა უფრო ქართლის დასავლეთ  
ნაწილებიდან სჩინს, შესაძლებელია სამცხესა და მისი მიმდგამ  
რაიონებიდან.

საყურადღებოა, რომ ფარნევაზის ც-ბაში იარაღად მოხსენებულია ისარს გარდა ჩუკლუკი. ნადირობაზე წასულმა ფარნევაზმა „აღმოიღო ჩუკლუკი და ვამოარღვია კარი ქვაბისა მის“ (ქ. ცხ. I, 29). ჩუკლუკი იხსენიება „მეფეთა ცხოვრებაზიც“ (ქ. ცხ. I, 38) მაგრამ მხოლოდ ერთს ნაწილში და, როგორც სჩინს, ძლიერ ძველი დროის ტერმინი უნდა იყოს.



მენენი, ეკირთებოდეს ქუცყანასა რომისასა და მოიკუანნია ქართლად” (ქ. ცხ. I, 27). თუ ფროტათოსელი აქ უდრის სიტყვას პროთათო (ზმნიდან პროთათ) — წინ მდგომელის, პირეელ რიგში მდგარს, მაშინ ჩვენ მიერღვით ამ ბერძნული სიტყვის თავისებური ლიტერატურულ განმარტების, სამხედრო წყობილების ტერმინის ეთნიურ ნიაღავზე გადატანით.

ევტორის ბერძნულისკენ მიღდეკიო მსოფლიშედველობის დასახასიათებლად საინტერესოა კიდევ პიზანტიის ეპონიმის ბიზინტოსის როლი. ილექსანდრე მაკედონელმა, ავტორის სიტყვით, „ბიზინტოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი და უჩინა კერძო ჩადილოსა“ (ქ. ცხ. I, 28). ამ გვარიდ ქართლი, ავტორის შემეცნებით, უძველეს დროიდანვე საბერძნეთთან არის დაკავშირებული.

არა ნაკლებ საყურადღებოა ავტორის ცნობა, რომ „ფარნაგაზს სპარსულად ორმაზ ერქვა“ (ქ. ცხ. I, 32). აქ ავტორი აღმად ეყრდნობა „მოქ. ქ.“-ს ცნობას, რომ ფარნავაზმა „აღმართა კერპი დრდი ცხვა ზა და დასუვა სახელი მისი არმაზი“ (Opus. II, 709). „ფარნაგაზი“ წარმოებული უნდა იყოს ძევლი სპარსულ ფორმიდან farna[hi]uvanta, რაც ნიშნავს ბელნიერს და უნდა წარმოადგენდეს აჟურამაზდის ერთ-ერთ ეპიტეტს. შესაძლებელია ისიც, რომ ფარნავაზის ცაბის აღმწერელმა „მოქ. ქ.“-ს ზემოდ მოყვანილ ადგილის არა სწორი გავებით სახელი ფარნავაზი აღნიშნა როგორც არმაზის შესატყვისი. მართლაც „მოქ. ქ.“ ხსენებული ადგილი შეიძლება ისეც გაგებული იქმნას, რომ ფარნავაზმა მარტოოდენ დასდგა კერპის სახელი არმაზი და ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ფარნავაზის ცაბის ავტორის მიერ ამ სახელის დაკავშირების არმაზთან „მოქ. ქ.“-ს სათანადო ადგილის არა სწორი გავების მიზეზით.

დასკვნა: „ფარნავაზის ცხოვრება“ (თავი შემოსულია აღმატებას დრესი, მარ. ვარ. 13—22) წარმოადგენს ძველს ნაწარმოებს, დაწერილს, როგორც საგულისხმებულია, შემ-

დევ ან პარალელურად „ვამათა და ნათესავთა ცენტრალისა“  
შე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ყოველს შემთხვევაში არა  
უფიცინეს 500 წლის ახლო ხანებისა. ეს ნაწარმოები წარ-  
მოადგინს ლიტერატურულ შეკროებზე დაყრდნობით (ბერძნული  
ალექსანდრიანი, „მოქ. ქ.“) და ხალხურ ეპოსის ნიმუშთა  
გამოყენებით ცალკე ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელ-  
შიდაც არის იეტორის ხელოვნურ ისტორიულ-მეცნიერულ  
ანავების (კლაც (კიხე-გოჯის და ბიჭანტიის ეპონიმიზაცია,  
საერთოსთაოების სქემა და სხ.).

---

მესამე ნაწარმოები, რომელსაც შეიძლება მივაუთვნოთ  
„ქართ. ც-ბის“ დასაწყისში მოთავსებულ სათაურის მთავარი  
ნაწილი — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, იწყება ფარნაო-  
ზის შემდეგ და თავდება ჯუანშერის თხზულების „ცხოვრება  
ვახტანგ გორგასლისა....“ დაწყებამდის. ფარნავაზის სიკედი-  
ლის შემდევ ტექსტი, როგორც მოხსენებული იყო (ზემოდ,  
გვ. 127), მოგვითხრობს ფარნავაზის მიერ ქართული ენის  
განვრცომის შესახებ. „ამინ განაერცო ენა ქართული და არ-  
ღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლის შინა თვინიერ ქართუ-  
ლისა. ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქ. ცხ. I,  
32). ეს ადგილი უკავშირდება ხაზართა გამოსვლის თხრობა-  
ში მოთავსებულ ცნობას ქართული ენის სომხურის შემდეგ  
შექმნისა და აკრეთვე ქართლში შემდევ ექვსი ენის არსებო-  
ბის შესახებ. შესაძლებელია ამიტომ მივიღოთ, რომ ხაზართა  
გამოსვლის თხრობაც „მეფეთა ცხოვრების“ იეტორის შედევ-  
ნილი უნდა იყოს, მით უმეტეს რომ არსებითად, როგორც  
უმთავრესად სპარსეთის შეფეთა შესახებ ამბის გაღმომცემი,  
ის მართლაც წარმოადგენს თითქოს შესავალს ქართველთ მე-  
უეთა ცხოვრებისას.

ამ ვკარად „მეფ. ც-ბა“ წარმოადგენს ნაწარმოებს, რომე-



ლიც იწყება ხაზართა გამოსვლის შესახებ თხრობით (ქ. ც. I, 21—26, მარ. ვარ. 8—13). მას ემატება „ფარნევაზის ცხოვრება“ — ცალკე ნაწარმოები, მთლიანად ჩართული და ამას მიყობა თხრობა ფარნავაზის შემდგომ მეფეთა შესახებ. მემატიანე აღწერს ფარნავაზის მომდევნო მეფების ცხოვრებას და ათავებს ფარნავაზიანთა სახლის მეფების ისტორიას ასფაგურ მეფეზე (ქ. ც. I, 53, მარ. ვარ. 44). „ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთი ნათესავისა.... განიამრავლეს (საურმაგ და სომეხთა მეფემ კოსარომ) შესულა სპარსეთიდ და ტუშენვა სპარსეთისა. ხოლო დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი“ (ვე. 57, მარ. 43—44). ამას მისდევს თხრობა მირიანის და წმ. ნინოს შესახებ, რომელსაც მარ. ვარიანტში სათაურიად აქვს: „თავი მეოთხე. ქართლს შესულა სპარსთა და მეფობა მირიანისი“. თავისთავად სათაური „თავი მეოთხე“ მეტად საყურადღებოა და უნდა გვიჩვენებდეს, რომ მირიანის ცხოვრების ავტორის სიტყვით მირიანამდის მატიანე სამ თავს წარმოადგენლა. ამავე ავტორის უნდა იყოს ამ „მეოთხე თავის“ დასაწყისი, სახელდობრ თხრობა სპარსთა შემოსვლის შესახებ (მარ. ვარ. 44—48), ვიდრე მირიანის ცხოვრების დაწყებამდის. ხოლო დაწყებული სათაურიდან „ხოლო აწ ვაკესენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქისრე არდა შირისა“... (მარ. ვარ. 48), რომელსაც მიყობა „მოკცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა“ (მარ. ვარ. 55) და სხვა თხრობანი წმ. ნინოს ხრული (ცხოვრებიდან (მარ. ვარ. 55—110), უნდა იწყებოდეს ნართაული ტექსტი, რომლის შესახებ ქვემოდ იქნება ლაპარაჟი. რაც შეეხება თხრობას მირიანის სიკვდილიდან (მარ. ვარ. 110) ვიდრე ვახტანგ გორგასლის ცხოვრების დასაწყისამდე (მარ. ვარ. 116), აქ წარმოადგენილი უნდა იყოს ესევე „მეფეთა ცხოვრების“ გაგრძელება.

ამ გვარიდ „მეფეთა ცხოვრება“ წარმოადგენს, ნართაულ



ადგილების გამოკლებით, ერთს მთლიან ნაწარმოებს დაწყებული ხაზართა გამოსვლიდან ვიღრე ვაძტანგ გორგასალის დასაწყისისმდე.

რა, ჭარმოადგენს ებლა ეს „მეფეთა ცხოვრება“, დაწყებული ხაზართა გამოსვლიდან ვიღრე ვაძტანგ გორგასალის „ცხოვრების“ დაწყებამდის, რასაკვირველია ფარნავაზის, მირიანის და წმ. ნინოს ცხოვრების გამოკლებით?

თავისი ანაგებით „მეფეთა ცხოვრება“ არის თუმცა ისტორიულ საფუძველზე დამყარებული, მაგრამ სადევგმირო ეპიურ ხაზებით იმდენად მძლავრად შეზავებული ნაწარმოები, რომ ის უფრო ხელოვნურ ეპიურ თხზულების შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიღრე ისტორიულ მატიანისას. ეს ეპიური—და ისიც ლიტერატურულ სესხით გადატანილი—თვისება ცხადად ეტყობა კერძოდ ამ ნაწარმოების, ასე ვთქვათ, შესავალს, სახელდობრ თხრობას ხაზართა გამოსვლის შესახებ, სადაც ცნობები სპარსთა მეფის შესახებ შეტანილია ლიტერატურულ წყაროს მიხედვით, რომელსაც ავტორი „სპარსთა ცხოვრებას“ ეძინის. „ესე ვითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთას“ (ქ. ცხ. I, 23); „ვითარცა“ წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებისას, არა ყოველი მართალი, არამედ უმრავლესი ტუშვილი“ (ქ. ცხ. I, 24). უკანასკნელი დახსიათება ავტორის მიერ მის ხელთ მყოფ ერთ მთავარ წყაროსი საყურადღებოა იმ მხრიց, რომ ცხადად მმრკიცებს ავტორის ცდას რეალურ ისტორიულ ნიადაგზე დადგომისას. მაგრამ მისი დამოკიდებულება სპარსულ ძველ ეპიურ ნაწარმოებისავან—არა მარტო ფაქტიური. არამედ მეთოდოლოგიური—ავტორს არ ძლევედა დასხაულ მიზნის სათანადოდ განხორციელების საშუალებას, რის გამოც „მეფეთა ცხოვრებამ“ მიიღო ნახევრად მატიანესებური და ნახევრად ეპიური ხასიათი. ამისი ერთი მთავარი მიზეზი, გარდა იღნიშნულ მეთოდოლოგიურ მომენტისა, უნდა ყოფილიყო ავტორის ხელში მყოფ ქართულ ისტორიულ წყაროების სიმკირე, რის ანაზ-



დაურებას ავტორი ცდილობდა უკეთ ჩამოყალიბებულ ქრისტულ სახელმწიფო მინისტრის ქარგაზე ისტორიულ გადმოცემების და ეპიურ ფაქტების ლიტერატურულად წარმოჩენით და განვითარებით. მართლაც, ავტორს ქართველი ხალხის ისტორია ამ უძველეს ხინაში შუღლივად წარმოდგენილი აქვს, „მამ. და ნათ. ცხოვრებაში“ და ფარნავაზის ცხოვრებაში წარმოდგენილ გეოგრაფიულ გენეზისის მიხედვით, ქართლოსის და ეგროსის წილის საზღვრებში. ისტორიულ პერსპექტივის უქონლობა ამ შემთხვევაში უნდა აიხსნებოდეს არა მარტო მეთოდოლოგიურ მომენტებით და იმ განსაზღვრული მიზნით, რომელიც როგორც „მეფ. ცხ-ბის“ თეოთ ამ სათაურიდან სჩანს, დასახული ჰქონდა ავტორს, არამედ მის ხელში მყოფ ქართულ სისტორიის წყაროების სიმარტივით და სპეციფიკური ხასიათით. ამ ქართულ წყაროთაგან უმთავრესი, თუნდაც რომ არა ერთად ერთი, უნდა ყოფილიყო „მოქ. ქართლისად“, რომელთან ავტორის დამოკიდებულება ფრიად საყურადღებოა და საინტერესო ხაკითხებსაც სძრავს.

ეჭვს გარეშეა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი თავისი ნაწარმოების უძველეს ნაწილში იცნობს „მოქ. ქართლ.“, თუმცა ხშირად მის ცნობებს თვალსწინოდ სცვლის საკუთარ ისტორიულ პერსპექტივისთან შეფარდებით. ასე, მაგ., „მოქ. ქ.„-ს ცნობა აზოვს მიერ 18 სახლის მოყვანის შესახებ მცხ-თაში ავტორს გადაკეთებული აქვს თურქთა 28 სახლის მოსვლის ქართლს. „მოქ. ქ.„-ში კიდევ ვკითხულობთ: „მაშინ მოვიდეს ნათესავნი.... ჰონი და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქუეყანაშ ხარკითა და დასხლეს იგინი ზანავს და ეპურათ იგი რომელ ხარკითა აქუნდა პრექტიან მას ხერკი“ (გვ. 708). „მეფეთა ცხოვრება“ კი გაღმოვცეცმის: (ნაბუქოლონისორ მეფისაგან) „ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვს მცხეთელ მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. ხოლო მცხ-თელმან მამასახლისმან მისცა და დასხნა არაუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქონიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა



მათ ხარკით აში ჰქონდან ხერკ ხარკისა მისთვეს” (კატერენა 25, გარ. ვარ. 12). ცხადია, აქ ავტორს პუნქტი გადაუკეთებია ჰქონიებად, მაგრამ მისი დამოკიდებულება „მოქც. ქარ“. საგან მაინც სწანს.

უნდა ითქვას, რომ მეფეების სიის მხრივიც ფარნავაზის შემდეგ ავტორი საერთოდ მისდევს „მოქც. ქარ.“-ს, მხოლოდ მირიანს ის უკავშირებს სპარსეთის სამეფო სისლის. ამისთანვე ავტორი ჩანდახან, რაც უფრო სიინტერესოა, სიტყვა სიტყვით იმეორებს „მოქც. ქ“-ს ცნობებს და ამით ააშკარიებს თავისს მისგან დამოკიდებულებას. მავალითები:

მეფეთა ცხოვრება მოქ. ქართლ.

საურმაგ. „შექმნა თრინი ამან აღმართა გერმი ახსანა გზა-  
ჭერში აინინა და დანა(ნა) და სა ზა (გვ. 709).

ამართა გზასა ზედა მცხე-  
თასასა“ (მარ. 23).

მირიან.

ფარნაჯობ. „ამან აღაშენა  
ციხე ზაღენი და შექმნა  
გერმი სახელით ზაღენ და  
ამართა ზაღენს“ (მარ. 24)  
არშაკ. „შოამტევაცნა ზღუ-  
დენი ფავნეთის ქადაქსა წენ-  
დას“ (მარ. 25 — 26)

არტაგ.

ბარტომ. ამან უშატა ზღუ-  
დეთა მცხეთისათა (მარ. 26)

მირიან. არშაკ. აღერკი.

აღერკის ძენი ბარტომ  
და ქართამ. „ურანი შო-  
გადეს მცხეთას და დას  
დეს (მარ. 31).

უცელაფერი ეს ცხად ჰყოფს „მეფეთა ცხოვრების“

მირეან. ფარნაჯობ, (რომელ-  
მან) „აღმართა გერმი ზაღენ მთასა  
ზა და აღაშენა ციხე“ (გვ. 709)  
არს[ოკ]. [წენდას] ქადაქსა ზღუ-  
დენი მთაქმნა (გვ. 709), წენ-  
დას მაგივრად ფრმხილებაში აღდ-  
გენილად დაბეჭდილა „დამან“,  
რაც შეცდომა უნდა იყოს).

[არტაგ] (ფედ.: არიკ).

ბრატმან. რ-დას ზე მცხეთას  
ქადაქი დაწერა (გვ. 709).

მირეან. არსუკ. როკ.

ქარიბ და ბრატმან „ჰურიანი  
შოფიდეს მცხეთას და დასხდეს“  
(709).



ავტორის დამოკიდებულებას „მოქმ. ქართლ.“-ს აფეშუს უზრუნველყოფა მოკიდებულება საზოგადოდ ცნობილია ლიტერატურაში, მაგრამ უნდა იღინიშნოს, რომ ის არსებობს მხოლოდ განსაზღვრულ აღგილამდის. სახელლობრ, მირიანის შემდგომ მეფეთა ცხოვრების აღწერილობაში შემატიანე უკვე ამ გვარ დამოკიდებულებას არ აშეარავებს. ეს სჩანს შემდევ ცნობებიდან, რომელიც ჩევნ მოგვყავს პარალელურად:

„მოქ. ქართლ.“-ს ქრონიკაში მოქმ. ქ. ცხ.-ბა. ბაქარის შემდეგ დანიელ. ბაქარის შემდეგ „და კიდა შეფეხედ ძე მისი შინდარ ჭდა შეფეხედ ძეა მისი თან- „აღაშენა ექვესანი თუხარის- და და მთავარების კათო- სა ციხეს შინა.. და კუმარ შე- იუთ ნერსე სომებთა კათა- ნება ერუშეთისა და წუნდისა ექ- ლიკოზისა და აკანი ითა- დე შეფეხება რუმსთვისა რუმ „მოკუდა იაკობ, ეპი- კამითზი და დაჭდა ითა სომებ- და ნერსე კათალიკოზისა და კუ- ნებრეს კახეთისასა ეპ- ლესიად ადიშენა განსირულე- ბით“.

„შემდგომად“ მისა დადგა კარაზბაკერ შეფეხედ“. სპარ- სთ შეფის მაზბანნი აშე- მოვიდეს სივნიეთა და იგი კიდანდ გაეცემა.... მოვიდა ქრის ხეარბორზარდ სპარ- სთა შეფის პირიაშში ტფი- ლისად ქადაქად ციხედ და ქადაქი მისსა ხარსეს შედ- გა და სომხითა და სივნიე- თი და გვასტერაგანია“. აზ- ნაურთ წმ. გოთოგის ეპ- ლესია აშენეს მცხეთას.

კარაზბაკერ ძე შინდატისი. კაუ- რეფე ურწმუნი და მოძულე სჭა- დია“. სპარსთა შეფეხემ გამოგზავ- ნა ერისთავი დაზი ჭარით სომ- ხებზე და ქართველებზე ხარების დასაღებად. აშეცედა კახე- თისასა და აღაშენა ციხე კიდარს. აღაშენა ერისთავმან სპარსთაშინ ტფილისი კართა შორის ციხედ შეცემისა. კარაზბაკერშია იქის- რა ხარები. კლარჯეთი გადავიდა ბერძნების შესავას, ბერძნებში და- იპერეს თუხარისი.



ბაკურ მე თოლდატისა. ასევე  
ბოლონისასის კედესია [შეტბ  
ჭა კანაახლა არმაზი—იგუ  
ლისხმება ციხე]. მთხვერ  
ეპისკოპოსად იყო ქლია.

ଯୁକ୍ତିମାନ [ଶାରୀର.; ଡାକ୍ତିର୍ଯ୍ୟ-  
ଦାଇ ଅରଦାର୍ଥିଙ୍କ ଏବଂ ମହାବାନ-  
ଗଢ଼ିକ୍ଷାକଳିତାଙ୍କ ଯୁଦ୍ଧ କ୍ରମୀଙ୍କ]

როგორც ამ პარალელებიდან სჩანს, „მეტეთა ცხოვრების“ ფრთხილი არა თუ არაა დამოკიდებული მირიანის შემდეგ დროინდელ მატიანის აღწერილობაში „მოქც. ქარ.“ -საგან, არამედ არც იყნობს მას. წინააღმდეგ შემოხვევაში ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა არა თუ ფაქტების, არამედ თვით მეტების გენეალოგიის ასეთი არეა „მეტეთა ცხოვრებაში.“ რატომ მოხდა ეს? ეხლა, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ „მოქც. ქართლ.“ პირებელად თავდებოდა მირიანის სიკედილზე, ყველაფერი გასაგები ჩდება. ავტორი სარგებლობდა „მოქც. ქართლ.“ -ს იმ ტექსტით, რომელიც მის დროს არსებობდა, ე. ი. მირიანის სიკედილის აღწერილობამდის, ხოლო ამის შემდეგ ის აღმად ემყარებოდა რომელიმე სხვა ლიტერატურულ ცნობებს.

ამ გარემოებას აქვს თავისი მნიშვნელობა „მეცნიერობის უძრავის“ შედეგების დროის დასათარიღებლად. მართლაც, კინაიდგან, როგორც ზეპიონ იყო ნაწევნები, „მოქც. ქ.“-ს ქრინიკა მიზრანის შემდეგ ფაქტების შესახებ შედეგებილი უნდა იყოს მე-7 საუკუნის ნახევარში, ამიტომ ცხადია, რომ

გარაზებაქარის სიმიამისი მთლიანობის  
შოთავდა იპისკოპიური ითაბ და და-  
წდა ეღია, ააშენა რესტაციის ეპ-  
ლექსი, ააშენა ნეკროსი.

ଯୁଗରିମାନଙ୍କ ମଧ୍ୟ ମହାଦୂର୍ଘାତୀ । ପିଲାନ୍ତି-  
ତା ଗରୀବଙ୍କଙ୍କ ପ୍ରକାଶକୁ ପାଇବାର ଜୀବିତରୁଗମନ  
ପାଇଲୁଛାଏହା ତୁ ଏହି ମହାଦୂର୍ଘାତୀ ।

ան Տիգանես, „մեղքյութա Աթոռարկեածու<sup>4</sup>  
Կոլուգը ծառու մորուանու Շըմլցը  
Հովհաննու „մոյքը. յառ.“-խացան,  
ալմլցը Շըմլուցցածու հզբենուցուն  
դայէրեածու, ահամյու տցուտ մյ-  
արքյա „մեղքյութա Աթոռարկեածու.“<sup>5</sup>  
Եսաւ հզբեն ցուցու, հռմ մոյքը.  
ու մորուանուն Տոյպալունչը, պար-  
շուրու Տօրցցի ծլուգը մոյքը.  
լունու Ցու գրու արևեմունքա,  
Քյորուլուգամձուն, Խոլու ամուն  
հռմյուլումց Տեցա լուրջարու-



„მეფეთა ცხოვრება“, ამისდა მიხედვით, არ შეიძლება მეტა-  
კუუთვნის მე-7 საუკუნის ნახვაზე შემდგედროინდელ ხანას.

მეორე სალიტერატურო წყარო, რომელიც ხელო ჰქონ-  
და „მეფეთა წიგნის“ ავტორს, არის სპარსული მეფეთა წიგ-  
ნი. ამ წყაროს მემატიანე რამოდენიმეჯერ ასახელებს: „აფრი-  
დონ, რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასუი გველთა უფალი  
და დაბა მთასა ზედა, რომელ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ქ. ცხ. I, 23,  
მარ. ვარ. 10); ეგ შიოშ ბეღნინერისა მოიკლა თურქეთს „ვი-  
თარცა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებისასა არა ყო-  
ველი მართალი, არამედ უმრავლესი ტყუფილი“ (იქვე 24,  
მარ. ვარ. 11); „მეფენი აელალიანნი, რომელი იცნობების  
არდაშირობით ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“  
(იქვე 57, მარ. ვარ. 43). ამ „სპარსთა ცხოვრებიდან“ მემა-  
ტიანებს ვრცლად შემოაქვს ცნობები სპარსეთის უძველეს  
მეფების შესახებაც. მეთოდოლოგიურადაც ამ ნაწარმოებს,  
როგორც უმთავრესად ეპიურს თავისი ნიშანდობლივ თვი-  
სებების მიხედვით, ჰქონდა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორზე  
დიდი გალენა.

პროფ. კ. პატკანოვს თავის დროზე (O др.-груз. хрон.,  
Ж. М. Н. II., № 12, 1883 г.) ნაჩვენები ჰქონდა, რომ  
ქართველი მემატიანე დამოკიდებულია სპარსულ „მეფეთა  
წიგნისაგან“, სახელდობრ ფირდოსუსის შაპნამესაგან, საიდან  
მას თავისს ოხზულებაში შეაქვს მთელი წყება სადევგმირო  
ცნობებისა და იყენებს მას თავისი ისტორიული სქემის კონ-  
სტრუქციისთვის. მაგრამ ჯერ კიდევ 1899 წ. მ. ჯანაშეილმა  
აღნიშნა („ივერია“ 1899 წ. № 98—103, შემდეგ ცმოპი,  
ვყ. 35), რომ თუმცა მატიანე შეიცავს შაპნამისებურს მა-  
სალის, მაგრამ ის უნდა იყოს შეტანილი ფირდოსუსისაგან  
დამოუკიდებლივ. ნ. მარტისაც აგრეთვე დიდი ხანია შენიშ-  
ნული ჰქონდა, რამდენადაც მე კერძოდ მისგან ვიცოდი, რომ  
მატიანეში მოხსენებული სპარსულ „მეფეთა წიგნიდან“ გად-



მატანილი საკუთარი სახელები ძველი, ფამილიურის ფორმისა  
არიან, რის გამო ის დაბრკოლებას არ ხედავდა ჯერ კიდევ  
1902 წ. მატიანე შე-8 საუკუნეში დაწერილად ეცნო (ზე-  
მოდ, გვ. 94). მართლაც მატიანის ბევრასფი (=ბევრუხენიანი)  
არის იგივე ფირდოსუსის ზოშაკი (ქართ. ზააქი) და ამ ფორ-  
მით ამ გმირს იხსენიებს მოსე ხორენელიც, რომელიც, რა-  
საცირკველია, ფირდოსუსზე ბევრად აღრე ცხოვრობდა. კი-  
დევ, მატიანეში მოხსენებული და სპარსულ „მეფეთა ცხოვ-  
რებიდან“ გადმოტანილი სახელი იყრიდონ ეშესატყვისება  
ამავე სახელის ფამილიურ ფორმას Fretun (იხ. Hübschmann,  
Persische Studien, 207) და არა ახალს სპარსულს Faredun  
(پرند). ასევე, სახელი სპანდიატი (ქ. ცხ. I, 26) „მეფეთა  
ცხოვრებაში“ წარმოდგენილია ფამილიური ფორმით. ფამილი-  
ურში ეს სახელი იყითხებოდა Spandyat (Hübschmann, დასახ.  
შრ., 191), ახალს სპარსულში კი ეს სახელი გამოითქმოდა  
Jsfandiyar (اسفندیار). სახელი ვაშტაშაბი (ქ. ცხ. I, 25) ავრე-  
თვე უახლოოდება ამ სახელის ფამილიურ გამოთქმას (ი. აბულ.,  
შაპნამეს ქართ. ვერსიები, XXXI).

ამ გვარად ეპვეს გარეშედ უნდა ჩაითვალოს, რომ „მე-  
ფეთა ცხოვრების“ ავტორის, წიგნი სპარსთა ცხოვრებისა“  
უნდა იყოს ფამილიური ნაწარმოები. ამ შემთხვევაში უპირვე-  
ლეს ყოვლისა შესაძლებელია ნაგულისხმევ იქმნას ფირდოსუ-  
სის შაპნამეს წინამორბედი ხვატა-ნამე ანუ უფრო გვიანდე-  
ლი გამოთქმით ხოდა-ნამე—მეფეთა (უკეთ: მატრონთა) წიგნი.  
ხოდა-ნამე, თემურლევნის შეილის შეილის ბაიზონგურის  
ბრძანებით დაწერილ შაპნამეს წინასიტყვაობაში მოხსენებულ  
ცნობის მიხედვით, შედგენილი უნდა იყოს ხოსრო I-ის დროს (531—579). ხოსრო I-ის სურეილი იყო სპარსეთის წინან-  
დელი ხელმწიფების შესახებ ცნობების ერთად შეკრება. მა-  
გრამ იმავე ბაიზონგურის მიერ შედგენილ წინასიტყვაობაში,  
როგორც ამას თ. ნელდეკე უწევებს, მოხსენებულია, რომ  
იეზიდიგერდ III-ის დროს (მეფობდა 633—637 წ.წ., შემდეგ,



Վրացալոյքը գամարկսեծնունո առածցնուն մոյր, մոյլուն ոյմնա  
651 7.) Հովքան Հանը Մշտիմա Մյալցոնա Տպահսյուն մյոյյուն յիրո-  
նոյա զառմահարտութան գանցիմնունո եռևրուն Ա-դուն (590—628).  
Իրացարակ Կրոմունուա, եռլառ-նամյ առածցնուն դրուն ոճն-ալ-մոյր-  
ամ մյ-8 Տասպ. Խանյանի գալաթարցմնա առածցնունու, Իրամելու  
տարցմանը, գաձլուսը լցունուն Լայարցուն զամու, զամունցիմուն  
ոյմնա գործունունուն մոյր. Առածցնուն ամ Խանյանի մոյր Մյանեց  
Մյանասւն Կրոմաւա լա Շահնամյ տերունուն գոյշի բալուն Վրաց  
եռևրուն Ա-ս յանյամունուն յրտմանցուան Մյանցունունուն զամու,  
տ. Երևանու գոյշիրուն, Իրամ եռլառ-նամյ գանցիրունուն ոճնու  
շողունունուն եռևրուն Ա-ս Մյանեց, Վանուցը Ի-ս գրուն  
(Th. Nöldeke, Das iranische Nationalepos, Grundr. der iran. Philol. II, 142—143), մանասամյ 633—636 Բ-լոյթի. ալսա-  
նունացու, Իրամ եռլառ-նամյ մուրուցնուն մոյր մայլուն ոճնու  
ոյմնուն. Հյուր կուրու Ֆերանուն բուցուտերունուն կյուունուն Բար-  
մոմաւունունուն Մյանեց մատնու լահինուն զալմուրյմենս, Իրամյ-  
լուն մոյր Ֆացուն գործունուն Մյանեց Շահնամյ մատնուն լա-  
պաւն Տուշը Բ-ս (F. Justi, Gesch. Irans, Grundr. d. ir. Phil. II, 441). Ցույց եռլառնունուն գապունուն օյցու Յար-ահաս-  
պարունան Բոցնունան Մյանուն Կրոմա հուսքունուն Մյանեց,  
Իրամունուն Մյանեց Տպահսյուն Համայշերյանուն գա Տյալունու-  
րուն Նրանինուն “ գազրուրյանունուն, ուստի մաս 120 Տպունուն  
մալու Ֆյոնճառ (Յ. Եռու. Ուստիուն II, 8). յե շլունսա մա-  
լունան մայլունու, Տալուն նյամուն Տպահսյունունուն ալյունուն գա  
հաջուանաց ու Շահնամյ առ Սիանս, Մյանմուն մատնուն առու  
գաձլուսը եռլառ-նամյ մոյր պատունուն Մյանունուն. մանը Ա-  
ճանամը ունունունուն Կրոմունու, Իրամ ոյցու մյ-6 Տասպ Մյան-  
նուն Ե-ս գրուն, ազատունուն Տուշուն, Տպահսյուն Ֆյոնճառ  
Տպահսյուն Բոցնեցու—սամյուն մոցուն մանը Ա-ճանամը Պարտիուն Բիթլուս, Յա-  
տաւաճ առօմնուսուն մատն (Ուստիուն, IV, 30) գա ազրյունուն Տա-  
մացուն Բոցնեցու թառւակուն նուժներաւ (II, 27). ամ Տանյուն Մյա-  
նուն Մյանմուն մատն ոյցունուն ունունուն մատն Տպահսյուն Ա-ճան-



ტიპი, ყოველს შემთხვევაში მიღებულის აზრით (თ. ნელდეტი, დასახელ. შრ., 143) სასანიდების დროის სპეციფიკური სპარსული ლიტერატურა მარტო ხოდაი-ნამეთი ირ განისაზღვრებოდა, არამედ სპარსელებს უნდა ჰქონოდათ, სასანიდების დროის შესახებ მაინც, სხვა ისტორიული ხასიათის თხრობანიც.

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შეგვიძლია ვთვიქროთ, რომ ქართველები „სპარსთა ცხოვრების“ წიგნებს შეიძლება გაცნობილი ყოფილიყვნენ მე-6 საუკუნეშიც, ხოლო დაახლ. 635 წლიდან კი მათთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა უკვე სრული ხოდაი-ნამეც.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ როსტომიანის არსებულ ქართულ ვერსიაში, რომელიც „ზალის შობათ ლოარსპამდის“ ანუ „ქაბოსრომდი,“ ჩემის აზრით, მე-XIV საუკ. შეორენახევის არის დიდ ბავრათ მეფის დროს გრემელთ თავის სერაბიონ საბაშეილის მიერ გაღლექსილი, სპარსული სახელით არადიარ წარმატება — ისტანდიარ მოხსენებულია როგორც სპანდიატი (შაპნამეს ქართ. ვერსიები, მაგ., ი. აბულ. გამ., 302 და სხ.), გ. ი. ამ სახელის ფაქლაურ ფორმასთან შესატყვისობით. შესაძლებელია, ამისდა მიხედვით ვიფიქროთ, რომ სერაბიონ სოკრატისძე საბაშეილის მე-XIV საუკ. ხელთ შექნდა როსტომიანის ისეთი, აღმად პროზაიკული, ქართული ვერსია, რომელიც თუ უშუალოდ არა, ყოველს შემთხვევაში თავისი გენეზისით ფაქლაურ ტექსტზე იყო დამოკიდებული. ამისდა მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველადვე, აღმად მე-8 საუკუნის სიგრძეზე — ყოველს შემთხვევაში არა მე-10 საუკუნეში, რაღაც ამ დროს ფაქლაური დედანი ხოდაი-ნამესი უკვე დაკარგული იყო — ხოდაი-ნამეს ზოგი ნაწილი ქართულადაც იქნებოდა გადათარგმნილი, მაგრამ ეს გადათარგმნა მოხდებოდა ჩერნი ქართველ შემატიანეს მოღვაწეობის შემდეგ. გამოთქმა „ცხოვრება სპარსთა“, „წიგნი სპარსთა ცხოვრებისა“, რომლითაც მემტიანე იხსენიებს



თავისი წყაროს, უნდა გულისხმობდეს, რომ ქართველი ავტორი ამ თავისი წყაროთი სარგებლობდა უშუალოდ სპარსულ ენაზე. ამისდა მიხედვით ჩენ მივიღებდით ახალს დადასტურებას „მეფეთა ცხბის“ შედეგნის შესახებ ზემოლ ნაწევნებ თარიღისას (გვ. 144), რომელი თარიღიც ნაჩერნები იყო არა უგვიანეს მე-7 საუკუნის ნიხევრისა, მაშესადამე ახლოს ხოდაი-ნამეს სპარსულიად ჩამოვალიბების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც, მემატიანეს საშუალება ექნებოდა ხოდაი-ნამეს ქართული ვერსიებით ნაწილობრივ მაინც ესარგებლა და ამ შემთხვევაში თავისი წყაროს მოხსენებაც მას სხვა გვარად ექნებოდა მოყვანილი. კინაიდგან ხოდაი-ნამეს ჩამოყალიბება ეზდიგრილ III ის ხანას მიეკუთვნება, ამისდა მიხედვით მატიანის „მეფეთა ცხოვერების“ შედეგნა შეიძლება 640—650 წლების ახლო დროს მიეწეროს.

საჭიროა აქ მოხსენებულ იქმნას, რომ ჯერ კიდევ კ. პატკანოვი (ЖМНП, დეკ. 1883 წ.) უჩვენებდა უძველეს ქართულ მატიანეს წყაროდ, გარდა ფირდოსუსის შაპინამესი, მოსე ხორენელისაც. ს. გორგაძემ (წერ. საქ. ისტ. II, 23—25) და შემდეგ კ. კეკელიძემ მატიანის ჩვენ შიერ აქ განხილულ ნაწილში პირდაპირ უჩვენეს ცნობები ფარსხან I-ის და ერავნდის, აზორეკისა და არტაშესის, ქართამისა და ზარების შესახებ. ეს ცნობები საერთო მგზავრების გამო შეიძლება ამოღებული იყოს მოსე ხორენელის ისტორიიდან. (პროფ. კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერ. წყაროები, 14). ნამდვილად კი დასახელებულ ადგილებში არაეითარი შეხვედრა, გარდა ზოგიერთ და ისიც საზოგადო ხაზებისა, რომელიც სრულიად გასავერებია ერთი და იმავე ეპოქის შესახებ დამოუკიდებელ თხრობებში, არ მოიპოვება.

ასე, სომებთა მეფის იარგანდის შესახებ ქართველი ავტორი ვაღმოგვცემს მხოლოდ ქოლაქ წუნდის და არტანის მტკვრამდე ქართველებისთვის წართმევის შესახებ (ქ. ცხ. I, 48), გაშინ როდესაც მოსე ხორენელი მოვალითხრობს — ერვან-



ღის (=იარვანდის) მეფობის დროს სუმბატის აჯანყებისას ქართველების ჯარის ფარსში მეფის მეთაურობით ერვანდის მხარეზე ბრძოლის შესახებ.

ქართველი მემატიანე მოვეითხრობს სუმბატ ბიერიტიანის მიერ იარვანდ მეფის მოკვლის შემდეგ ქართველების გალაშერების შესახებ სომხეთშე. ქართლის მეფეები ამასთანავე მოუწოდებენ ოსებს, ლეკებს, პავანიკებს და ჯიქებს. სომხეთის დარბევის შემდეგ, მტკვრის მარცხენა ნაპირს იორზე სუმბატი მოეწია ყოველთა ჩრდილოთ. პირისპირ ბრძოლაში სუმბატმა მოკლა ორი ოსთა მეფე, ძმები, რის შემდეგ გამარტულ ომში ქართველები და „ყოველნი ჩრდილონი“ სასტიკად დამარცხდნენ და გაიქცნენ. გადარჩნილმა ქართველებმა გზის ცოდნის გამო თავს უშველეს, „ჩრდილონი“ კი უძეტესად დაიღუპნენ.

მოსე ხორენელს ყველაფერი ეს მოთხრობილი აქვს სულ სხვანაირად. ალანების (ქართველ მემატიანის ოსების) შემოსევისას მათი ბატონიშვილი ტყველ უვარდება სომხებს. ალანების ჯარი გადასულია მტკვრის მარცხენა ნაპირს, სომხების ჯარი კი ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირს არის დაბანკებული მოწინააღმდეგის პირისპირ. მოსე ხორენელი აქ მოვეითხრობს მშვენიერ ხალხურ გადმოცემას ალანების ქალბატონიშვილის სათინიკის შესახებ, რომელიც მდინარის მეორე ნაპირიდან მიშართავს სიტყვით სომხეთა მეფეს და სოხოვს მას ძმის განთავისუფლებას. ყველაფერი თავდება მშვიდობიდად. სომხეთა მეფე არტაშესი ცოლად ირთავს სათინიკს და ათავისუფლებს მის ძმებს (მოსე ხორ. ისტორია II, § 50). საერთო აქ ამ ორ თხრობას შორის არაფერია, გარდა თვით ფაქტის ოსების (ალანების) სომხეთშე გალაშერებისა.

მოსე ხორენელი გადმოვცემს მოკლედ ქართამ (ზორბეგ) ქართველთა მეფის სომეხთაგან გადადგომის და სომხეთა მეფისძის ზარების ტყველ შეპურობის შესახებ. ზარებს ათავისუფლებენ მისი ძმები არტავაზელი და ტირანი, რომელნიც



თავს ესხმიან ქართაშს (ისტორია II, § 53). ქართველი შემატი-  
ანეც გადმოგვცეს ამ ამბავს, მაგრამ ბევრად უფრო დაწ-  
ყრილებით, სახელდობრი — დასახელებულია აღგილი სადაც  
ქართველებში ომის დროს შეიძყრეს სომებთა ბატონიშვილი  
(ცელის ტბის პირის), ნიჩევნებია, თუ სად იქმნა ის დაპა-  
ტიმჩებული („ციხესა დარიალანისასა“), შემდეგ მოთხრობი-  
ლია სომხების მიერ მისი ომით განთვისუფლება და დაწყრი-  
ლებით აღნუსხულია ზავის პირობები (ჯარის მიცემა ქართ-  
ველების მიერ, გარდა ამისა ფულის მოჭრა „არტაშან შეფის  
ხატითა,“ რას სამავიეროდ სომებთ „უკუმოსცეს სახლვარი  
ქართლისა.“ ქ. ცხ. I, 51). აქაც ქართველ შემატიანის და-  
კავშირება მოსე ხორენელთან ყოვლად შეუძლებელია, მით  
უშეტეს რომ ქართველ შემატიანეს ქართლის შეფეხებად აზორეკი  
და არმაზელი ყავს მოხსენებული, მოსე ხორენელს კი—  
ქართამი.

ყველა ამისდა მიხედვით მე მეონია, რომ საკითხი „მე-  
ფეთა ცხოვრების“ დამოკიდებულების შესახებ მოსე ხორენე-  
ლისაგან უნდა მოიხსნას.

რომ საზოგადოდ „მეფეთა ცხოვრების „ავტორი სომხურ  
სალიტერატურო წყაროებს არ გმყარებოდა და მათით სარ-  
გებლობასაც გაუქმოდა, ეს ცხადად სჩანს იმ გარემოებიდან,  
რომ შემატიანე სარგებლობს, როგორც უკვე ცნობილია ლი-  
ტერატურაში, აგათანგველოსითაც, მაგრამ არა მისი სომხური  
კერძით, არამედ ბერძნულით. ამის ამტკიცებს ის გარემოება,  
რომ სომებთა მეფის ხოსროს ხახელი შემატიანეს მოხსენებუ-  
ლი აქვს (ქართლ. ცხ. I, 57—64) ბერძნული ფორმით კო-  
საროს (შეად. ლ. მელიქსეობეგის — გრუ. ვერსია აგაეანგ.  
Хр. Вост., IV, 162).

ამ გარემოებასაც აქვს თავისი შინშენელობა. ავტორი,  
მაშესადამე, ცხოვრობდა ისეთს დროს, როდესაც სომებთა  
მოცულების შესახებ ბერძნულ ენაზე დაწყრილი წყაროთა  
სარგებლობა ქართველისთვის ეთიურად უფრო მოსახერხებელი



იყო, ე. ი. ქართველ-სომხთა ეკლესიურ განყოფის „შემდეგ“.

ისტორიულ რეალების თვალსაზრისით ამ ნაწარმოებში აღსანიშნავია, რომ „მეფეთ ცხოვრების“ ავტორს პაჭანიქი კავკასიონის ჩრდილოეთით ეგულება. „გარდამოიყუანნეს (მე-ფეებმა აზორკ და არმაზელმა) ოვსთა მეფენი.... და შეთ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიქი და ჯიქნი“ (ქ. ცხ. I, 48). პაჭანიქი და ჯიქნი, როგორც ამ ცნობიდან სიგულისხმებელია, ერთმანეთის მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ. ამას ადასტურებს ჯუანშერიც, რომელიც ამბობს, რომ ოსების და ყიქნაყების დამორჩილების შემდეგ ვახტანგ გორგაშალის დროს ქართველები „განვიდეს პაჭანიგეთს, რამეთუ შაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა მღინარესა მას თვესეთისასა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად შამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი დასავლით კერძსა, ხოლო ჯიქნი დამკეიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ქ. ცხ. I, 119). ჯიქები ჯერ კიდევ პროკოპის დროს აფხაზების ზემოთ ცხოვრობდნენ. „აქ (სადაც თავდება კავკასიის ქედი) — ამბობს ის, ცხოვრობენ სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ალანები და აბასებები, ძველიდანვე ქრისტიანობისა და რომაელებისადმი შეგობრულიად განწყობილი, აგრეთვე ზიხები და მათ შემდეგ ჰუნები, რომელთიც საბირებს ეძახიან“ (De bel. Pers. II, § 29). ამ ჰუნთა შორის ალბად იღულისხმებიან პაჭანიქნიც. პაჭანიქები შემდეგ გაძლიერდნენ და მე-9 საუკუნეში ისინი მდ. დონის აუზში სამანან უკვე იმდენად ფეხმოკიდებულნი, რომ მე-9 საუკ. დასასრულს მათ დონიდან განდევნეს ჰუგრები. „889 წ., ამბობს დასხვლეთ-ეკროპიელი მემატიანე ბერი ჩეგინონი, გამოვიდა უნგრების ხალხი სკითების ქაობებიდან, საღაც მდ. ტანისი მიმდინარეობს. უნგრები გამოდევნეს თავისი ქვეყნიდან მეზობელ ხალხებმა, რომელთაც პეტიატ-ებს ეძახიან“ (ციტატა მოყვანილი აქვს მ. ლიუბაგევის პრ. ყც. ისტ., ვად. 1918 წ., 73). რადგანაც პაჭანიქები მე-9 საუკ. დასასრულს დონიდან ერეკებიან აღვილობრივ მობინალტე



ხდლებს, ამიტომ დონის აღმოსავლეთით ისინი კრიფტისას 15  
მოკალათებული იქნებოდნენ. თუ მივიღებთ ამასთანავე შე-  
დევლობაში, რომ ჯიქნი მე-6 საუკუნეში უკვე აფხაზების  
ზემოთ იხსენიებიან, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ პა-  
კანიკები მე-6 საუკუნეში პროკოპი კესარიელის მიერ მოხსე-  
ნებულ ჰუნებს შორის უნდა ვიგულისხმოთ. ცნობილია, რომ  
პაკანიკები ჰუნებთან ერთად თურქულ მოდგმისა იყნენ.

ჩვენს საისტორიო მწერლობაში პაკანიკების დაძვრის  
შესახებ დასავლეთისკენ მხოლოდ მე-11 საუკუნეში (C. ჩა-  
ხანავ, O პრ.-ერუ. ლეთოი., 25, ივ. ჯავახიშვილი, ისტორ.  
მიზ. და მეთოდით, პირვ. გამ. I, 128) დამყარებულ შემუ-  
დარი აზრის ამ შესწორებას აქვს თავისი მნიშვნელობა, რად-  
გან საშუალებას გვაძლევს გავერკვიოთ როგორც ჩვენი ავტო-  
რის, ისე აგრეთვე ჯუანშერის ცნობილ გლობაშიდაც პაკა-  
ნიკების შესახებ. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიგუ-  
ლისხმოთ, რომ როდესაც „მეფეთა ც-ბის“ ავტორი პაკანი-  
კებს და ჯიქებს ერთმანეთის მეზობლად იხსენიებს, მას არ  
შეიძლება მხედველობაში ჰქონდეს, შემდევდროინდელ სანას  
რომ თავი დავანებოთ, მე-8—9 საუკუნეები, რადგან ამ  
ხალხების დაჯგუფება მე-9 და შემდევ საუკუნეებში სულ სხვა  
იყო, ვიდრე ეს „მეფეთა ც-ბის“ ავტორს და ჯუანშერსაც  
წარმოდგენილი აქვთ.

ენის, უძთავრესად ტერმინოლოგიის, მნიშვნელობის, მნიშვნელ-  
ობებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება. ფარნა-  
ვაზის ცხოვრების ავტორი, როგორც ნაჩვენები იყო, ცხენის  
შესატყვევისად ხმირობს სიტყვებს საეკედარს (ქ. ცხ. I, 29). „მე-  
ფეთა ც-ბაში“ ამის მავივრად იხმარება უკვე სიტყვა ცხენი  
(ქ. ცხ. I, 34, 38, 55). იხსენიება კიდევ ტაიპი (გვ. 38),  
ე. ი. არაბული ცხენი, რომელი სიტყვაც წარმოებულია არაბ-  
თა ჰარუტ სახელისაგან თამაზე. საყურადღებოა აგრეთვე სიტ-  
ყვა ვარზანტი: „ხოლო სუმბატ ალიჭურვაცა და აღსჯდა ვარ-  
ზანტსა მისა“ (გვ. 49. შეად. მარ. ვარ. 33). შესაძლებელია,



ეს სიტყვა ჰილურ ქართ—დასწავლილთან ერთად უკავშირდებოდეს ქართულისა და ჰილურისთვის საერთო ლინგვისტურ ფენის, მაგრამ შეიძლება იქ საჭირო გვექონდეს პირდაპირ ჰაილითან.

რომ „მეფე-ც-ბის“ ავტორი გაცნობილი იყო სომხურ ენას, ამას ამტკიცებს სახელის ქაჯტუნის მის მიერ თარგმნა — „რომელი ითარგმნების დევთა სახლი“ (ქ. ცხ. I, 48, ვარ. 32).

„მეფ. ცხ.-ბის“ აეტორობა, რასაკვირველია, იცის სპარ-  
სულია, ამის გვიჩვენებს როგორც მის მიერ გამოყენებული  
„წიგნი სპარსთა ცხოვრებისა“, ისე აერთივე ზოგი სპარსული  
სიტყვა, რომელსაც ის სმარობს. მაგ., „ჩატყვევნეს დაშრი-  
ვილრე ნახვიანამდე“ (ქ. ცხ. I, 48. ეს აღვილი მარ. ვა-  
რიან ტეს გამოტოვებულია).



მიხედვით მკექარე ხმას. მოყვანილი ადგილი ამ პირზე მცირდება შედარებულ იქნას ერთს ციტატასთან ამავე ნაწილ-მოებში: „კბა ზეხილისა მათისა (პრძოლის დროს) მზღვს იყო ქუჩილისა“ (ქ. ცხ. I, 38) და ამ მნიშვნელობით ზაჰმი ჩემს ხელში მყოფ მასალების მიხედვით უფრო უკავშირდება ასურულს zamaru, რაც უპირველეს ყოვლისა ნიშნავდა კვირილს (Delitsch, Assyr. Handwörterbuch, 257), ვიდრე არა-ბულს ჯა, რაც ნიშნავს სიეიშროვეს. თავის თავიდ იგუ-ლისხმება, რომ ამ საკითხებს კიდევ უნდა შეკერდება შესაძლებლობის უკეთეს პირობებში. ყოველს შემთხვევაში, თუ მოიიღებთ მხედველობაში არამეულ ენის — ძველს ასურულს რომ თავი დავანებოთ — დიდში შენელოვან როლს წინა-აზია-ში რამოდენიმე საუკუნის სიგრძეზე ქრ. წ. და შემდეგ, საჭირო არ უნდა იყოს ყოველი სემიტური ძირის სიტყვა ძველს ქარ-თულში აუცილებლივ არაბულობან იყოს დაკავშირებული.

კველი ზემოდ მოხსენებულის მიხედვით „მეფეთა ცხოვრების“ შედგენის შესახებ ჩემბა, მასიადამე, ის თარიღი, რომ შელიც შესაძლებლად ხდის ასსნას ამ ნაწარმოების წარმო-შობა პარალელურად „მოქც. ქართლ.“-ს ქრონიკისა ან შესა-ძლებელია ოდნავ უფრო აღრუც ამისა. „მეფეთა ცხოვრების“ შედგენის დრო ამიტომ მოღის მე-7 საუკუნის ნახევარზე.

მაგრამ აქ ჩინდება სხვა საკითხი, სახელდობრ საკითხი წმ. ნინოს ცხოვრების შეტანის შესახებ „მეფეთა ცხოვრებაში“. წმ. ნინოს ცხოვრება „მეფეთა ცხოვრებაში“ იწყება შემდე-გი სათაურით: „მოქცევა მირიან მეფისა მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მო-ციქულისა“ (მარ. ვარ. 55) და შემდეგ წმ. ნინოს ცხოვრე-ბის ძველი ვრცელი რედაქციის სათაურების განმეორებით თავდება მირიან მეფის სიკედილის შესახებ თხრობაზე. წმ. ნინოს ცხოვრება, როგორც ცნობილია, შეტანილია მატია-ნეში თითქმის უცვლელად, მხოლოდ მცირეოდენ რედაქციურ შესწორებებით. რასაკეირველია, აქ იგულისხმება წმ. ნინოს



ცხოვრება შატბ. და კელ. ხელნაწერებში წარმოდგენილი აქე-  
დოჭყიითა, საღიც წმ. ნინოს შესახებ მოთხოვობა პირველი პი-  
რით თითონ ნინოს სიტყვებით არის გადმოცემული. ამ გვა-  
რად ყოფილი თავდაპირველიდ ამ რედაქციის წმ. ნინოს კ-ზა  
შეტანილი მატიანეში, ოფიციალურ ამის აღასტურებს მატიანის  
მე-III საუკუნის სომხური თარგმანის ვერსია. მატიანის ამ  
სომხურ თარგმანში თხრობა წმიდა ნინოს შესახებ იწყება  
შემდეგნაირად: „ამის ეამსა მოვიდა მცხოვას ნეტირი ნინო  
დედა ქართველია და დაყო მუნ წელიწალი სამი. ხო-  
ლო ეტყოდა დელოფალი ქართველთა სალომე, ვითარ მო-  
შევრ შენ ქუეყანასა ჩუენსა. მაშინ ჰრქუა ნინომ: ისმინეთ  
საქე ჩემი. ოდეს ეწყუნეს ბრანჯი პრომთა ბრძოლად, მაშინ  
მოსცა ღმერთმან ჭაბუქა კაბალუკიელსა ხახელით ზაბილონის  
ძალი უძლეველი... მაშინ მისცეს სოსანა ცოლად ზაბილონ-  
სა და წარვიდეს თვალი ჭალაქსა კოლასტატედ და მე თევ-  
კიშევ მათგან და ვითარუა ვიქმენ მე ათორმეტისა წლისა,  
შშობელნი ჩემნი წარვიდეს იერუსალიმად“... (ციტატები მომ-  
ყავს 1908 წ. ჩემ მიერ სომხურიდან ძველ ქართულად მა-  
ტიანის ამ ძველი ვერსიის გაკეთებულ თარგმანიდან. შეად.  
Brosset, Addit. et éclairciss., 20). მატიანის ძველი სომ-  
ხური თარგმანში ტექსტი, ოფიციალურ ცნობილია, შემოკლე-  
ბულად ირის წარმოდგენილი, ისე კი ეტვის გარეშეა, რომ  
ამისდა მიხედვით „შეფეთა ცხოვრებაში“ წმ. ნინოს ცხოვრე-  
ბა მე-12—13 საუკუნეში, ომშელ დროსაც მიეკუთხნება სომ-  
ხური თარგმანი, შეტანილი ყოფილი შატბ. და კელ. ხელნა-  
წერებში წარმოდგენილი ვერსიით. შემდეგ მატიანეში წმ. ნი-  
ნოს ცხოვრება მესამე პირად იქმნა გადაკეთებული, შესაძლე-  
ბულია იმ მუშაობის ზედგავლენით, რომელსაც აწარმოებდა  
მე-13 საუკ. მეტნიერი ბერი არსენი. არსენიმ როგორც ცნო-  
ბილია (ს. კავაბ., О древне-груз. летоп., 35—36), შეადგი-  
ნა დიმიტრი თავდადებულის დროს მეტაფრასტული ვრცელი  
ცხოვრება წმ. ნინოსი მის ხელში მყოფ და ქვემოდ გარჩეულ



ორი რედაქციის ერთად შეერთებით და გამოყენებით. მათ არ-  
ხენის კ. კეკელიძე მე-12 საუკუნის პირად უნდა სთვლიდეს  
(ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, „ჩე. მეცნიერება“ № 4—5,  
23), მაგრამ რადგან მე-12 საუკუნეში, მატიანის სომხურ  
თარგმანის მიხედვით, „მეფეთა ც-ბაში“ წმ. ნინოს ცხოვრე-  
ბა პირველი პირით იყო შეტანილი, ამიტომ ნინოს მეტაფრა-  
სტული ცხოვრების წარმოშობა უფრო შემდეგ დროს უნდა  
ეკუთვნოდეს, ანუ მე-13 საუკ. მეორე ნახევარს (დიმიტრი  
II-ს დროს).

ამ ვვიჩიდ, პირველად მატიანეში ნინოს ცხოვრება შეტა-  
ნილად სჩანს შატბ. და კელ. ხელნაწერების ვერსიისა. მაგ-  
რამ ამ შეტანას ჰქონდა წმიდა მექანიკური ხასიათი, ე. ი.  
ნაცვლად წინად არსებულ თხრობისა ქართლის გაქრისტიანე-  
ბის შესახებ, რომელიც ამოღებულ იქმნა, ჩამატებულ იქმნა  
თითქმის უცვლელად ახალი რედაქციის წმ. ნინოს ცხოვრე-  
ბისა. რომ ეს ასე იყო, ე. ი. რომ შატბ. და კელ. ხელნა-  
წერების რედაქციის წმ. ნინოს ცხოვრების შეტანამდის მა-  
ტიანეში იყო სხვა რედაქცია მირიანის მოქცევისა და საზო-  
გადოւნ ქრისტიანობის დამკვიდრებისა ჩვენში, ეს სჩანს შემ-  
დეგი გარემოებიდან. ჯუან შერის თხზულებაში („ცხოვრება ვახ-  
ტანგ გორგასალისა“....) არის ერთი ფრიად საყურადღებო ალ-  
გილი მირიანის შესახებ, რომელ აღვილისადმი თავის დროზე  
თ. ერთდანიასაც ჰქონდა ყურადღება მიქცეული (ქრონ. I,  
III XIII). სახელდობრ, საბერძნეთში ლაშქრობის დროს „ვახ-  
ტანგ მეფებან ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპათს-  
თა, რათა არავის თვლიდენ მოწესეთაგანსა, არამედ ტუშე  
ჰყოფდენ და ჰრეუა: მამის მამად ჩემი მირიან, ოდეს შემოცევა  
მეფესა სპათსთასა, ძმისწულსა მისსა, ბრძოლად ბერძნთა  
შედა, ესე ვითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიის მსა-  
ხურთა და იძლივნეს ძლევითა ბოროტითა ურიცხუნი სპანი  
მცირედთა ლაშქართაგან. მიიღეს საზღვარი ესე ბერძნთა  
ნუენ ჭართველთაგან აღმოსავლით ზღუისა ამის. ხოლო წყო-



ბა პირეელთა მეფეთა იყო ანძიანძორსა, სადა უკვე მარტინ ბატიშვილის საფლავი დიდისა მოძღვრისა გრიგოლისი და მუნით იოანე-ნეს მეფენი ჩუქუნი<sup>6</sup> (ქ. ცხ. I, 121—122). შესტყვის აღვალას—მატიანეში ჩართულ ქართლის მოქავევის ვერსიაში არ უ მოწესეთა ბოროტის ყოფის შესახებ არის ნათქვამი და არ უ ბრძოლის აღვილი—ანძიანძორი არის დასახელებული (ქ. ცხ. I, 63; მარ. ვარ. 53—54). ცხადია, რომ ჯუანშერის ტრის მატიანეში მირიანის ცხოვრება სხვანაირად ყოფილა აღწერილი, მასში მოთხოვობილი ყოფილი საბერძნეთში ლაშქრობის დროს მოწესების და ეკლესიის მსახურთა მიმართ ჩაღნილ სიხასტიკეზე და ბერძნებთან ომის აღვილიც დასახელებული ყოფილა. ეს გარემოება, რასაკიტველია, ძლიერ საურადოებოა და ამტკიცებს იმას, რომ თავდაპირეელად „მეფეთა ცხოვრებაში<sup>7</sup>, როგორც ეს ისედაც საგულისხმებელი უნდა ყოფილიყო, გამმით იქნებოდა მოთხოვობილი მირიანის და ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებაც, ასე რომ მთელი ნაწარმოები ვიზრე მირდატის მეფობამდის მთლიან თხზულებად იქნებოდა წარმოდგენილი. მხოლოდ შემდეგ, წმ. ნინოს ც-ბის ახალი და უფრო ვრცელი რედაქტირების გამონის გამო წინად მატიანეში არსებული ტექსტი მირიანის და ნინოს შესახებ ამოღებულ იქმნა და ამის მაგივრად შეტანილ იქმნა ახლად შედგენილი (შეიძლება მხოლოდ შეკეთებული) თხრობა მირიანის შესახებ და აგრეთვე ვრცელი რედაქტია წმ. ნინოს ცხოვრებისა, სადაც ნინოს თავგადასავალი, როგორც ეს მე-12—13 საუკუნის მატიანის სომხურ თარიღმანიდან სახის, ჯერ კიდევ პირეელი პირით ყოფილი შეტანილი.

ვინ უნდა ყოფილიყო მატიანეში ამ ცვლილების შემტანი? ის უნდა ყოფილიყო „მეფეთა ცხოვრების“ საერთო რედაქტორი და არჩილის ცხოვრების ავტორი ლეონტი მროველი, რომლის შესახებ მატიანის ცნობილ მინაწერში (მარ. ვარ. 211) ვკითხულობთ: „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქავევა ლეონტი მროველმან [აღწერა].“



გაფრამ სანამდის ამ მინაწერის ჩეითლურ შინაარსში უგაფერმოვა  
და დაფასებას შევუდგებოდეთ, საქიროა უპირველეს ყოვლი-  
სა განხილულ იქმნას მატიანეში დაცულ და შატბ. და ჭელ.  
ხელნაწერებში წარმოდგენილი წმ. ნინოს ცხოვრების ვრცე-  
ლი ჩედაქცია. რასაკვირველია, მხედველობაში მისაღებია ის  
გარემოება, რომ მატიანეში თხრობა ეხლა უკვე შეცელილად  
არის წარმოდგენილი,—ნაცელად პირველი პირისა, როგორც  
უს თხრობა მოიპოვებოდა „მეტეთა ცხოვრებაში“ ჯერ კიდევ  
მე-12—13 საუკუნეში, მესამე პირია. შატბ. და ჭელ. ხელ-  
ნაწერებში წარმოდგენილ ვარიანტში კი თხრობა ნინოს შე-  
სახებ პირველი პირით მოიპოვება. აღსანიშნავია ამასთანავე,  
რომ მატიანეში შეტანილი წმ. ნინოს ცხოვრება თითქმის  
საესებით წარმოდგენილია წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელ  
ჩედაქციაში, რომელიც მიყობა როგორც შატბ., ისე ჭელ.  
ვარიანტში „მოქცევად ქართლისად“-ს. ამიტომ საქიროა მა-  
ტიანებისებურ და „მოქც. ქ.“-ს გაგრძელების წმ. ნინოს  
ცხოვრების ერთმანეთთან შეფარდება სათანადო დასკვნათა  
გამოსატანად. ხოლო შედარება წმ. ნინოს ცხოვრებისა (სა-  
ხელდობრ „მოქ. ქ.“-ს და მატიანის ჩედაქციისა (მარიამის  
ვარიანტი) გვაძლევს შემდეგს სურათს:

ჭელ.: თავში წინ უძლვის სუჯთა დედოფლის მოქ-  
ცევის შესახებ მოთხრობა (Oppsc. II, გვ. 728—733).

შატბ. და ჭელ.: ნინო სიკვდილის წინ იწყებს თავი-  
სი თავვარასავლის მოთხრობას. „მაშინ მოქისუნეს სა-  
წერელნი სალომე უქარმელმან და სიცნიელმან პერო-  
გვერი და იწყო სიტუაც წნ ნინო და იგინი წერდეს“  
(იქვე, გვ. 727—735).

შატბ. ჭელ.; მატიანე მარ. ვარ.: ცხოვრებად წლი-  
სა ნინოსი, აღწერილი სალომე უჯარმელის მიერ. (Oppsc. II 736—759; მარ. ვარ. 55—75).

ასლოს ბოლოსთან აქ შატბ. ხელნაწერს აკლია ერთი  
ფურცელი და თუმცა ამ აღგილას ჭელ. ხელნაწერი



სრულადაა დაცული, მაგრამ ნაკლულევანი ტექსტი არ კუნისა  
არ მოიპოვება (Opps. II, გვ. 755). ეს გარემოება  
ფრიად ხაყურადლებოა, რადგან ვეინევენებს ჭერ. ხელნა-  
წერის ვარიანტის დამოკიდებულებას ხაერთოდ ამ ნა-  
წილში ჟატბ. ვარიანტისაგან. ბოლო ამ ნაწარმოების, სა-  
ხელფობრ ჟატბ. და ჭერ. ერთის მხრივ (გვ. 757—758) და  
მატიანის მარ. ვარიანტისა მეორეს მხრივ (გვ. 75—76),  
ერთმანეთს არ უღება. მოთხრობა ჟატბ. და ჭერ. თავდე-  
ბა ნინოს დაბინავებაზე მცენელის სახლში. მატიანეში კი  
ფაქტური თხრობა გაგრძელებულია. ნინომ დაყო  
მცენელთან 9 თვე, მთაქრისტიანა აბიათაზ მღვდელი და  
ასული მისი და კიდევ 6 ურია, „და ესრეთ იქცეოდა  
ქალაქსა მას შინა მცხეთასა წმიდა ნინო გამოა სამისა  
წლისათა“ (მარ. ვარ. 76).

მთელი მოთხრობა წმ. ნინოს შესახებ ჟატბ. და  
ჭერ. დაწერილია პირველი პირით, მატიანეში კი შეტა-  
ნილია მესამე პირით. მატიანეში კიდევ ტექსტი გან-  
ვრცელილია ნართაული აღვილით. შეტანილია რიფსი-  
მეს შესახებ მოთხრობა გვ. 63 სტრიქ. 5—გვ. 66 სტრიქ.  
13. ჟატბ. და ჭერ. შემოდ ნაწევნები ნაკლულევანი აღ-  
გილი 1 ფურც. აქ წარმოდგენილია ნაწილობრივ (ცნობა  
ითრუჯან ღმერთისა და ეშვად ქცეულ თრდატის ისევ  
კაცად ქცევის შესახებ გვ. 73 სტრიქ. 7—25).

თავი აღწერილი სიღონიას მიერ (შატბ. ჭერ. Opps.  
II, 759—769; მატიანე მარ. ვარ. 78—81). დასაწყისი  
ამ თავისა (გვ. 759—761 სტრიქ. 9) მატიანეში არაა  
შეტანილი. სამაგიეროდ მატიანეში მოიპოვება, ჟატბ. და  
ჭერ.-სთვის უცნობი აღვილი ელოიზის დელის მიერ  
ქრისტეს ჯვარცხის გულთცნობის შესახებ (გვ. 80 სტრ.  
9—20). ტექსტი მატიანეში ზოგ აღვილას შეცვლილია,  
მაგ., მარ. გვ. 79, შეად. ჟატბ. და ჭერ. Opps. II, 763.  
სიღონიას თქმული (ჟატბ. და ჭერ. გვ. 767—792)



ნინოს მიერ სპარსელ მოგვის მთავარის ხვარიშმა ჭანკუტისა და ნების შესახებ. მატიანეში ამ აღვილს შეტანილია უქული მოთხრობა ნანა დედოფლის განკურნებისა და აგრძელებული მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის გამოძიების შესხებ (მარ. ვარ. 81—89).

სიღონიას თქმული, მირიან მეფის მოქცევისა და ჯისა აღმართებისათვის და კყლესიათა აღშენებისთვის მირიანის შემდეგ, კყლესიის აშენება, სვეტის სასწაულებრივ აღმართვა (772—783; მარ. ვარ. 89—97). მატიანეში, შედარებით შატბ. და ჭედ., გამოტოვებულია ტექსტის ერთი ნაწილი: დასაწყისში გვ. 773 მე-2 სტრიქ. ბოლოდან—774 სტრიქ. 9. ხოლო მატიანეში თავში მომატებულია სხვა ტექსტი გვ. 89 1 სტრიქ. ბოლო დან—გვ. 90 სტრიქ. 15).

მოთხრობა მეფის და ქრის ნათლის ცემის შესახებ, კვართის შესახებ მირიანის მიერ ცნობების გამოკითხვა, კყლესიის აშენება გარე უბანს—არის მხოლოდ მარიანეში, მარ. ვარ. 96—100. თქმული აბიათარისი (შატბ. და ჭედ. 783—786, მარ. ვარ. 76—78) მისი მოქცევის შესახებ ასულითურთ შეტანილია მატიანეში ბოლოს შეკვეცით. სახელდობრ გამოტოვებულია ცნობა ასულის მოქრისტიანების შესახებ და აბიათარისთვის მირიან მეფის მიერ ციხე-დიდის ბოძების შესახებ.

აღწერილი იყობ მღვდლისა და ითანე მთავარებისკოპოსისა აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვარისა (შატბ. და ჭედ. 787—793; მარ. ვარ. 100—103). თავში მატიანე უმატებს ცნობას მეფე დედოფლის მიერ ხის მოძებნის შესახებ (გვ. 100—101 სტრიქ. 5).

აღმართებად პატიოსნისა ჯვარისა ზუსტისა და მერმე კლ გამოჩინებად (შატბ. 793—798; მარ. ვარ. 103—106. ჭედ. ვარიანტში ეს თავი არ არის).

წიგნი მირიან მეფისა სალომე უჯარმელის მიმართ. შატბ. და ჭედ. 798—804. მატიანეში არ არის.



ანდერძი მირიან მეფისა თავის ძის მიმართ შეტყობინებული ჰქონდა. 804—806, შეტანილია მატიანეში შეცვლით და შემოკლებით, მარ. ვარ. 111.

რომის პატრიარქის და ბრანჯთა მეფის წიგნი ნი-  
ნოსა, მეფისა და ქართლის ერისაღმი, არის მხოლოდ მა-  
ტიანეში მარ. ვარ. 106—108.

როგორც ამ პარალელებიდან სჩანს, წმ. ნინოს ცხოვ-  
რების შესახებ ნაწარმოების ცალკე თავები ერთმანეთთან  
ყოველთვის არ არიან დაკავშირებულნი, ასე რომ, როგორც  
საფიქრებელია, ისინი ცალკე ნაწარმოებებს წარმოადგენლენ და  
შეტანილი არიან შატბ. და ჭელ. ვარიანტში არა ყოველ-  
თვის თხრობის მთლიანობასა ანდა ფაქტების განვითარებას-  
თან ანგარიშის გაწევით. მაგ., თავი „მირიან მეფის მოქცე-  
ვისა და ჯარის აღმართებისა...“ შეიცავს ცნობას 50 ქრის-  
ტიანის შესახებ. „ხ ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოც-  
ვისა მწუხრისასა ჩუელებისაგბრ მაყლოვანსა მას შინა და ჩენ  
მისთანა ლომეოცდათი სული“ (გვ. 774). ნიმდილად კი  
თავი ამიათარის—მისი ასულთან ერთად და მათთან 50 სუ-  
ლის მოქცევის შესახებ მოთავსებულია ხსნებულ თხრობის  
დაშორებით და, მაშასადამე, ცალკე (გვ. 783—786).

რაღაც ამ გვარად წმ. ნინოს ცხოვრების ცალკე თა-  
ვები განკურძოებულ ნაწარმოებებს წარმოადგენნ, ამიტომ  
თავების განხილვაც ცალკე უნდა მოხდეს. ამ თავებთვის თავი  
„აღმართება პატიოსნისა ჯვარისა მცხეთისად და მერმე კ'ლდ  
გამოჩინება“ უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ ფრიად ძველს  
ნაწარმოებს. იწყება ის როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოე-  
ბი. „და იყო რ' ეს მოიქცა უ' ი ქართლი, ზრახვა ცვეს მდდელ-  
თა მათ ჩ'ნი მოსრულიყვნეს საბერძნებით აღმართებად ნიში  
ჯ'ა“ (გვ. 793). ჯვარი აღმართეს ბორცვებზე: „ურუნა მას  
(მირიანს ანგელოზმა) ბორცვ ერთი არაგუსა წიაღ კერძო  
მახლობელად მცხეთასა და პ'ქა მას—ესე ადგილი გამოურ-  
ნივეს ღ' ა ამას ზ' ა აღმართე ნიში ჯ'ა“ (გვ. 795). „მას



გამსა იყო ვინმე კაცი ერთი მოშიში და ჩ' ალას ქრისტენი მცხველ  
ქ' მეფისაა და იყო ქ' რევისი სნეულ და მიწვნელ სიკუ-  
ლიდ, რ' იგი ხ' მარტო ესუა, მოიღო იგი და დააგდო წ' ვ  
პატიოსნისა ჯ' რისა და ცრემლით ითხოვდა მისგან — უკუეთე  
მოშიბოძო ყრმაა ესე, გუმბადი აღდაშენო საყოფლად შენდა.<sup>1</sup>  
ბავშეის მორჩენის შემდეგ „გულსმოდგინედ გუმბადი აღაშენა  
შეცეოთისაა რევის ძემან“ (გვ. 796). ამის შემდეგ მოთხრო-  
ბილია სასწაულებრივი განკურნებანი პატიოსან ჯვარის მიერ.  
ა' სხუანი მრავალნი მრავალსა ჭირსა შეცვეს და ვეღრე-  
ბითა პატიოსნისა ჯ' ათა განერნიან და მრავალნი სნეულნი  
პირად პირალითა სენითა მოვლენედ ვეღრებად პატიოსნისა  
ჯ' რისა და განიკურნებიედ ვ' დღენდელად დღედმლე და  
სხუანიცა სასწაულნი იქმნებოდეს წ' ვ პატიოსნისა ჯ' რისა  
ზეცით გარდამო დ' თისა მიერ რ' ნი არა დაწერილ არიან  
წიგნსა ამას<sup>2</sup> (გვ. 798). მატიანეში ეს თავი, როგორც მო-  
სხენებული იყო, შეტანილი არის, მხოლოდ შემტანელს  
შიგაშიგ სტილისტური ცვლილება მოუხდენია. ამისდა მიხედ-  
ვით მატიანეში ვკითხულობთ რევის მიერ პატიოსან ჯვარის-  
თვის კუბოს აშენების შესახებ „საყუდელად“ მისდა (მარ.  
ვარ. 104). შატბ. ვარიანტში გუმბათის აშენება არა რევის,  
არამედ რევის ძის მიერ ალბად დამწერლობითი შეცდომა  
უნდა იყოს. აქ მთავარი მნიშვნელობა (გარეშე გლოსისა  
რევის ძის ბაკურის მარტოდ შობილობის შესახებ) აქვს მო-  
სხენების გუმბათის აშენების შესახებ. ცნობილია, პატიოსანი  
ჯვარი ღიდ ხანს იყო გაშლილ ველზე და, როგორც სჩანს,  
პარტო ამ, რევის მიერ აშენებულ გუმბათის ამარა. გვარაშ  
კურაპალატის შესახებ ჯუანშერი გაღმოვგვცემს: „იყო კაცი  
მორჩემუნე და მაშენებელი ეკლესიათა და [ამან იწყო ეკლე-  
სია] ჯუარის პატიოსნისა და აქამომდე ჯუარი ველსა ზედა  
იყო და ქმნა ეკლესია წელთამდისი ოდენ“ (მარ. ვარიანტი,  
192). ამ გვარად პატიოსანი ჯვარისთვის ეკლესია ავო  
ჯვარაშ ერისთავი, სახელდობრ მცხეთის ჯვრის პატარა



ეკლესია, 545—586 წლებს შუა, როგორც ეს ჰამინატულიანები  
ული აქვს პროფ. გ. ჩუბინაშვილს (მცხ. ჯვრის მცი-  
რე ტაძარი, ტფ. უნივ. მთამბე № 2, გვ. 22—65). ამას მო-  
ყვა სტრანოზ I-ის მიერ ჯვარის დიდი ეკლესის აშენება,  
რაც დამთავრდა შე-7 საუკუნის დასაწყისს. ზემოხსენებულ  
თხზულების („აღმართება პატიოსნისა ჯ’ისა და... გამოჩინებად“)  
ავტორმა ეკლესის შესახებ ჯერ არაფრი“ იკის, მის დროს ჯვა-  
რი პატიოსნი კიდევ გუმბათის ქვეშ იყო მოთავსებული. ამის-  
და მიხედვით terminus post quem non თხზულებისა უნდა დაიდ-  
ეს მე-6 საუკუნის ნახევარი. მისი შედგენის დროდ ამიტომ  
შეიძლება დაიდეს მე-5 საუკუნე ანდა მე-6 საუკ. პირველი  
ნახევარი.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ წ. ნინოს ცხოვრების  
ზოგიერთი ნაწილი შატბ. და კელ. ვარიანტით თითქოს „მო-  
ქც, ქარ.“-ს ცნობებს გარეშე და მათგან დამოუკიდებლივ  
უნდა იყოს შედგენილი. ასეთია, ვაგ., თავი სიღონიას თქმუ-  
ლი ნინოს მიერ მთავრის, მოგვის ხვარას განკურნების შესახებ  
(გვ. 767—772). „მოქც. ქ.“ გადმოგვცემს— „მეტესესა წელ-  
სა (ქართლს მოსვლითაგან ნინომ) არწმუნა ცოლსა შეფისასა  
ნანას სენსა შინა მისსა“ (გვ. 712). მემატიანე იცნობდა  
„მოქ. ქ.“-ს, მას მეტს ანგარიშსაც უწევდა ვიდრე მის დროს  
არსებულ ცალკე მოთხრობებს ქართლში ქრისტიანობის დამ-  
კვიდრების პირველ დროითვენ და ამიტომ, მას შეაქვს მატია-  
ნეში (გვ. 81—89 მარ. ვარ.) ვრცელი მოთხრობა ნანა დე-  
დოფლის მოქცევის შესახებ. მხოლოდ ეს მოთხრობა დამოუ-  
კიდებლივ იყო შედგენილი თვით მემატიანეს მიერ, თუ აფ-  
რეთვე, როგორც უკვე არსებული, მთლიანად შეტანილ იქნა  
მატიანეში, ეს არა სჩანს.

თავი— სიღონიას თქმული მირიანის გაქრისტიანების შე-  
სახებ ნატირობისას დაბნელების შემდეგ, ეკლესის აშე-  
ნება, სვეტის სასწაულებრივი ამართვა—უნდა იყოს შედგენი  
ლი უშუალოდ რუფინის ან მის ამ შემთხვევაში განმეორე-



ბელთა (სოკრატი, ერმი სოზომენი, თეოდორიტი) ცნობების მიხედვით, მხოლოდ უწინარეს მემატიანისა. ეს სჩანს იქიდან, რომ მემატიანეს აქაც შეაქვს საკმაოდ ბლობად სტილისტური შესწორებანი და ზოგან, როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო, შემოკლებაც.

ახერთ პირობებში ცხადია, რომ თვით მთავარი ნაწარმოები წმ. ნინოს შესახებ – „ცხოვრებად წდისა ნინოსი“ (შატბ., ჰელ., გვ. 736 – 759) წარმოადგენს სხვა დამოუკიდებელ თავების მამართ ცალკე ნაწარმოებს, დაწერილს განსაზღვრული გეგმით. ავტორი აქ თითონ ნინოსავე სიტყვებით, მაშასადამე პირველი პირით, ვადმოგვცემს განმანათლებელის თავუგადასავალს, უკავშირებს ნინოს წარმომავლობას ბრანჯთა განშანათლებელს ზამილონს, რომელიც „ცხორებაში“ ნინოს მამიდ არის გამოყეანილი, და იერუსალიმის პატრიარქს იუბენალს, რომელიც დედით ნინოს ბიძად ითვლება. ავტორმა იცის სიჩიული ენა. ეს სჩანს იქიდან, რომ ის ხმარობს სირიულს სიტყვებს და თარგმნის კიდევ მათ. პატრიარქი იუბენალი ასე უხასიათებს ნინოს მცხეთელ ურიებს: დარგვ[ლ]ელ ზე[კო]ფედ ბარეად[ლ]ელ და ომ სირიულ სიტყვებს ავტორი თარგმნის კიდევ: [კაცნი] „ლთის მედომნი, მზრდოლნი და წინააღმდეგომნი“ (შატბ., ჰელ., გვ. 753, H. Mapp, Богослов. Грузии, 20). ტერმინის ბრანჯის ხმარებაც (კულგ. სირიული ფრანგი ფრანგისთვის სახელისთვის) ამტკიცებს ავტორის კავშირს სირიულ კულტურულ სამყაროსთან. მაგრავ სირიულის გარდა ავტორმა იცის სპარსულიც. ის ათქმევინებს მირიან შეფეხს სპარსულ ფრაზას, რომელიც შესწორებით იკითხება ამნაირად: რა[ს]თ შეგოდ ხიდასთა ბანე ბე რასულ[ი] ფსარ[ი] [ი] იქნად (შატბ. ჰელ., გვ. 755, H. Mapp, Хитон господень, Сборник статей ученников проф. Розена გვ. 72). სიყურადლებთა ის გარემოება, რომ თავდ პირველიდ ავტორს ეს სპარსული ფრაზა გადაუთარგმნელად დაუტოვებით. ჭედ.-ში ამ სპარსულ ფრაზის მოყვანის შემდეგ ვკათხულობთ: „სხა



ენად" (გვ. 755), ხოლო შატბ.-ში კი მოყვანილია პირებულება „ბ” თარგმანებად ესე არს—შერთალსა იტყვე ბეღნიერ დედოფალო და მოციქულო ძისა ღ-თისხომ" (გვ. 755). ცხადია, რომ ჰელ. ვარიანტის ერთ ერთ ძეველს გადაუწერს ეს ფრაზა ვერ გაუგია და სათანადო შენიშვნაც გადაუკეთებია, ხოლო შატბ. ვარიანტის სხვა გადამწერს წინადაღება გადაუთარგმნია. აღსანიშნავია, რომ შატრიანეში ეს ადგილი, სრულებით გამოშვებულია (მარ. ვარ., 33).

ხსენებულ წინადაღების შენიშვნელობა აქვს თვით ნაწარმოების დასახარილებლად. მოხსენებული ფრაზა ახალ-სპარსულ ენაზე შეიცავს არაბულ სიტყვის სიტყვის რაც-რასულ, რაც ამტკიცებს, რომ ნაწარმოები არ შეიძლება ეკუთვნოდეს მე-8 საუკუნის დასასრულის აღრინდელ დროს, მაგრამ არ უმომარტივია ამ დროსთან, რადგან ტექსტში იხმარება (გვ. 746) ძეველი სპარსული სიტყვა გადაგი („მეფეთა ვალაგი”), რაც, როგორც ნ. მარტომა განმარტა (Тексты и разыск. ۲), ახალ სპარსულის ადვის მიხედვით ნიშნავს წარმოშობას, წარმომავლობას. აღსანიშნავია, რომ შემატიანეს წმ. ნინოს ცხოვრების შეტანის დროს უხერხულად ჩაუთვლია ისეთ, იმ დროინდელ ქართველების თვის აღბად გაუკეთებარ სიტყვის ხმარება და შეუსწორებია ის სიტყვით ტომი—„ტომი მეფეთა”, (მარ. ვარ. 63).

უკელა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ჭედ. და შატბ. ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მატიანეში (მარ. ვარ.) შეტანილ წმ. ნინოს ცხოვრების რედაქციების შესახებ გამოვიტანთ შემდეგი დასკვნა: 1) გარდა „მოქ. ქართ.“ გავრძელების რედაქციისა, წმ. ნინოს შესახებ ძეველს დროშივე მეშვიდე საუკუნესა და იღბად მანამდისაც არსებობდა სხვა კონსტრუქციის აღწერილობა, რომელიც შინაგასითაც განსხვავდებოდა პირველისაგან. ამისი მაჩვენებელია თხრობა ნინოს მიერ მოგვის განკურნების შესახებ. 2) არსებული და შატბ.-ჭელ. ვარიანტში წარმოდგენილი სრული



წმ. ნინოს ცხოვრება ცალკე თავებითურთ არ წარმოადგენს ერთს მთლიანს ნაწარმოებს, არამედ სხვადასხვა თხზულებათ, დაწერილს სხვადასხვა დროს. მაგ., „აღმართ. პიტიოს. ჯისა მცხეთისა და მერმე ქლდ გამომინებად“ წარმოადგენს თხზულებას, დაწერილს მე-၅ საუკ. ან მე-၆ საუკ. პიტიველ ნახევარში და არა უგვიანეს ამ დროისა. 3) მთავარი ნაწილი, სახელდობრ საკუთრივ „ცხოვრებად წლისა ნინოსა“ ასეუბული რედაქციით წარმოადგენს ნავერანეც ნაწარმოებს და შედგენილი უნდა იყოს არა უაღრეს 700 წლის ახლო ხანებისა.

აღსანიშნავია იმასთანავე, რომ გარდა ამ შატბ. და ჭელ. ფარიანტით წარმოადგენილ და „მეტეთა ცხოვრებაში“ შეტანილ წმ. ნინოს ცხოვრების რედაქციისა, არის კიდევ მეორე—საქმიოდ განსხვავებული რედაქცია წმ. ნინოს ცხოვრებისა, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის. ეს ცალკე რედაქცია წმ. ნინოს ცხოვრებისა, წარმოადგენილი საქართ. ცენტრარქიის № 20 და ყოფ. საეკლ. მუხ. № 587 ხელნაწერებით, იწყება სათაურით: „ცხოვრება და მოქალაქობა ლირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“ და სიტყვებით: „მათ ეამთა ოდეს იწამე წმინდა და უოვლად ქემული და დიდებული მთავარმოწმობე გიორგი ქაბალუკიელი, მასვე ეამსა შინა და მასვე ქალაქსა შინა კაცი ვინმე იყო თანაზიარი და მეგობარი წმიდისა მოწამისა“.... ე. ი. აზრის მიხედვით ისე-ვე, როგორც შატბ. და ჭელ. რედაქცია, მაგრამ სულ სხვა სიტყვებით. შემდეგაც, მიუხედავად ზოვიერთ მთავარ აღი-ლებში ერთმანეთინ შეხვედრისა და ისიც მხოლოდ აზრის და არა ლექსიკის და სტილის მიხედვით, ამ ორს რედაქციის შორის ვპოულობთ თვალსაჩინო განსხვავებას. ცალკე რედაქ-ცია მოვალით ლეთისმშობლის მიერ ნინოსთვის ძილში ვაზის ჯვარის მიცემის შესახებ, რაც სრულიად არა მოსე-ნებული შატბ. და ჭელ. რედაქციაში. მირიანის თვალით და-ბნელების ამბავი და შისი მოქალაქე ცალკე რედაქციაში ავ-



რეოვე განსხვავებულად არის მოთხრობილი. ცალკე რედიტურული ციფრი ნაჩრთაულად ჩამატებულის მსგავსად՝ მოიპოვება თხრობა უფლის კვართის მცხეთას მოტანის შესახებ (ეს თხრობა დაბეჭდილი აქვს ნ. ზარრს— Ҳითო გospodenъ... Сборн. стат. ყ. 1. проф. Розена, 73—77). ცალკე რედაქტური მირიანის მიერ საბერძნეთს მოციქულების გაგზავნის მოყვა ევსტათი ანტიოქელ პატრიარქის მოსვლა. ევსტათიმ „დასხნა კელნი მთავარებისკოპოზად ლირსსა იოვანეს“. შატბ. და ჭელ. რედაქტურით კი მცხეთას მოდის პირდაპირ იოანე მთავარებისკოპოსი. სუჯთ დედოფლის შესახები ეპიზოდიც ცალკე რედაქტური, შედარ. ჭელ. რედაქტურისთან, სადაც მხოლოდ ის არის წარმოდგენილი, განსხვავებულად არის მოთხრობილი. უფლის ეს განსხვავება, რომლის შესახებ კიდევ ჩენ ამ ცალკე რედაქტურის გამოცემისას გვექნება ლაპარაკი, ცხად ჰყოფს, რომ აქ ჩენ საქმე გვაქს სრულიად განსხვავებულ და შატბ. და ჭელ. ვარიანტებისაგან წმ. ნინოს ცხოვრების დამოუკიდებელ რედაქტურისთან.

ეს ცალკე რედაქტურა სათანადო აღილებში უმცველად ემყარება „მოქ. ქ.“-ს. მაგ., ამ რედაქტურიში ვკითხულობთ: „ერთად ნინო იწყო ქალაგებად და თანა წარიტანა იაკობ მლულელი და ერთი ერისმთავარი ერითურთ მისით და დადგა წობენს და მოუწოდა შთიულთა წართალელთა და ფხოვლთა (ცენტრარქ. ვარ.: ხონელთა) და უქადაგა სარწმუნოება ქეშმარიტი. ხერი იგინი ლმობიერ იქმნეს და ნათელ იღეს და დალეწნეს საკერპონი და აღაშენეს ეკლესიანი და აშისა შემღვიმეად წარვიდა ერწოს და ფალეთს და მოიყვანნა იგინიცა სარწმუნოებად და ნათელ იღეს მათაც და მერმე შთავიდა კახეთს და დადგა კაწარეთს და მოაქცივნა იგინიცა. მერმე გარდავიდა ქველდაბას და მოუწოდა მთავართა მათ კახეთისათა“....

ეს აღილი წარმოადგენს „მოქ. ქ.“-ს სათანადო ტექსტის პარალელს, რაც ცხადად გვიჩვენებს ცალკე რედაქტურის



აფტორის დამოკიდებულებას „მოქ. ქ.“-გან. ამისი იმუშავის შემთხვევაში უნდა იყოს ცალკე რედაქტირაში მოთხოვილი ცნობა ერთ-ერთს და მანგლის ეკლესიების აშენების შესახებ, რომელი ცნობაც აგრეთვე „მოქ. ქ.“-ს მიხედვით უნდა იყოს შეტანილი.

საინტერესოა, რომ ცალკე რედაქტირის აფტორი ამისთან ავე ამელავნებს თავისს დამოკიდებულებას თეოდორიტესაგანაც († 458 წ.). ამას უნდა გვიჩვენებდეს ერთ ადგილის: (მოაზიანი, ნადირობიდან თვალთახსნის შემდეგ დაბრუნებისას,) „ეკლესიებიდა (ნინოს), რათა გამოუსახოს სახე ეკლესიისა. მაშინ ახალმან ბესელელ და გისსავე მაღლისა ღირს-ქმილმან სახე იგი ეკლესიისა დაუსახა და აღაშენა საღრთო ტაძარი სახლება ზედა წმინდისა ღრთის შპობლისასა“ (ცენტრარქ. ხელნ. ფ. 15<sub>2</sub>). თეოდორიტე საოანალო ადგილას მოვეოთხობას, რომ როდესაც მირიანი „განთავისუფლდა სიბნელისაგან, ის წავიდა ტყვე-ქალთან და ხოხოვა მას ეჩვენებინა მისთვის ეკლესიის ფორმა. მაშინ მან, ვინც ერთ ღრთოს სამხატვრო სიბრძნით აღავსო ბესელიელი (თბილის ვაჲალენგ), მანვე მიანიჭა ქალს საღვთო ეკლესიის აშენების შადლი“ (Theodoriti ep. Cyri Opera omnia, Halae 1771, t. III, 806—808. თეოდორიტეს ეს ცნობა ვაღათარგმნილი ჰქონდა ქართულად ეფრემ მცირეს მე-11—12 საუკ. მიჯნაზე—ქრონიკ. I, 33—36).

აღსანიშნავია კიდევ შემდეგი გარემოება. ცალკე რედაქტირია მოვეოთხობას მირიანის ღრთოს ანტიოქიის პატრიარქის ეკსტათის მოსვლის შესახებ მცხვთას. თეოდორიტეს იმერიელების მოქცევის შესახებ თავისს თხრობაში ცნობა არა აქვს, მაგრამ საზოგადოდ ძეველს ბერძნულს მწერლობაში ამის შესახებ ცნობა არსებობდა. ამას იხსენიებს ეფრემ მცირეც, რომელიც ვაღმოვეცემს რა თეოდორიტეს ცნობას ქართველების მოქცევის შესახებ, ამზობს: „ამას უკუც თეოდორიტე ესოდენ მოიკენებს, ხოლო სხვათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყვეს მის ჩუტი ტყუბთა მესნე-



ლისაა, რამეთუ ბერძნულად ნონნა უწოდეს წმინდას „ახას, რომელსა ჩემი მცირედ შეცვალებითოდ ნინოდ სახელ ვსდებთ. ვერეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისა და ეს-ტეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტათი იყო ინტრიოქელ პატრიაქი, რომელმან დაამყარა ეკლესია იგი მიზიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკუროთხა მათ კათალიკოსი მთავარეპი-სკოპოსი” (ქრონიკ. I, 36). მეორე ცნობაში ამ გლოსის ავტო-რად პირდაპირ თეოდორიტე არის აღიარებული: „ხოლო პირ-ველად ესე საცნაურ ვყოთ, რომელი ღირს არს ძიებისა, რამე-თუ ვითარცა გვიპოვნის ბერძნულ თავ წერილოთაგან გარდამო-ლებული სულ მცირედ გამოკრებული ზოგს რე წისა ნინოს მიერ მოქცევა ქართველთა ნათესავისა ქეშმარიტი და უცო-მელი თეოდორიტეს მიერ ანტიოქელ ფილასოფოსისაგან აღ-წერილი წარმოჩენილ არს წთა მამათაგან, რამეთუ უკუშ იგი თეოდორიტე მცფისა კოსტანტინებისაგან წარმოელენასა ეპისკოპოზისა თვით ევსტათი ანტიოქელ პატრიარქისა იტ-უკს ქართლის განმარტვისათვეს ხალუთოთა სჯულთა და საქმე-თა განკაზმისათვეს, ხოლო აქა (ე. ი. წმ. ნინოს ცხოვრების ჩვეულებრივი რედაქციაში) ვითარ წინამდებარებულ არს სიტყუათ სიტყვას, ფრიად ხაძიებელ არს. ესე უკუც უმშეველ არს თვით თავიდი ევსტათი წარმოგზავნილ არს. თეოდორიტე ქეშმარი-ტე უწყოდა, ვინათვან იგიცა ანტიოქელი იყო“ (ქრონიკ. I, 37). ამ ცნობის შიხედვით, რომლის ბერძნულ წყაროდან წამომავლობა ჩენებში კარგად იყო ცნობილი რუსი-ურბანისის ხაეკლესიონ კრების დროს 1104—1105 წ. (ძეგლის-წერა, ქრო-ნიკ. II, 58), თხრიობა ანტიოქიის პატრიარქის მცხეთის მო-სელის შესახებ დაცული პეონია თვით თეოდორიტეს.

ამგვარად გამოდის, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ეს ცალ-კე რედაქცია დამოკიდებულია ერთის მხრივ „მოქც. ქ.“-ზე და მეორე მხრივ პერძნულ წყაროებზე, რომელთაგან მთავა-რი ადგილი უჭირავს თეოდორიტეს. ამ ცალკე რედაქციის დასათარილებლად მნიშვნელობა აქვს მის ბოლოს მოთავსე-



ბულ ისტორიულ ხასიათის ტექსტის, რომელიც, თვეში ამაგნიტუდიდად საინტერესო, ფრიდამ საყურადღებოა ავრეთვე ჯუან-შერის თხზულების—ვახტანგ გორგასლის. ცხოვრების ვან-ხილვის თვალსაზრისითაც. ამიტომ ეს ტექსტი, რომელიც თავისი შემადგენელ ნაწილების მხრივ შეიძლება ოჩად გაყოფილ იქნას, მომყავს აქვე ცენტრარქ. ხელნაწერის მიხედვით.

I. უწყება ჯერ არს, თუ მეფენი ქართლისანი ეცილ ტომი იყუნეს. რ' ალექსანდრე მეფემან ვ'ა დაიმორჩილნა ყოველნი მაშინ ქართლსა და იხილნა ნათესავნი სასტიკი, ნათესავნი წარმართოთანი, რომელთა აშ ჩუებ ბუნ-თურქად უწოდთ, რ' ცხონდებოდეს იგინი ყოვლად უკხოდ კაცთა ბუნებისაგან ვ'ა იყუნეს მცეცნი რ' [ნიმე] საძულველნი და ენება რათამცა აღინიშურნა იგინი. ხ' იყუნეს ციხენი მათნი მაგარნი და ვერ შეუძლეს ემსა მას აღვხურა მათი. კ' დ გამოვიდეს სპუანი ნათესავნი ქალდეველთანი, კ' დ დაეშენეს მუნვე ქართლს და ვ'ა ყოველგნით მოირჩუნა ალექსანდრე, კ' დ მოვიდა ქართლად და შემუსრნა ციხე ქალაქნი მათნი და რომელნიმე მოსრნა და რომელნიმე წარიტანა. ხ' სარკინელნი იგი ვანუმაგრდეს ეამ რავდენშე და უკანასკნელ განხურიტეს კლდე და ივლტოდეს და წარვიდეს გარეგან თვესეთისა და თვე იწყო შენებად ქუცყანასა ქართლისასა და მისცა ქუცყანა ქართლისა აზონს და განუჩინა საზღვარი ჰერე-თი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და თვე ალექსანდრე წარვიდა. მაშინ აზოელ [წარვიდა] ქართლად არან მამისა თვესისად და წარმოიყუანა მუნით ათასი სახლი მდაბი უფლისა და კ' დ ათი სახლი მთავართავან და ყოველით დედაწულით მათით მოიყუანნა და და-აშენნა ქართლს და თანა ჰყუეს კერპნი მათნი ლ' თაღ და ესე აზონ პირველი მეფე იყო ქართველთა და ამისი შეილის შეილთავან ოცდამერვე მეფე იყო შირიან რო-მელი მეფე იქმნა ქრისტეს აღმსარებელი და ქრისტეს



მორწმუნეთა მეცნ და ჩუქუნი ვართ არჩევს ქართული მარკა  
ლითანი და ენა მათი უწყით და მეცნი ჩუქუნი მათნი  
შეიღის შეიღოთანი. ხ კართველი პირები მასახურებლებს  
რომელიმე ცეცხლსა და სხუანი მზესა და ვარსკულაფოთა  
და თაყუანისცემდენ ძელთა და ქუათა და ღრთად ხალო-  
დეს. ხ რა ეაშ მოხედვა ყო ღრთნ კართველთა ზედა  
და ინება წმინდამან ღრთის შობელმან რომლისა ნაწილ-  
ნი ვართ და ნათელგუილებიეს სახელსა ზედა ძისა და  
ღრთისა მისისა ქრისტეს უფლისა ჩუქუნისასა მაღლითა და  
შეწევნითა სასოსა მის ჩუქუნის წმინდისა ღრთის შშობე-  
ლისა დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიამისთა;  
არაოდეს მიღრევილა გული ჩუქუნი ურწმუნოებად და  
სამებისაგან წმინდისა ერთ ღრთადებისა. ხ ბერძენი ში-  
ოიქცეს კერპომსახურებად და კ დ წვალებისა ღუარძლია  
შემოიღეს და კნინღა წიარწყმდეს და დაეცნეს. ხ ჩუქუნ  
ესე კეთილი სარწმუნოება, რომელი მოგულა ღრთნ ნუ-  
ბითა და ჯერნინებითა დედისა მისისასა, მტკიცედ გუ-  
იპყრიეს მეოხებითა წმინდისა ღრთის შშობელისათა.

II. ბ' შემდგომად მირიანისა მეოთე მეფე იქმნა ვან-  
ტანგ გორგასალ და ვიღრელა ყრმა იყო, იძულებით  
სპარსეთად წარვიდა და ქრისტეს სარწმუნოება კუთი-  
ლად მოიცა და შემდგომად რაოდენისამე გამისა მოიქცა  
და მაშინა გამსა მას იყო მიქაელ მთავარეპისკოპოსად  
და დაჯერეს კითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევა-  
ს მან ირწმუნა და მირავიდოდა ვახტანგ მოკითხვად  
მისა, წიხლი შეძერა და კბილნი შეძლებინა. ზ' შეფერხ  
ვახტანგ სიმშევიდით ღრთისათვეს დაითმინა იგი და არა  
პოროტი შეამთხვია, გარნა გაეზაენნა მოციქულნი სა-  
ძერძნების და ითხოვა მეფისაგან და პატრიაქისა კა-  
თალიკოზი და მათ წარმოავლინეს პეტრე კათალი-  
კოზად. ს' ვახტანგ იღაშენა ქუებო ქსე დიდი გვ-  
ლესია და დასვე მას შინა პირველ კათალიკოზად პეტ-



რე ლირსი და მრაბალი და დაამდაბლა პატრიკ სამონავა  
როსა. ამან ვახტანგ ალაშენა ტფილისი და მცხეთა ქა-  
ლაქი მუნ მიცვალა. ამანვე დაიმორჩილნა ოცნი და  
ყიფჩიყნი და შექმნა კარნი ოცხეთისანი და ალაშენა მას  
ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლო-  
ბელნი მის აღგილისანი და უწოდა მათ კარალ დარია-  
ლასა და აწ თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ კელეჭიფების  
გამოსლვად ოცხა და ყიფჩიყთა. ამანვე ვახტანგ სძლო  
სპარსთა და დაიმორჩილნა, რ' იყო საზარელ და გო-  
ლიათ და განთქმულ ყოველსა ქუყანასა, რ' იყო სიგ-  
ძე მისი ათორმეტი მტკაველი და აწცა საცნაურ არს  
სამოსლისა და იბჯრისა მისისაგან. ხ' იყო ფრიად შემ-  
კული ღრთის მსახურებითა დიდი ვახტანგ. ხ' მოიკლა  
იგი სპარსთა ბრძოლისა ზინა მონა ყოლილისაგან მი-  
სისა, რ' იცოდა განთხევი ჯაჭვისა ღლიასა ქუეშე და  
აღიპყრნა რა კრძალი თვის რათა სცეს კაცთა სპარ-  
სთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰქონა ისარი ღლია-  
სა ქუეშე და მით მოკლა და ქრისტესათვს იწიმა  
ქრისტეს მოყუარე იგი მეფე და არს საფლავი მისი წი-  
ნაშე სუეტისა ცხოველისა. ხ' შემდგომად მისსა მოიწიგ-  
ნეს სპარსთაგან ქართველთა ზედა დიდნი ჭირნი და  
ფრიადნი სულნი მოსწყდეს და ქუყანანი დაიპყრეს,  
მრვეალნი იწამნეს ქრისტეს სახელისათვს, რომელთანი-  
მე დაშთეს აღუწერელად გარნა ყოველნი აღწერილ  
არიან წიგნსა ცხოველთასა.

ამისა შემდგომად გამოვიდა ერკელე მეფე და შე-  
კრთნეს ქართველნიცა და შევიდეს სპარსეთს და შეწევ-  
ნითა ღრთისითა შემუსრა სპარსეთი და ტაძარნი და ბო-  
მონნი მათნი და ხუასრო მეფე და ძელი ცხორებისა, რო-  
მელი წარეტყუენა სპარსთა, წარმოიყვანა და ძლევა შე-  
მოსილი შემოხვიდა (sic) სამეფოდვე.

ამისა შემდგომად განეფინა ქადაგება მუპამედ ხჯუ-



ლისა და მრავალი ერთ შეულგა მას. შემდგომიც შესწავლა  
გამოვიდეს სპარსინი, პონტოლმდე მოიწივნეს და ყოველი  
კაბა უკუკია დაიპურეს და ვითარ იგი იყო კურითხევა კა-  
თალიკოზისა ანტიოქიით, არღარავის კელეწიფებოდა  
სლვად გზასა ანტიოქისასა, ამისთვის დიდი ზრუნვა აქცნ-  
და ქართველთა. ხ' დღეთა თეოფილე ანტიოქელ პატ-  
რიქისათა წარავლინეს მოციქულნი და მიუთხრეს ამის  
პირისათვს. ხ' თეოფილე ჰყო კრება საზოვალო და გა-  
ნაწესეს, რათა შეკრბებოდიან ეპისკოპოზნი სამრემ-  
ლოსა მისისანი და აკურთხევდენ კათალიკოზისა რომე-  
ლიცა სონდეს მეფესა და ერსა და ამის პირისათვს და-  
წერა წიგნი და დაბეჭდულად წარმოგზავნა. ხ' კი-  
თარ იგი პირველ იყუნეს ასწი სოფელნი სასყიდლად  
მირონისა, ამის წილ განუწესა ასი დრაკანი. ხ' ამისა  
შემდგომად კ' დ ესოდენ განაჩინეს რათა სახელით ოდენ  
მოიქსენებოდეს პატრიარქი ანტიოქელი ქართლს. ესრო-  
განაგეს ქართლისა ცკლესიათა შესი და მცირვა და ესეცა  
არს ვიდრე დღეინ დღელად დღედმდე სადიდებელად მაშისა,  
ძისა და წმინდისა სულისა, რომლისა არს დიდება უკუ-  
ნითი უკუნისამდე ამინ.

ამ ტექსტიდან პირველი ნაწილი წარმოადგენს „მოქც-  
ქ.“-ს თავი ნაწილის სხვა სიტყვებით გადმოცემის საყურად-  
ლებო გლოსით აზოს მიერ მცხეთას ათასი სახლი მდაბის და  
ათა სახლის მთავართავან მოყვანის შესახებ. ეს ნაწილი ზე-  
მოდ მოყვანილი ტექსტისა ძლიერ ძველად სიანს. ამისი მაჩვე-  
ნებელი უნდა იყოს შემდეგი გამოთქმა ტექსტში: „შეფენი-  
ნუენნი მათნი (არანის და აზოს) შეილის შეალთანი (არიანი)<sup>a</sup>.  
ცხალია, ტექსტი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ქართლში  
ჯერ კიდევ მეტენი იყვნენ და ეს მეტენი გენეტიურად ქართ-  
ლის უძველეს დანასტიკას უკავშირდებოდნენ. შეუძლებელია  
ამიტომ ეს თხრობა შედგენილი იყოს მე-6 საუკუნეზე უფრო  
გვიან დროს, ე. ი. ქართლში ერისთავების უფლების დამყა-



ჩემის შემდეგ. საფულისხმებელია, რომ რაღანაც მაქტა აკუთხა-  
რის თანამედროვე მეუენი გენეტიურად აზოს გვარეულობას-  
თან არიან დაკავშირებული, ამიტომ შესაძლებელია თხრობა  
შე-ნ საუკუნეზე ადრინდელ ხანის ეკუთვნოდეს. ბერძნების  
შესახებ თხრობის ავტორი გადმოგვცემს, რომ ისინი „მიიქ-  
ცეს კერპთ მსახურებად და კ' დ წვალებისა ღვარძლი შემო-  
ლეს და კნინდა წარწყმდეს და დაეცნეს, ხოლო წევნ ეს კ  
კეთილი სარწმუნოება... მტკიცებ გუაბყრიეს... ცალია, აქ  
იგულისხმება აღმ. რომის იმპერატორის იულიანეს (360—  
363 წ.) ხანა, როდესაც იმპერიაში ქრისტიანობის დევნა წარ-  
მოებდა და მეორეს მხრივ მე-ნ საუკუნის სიგრძეზე გამწვავე-  
ბული სარწმუნოებრივი ურთიერთობა და დოგმატიური გან-  
ხეთქილება ქრისტიანობაში. გამოთქმა „კნინდა წარწყმდეს  
(ბერძნენი)“ შეიძლება გვიჩვენებდეს, რომ ტექსტის ავტო-  
რის დროს ამ პრძოლას ქართველების თვალსაზრისით საბერ-  
ძნეოში სიმედო პირი უჩინდა. თუ მივიღებთ მხედველობაში  
ქართულ ეკლესიის ერთობას მე-ნ საუკუნეში აღმოს. ეკლე-  
სიებთან მონოფილიტობის ნიადაგზე, მაშინ შესაძლებელია ვი-  
ფიქროთ, რომ ეს დრო იმპერატორ ანისტასის ხანა იქნებო-  
და (491—518 წ.). ანისტასი, როგორც ცნობილია, მონო-  
ფიზიკურ პოლიტიკის აწარმოებდა. ამისდა მიხედვით შეიძ-  
ლება ვითიქროთ, რომ ზემოდ მოყვანილი თხრობა, შედგენი-  
ლი „მოქ. ქ.“-ს საფუძველზე, უნდა ეკუთვნოდეს დაახლო-  
ვებით 500 წლ. ასლო ხანებს, შესაძლებელია ცოტა ადრეც.

რაც შეეხება მეორე ნაწილს ზემოდ მოყვანილ ტექსტისას, რომელი ნაწილიც შეიცავს თხრობას ვასტანგ გორგასალზე  
და შემდეგ კათალიკოზის კურთხევის ნების მიღების შესახებ, ამის დახათარიღებლად საკმარისია ნაჩვენები იქნას, რომ  
ტექსტში მოხსენებული ანტიოქიის პატრიარქი თეოფილე  
არის თეოფილაქტე (744—751), რომელმაც, ეტრემ მცირის  
მიერ ანტიოქიის ხრონოგრაფიდან ამოღებულ ცნობის მიხედ-  
ვით (ქრინიკ. I, 75—76), „ბჟობითა კრებისადთა... მისცა



ქართველთა პროტოტიპტიკონი, რომელ არს გაესნით, რომ  
თვით მათისა ხაზლუარისა ეპისკოპოსთაგან კელნი დაესხმოდინ  
ფემად უამაღსა კათალიკოზსა ქართლისასა... რომელი გამოირ-  
ჩიონ მოყვასთა მის ცელესისისათა". აშიტოშ ტექსტი შეიძლე-  
ბა შედგენილი იყოს შემდეგ მე-8 საუკ. ნახევრისა და ხა-  
კმაოდ დაშორებითაც, როგორც ამას უნდა გვიჩვენებდეს  
თქმა: „ესეცა არს ვიდრე დღეინდელად დღედმდე", მაშინა-  
დამე არა უადრეს 800 წლისა. ტექსტში მოიპოვება თქმა—  
„და აკურთხევდენ კათალიკოზსა რომელიცა სთნდეს მეფესა  
და ერთსა" (ზემოდ, გვ. 160). უკანასკნელი გლოსა მეფის მო-  
ხსენებით შესაძლებელია ტექსტს უკვეშირებდეს იმ ხანას, რო-  
დესაც ზემო-ქართლი უკვე ბაგრატიონების დინასტიის ხელში  
იჩყოფებოდა, რომელ დინასტიის წარმომადგენელნი დიდ აშო-  
რის დროიდანვე მეფის წოდებით იყვნენ ცნობილი (ცხო-  
რებას გრიგოლ ხანძთელისად, ნ. მარტის გამ., იგ. ივ და  
სხვ.). ამისდა მიხედვით შეიძლება შედგენა ზემოდ მოყვანილ  
თხრობისა ვახტანგ გორგასალზე და კათალიკოზის დამოუ-  
კიდებლად კუტოხედვის მიღების შესახებ მე-8—9 საუკუნის  
მიჯნას მიეკუთხნოს.

ამის შემდეგ უფრო დაახლოებით შეიძლება წმ. ნინოს  
ცხოვრების ცალკე რედაქციის დათარიღება. რაღვანაც აშ  
ცალკე რედაქციის მიყვება ზემოდ მოყვანილი და გარჩეული  
ტექსტი „მოქ. ქ.“-ს ცნობებით და შემდეგ ვახტანგ გორგა-  
სალის და კათალიკოზობის შესახები თხრობით, აშიტოშ სა-  
გულისხმებელია, რომ ცყველაფერი ეს ერთი ხანის რედაქციულ  
მუშაობის შედეგი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივი-  
დებდით, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ცალკე რედაქცია, მო-  
წევნული მოცულობით, უნდა შედგენილი იყოს დაახლოებე-  
ბით იმავე დროს, როდესაც დაიწერა თხრობა ვახტანგ გორ-  
გასალისა და კათალიკოზობის შესახებ, ე. ი. არა უადრეს  
800 წლის ახლო ხანისა.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მაშინ როდესაც წმ. ნი-



ნოს ცხოვრების ცალკე რედაქცია სტოვებს შთამცემულილებას უფრო ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ ნაწარმოებისას — ამას ამტკიცებს აფთიანის მიერ, როგორც ნაწვენები იყო, „მოქ. ქ. ა.-ზე დამყარება, აგრეთვე ზოგიერთი ადგილობრივი ხასიათის გლოსები, მაგ., ეკლესიების აშენების შესახებ და სხ. — შატბ. და კელ. ხელნაწერების რედაქცია უფრო უცხოეთში, ხახულისობრი სირიულ ქვეყნებში დაწერილ ნაწარმოებსა გავს. ერთი რომ შატბ. და კელ. ხელნაწერების რედაქციის ავტორი სრულიად არ ეყარება „მოქ. ქ. ა.-სას და გარდა მისია ის წარმოგვიდვენს ზოგიერთ ისეთ გლოსას, რომელიც მნელი ასახსნელი იქნებოდა ქართულ ნიადაგზე. მაგ., ნინოს შეკითხვაზე, თუ „სადა არს სამოსელი იგი ოლისა ჩინისად“ (ადგილის მხრივ იგულისხმება მცხეთა), მას უპისუხებენ: „ჩრდილოეთსა ქუნად სომხითისა შთეულ არს, საწარმოროო, საკელმწიფოო ბერძნობად და უფითოდ“ (Oppic. II, 744). უფიკი (სომხ.: ხუჯიკ) ნიშნავს ხვარასნელს, აქ მაშასადამე, სპარსელს. ამგვარი სახელწოდება სპარსელისა, ისე აგრეთვე შილა-ქართლის დახასიათება, როგორც „სომხითისა ქუეყანისა“, ცხადად ამტკიცებს ტექსტის წარმოვალობას უქბო ქუეყნიდან, ქართლს გარეშე. საყურადღებოა, რომ წმ. ნინოს ცალკე რედაქციაში ქართლის მდებარეობა განმარტებულია ამ გვარიად: „არს ქუეყანა ჩრდილოეთისა და სამკურდებელი წარმორთთა შორის სპარსთა და ოვსეთისა და ქალაქი არს მცხეთა“ (ცენტრარქ. ხელნაწ. № 20, ფ 4.). შატბ. და კელ. ხელნაწერების რედაქციის ავტორმა, როგორც მოხსენებული იყო, იცის სირიული ენა და სპარსულიც, ამ ორივე ენაზე მას წინადადებაც მოყავს. ამ ფაქტების მიხედვით შეიძლება ვიტიქოთ, რომ შატბ. და კელ. ხელნაწერებში წარმოდგენილი და შემდეგ მატიანებში შეტანილი რედაქცია წმ. ნინოს ცხოვრებისა წარმოიშვა სირიულიტერატურულ ნიადაგზე. ეს, ასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ეს რედაქცია პირველად

სირიულად გაჩნდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ესა-  
 ჭიროება სპეციალურად გამოვლენა, — არამედ უნდა გვიჩვენებ-  
 დეს მხოლოდ იმ განსაზღვრულ ლიტერატურულ წრეებს, რო-  
 მლის ნიადაგზე და ზედგავლენით წარმოიშვა წმ. ნინოს ც-ბის  
 ხსენებული რედაქტია.

უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ეს, ასე ვთქვათ, სირიულ  
 ნიადაგზე წარმოშობილი ვერსია წმ. ნინოს ც-ბისა, შედარე-  
 ბით ცალკე რედაქტიასთან, წარმოადგენს ლიტერატურულად  
 უფრო დამუშავებულ ნაწარმოებს. ამ მხრივ ის შეიძლება  
 ჩაითვალოს წმ. ნინოს ც-ბისთვის ლიტერატურულ განვითა-  
 რების თვალსაზრისით უფრო მაღალ საუკენერად. ეს ორი  
 რედაქტია ცალცალკე და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ  
 უნდა ქმარებოდნენ წმ. ნინოს ც-ბის ძველ ვერსიას. ამ ვერ-  
 სიისაგან — ჯვარი გაზისა და სხვა აღვილობრივ ხასიათის გლო-  
 სების დანართვით — ერთის მხრივ განვითარდა ცალკე რედაქტ-  
 უია და მეორეს მხრივ ამ უფრო ძველი ვერსიის სირიულ  
 ლიტერატურულ ნიადაგზე დამუშავებით წარმოიშვა შატბ. და  
 კელ. ხელნაწერების რედაქტია, რომელიც აგრეთვე მატიანეში  
 იქნა შეტანილი. ამისდა მიხედვით, სირიული წარმომავლობის  
 რედაქტია უნდა იყოს დაახლოვებით იმავე დროის წარმოშო-  
 ბის როგორც ცალკე რედაქტია, ანდა ცოტათი უფრო ნა-  
 ვიანევი. ყოველს შემთხვევაში მისი შედეგია, მაშასადმე,  
 არ შეიძლება მიეწეროს მე-9 საუკუნეზე აღრინდელ ხანას.

წმ. ნინოს ც-ბის ორივე ამ რედაქტიის terminus post  
 quoniam ითვ ვამოსარკვევებიდ საყურადღებოა, რომ არც ერთი ეს  
 რედაქტია არ იყნობს მოციქულების ანდრია და სვიმონ კა-  
 ნანელის მოსელის შესახებ თხრობას, ყოველს შემთხვევაში  
 ამ მოციქულების მოსელას ქართლში არ ისახნიებს. შატბ. და  
 კელ. ხელნაწერების რედაქტია კი პირდაპირ ამბობს ნინოს  
 შესახებ: „ყოფილ არიან.... მოციქულნი ათორმეტნი და ჩა-  
 და არავინ მოავლინა ღწნ“ (Oppsc. II, 734). ცნობა კერძოდ  
 ანდრია მოციქულის ქართლში მოსელის შესახებ დაცული



აქვს საეკლესიო მწერალს ნიკიტა პაფლაგონელს († 890 წ.), რომელიც ღვთისმშობლის შესხმაში პირდაპირ ამჰობს: „ხოლო შენ, ჩემთვის უპატივცემულესო ანდრიავ, წილად გხვდა რა ჩრდილოეთი, იძყრნი და სარმატი, ტავრნი და სკვითონი და ყოველი ქვეყანა და ქალაქი პონტ-ევესინის ჩრდილოდ და სამხრეთით მდებარენი, მიმოიარენ“ (ივ. ჯავახიშვ., ანდრია მოც. და წმ. ნინოს მოლვაწ., „მთამბე“, VII, 1900 წ., 40—41). ნიკიტა პაფლაგონელის ეს ცნობა მოხსენებულია პეტრე მაიომელის ქართულ ცხოვრებაში (ნ. მარრის გამ., 3): „იქადაგა ქადაგება იგი... მოკიქულისა ანდრიას მიერ ქუეყანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა სალუთო და ფილასოფელსი მიმოსვლათა შინა და ქადაგებათა წმიდისა მის მოცკელისათა“. ქართველებს, ამ გვარად, ანდრიას ქართლში მიმოსვლის შესახებ ნიკიტას ოზნულებებიდან გაუგიათ და ეს ცნობა, რასაკვირველია, დიდ ხანს არ დარჩინიათ შეუმჩნეველი. საფულისსმებელია, რომ ის მე-9 საუკ. დასასრულს მაინც ქართველთა სასულიერო ხელმძღვანელ წრეებში უკვე გავრცელებული იქნებოდა. ამისდა მიხედვით შეიძლება დაშვებულ იქმნას, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ორივე რედაქტია შედგენილი ყოფილი მე-9 საუკ. დასასრულზე აღრე. მათი წარმოშობა ამიტომ შეიძლება მიეწეროს მე-9 საუკ. პირველ ნახევარს—დაახლოვებით 820—860 წლებს.

ამ გვარად, მატიანეში ლეონტი მრიველის მიერ შეტანილი წმ. ნინოს ცხოვრება, წარმოდგენილი კიდევ შატბ. და ჰელ. ხელნაწერებში, შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს მხოლოდ მე-9 საუკუნეში. პირველად, როგორც ამას აღისტურებს მატიანის მე-12—13 საუკუნის სომხური თარგმანის რედაქტია, ნინოს ცხოვრება ლეონტის მიერ შეტანილი იქნებოდა მცირეოდენ რედაქტიულ ცვლილებებით, მაგრამ საერთოდ ისეთივე მოცულობით, როგორც ეს შატბ. (და ჰელ.) ხელნაწერების რედაქტიაში არის წარმოდგენილი. კერძოდ თავი უცხოვრება წმიდისა ნინოსი “შეტანილი ყოფილა მა-



ტიანეში პირველივე პირის თხრობით, როგორც შემთხვევაში ცელი ხელნაწ. რედაქტირიაშია. ამ სახით არის ეს თვეი წარმოდგენილი მატიანის ძეველ სომხურ თარგმანში. ასევე ყოფილა წმ. ნინოს ცხოვრება მატიანეში ღაცული თვით მე-13 საუკუნეში, როგორც ამის აღასტურებს არსენი, ნინოს მეტაფრასტულ ცხოვრების შემდგენელი: „ეს ნეტარისა ნინოსა ცხოვრება შეუწყობლად და განბნეულად ქართლისა მოქცევისა თანა და ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწრია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თვით მის შემიღისავან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისავან, სხუად იკონა მღლდლისავან, სხუად აბიათარისავან, სხუად კუალად სიღონიასავან, გარნა წინაუკუანა და უკანაწარ იგივე და ერთი პირი და ამისთვე საეკლესიოდ მკითხველთათვეს ფრიად საწყინო იყო... (ცხოვ. წმ. ნინოსი, 3. კარბელ. გამ., 51). მოლოდ მას შემდეგ, რაც არსენიმ დიმიტრი თავდადებულის დროს შეადგინა ახალი, მეტაფრასტული ცხოვრება ნინოსი, როგორც შატბ. და ჭელ. ხელნაწ. წარმოდგენილ ვერსიის, ისე ზემოდ მოკლედ გარჩეულ ეგრედ წოლებულ ცალკე რედაქტირის თხრობის შეზავებით და შეთავსებით, ამის შემდეგ, როგორც სჩანს, გადახალისებულ იქმნა ნინოს ცხოვრება მატიანეშიც. პირველი პირით თხრობა საკუთრივ ნინოს თხრობაში გადაკეთებულ იქმნა მესამე პირად. ხოლო აბიათარის, მაგ., თხრობა დატოვებულ იქმნა კვლავინდებურად პირველ პირად (მარ. ვარ. 78 და სხ.). შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ ეს ნაწილობრივი გადახალისება მატიანეში მოთავსებულ წმ. ნინოს ცხოვრებისა მოხდებოდა არსენის შემდეგ, მაშასადამე შესაძლებელია მე-13 საუკ. დასასრულის ან მე-14 საუკუნეში. ინიციატორი ამ გადახალისებისა არა სჩანს, მაგრამ შესაძლებელია ის იყოს ითანე დეკანოზი, რომელიც მოსხენებულია ქ. ც-ბის თეიმურაზის ვარიანტში ლეონტი მროველთან ერთად: „ეს არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსავან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველ-



მან აღწერა და ახლა ითანე დეკანოზშან აღწერა „ქ. ც. გ. 1, 181 შენ. 4).“

ამ გვარად ლეონტი მროველს ეკუთვნის მოქც. ქართლისადას შეტანა მატიანეში მე-9 საუკუნის რედაქციით. თავი კერძოდ ნინოს ცხოვრებისა შემდეგ გადაკეთებულ იქნა, მესამე პირის თხრობად ითანე დეკანოზშის მიერ.

როგორც მატიანის ცნობილ მინაწერიდან სჩანს, ლეონტი მროველს ეკუთვნის კიდევ „არჩილის წამება“. ამ თხზულების ქვეშ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ მთელი თხრობა მურვან-ყრუს და ჭიქუმის შემოსევათა შესახებ, დაწყებული სიტყვებიდან — „ხოლო სტეფანოზს ესხნეს ძენი ორნი, არჩილ და მიშრ და ვანუკო ყოველი ხოსტაკი სამეფოსა მისისა ხაგანმური ოქროსა და ვერცხლისა და თუალთა პატიოსანთა“.... (შარ. ვარ. გვ. 199, ქ. ც. I, 172) ვიდრე ცნობიმდი ჯუანშერის ავტორობის შესახებ (შარ. ვარ. 215, ქ. ც. I, 184).

არჩილის ცხოვრება შესდგება ორი ნაწილისაგან. ერთია — (შარ. ვარ. 199—211) მურვან-ყრუს შემოსევის აღწერილობა, რომელშიდაც შეტანილია თავისებური ახსნა მდ. ცხენისწყლის და აბაშის სახელებისა, — ცხენისწყლშია წილი 35 ათ. ცხენი, აბაში კიდევ დაახრჩო 22 ათ. აბაშთა ჯარისაგან, რის გამო ამ მდინარეებში ვითომ მიიღეს თავისი სახელიც. მეორე ნაწილი (შარ. ვარ., 211—215) შეიცავს ჭიქუმის შემოსევის აღწერილობას 50 წლის შემდეგ მურვან-ყრუს შემოსევისა და აგრძელებულ თხრობას არჩილის მოკლვის შესახებ. მურვან-ყრუს შემოსევა 729—730 წლებს მიეწერება (ივ. ჯავახიშ., ქართ. ერის ისტორია II, 350). ამიტომ, რაღვანაც უკვე 772 წ., ამო ტფილელის ც-ბის მიხედვით, ქართლის ერისმთავრად ადარნასესხე ნერსე იჯდა, იმიტომ ლეონტის ცნობა ჭიქუმის მოსვლის შესახებ მურვან-ყრუდან 50 წლის შემდეგ შეცდომა უნდა იყოს. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ამ ცნობის მიხედვით ლეონტი მროველს არ შეეძლო არ-



ჩილის ც-ბა მე-9 საუკ. დასაწყისშე უფრო აღრე დატვერდა. თუ მივიღებთ მხედველობაში ც-ბის საერთო ხისიათს, ზემოდ მოხსენებულ ახსნას მდ. ცხენის-წელის და იბაშის სახელებისას, იგრძოვე მე-8 საუკ. მცხოვრებ არჩილის და მირის დაკავშირებას ცხადი შეუდიომით მე-7 საუკ. ნახევარში ცხოვრებ სტეფანოზთან, რომლის შეილებად ისინი არიან გამოცხადებულნი, მაშინ მივიღებთ, რომ ც-ბის ივტორს უნდა ეცხოვრა საკმაოდ მოგვიანებით არჩილ შეფის ხანისთან. არა უადრეს მე-9 საუკ. მეორე ნახევრისა. ამას უდიკება ზემოდ მოხსენებული ცნობა, რომ ანდრია მოციქულის მიერ ქართლში ქადაგების ამბავი ლიტერატურული შეიძლება წევნში შემოტანილიყო, თუ ეს ცნობა მართლაც პირველიდ ნიკიტა პაფლიაგონელის შესხმაზე იყო დამყარებული, მხოლოდ მე-9 საუკ. უკანასკნელ მეოთხედში. ხოლო მატინეში (მარ. ვარ., 30) უფლის კვართის მოტანისა და ანდრია და სეიმონ მოციქულების მოსვლის შესახებ ცნობის შეტანა ლეონტი მროველს უნდა ეკუთვნოდეს. მაშასადამე ამის მიხედვითაც ლეონტი მროველის ცხორების დრო მე-9 საუკ-უნის მიწურულზედაც უნდა გადადიოდეს. ამიტომაც, ჩემის აზრით, ლეონტი მროველის ცხოვრების დრო მე-10 საუკუნის სიგრძეზე იქნებოდა საძებარი. მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველს კარგათ ახსოვს ჯუანშერის ივტორობა, მის მიერ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების შედგენა და რაღაც გამოიყენებულ მე-8 საუკ. მეორე ნახევრის მწერალია (იხ. ქვემოდ), ამიტომ, ჩემის აზრით, ლეონტი მროველის დრო შედარებით ახლოს უნდა იყოს მე-9 საუკუნის მიწურულთან. ამისდა მიხედვით, პირობით, რასაკვირველია, ლეონტი მროველი შეიძლებოდა მიკუთვნებულიყო მე-10 საუკუნის დასაწყისის ახლოებროს. მართლაც, არჩილის ც-ბაში ლეონტის აქვს ერთი გლოსა, რომლიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ნიჭარმოების დასათარიღებლად. სახელდობრ იქ მოხსენებულია ბერძენთ მეუის მიმართვა მირისა



და არწილისადმი. „დააღვერით სიმაგრეთა შინა თქუცნოვიდრემდის წარედეს წელიწადნი მათნი სამასნი რამეთუ ორას და მეტვებსება წელსა განველოს მეფობა მათი და განსარულებასა მესამ(ას)ისა წელიწადისასა მოეცეს ძალი მეფობისა ჩუენსა და შევმუსრნეთ ავარიანნი“ (მარ. ვარ. 205). ეს აღილი წარმოადგენს პარალელს ჯუანშერის თხზულების ჰოლოში მოთავსებულ ცნობასთან, რომელიც შეიცავს წინასწარმეტყველობას სარკინოსთა მძლავრების ხანგრძლივობის შესახებ: „აღაშენა ერეკლე სუეტი და დაწერა მასზედა — მშეიღობით შუამდინარეო და ფილისტიმო, კიდრებიდის წარედეს შეიღნი შეიღეულნი შეიღეულისათვს. ესრეთ პოვეს ფამი განსაზღვრებრული ფილისაოფოსთა პრიმის ტროსმან-ჯინტონის წიგნთა შინა სარკინოსთათვს რომელ არს ირასორმეოცდათ წელი“ (მარ. ვარ., 198). ვარსკვლავთმრიცხველთა ეს წინასწარმეტყველობა, შესაძლებელია, მე-8—9 სიუკუნეში მართლაც წარმოადგენდა ლოტერატურულ გადმოცემის საგანს. გავრამ რადგან ამ დროს გასვლის შემდეგ, რაც მოდის დახმარებით მე-880 წლების ახლოს, შუამდინარეთი არ დაუბრუნდა პიზანტიის, ამიტომ მ. მროველი შეეძლო ამ წინასწარმეტყველობისთვის, რომლის განხორციელების იმედს ალბალი ძლიერდა მე-860 წლებიდან დაწყებული არაბების სახალიფოს სწრაფი დასუსტება და დაქსაქსვაც, თავისებური ინტერპრეტაცია გაეკეთებინა და მისი რეალიზაცია მესამასე წელიწადისთვის გადაედო. ამ თვალსაზრისის მიხედვით მივიღებდით, რომ ლეონტი მროველის თავისი სალიტერატურო მუშაობა უნდა ეწარმოებინა მე-930 წლებზე უფრო აღრე. მაშინ ლეონტი მროველის მოღვაწეობის დრო მოვიღოდა დაახლოებით მე-10 საუკუნის დასაწყისზე ანუ 900—920 წლის ახლო ხანში.

მატრანგში „მეფეთა ცხოვრების“ მომდევნო თხზულების ვტორის ჯუანშერის შესახებ ლიტერატურაში ბოლო დრო-



მდის გარკვეული აზრი არსებობდა. თუმცა ო. შემდეგი მდის მე 30 წლის წინად ჯუანშერს მე-8 საუკუნის შექმნად სთვლიდა (ქრონიკ. I, წინასიტყვითა), მაგრამ რაღაც მისი მოსაზრება ჯეროვნიდ დასაბუთებული არ იყო, ამიტომ ამ აზრმა ფეხი ვერ მოიკიდა. ჯუანშერის მოლვაწეობის დათარიღებაში საბეჭისწერო როლი შეასრულა ცნობილმა და ზემოდ გარჩეულმა ციტატამ პავინიკების კავკასიოლან ვახტანგ გორგასლის შემდევ „შემდგომად ეამთა მრავალთა“ დასავალეთისკენ თურქების მიერ თტებამ. ვინაიდგან ეს ოტება მიღებული იყო მე-11 საუკუნისთვის, ამიტომ ჯუანშერიც ამ ეპოქაზე უფრო ძლიერი და მწერლად ვერ გამოინდებოდა და ამიტომ მასევ მიეწერა მთელი მატიანის დაწერა ვახტანგ გორგასლიდან ვიდრე მე-11 საუკუნეში. ასე ვფიქრობდი მე ჩემს შრომაში 0 ადრენ-გრუ. ლეთოპისას, საღაც ჯუანშერის მოლვაწეობას მე-11 საუკუნით ვათარიღებდი. მე-11 საუკუნისავე შექმნად სთვლიდა ჯუანშერს ჯერ კიდევ 1910 წ. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც მან ძველი ქართველ მემატიანების შესახებ ტაფილისში საჯარო მოხსენება წაიკითხა და შემდევ ესვე აზრი მანვე გაატარა ქართულ მატიანის საფუძვლიან გარჩევაში (ისტორ. მის. და მეთოდ. წ. I, პირვ. და მეორე გამ. გვ. 186—195), სახელდობრ ის ჯუანშერს სთვლიდა მე-XI საუკ. პირველ ნახევრის გასულისა და მეორე ნახევრის დამდეგის მწერლად.

უკანასკნელ, არსებობს კიდევ ეხლახან გამოთქმული აზრი კორნ. კიკელიძისა, რომელიც თავისს გამოკვლევაში „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსის“ შესახებ („ჩევნი მეცნიერება“ № 4—5, 1923 წ.) იმ დასკვნამდის მიღის, რომ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა დაწერილია არა ჯუანშერის, არა მედ იმ ისტორიკოსის მიერ, რომელსაც ეკუთვნის ეგრეთ წოდებული „მეცნიერება“ და რომელიც ლეონტი მროველის სახელითა ცნობილი დღესდღეობით“. ლეონტი მროველს კიდევ კორნ. კიკელიძე მე-11 საუკუნის მწერლად სთვლის.



როგორც ცნობილია, ჯუანშერის თხზულება უმშეალისადაც  
შეიყობა „შეფეთა ცბას“ და მატიანეში იწყება ცოლკე სათა-  
ურით: „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა მეფისა მშობელ-  
თა და შემდგომად თვით მის დიდისა და ღრისმსახურისა მე-  
ფისა რომელი უმეტესად სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყო-  
ველთა მეფეთა ქართლისათა“ (მარ. ვარ. 117). ამ თხზუ-  
ლებაში მოთხრობილია ურცლიად ფრამის და შინაარ-  
სის მხრივ მაღალ ეპიური სტილით ვახტანგ გორგასლის მეფობა  
და შემდეგ მოთხრობილია ქართლის ისტორია ვიდრე სტე-  
ფანის II-მდის, ე. ი. იქამდის, ხადაც თავდება „მოქუ. ქარ.“-ს  
ქრონიკა. სტეფანის II-ის ცხოვრებას უხერხსულად მოკერებუ-  
ლი აქვს მირისა და არჩილის მეფობის აღწერილობა მურ-  
გან-ყრუს ლაშქრობათა მოხსენებით, ე. ი. მატიანე აქ აკე-  
თებს ნახტომს სტეფანის II-ის დროიდან (მე-7 საუკ. ნახვა-  
რი) მურგანყრუს შემოსევამდის (შერვე საუკუნის 30-იან წლ.)  
ანუ  $\frac{3}{4}$  საუკუნის სიგრძეზე. მხოლოდ არჩილის წამების აღ-  
წერილობის ბოლოს ჩვენ ვებულობთ ვახტანგ გორგასლის  
ცხოვრების დამწერის ვინაობას: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა  
ცხოვრებისა, ვკითხულობთ მინაწერში, — ვიდრე ვახტანგისამდე  
აღიწერებოდა ეამითი ფარათ. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდ-  
რე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანშან, წმისწულის  
ქარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირი-  
ანის ძისამან და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწე-  
რონ ვითარება იხილონ და წინამდებარებან ფამმან უწყებად  
მოსცეს გონებასა მათსა ღვთივ განბრძნობილსა“ (ქ. ცბ.,  
მარ. ვარ. 215, ბროსეს გამ. I, 184).

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი თავი მირისა  
და არჩილის შესახებ არღვევს მოთხრობის წესს, უხერ-  
ხსულად ვითომ აესებს ხარვეზს მატიანის თხრობაში შემდეგ  
სტეფანის II-ისა და იმასთანავე თავისი სტილით სრულდ-  
ბით არ უდგება არც ვახტანგ გორგასლის ცხოვრების, არც  
შემდევგლროინდელ მატიანის თხრობას, შეგვიძლია მივიღოთ,



რომ ეს თავი უხერხულად არის ჩამატებული შემდგენსაცნობისა  
რომ ნამდეილად ზემოდ მოყვანილი მინაწერი ვახტანგ გორ-  
გასლის ცხოვრების დამწერის ვინაობის შესახებ უნდა ეკუთ-  
ვნოდეს თხრობას სტეფანოზ II-მდის და მაპმალის გამოჩინე-  
ბამდის ამ უკანასკნელის თანმითვლით (მარ. ვარ. 117—199).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მოელი ნაწარმოების ეპი-  
ური ხასიათისა, რაც განსაკუთრებულის სიძლიერით საჩანს  
კერძოდ ვახტანგ გორგასლის მეფეობის აღწერილობაში, — ამ  
აღწერილობაში ავტორს შეტანილი აქვს ლიტერატურულად  
ნასესხი მასალაც, ასე, მაგ., არაკები თხრობაში ვახტანგის ვი-  
თომ სინდეთზე გალაშქრების დროს ჯუანშერი რასაკვირველია,  
ემყარება ისტორიულ წყაროებსაც. ერთი ასეთი მისი წყარო-  
თაგანი არის „მოქ. ქარ.“-ს ქრონიკა, რომელსაც ის ხში-  
რად იქნება სიტყვა-სიტყვით. ამის მაგალითებად შეიძლება  
მოტანილ იქმნას: ვახტანგ მეფისთვის მთავარებისკობრის  
მიერ ფეხით ვირში ჩარტყმევა (მოქ. ქ. Օშც. II, 722 ქ.  
ცხ., მარ. ვარ. 177), შუშანიკის წამების შესახებ ვითომ  
ბაკურ მეფის დროს შეცდომის განმეორება (მოქ. ქ. 722,  
ქ.ცხ., მარ. 189), ერეკლე იმპერატორის დროს ერისთავის ჯიბ-  
ლუს მიერ უკალის გამოდების\* შესახებ (მოქ. ქ. 725, ქ.  
ცხ., მარ. 195).

გარდა „მოქ. ქ.-“-სა ჯუანშერს უნდა ჰქონოდა ამ ხა-  
ნის შესახებ რაიმე თუნდაც მოკლე, მაგრამ სანდო მასალა. ეს  
საჩანს იქიდან, რომ მას ზოგ ადგილას ფრიად დეტალურად  
აქვს მოყვანილი ტუვების თუ თმებში დახოცილ მტრების  
რიცხვი. უკაუმოიკენა (ვახტანგმა ოსეთისაგან) ტუუე ქართლი-  
სა რიცხუითა 358 და რომელი დარჩა ტუუე ოვსი მათ გან-  
ტეობილთაგან კიდე თვალით 6058\* (მარ. ვარ. 135).  
„მოწყდა სპათაგან ვახტანგისთ 51, ხოლო სპათაგან ბერ-  
ძენითასა 412\* (მარ. ვარ. 155). აღსანიშნავია, რომ რო-  
გორც მატიანის შე-12—13 საუკუნის სომხური თარგმანი —  
სათანალო, რამდენადაც ის მოყვანილია, ადგილებში, ისე იგ-



რეთვე ქ. ც.-ბის შემდეგდროინ დელი რედაქტირები (შოთა რეზნერის მიერ მოცემა) ამ ციფრების მაგივრად ჩეკულებრივ უჩენებს მრავალ ათასთასოვან რიცხვებს. სახელდობრ, ოსებისავან წამოყანილი ტყუჩ ქართლისა ნაჩენებია 350 ათასი და დარჩენილი ტყუჩ-ოსი 650 ათასი, ბერძნოვან ოშის დროს ვახტანგის ჯარისაგან დახოცილოთა რიცხვი 43 ათასი და ბერძნოვან დახოცილი 72 ათასი კაცი.

ძველ სიცსტორიო წყაროზე დაყრდნობით უნდა აიხსნებოდეს აგრეთვე საქაოდ რეალური აღწერილობა ჯუანშერის მიერ ვახტანგ გორგასლის შემდეგდროინ დელი ამბებისა. საერთოდ, მიუხედავათ თავისს, კერძოდ ვახტანგ გორგასალის ცხოვრების აღწერილობაში, ეპიურ ხასიათისა, ჯუანშერის თხზულება წარმოადგენს სიცსტერესო ისტორიულ წყაროს, რომლის გავება-დაფასება და ისტორიულ რეალიზმის ოვალსაზრისით სათანადოდ გამოყენება საჭიროდ უნდა ჩითვალოს.

ჯუანშერის თხზულების დასათარილებლად მნიშვნელობა აქვს ზემოდ მოყვანილ ტექსტის ვახტანგ გორგასლის მოკლე ცხოვრების აღწერილობით და ეკლესიურ დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ მოკლე თხრობით. როგორც ვნახეთ, ეს ტექსტი შედგენის დროის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს მე-8 საუკუნის დასასრულის ახლო ხანს, ყოველს შემთხვევაში ამაზედ აღრე დაწერილი არ უნდა იყოს. ვახტანგ გორგასლის ეს მოკლე ცხოვრება შედარებით ჯუანშერის თხზულებასთან შეიცავს ვახტანგის სიკედილის შესახებ განხხავებულ ცნობას. მოკლე ტექსტი მოვითხრობს, რომ „მოიკლა (ვახტანგი) სპარსთა ბრძოლასა შინა მონა ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განაბეჭი ჯაჭვა ლლიასა ქუეშე და ალიპ-ყრა რა კრძალი თვესი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტშან ჰკრა ისარი ლლიასა ქუეშე და მით მოიკლა და ქრისტესთვს იწამა ქრისტეს მოყვარე იგი მეტე. არს საფლავი მისი წინაშე სუეტისად ცხოველისა“. ეს ფაქტი ჯუანშერის სხვანაირად აქვს გადმოცემული — „(ვახტანგ) შევლო ვიდ-



რე პალიტრალმდე მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედთ გრძელ  
ძე მისი ბარტომე მოკლა და მოპეუეთა თავი და მაშინა  
სპარსშან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა და იყო ბრძო-  
ლა „შეადლემდე“ (ქ. ცხ.-ბა I, 148). ჯუანშერი, ცხადია,  
არ იცნობდა ვახტანგის ზემოდ მოხსენებულს მოკლე ცხოვ-  
რებას, თორებ იქ გაღმოცემული ვახტანგის სიკვდილის  
შესახებ საინტერესო დეტალი პოვებდა მის თხზულებაში გა-  
მოხატულებას. საფიქრებელია ამიტომ, რომ ჯუანშერის თხზუ-  
ლება შედგენილი უნდა იყოს ცოტა უფრო ადრე ხსენებულ მოკ-  
ლე ცაბისა, ამისდა მიხედვით, მაშინადამე, არა უფროინეს მე-8  
საუკუნის დასასრულისა.

ერთ-ერთი მთავარ საბუთთავანს ჯუანშერის შრომის  
მე-11 საუკუნეში დასათარიღებული იძლეოდა ცნობილი ცი-  
ტატა პაჭანიკების ორების შესახებ, რომელიც ზემოდ იყო მო-  
ყვანილი და გარჩეული (გვ. 151). ეს ციტატა, როგორც  
ვნახეთ, პირიქით, იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იეტო-  
რი ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა\* ცხოვრობდა არა მე-11  
საუკუნეს, არამედ უადრეს მე-9 საუკუნისაც, როდესაც პაჭა-  
ნიკი დონის ილმოსავლეთ სანაპიროს უკვე კარგაბნის დამ-  
კიდრებული ყოფილან. მაშინადამე ჯუანშერის ცნობაც—  
„წარვიდეს პაჭანიკი დასავლით კერძა, ზოლო ჯიქნი დაემ-  
ციდრენს ბოლოსა აფხაზეთისასა“—მეცხრე საუკუნეშე ილ-  
რინდელ დროს უნდა ეყუთვნიდეს.

ამავე დროს ცხადია, რომ ჯუანშერი ცხოვრობს არაბე-  
ბის კულტურულ ზედგავლენის ხანაში. ის ხმარობს ისეთ არა-  
ბულ სიტყვას, როგორიც არის კვაბი (ქ. ცხ. 137, მარ. 166).  
შუამდინარეს ის იხსენიებს არაბული სახელწოდებით კაზირა  
(ქ. ცხ. I, 135, 137), მდ. ტიგრი აგრეთვე არაბული სახელ-  
წოდებით დაფლა არის მოხსენებული (I, 123) სახელი გურგა-  
ნი კიდევ—არაბულივე ფორმით ჯურჯანი (I, 138). ყველაფე-  
რი ეს ეპვს გარეშე ჰყოფს, რომ ჯუანშერი არაბების დროინ-  
დელი ეპოქის მწერალია, როდესაც არაბული კულტურის



ნორმების ფეხისმოკიდებამ, სხვათა შორის, ქრისტელთა „ციხესიმაგრეს“ რებაშიც შესაძლებლად გახადა არაბულ სიტყვების შეტანა ქართულ სალიტერატურო ენაში.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით წვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი მატიანის ცნობას „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ დამწერის ვინაობის შესახებ, სხელდობრ, რომ ის არის არჩილ მეფის ასულის ქმარი, ნდობით არ მოვეპყრათ. ეს გლოსა, საფიქრებელია, ცკუთვნის თვით ლეონტი მროველს, რომელსაც მთელი „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის თავმოყრისას, ნინოს ც ბის ახალი რედაქციის თანდართვით, შეეძლო საჭიროდ ჩაეთვალა „ვახტანგის ც-ბის“ ავტორის აღნიშვნაც. რადგანაც არჩილ მეფის სიკვდილი უნდა მიეწეროს მურვინ-ურუს შემოსევის ანუ მე-730 წლებს, ამიტომ საფიქრებელია არჩილის ქმისწულის ქმარის მოღვაწეობის ხანა მე-8 საუკუნის შეორე ნახევარში ყოფილიყო.

ამ რიგად „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ვიდრე სტეფანი ॥-მდის დაწერილი უნდა იყოს ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ მე-8 საუკუნის შეორე ნახევარში, უკეთ შესამე მეოთხედში.

ჯუანშერის თხზულება დამყარებულია ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროებზე. ზემოდ უკვე ნაჩვენები იყო, რომ ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა რაღაც თუნდაც მოკლე, მაგრამ მაინც სანდო საისტორიო წყარო. მაგრამ გარდა ამისა მის ხელთ იყო, სხვა ნაწარმოებებიც, რომლებსაც ის ემყარებოდა მეთოდოლოგიურად. ერთი ასეთი თხზულებათაგანი მოხსენებულია თვით ნაწარმოებში, სახელდობრ წიგნი ნებროთის შესახებ.

ამ წიგნიდან აეტოს ციტატაც მოყვავს (ქ. ცხ. I, 122—123, გარ. ვარ. 140—141). საყურადღებოა, რომ ნებროთის წიგნს იცნობდა ლეონტი მროველიც. ეს სჩანს იქიდან, რომ მის მიერ „სიღონიას თქმულში“ ნინოსაგან სპარსელ მოვვის კანკალების განკურნების შესახებ შეტანილი ვრცელი თხოობა ნა-



ნა დედოფლის განკურნებისა და აგრეთვე მირიან შეფის ძირი  
ქრისტიანობის გამოძიების შესახებ იხსენიებს „წიგნს რომელი  
ჰქონდა მირიან შეფესა—ნებროთისას“. მმ წიგნიდან ლეონ ტის  
მოყვას ციტატა: „მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინდულ ვარ  
ღრთისა მიერ მთავრობასა ზედა“ და სხ. (მარ. ვარ. 86). ეს  
ციტატა სიტყვა სიტყვით უდგება ჯუანშერის მიერ მოყვა-  
ნილ აღვილს იმავე ნებროთის წიგნიდან (მარ. ვარ. 140),  
რაც ამტკიცებს, რომ ორივე ციტატა ამოღებულია ქართუ-  
ლად არსებულ ნებროთის წიგნიდან. შაშისაღამე, მე-8 საუ-  
კუნძული ჯუანშერის დროს უკვე ყოფილა ქართულად გადა-  
თარგმნილი ნებროთის წიგნი. აღსანიშნავია, რომ სსენებული  
ციტატა არ მოიპოვბა აპოკრიფულ თხზულებაში—„თქმული  
წმიდისა მამისა ჩიუნისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისთვეს  
ცისა და ქუეყანისა“ (ე. თაყაიშ. გამ., ქ. ცხ-ბა, მარ. ვარ.  
786—849). ამიტომ შესაძლებელია ვიტიქროთ, რომ წინააღ-  
მდეგ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ აზრისა (კორნ. კე-  
კელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატ. წყაროები), სსენებუ-  
თხზულება ეფრემისა არ უნდა იყოს ნებროთის წიგნი. უკა-  
ნასკნელის სახელით ქართულად ცნობილი ყოფილი როგორც  
სიანს, სხვა ძეველი ხრონიკოფიული თუ აპოკრიფული თხზუ-  
ლება, რომლის ვითარება ჯერ კიდევ საძიებელია.

დასკვნა, რომელიც გამოშლინარეობს ყველა ზემოლ თქმუ-  
ლიდან, არის შემდეგი.

მატიანე თავის პირველ ნაწილებში წარმოადგენს კრე-  
ბულს რამოდენიმე, დამოუკიდელად შედგენილ თხზულებათა.

პირველი—„მამათა და ნათესავთა ც-ბა“ შედგენილი უნ-  
და იყოს დახლოვებით მე-5 საუკუნის ნახევარსა ან მეორე  
ნახევარში, ტერიტორიალურად ქართლის აღმოსავლეთ რაი-  
ონში.

მეორე—„ფარნავაზის ცხოვრება“ მიეკუთვნება აგრეთვ



მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარს, უკეთ ამ საუკუნების დამსახულს, შესძლებელია 480—500 წლის ასლო ზანებს.

მესამე—უკვე ვრცელი, ფართოდ მოფიქრებული და განსაზღვრული გეგმით შედგენილი თხზულება— „მეფეთა ცხოვრება“ წარმოადგენს ისტორიულ თხრობას დაწყებული ხაზითა გამოსვლის შესახებ ამბავიდან ვიღრე მირდატ ფარსმან მეფის ძის მეფობაზის. ამ თხზულებაში— ნარიაშ დედოფლის ვირიანტით წარმოადგენილ მოცულობაში— თხრობა წმ. ნანოს შესახებ წარმოადგენს შემდეგდროინ დელ ნართაულს ნაცვლად წინად სხვა რედაქციით არსებულ თხრობისა. ასევე შემდეგ დროინ დელი ნართაულია ცნობა ინდია და სკომინ მოციქულების მოსვლის შესახებ კავკასიაში საქადაგებლად.

„მეფეთა ცხოვრება“ შედგენილი უნდა იყოს მე-7 საუკუნის ნახევარში.

„მეფეთა ცხოვრებას“ მისდევს ჯუანშერის მიერ შედგენილი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა,“ რომელიც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარს, უკეთ მესამე მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს. იეტორი იმ ც-ბისა, ლეონტი მროველის მიერ დატოვებულს memento-ს მიხედვით, ყოფილი აზიილ მეფის სიძე (ძმისწულის ქმარი) ჯუანშერი. ჯუანშერის თხზულება შეიცავს ვახტანგ გორგასლის ცხოვრების გარდა თხრობას ვიღრე სტეფანის II-მდის და ირაბების გაძლიერებამდის (ზორ. ვარ., 199).

„მეფეთა ცნობა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ წარმოადგენს ერთი და იმავე ლიტერატურულ ნორმების მიხედვით დაწერილს და ეპიურ თხზულებათათვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებების ფართოდ შემცველ ნაწარმოებთ. განსაკუთრებით ძლიერია ეპიური ხასიათი ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგ გორგასლის შესახებ თხრობაში.

„მეფეთა ცხოვრება“ თავისი პირვენდელი სახით შეიცავდა თვისებურ თხრობას ქრისტიანობის დამკეიიდრების შესახებ ქართლში უძველესი ვერსიის მიხედვით, რომელ თხრობას ჩვე-



ნამდის ორ მოულწევეით. „მეფეთა ცხოვრება“ შეღვენისათვის უჩვეულია იყოს დაახლოევები მე-7 საუკუნის ნახევარში. ამ ნაწარმოებში შემდეგ განიცადა ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ თხრობის ნაწილში თვალსაჩინო ცვლილება. ლეონტი მროველმა, რომელიც მე-10 საუკ. დასაწყისის (900—920 წლებს ახლოს) მოღვაწე უნდა იყოს, ამოიღო „მეფეთა ცხოვრებიდან“ მანამდის მასში არსებული ვერსია ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ ქირთლში და მის მაგივრად თითქმის მექანიკურად, მხოლოდ ზოგიერთ სარედაქციო ხასიათის ცვლილებებით, შეიტანა შიგ ახალი, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში წარმომდგარი ცხოვრება წმიდა ნინოსი. მის მიერვე არის შეტანილი მატიანეში ცნობა ანდრია და სვიმონ კანანელთა საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ კავკასიოში. წმ. ნინოს ცხოვრება ლეონტი მროველის მიერ შეტანილი ქმნა მატიანეში ძველი ვერსიით, რომელიც წარმოდგენილია შეტანის და პეტ. ვარიანტებში, საღაც თხრობა ნინოს შესახებ მოყვანილია პირველი პირით. ასეთი სახით არსებობდა წმ. ნინოს ცხოვრება მატიანეში ლეონტი მროველის შემდეგ დროებში და, როგორც ამას ამტკიცებს ქ. ცხ.-ბის ძველი სომხური თარგმანი და ასენის მიერ დიმიტრი თავდადებულის დროს შეღვენილი ვრცელი შეტაფრასტული ცხოვრება წმ. ნინოსი,— მე-12 და მე-13 საუკუნეშიც. მე-13—14 საუკუნის სიგრძეზე წმ. ნინოს ც-ბამ მატიანეში განიცადა კიდევ ერთი ახალი ცვლილება, სახელდობრ თავი საკუთრივ ნინოს შესახებ გადატანილ იქმნა შესამე პირად. ეს წმუნობა შესაძლებელია გაკეთებული იყოს ითანე დეკანოზის მიერ.



შენიშ. შე-94 გვ. აქ მოხსენებულ წეენი მონოგრაფიის გამო ბი. ჯავახი შეიღი 1916 წ. თავისს წიგნში „ძვ. ქართ. საისტ. მწერ-ლობა“, პირვ. გამოცემა, გვ. 130 სწერდა შემდეგს: „წეენ აზრის ჯუან-შერის დროის და „მოქც. ქართ“-ს შესახებაც, იმაზეც რომ „ცხოვ-ქართვ. მეცნიერება“ ლეონტი მროველს ეკუთვნის, ს. კავაბაძეც იმეორებს (0 ძრევე-გრუ. ლეთი. XI-ი სტ. 1912 წ., 19—36). მაგრამ გა-საოცარია, არსად ნათქვამი არა აქვს, რომ ეს აზრები და მათი დასაბუთება ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის, რომლის ლექციებიდან უნივერსიტეტში და საჯარო ლექციებითგან ტუილისში ისტორიკო-სების შესახებ მას ეს შეხედულობა შეთვისებული აქვს (იხ. ვრცელი ანგარიში „დროება“-ში 1910 წ. № 11—16 და ალმანახ „მთაბეჭ“-ში 1910 წ. 31 იან.) ჩემი სახელისა და გვარის გულმავიწყობა მით უფრო გასაოცარია, რომ ბროსე, ბაქრაძე, ქორდანია, შარიშვილი, ჯა-ნაშვილი და სხვები, ვისაც კი არ ეთანხმება, სკოლანი მოხსენებულ-ნი არიან".

ვინაოდგან ეს არასამართლიანი ბრალდება ბეჭდვით აქამ-დის უარყოფილი არ არის—1915 წ., როდესაც ის პირველად გაძ. „სახ. ფურიც.“-ში გამოქვეყნდა, ჩემს წინააღმდეგ ატეხილ ლიტერა-ტურულ დევნის დროს შექმნილ არა შესაფერის ატმოსფერის შინე-ზით, შემდეგ წლებში კადეც სხვადასხვა მისებუბრის გამო მუშაობაზე ხავსებით ხელის ალემისა და მაშასადამე სათანადო საბამის უქონლო-ბის გამო—ამიტომ საჭიროდ ერაუქ აღნიშნო შემდეგი. პ.ნი ივ. ჯა-ვახიშვილის აზრი მემატიანების შესახებ მე არ მომისმენია არც პე-ტერიტორია. უნივერსიტეტში, რადგან ჩემს იქ ყოფნისას მას ასეთი ლექ-ცია არ წაჟუითხდეს, არც ტუილისში 1910 წლის იანვარში, რად-გან ამ დროს მე პეტერბურგში ვიყავი. 1908 წ. პეტერბურგში მე ვმუშაობდი მატიანებრძე, დაკვირვებანი კერძოდ თამარ მეფის მა-ტიანებრძის შესახებ შეტანილ იქმნა საუნივერსიტეტო შრომაში, რო-მელიც პროფ. ნ. მარის წარედაგინა. იმავე 1908 წ. შემოდგომაზე მე პეტერბურგში ოჩჯერ ვიყავი ბინაზე პ.ნ იუ. ჯავახიშვილთან მისთვის მატიანებრძის, კერძოდ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის შესახებ ჩემი დაკვირვებათა ვასახიარებლად, რადგანაც ეს დაკვირ-ვებინი ჩემთვის მაშინ ფრიად ახალი შედეგების მომტანად სწონდა. პ.ნ ივანეს ჩემ მიერ გამოთქმულ აზრებშე არაფერი უთქვაშს და სა-ერთოდ კი მე ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანე, რომ პ.ნი ივანე ის დროს თითონ მუშაობდა ამავე საკითხებზე (შეიძლება მუშაო-ბაც დამთავრებული შეონდა) და საერთო მოცულობით ანალოგიური



დასკვნებამდის მისულიყო. ასეთივე დასკვნის გამოსატანად სხვისთვის არც იყო საჭირო რისიძე შეთვისება ან მითვისება. Memento ლეონტი მროველისა და ჯუან შერის შესახებ მატიანეში თავის გასარკვევად განსაზღვრული თვალთახედებით არ მოითხოვს არც დიდს ცოდნას და არც დაკავირვების დიდ უნარიანობას. პატიონითა შესახებ ცნობა, რომელსაც იქამდის მთავარი მნიშვნელობა ეძლეოდა ჯუან შერის თხზულების დასათარიღებლად, აღნიშნული ჰქონდა თ. ერი-დანის (ქრონიკ. I, XXXV) და მეც თავიდანვე მას ყურადღება მივაქციო. მხოლოდ მუშაობისთვის თავისუფალ დროს უქონლობისა გამო მე 1908 წ. ამ ცნობის განსამარტივად ბროკპაუზის ენციკლოებისკინოს დავჯერდი და 1912 წ., მონოგრაფიის ბეჭდვის დროს, იმავე მოუკლელობისა და შეორე მხრივ ტფილისში დიდ წიგნთხაცვების უქონლობის გამო, ამავე წერტილზე გავჩერდი. თავის თავად იგულისხმება, ბროკპაუზის ლექსიკინის ნიხვა ყველას შეეძლოს საერთოდ კი ჩემს მონოგრაფიაში გატარებულ აზრებით მე ვერ დავიკვებდი უკვე მეორე წელს მისი გამოქვეყნებისას, რაღაც ისინი მიმართდა შეცდარად. მატიანების შესახებ საკუთარი შეცდომის გამოსწორებას მე ვცდილობდი 1914—1915 წლებში, მაგრამ მუშაობის ჩემ მიერ სამოლოდ შეწყვეტის გამო ეს საკითხები მირჩა.

თავის თავად იგულისხმება, რომ ჩემ მიერ 1912 წ. მიინც დაშვებულ იქმნა შეცდომა, როდესაც მემატიანეთა შესახებ მონოგრაფიის ბეჭდვის დროს ვერ მოვაძერხე ბ. ივ. ჯავახიშვილის რეფერატის მოსხენება. თუ არ ჩემთვის მუშაობის და ბეჭდვის მძიმე პირობები, რაც ანც დანელებდა არ მოსმენილ რეფერატის შინაარსის და თარიღის მოძებნას, ეს შეცდომა ჩადენილი არ იქნებოდა. რომ ეს გარემოება—გაზეთში მოხსენებულ რეფერატის წიგნის ბეჭდის დროს მოუხსენებლობა, განსაკუთრებით მუშაობის მძიმე პირობების დროს, —არ შეიძლება ადამიანს მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვალოს, ამის ამტკიცებს თვით ბ. ივ. ჯავახიშვილის მაგალითიც. სახელდობრ ბ. ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც მუშაობის მხრივ ყოველთვის ქარგს პირობებში იმყოფებოდა, 1916 წ. გამოცემულ თავისს წიგნში არ მოიხსენია 1915 წ. ჩემ მიერ ტფილისში წაკითხული მოხსენება ეთნარქების სქემის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეფერატის გარშემო ატეხილ ლიტერატურულ დავაში თვით ბ. ივ. ჯავახიშვილმა მიიღო მონაწილეობა სამი დიდი ფელეტონით და გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ მოხსენებაში გატარებული იყო ახალი შეხედულება ეთნარქების სქემის წარმოშობის დროის შესახებ.

K 269 798

3

9600269798  
2013-01-01 14:10